

მარკაზიდან გამოცვებულის ერთგვაროვანი სასამართლო

სამართალი

კრეპულში გამოქვეყნებულის ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:

http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2018, №1**

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2018, №1**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2018, №1**

**Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2018, №1**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ზაზა ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. ზოგადი ლეგულებანი

უღირსი მემკვიდრე სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელი

№ას-1101-1021-2017

15 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება,
მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, სამკვიდრო მოწმობის ბა-
თილად ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა
(ძირითად სარჩელში); უღირს მემკვიდრედ ცნობა (შეგებებულ
სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. ო. ნ-ი (შემდეგში: მამკვიდრებელი) გარდაიცვალა 2013
წლის 06 იანვარს. მას დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე,
შვილები – თ. ნ-ი (შემდეგში: მოსარჩელე) და გ. ნ-ი (შემდეგში:
მოპასუხე).

2. თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 02 ოქტომ-
ბრის განაჩენით დადგენილია, რომ ლ. გ-ი (შემდეგში: ბრალდე-
ბული) მამკვიდრებლის განზრახ მეკლელობის ბრალდებით ცნო-
ბილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კო-
დექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადე-
ნაში. ამავე განაჩენის შესაბამისად, მოსარჩელე ცნობილი იქნა
დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-
ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 375-ე მუხლით
გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ქურდობა, ესე იგი
სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღ-
მდევრ მისაკუთრების მიზნით, იგივე ქმედება: რამაც მნიშვნე-
ლოვანი ზიანი გამოიწვია; მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე
დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად). განაჩენის მი-
ხედვით, ბრალდებულმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა. მის მი-

ერ ჩადენილი ქმედება გამოხატა შემდეგში: 2012 წლის სექტემბერის თვის ბოლოდან იგი არარეგისტრირებულ ქორნინებაში იმყოფებოდა მოსარჩელესთან. თანაცხოვრების დაწყების შემდეგ, მან გაიცნო მოსარჩელის მამა – მამკვიდრებელი, რომელსაც ბრალდებულმა უთხრა, რომ არ ჰყავდა ნათესავები – მშობლები და ცოლ-შეოლი. მამკვიდრებელმა აღნიშნული საეჭვოდ მიიღო და აითვალინუნა იგი, რამაც მათ შორის ურთიერთობა დაძაბა. ამით განაცხენებულმა ბრალდებულმა, შურისძიების მოტივით, განიზრახა მოეკლა მამკვიდრებელი. ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით. მოსარჩელემ ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი, სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსანინაადმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოხატა შემდეგში: ფარულად დაეუფლა და მართლსანინაადმდეგოდ მიისაკუთრა მამკვიდრებლის მეუღლის კუთვნილი ოქროს ნივთები, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი. ამავე განაჩენით, მოსარჩელემ ჩაიდინა დანაშაულის დაფარვა, კერძოდ, 2013 წლის 06 იანვარს ბრალდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული – განზრახ მოეკლა მამკვიდრებელი. აღნიშნული გარემოება შეკლებობის ჩადენისთანავე ცნობილი გახდა მოსარჩელისათვის. იგი ვალდებული იყო რა, რომ ბრალდებულის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის თაობაზე ეცნობებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის და ამის საშუალებაც ჰქონდა, დაფარა ბრალდებულის მიერ ჩადენილი განზრახი მკვლელობა და არ აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს. მომხდარის შესახებ მან პოლიციას განუცხადა მას შემდეგ, რაც ისინი მიერთნებ მის ბინაში.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 21 თებერვლის განაჩენით სახელმწიფო ბრალდებლის სააპელაციო საჩივარი მსჯავრდებულის/ მოსარჩელის მიმართ, მკვლელობის წაქეზების წაწილში გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შესახებ არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 02 ოქტომბრის განაჩენი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის განჩინებით პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად. მოსარჩელე პირობით ვადამდე გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2014 წლის 30 იან-

ვრის №02/14-№02/14-0006 გადაწყვეტილებით.

4. მამკვიდრებელმა 1994 წლის 26 მარტს შეადგინა ანდერძი. საანდერძო განკარგულების თანახმად, იგი თავის შვილს – მოსარჩელეს უანდერძებდა მთელ თავის ქონებას, რომელიც მისი გარდაცვალების დღისთვის აღმოჩნდებოდა მამკვიდრებლის კუთვნილებაში.

5. 2014 წლის 30 იანვარს მოსარჩელის ძმამ – მოპასუხებ მიმართა თელავის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსს მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონების მიღების მოთხოვნით. 2014 წლის 30 იანვარს თელავის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსში გასცა სამემკვიდრეო მოწმობა, რომლის თანახმად მოპასუხებ, როგორც ან გარდაცვლილი მამკვიდრებლის კანონისმიერმა პირველი რიგის მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონება: მდებარე ქ. თბილისი, ქ. წ-ის ქ. №67, ბ. №13-ში (შემდეგში: სადავო უძრავი ქონება), რომელიც 2014 წლის 03 თებერვალს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა მოპასუხის სახელზე.

6. დადგენილია, რომ 2014 წლის 26 თებერვალს დადგებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა მოპასუხის სიმამრის – ზ. ქ-ის (შემდეგში: მეორე მოპასუხე) სახელზე საკუთრების უფლებით.

7. 2014 წლის 30 იანვარს გაცემული სამკვიდროს მოწმობის საფუძველზე – მოპასუხის სახელზე აღირიცხა ა/მანქანა „ოპელ ვექტრა“ ვინ კოდი WOL0... (შემდეგში: სადავო მოძრავი ქონება), რომელიც 2010 წლის 21 ივლისიდან 2014 წლის 26 თებერვლამდე რეგისტრირებული იყო მამკვიდრებლის სახელზე.

8. 2014 წლის 10 აპრილს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის გაცემა მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე (რომელსაც ანდერძი ჰქონდა დაწერილი მოსარჩელის სასარგებლოდ). მოსარჩელემ განცხადებაში აღნიშნა, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 06.01.2013 წელს, ხოლო 09.01.2013 წელს იგი დააკავეს განზრას მკვლელობაში თანამზრახველობისათვის და თელავის რაიონულმა სასამართლომ გაამართლა 02.10.2013 წელს. განმცხადებელს უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე.

9. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ და მოითხოვა:

10. სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება და ან გარდაცვლილი მამის დანაშთი სამკვიდრო ქონების ანდერძისმიერ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა ¾

წილზე;

11. ნოტარიუსის მიერ 2014 წლის 30 იანვარს გაცემული №140079483 სამკვიდრო მოწმობისა და მის საფუძველზე მოპასუხის სახელზე საჯარო რეესტრში განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა (განაცხადის №... საკადასტრო კოდი №...);

12. თელავის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსის მიერ 2014 წლის 30 იანვარს გაცემული №1... სამკვიდრო მოწმობისა და მის საფუძველზე მოპასუხის სახელზე – სადაც მოძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ბათილად ცნობა (2010 წლის 21 ივლისიდან 2014 წლის 26 თებერვლამდე აღნიშნული ა/მანქანა რეგისტრირებული იყო მამკვიდრებლის სახელზე);

13. მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების (დამოწმების თარიღი 26/02/2014). და აღნიშნული გარიგების საფუძველზე მეორე მოპასუხის სახელზე განხორცილებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა.

14. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს. მოპასუხემ სარჩელთან ერთად განსახილველად წარმოადგინა შეგებებული სარჩელი მოსარჩელის უღირს მემკვიდრედ ცნობის მოთხოვნით.

15. თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელი სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადის გაგრძელებისა და მამკვიდრებლის დანაშთი სამკვიდრო ქონების ანდერძისმიერ მემკვიდრედ და მესაკუთრედ $\frac{3}{4}$ წილზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხებს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება და აღნიშნული გარიგების საფუძველზე მეორე მოპასუხის სახელზე განხორცილებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია. შეგებებული სარჩელი უარყოფილი იქნა.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაქმაყოფილდა. თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება – თავდაპირველი სარჩელი უარყოფილი იქნა. შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და მოსარჩელე ცნობილი იქნა უღირს მემკვიდრედ.

17. საპელაციო პალტამ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 1-8-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

18. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის სა-

ფუძველზე შეგებებული სარჩელი უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია და მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის სამემკვიდრეო სამართლის ნორმები აწეს-რიგებს გარდაცვლილი პირის ქონების სხვა პირებზე გადასვლას-თან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს მემკვიდრეთა წრეს, კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მიღე-ბის ვადებს და ა.შ.

19. დავის სამართლებრივი მოწესრიგებისას სააპელაციო პა-ლატამ იხელმძღვანელა შემდეგი ნორმატიული დანაწესებით და განახორციელა შემდეგი განმარტებები:

20. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 1307-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრეობი შეიძლება იყვნენ: ა. კანონით მემკვიდრეობის დროს – პირები, რომლებიც ცოც-ხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, და აგრეთვე, მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაც-ვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან; ბ. ანდერძით მემკვიდ-რეობისას – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებ-ლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩა-ისახენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე, იურიდიული პირები.

21. სსკ-ის 1336-ე მუხლის თანახმად, კანონით მემკვიდრეო-ბის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან: 1. პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვი-ლი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობ-ლები (მშვილებლები).

22. სსკ-ის 1371-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის შვი-ლებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხე-დავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდ-რეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). სამემკვიდრეო სამართლის ნორმით განსაზღვრულია არა მხოლოდ იმ პირთა წრე, რომლებსაც გააჩნიათ მემკვიდრეობის უფლება, არამედ იმათიც, ვისაც შეიძლება ჩამოქრთვას ეს უფლება. კერძოდ, სსკ-ის 1310-ე მუხლის თანახმად, არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციე-ლებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პი-რების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამემკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორა-ლური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკა-

ნასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოება-ნი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (ულირსი მემ-კვიდრე).

23. სსკ-ის 1311-ე მუხლის თანახმად, შვილების კანონით მემ-კვიდრეებად ვერ იქნებიან მშობლები, რომლებსაც ჩამოერთომე-ვათ მშობლის უფლება და სამკვიდროს გახსნის დღისათვის არ არიან აღდგენილი ამ უფლებებში. კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან აგრეთვე პირი, რომლებიც ბოროტად თავს არიდებ-დნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ერჩინათ მამკვიდრე-ბელი, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წე-სით.

24. სსკ-ის 1354-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მო-ანდერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული მიუთითოს ამის მოტივზე. ამავე მუხლის მე-2 ნა-ნილის თანახმად, პირი, რომელსაც ანდერძის პირდაპირი მითი-თებით ჩამოერთვა მემკვიდრეობა, ვერც კანონით მემკვიდრე ვერ იქნება ქონების იმ ნაწილზე, რომელიც ანდერძში არ შესუ-ლა, ასევე – მაშინაც, როცა ანდერძით მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. აღნიშნული ნორმების საფუძ-ველზე, მემკვიდრეობის უფლება პირს შეიძლება ჩამოერთვას და ცნობილი იქნეს უღირს მემკვიდრედ, თუ მის მიერ ჩადენი-ლი განზრახი ქმედებები მიმართულია მამკვიდრებლის უკანას-კელი ნება-სურვილის განხორციელების ნინააღმდეგ (სკ-ის 1310 მუხლი); კანონით მემკვიდრეობის უფლებას კარგავენ პი-რები, რომლებიც არ ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, მაგალითად, რჩენის მოვალეობას (სკ-ის 1311-ე მუხლი), ასევე მამკვიდრებელს უფლება აქვს, ანდერძის პირ-დაპირი მითითებით მემკვიდრეობა ჩამოართვას კანონით მემ-კვიდრეებს, რის გამოც ეს პირები ვერც კანონით მემკვიდრეო-ბის საფუძველზე მიიღებენ სამკვიდროს და ვერ ანდერძისმიე-რი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემ-თხვევაში. სააპელაციო პალატის განმარტებით აღნიშნული ნორ-მების დისპოზიცია იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ მემ-კვიდრეობის უფლებას კარგავენ მემკვიდრეები, რომელთა ქცე-ვა არ შეესაბამება მორალურ სტანდარტებს, რომლებიც არღვე-ვენ პრინციპს – კეთილსინდასიერად განახორციელონ უფლე-ბები და მოვალეობები. კანონმდებელი ერთ შემთხვევაში, თა-ვად მამკვიდრებელს ანიჭებს უფლებას, მემკვიდრეობა ჩამო-ართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული, მიუთითოს ამის მოტივზე. პალატამ გან-

მარტა, რომ მემკვიდრეობის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს სა-სამართლოს მეშვეობით. სარჩელი ასეთი უფლების ჩამორთმე-ვის შესახებ სასამართლოში შეიძლება შეიტანოს იმ პირმა, რომ-ლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა დადებით ქონებრივ შედეგთან იქნება დაკავშირებული. აღნიშნულ საკით-ხთან მიმართებით, სააპელაციო პალატამ იმავდროულად, მოუ-თითა ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწერიგე-ბელ 529.1 მუხლზე, რომელიც ადგენს ქცევის შემდეგ წესს: ჩუ-ქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაც-ხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. პალატის განმარტებით, მითი-თებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ჩუქების ხელშეკრულებიდან ნარმოშობილი ურთიერთობა მოიცავს გამ-ჩუქებლის შესაძლებლობას, მის მიერ შეცილებულ იქნეს ხელ-შეკრულება და მისი შედეგები ისეთი სპეციფიკური საფუძვლე-ბით, როგორიცაა დასაჩუქრებულის მხრიდან დიდი უმადურო-ბის გამოჩენა ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ შეურაცხყოფა შესაძლოა გამოვ-ლინდეს როგორც ფიზიკურ ქმედებაში, მაგალითად, მისი ქონე-ბის, სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა-ში, ასევე – სიტყვიერ შეურაცხყოფაში. ჩუქების პირადი ხასია-თიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ უმადურობად ჩაითვლე-ბა მჩუქებლის მიმართ ისეთი ქმედების განხორციელება, რო-მელიც მხარეთა შორის სოციალურ-მორალური თვალსაზრისით თუ კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, მიუ-დებელი ან ნაკლებად მოსალოდნელია. დასაჩუქრებულის მხრი-დან უმადურებად ითვლება არამართლზომიერი მოქმედება, რო-მელიც მიმართულია მჩუქებლის, მისი ოჯახის წევრის ან ახ-ლო ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ; გან-ზრახი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მჩუქებლისათ-ვის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენებას; კანონით გან-საზღვრულ მოვალეობაზე – არჩინოს ან იზრუნოს იმაზე, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს მჩუქებელი – უარის თქმა და ა. შ. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მითითებული ნორმების სისტემური ანალიზი იძლევა იმ დასკვნის საფუძ-ველს, რომ კანონმდებლობა როგორც დასაჩუქრებულს, ასევე მემკვიდრეს უდგენს ქცევის მაღალ სტანდარტს, რომელთა გა-ნუხრელი დაცვის შემთხვევაში მათ აქეთ შესაძლებლობა ისარ-გებლონ კანონით გათვალისწინებული იმ უფლებით, რასაც სა-მემკვიდრეო სამართლისა და ჩუქების მომწერიგებელი ნორ-

მები ადგენს. ამ უფლების მქონე პირის მიერ კეთილსინდისიერი ქცევის მოვალეობის დარღვევისას კი ადგენს სანქციებს, როგორიცაა სამემკვიდრეო სამართალში – მემკვიდრეობის ჩამორთმევა, ჩუქების სამართლებრივ ურთიერთობაში – ნაჩუქარის ქონების დაბრუნება. „ზოგადად, სამართლის სისტემები მოიცავენ წესებსა და პრინციპებს – მორალურ მტკიცებებს. მოსამართლეებმა უნდა განიხილონ სხვადასხვა შეხედულებები და მიიღონ ის გადაწყვეტილება, რომელიც სამართალს აქცევს, რაც შეიძლება, მორალურად საუკეთესოდ. ობიექტური სამართალი, რომელიც დავას არ იწვევს, არის მხოლოდ კანონმდებლებისა და მოსამართლეების მიერ მიღებული წარსულის ოფიციალური გადაწყვეტილებების კრებული. მორალური შეფასება არის სამართლის განუყოფელი ნაწილი“. სწორედ მოცემულ შემთხვევაშია სასამართლო ვალდებული, მოსარჩელის ქმედება პოზიტიური სამართლის გვერდიგვერდ ბუნებითი სამართლის გათვალისწინებითაც შეაფასოს, რომლიდან გამომდინარეც, ნებისმიერი ქცევა, რომელიც ლახავს ან არღვევს ადამიანის თანდაყოლილ ბუნებით უფლებება-მოვალეობებს, მორალურად გაუმართლებელ „დანაშაულად“ ითვლება. ეს ისეთი უფლება-მოვალეობებია, რაც ადამიანს თავისთავად ეკუთვნის, რომელთა დაცვასაც გვაქისრებს მისი ცოცხალ, გონიერ არსებად ყოფნა. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მიდგომა საუკუნეთა წინ ჩაისახა და დამკვიდრდა, პალატის მოსაზრებით, იგი დღევანდელი რეალობისთვისაც ცოცხალია. ადამიანის გონი, როგორც მოაზროვნე სუბსტანცია, პოზიტიური სამართლის მიღმა ასევე შეიმეცნებს იმ ფუნდამენტურ, თანდაყოლილ ვალდებულებებსა თუ უფლებებს, რაც ადამიანად ყოფნას განაპირობებს და ამართლებს. მოცემულ შემთხვევაში, ამ პრინციპების საწინააღმდეგოდ, მოსარჩელემ მისი ღვიძლი მშობლის, მამის წინაშე ჩაიდინა სრულიად გაუმართლებელი საქციელი. მისი მხრიდან ესოდენ დაბალი ზნეობრივი სტანდარტი გამოვლინდა სასტიკად მოკლული მამის სხვერწისადმი სრულ უპატივცემულობაში. ასეთ დროს, შვილის სრულიად ბუნებრივი ქცევა უნდა ყოფილიყო ყველა ის მოქმედება, რაც მამის მოკევლის გამო მართლმსაჯულების ალსრულებას – მკვლელის დასჯას – შეუწყობდა ხელს და არა – პირიქით. მართალია, ამის გამო, მოსარჩელე დაისაჯა სისხლის სამართლის წესით, მაგრამ ეს ვერ იქნება სამოქალაქო კუთხით მისი ამორალური ქმედების შეფასების საპირზონე არგუმენტი და იმის წინაპირობა, სასტიკად მოკლული მამის ქონება, მკვლელისთვის ხელის დაფარების, მისი არგათქმის პირობებში, დაიმკვიდროს შვილმა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა,

რომ საერთაშორისო გადაწყვეტილებებში, მაგ. ავტორიტეტული სამართლის ქვეყნის – გერმანიის – მყარ სასამართლო პრაქტიკაში დაზარალებულის დაკმაყოფილების ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეულია დამნაშავის შესაბამისი, მრავალნლიანი პატიმრობის სასჯელით დასჯა. მაშასადამე, იგულისხმება, რომ დაზარალებული გარკვეულ მორალურ დაკმაყოფილებას ჰპოვებს დამნაშავის სათანადოდ დასჯის შედეგად. მოცემულ შემთხვევაში კი შვილმა მამის მკვლელი არათუ არ გაამჟღავნა, არამედ საკუთარი აქტიური მოქმედებით ხელი შეუწყო კიდეც მძიმე დანაშაულის დაფარვას (მოკლულის სხეულიდან ამოღებული დანა, რომელიც მკვლელმა მას მიუტანა, დამაღა). ამიტომ, ამ ყველა გარემოების გათვალისწინებით, მემკვიდრის ულირსობას პოზიტიურ სამართალთან ერთად სწორედ ბუნებითი სამართლის კანონებთან ერთად უნდა მიეცეს შეფასება, ანუ მემკვიდრის მორალური შეფასების ჭრილში, რაც შედეგად სამემკვიდრეო სიკეთის (მამკვიდრებლის ქონების მიღების უფლება) დაკარგვას იწვევს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შეგბებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა მოპასუხის – მამკვიდრებლის შვილის – მიმართ ულირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ ემყარება იმ გარემოებას, რომ მან ჩაიდინა განზრას მძიმე დანაშაული, კერძოდ, განაჩენით დადგენილია, რომ „ნაცვლად იმისა, რომ ბრალდებულის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის თაობაზე ეცნობებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის და ამის საშუალებაც ჰქინდა, მოპასუხემ დაფარა ბრალდებულის მიერ ჩადენილი განზრახი მკვლელობა და არ აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს. მომხდარის შესახებ მან პოლიციას განუცხადა მას შემდეგ, რაც ისინი მიეციდნენ მის ბინაში“.

25. პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 1310-ე მუხლის ნორმის დისპოზიცია იძლევა ნორმის ფართოდ განმარტების შესაძლებლობას, კერძოდ, აღნიშნული ნორმა მიუთითებს, რომ განზრას მოქმედება მემკვიდრედ მოწვევის მიზნით უნდა იყოს ჩადენილი და არა ამ მიზნის გარეშე. მაგალითად, როდესაც საქმე შეეხება ანდერძის გაყალბებას ან განადგურების შემთხვევას. მითითებული ნორმის საფუძველზე, მემკვიდრის ასეთი მოქმედები ულირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ, რადგან მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი ვრცელდება უფრო მსუბუქ შემადგენლობაზე, მით უფრო, შესაბამისი შედეგი უნდა დადგეს იმ ვითარებაშიც, როდესაც სახეზეა უფრო მძიმე შემთხვევა, როგორიცაა განზრას მძიმე დანაშაულის ჩა-

დენა – მშობლის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის დაფარვა. გარდა იმისა, რომ ასეთი ქცევა კანონით დასჯადი ქმედება, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება მორალური ქცევის სტანდარტს. შვილების მოვალეობაა იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ, არჩიხონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ (სსკ-ის 1218-ე მუხლი).

26. ზემოთ მოხმობილი ნორმების ანალიზის საფუძველზე პალატამ დაასკვნა, რომ ის, ვინც არ გაამართლებს მშობლის მოლოდინს მასთან მიმართებით კეთილსინდისიერ ქცევასთან დაკავშირებით, კარგავს მშობლისაგან ქონებრივი სიკეთით მიღების შესაძლებლობას. კონკრეტულ საქმეზე განაჩენით დადგენილი გარემოებები იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ დაირღვა მშობლთან მიმართებით შვილის კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტი, შესაბამისად, მემკვიდრეს უნდა ჩამოერთვას მამკვიდრებლის ქონების საკუთრებაში მიღებისა და ამ სიკეთით სარგებლობის უფლება. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 1310-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი უნდა გავრცელდეს კონკრეტულ გარემოებებზეც და შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს.

27. ამასთან, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სხვა ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველიც, აკრძოდ, სსკ-ის 1424-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. აღნიშნული ნორმა ადგენს დროს, რომლის განმავლობაშიც მემკვიდრემ უნდა გამოთქვას სამკვიდროს მიღების სურვილი. სამკვიდროს მისაღებად საჭირო მოქმედებები (სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა და მართვა, განცხადების შეტანა სანოტარო ორგანოში) შესრულებული უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში. დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში მემკვიდრე, როგორც წესი, კარგავს სამკვიდროს მიღების უფლებას. მხოლოდ საპატიო მიზეზების არსებობისას სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს სამკვიდროს მიღების ვადა. კერძოდ, სსკ-ის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე. გაშვებული ვადის საპატიოდ ან არასაპატიოდ მიჩნევა სასამართლოს შეხედულებით წყდება და იგი უნდა ემყარებოდეს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც სარწმუ-

ნოს ხდიან, რომ მემკვიდრეს, ობიექტური მიზეზების გამო, არ შეეძლო ფაქტობრივად დაუფლებოდა სამკვიდრო ქონებას ან მიემართა სანოტარო ორგანოსთვის.

28. სააპელაციო პალატამ მიუთითა ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, რომლის მიხედვით, „ნორმაში (სკ-ის 1426 მუხლი) მითითებული დათქმა საპატიო მიზეზის თაობაზე წარმოადგენს შეფასების საკითხს და მოსარჩელის ვალდებულებაა, მიუთითოს იმგვარ სარწმუნო გარემოებებზე, რომელთა ანალიზითაც სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ მემკვიდრეს არ ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, დადგენილ ვადაში მიემართა ნოტარიუსისათვის ან უშუალოდ დაუფლებოდა სამკვიდროს, რამდენადაც სამკვიდროს მიღება, იურიდიული თვალსაზრისით, წარმოადგენს ცალმხრივი ნების გამოვლენას და სამართლებრივი შედეგის მისაღწევად მხოლოდ ნების არსებობა არ არის საკმარისი, რამდენადაც ნება შინაგანი, სუბიექტური კომპონენტია და იურიდიული ძალის მატარებელი მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც დასრულდება მისი ობიექტურად შეცნობადად გამოხატვის პროცესი“ (საქმე ნას-421-398-2014 (ბ)).

29. პალატამ მიუთითა სსკ-ის 1423-ე მუხლზე და განმარტა, რომ მითითებული ნორმა ითვალისწინებს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებას როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. სსსკ-ის 96.1 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქის მიერ გაცემული მინდობილობა უნდა დამონმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მარწმუნებელი მუშაობს ან სწავლობს, იმ სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება, შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ, თუ მინდობილობა სამხედრო მოსამსახურემ გასცა. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ გაცემულ მინდობილობას ამონშებს ამდაწესებულების დირექტორი.

30. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2013 წლის 06 იანვარს, მოსარჩელე პატიმრობაში იმყოფებოდა 2013 წლის 09 იანვრიდან 2014 წლის 30 იანვრამდე. დადგენილია, რომ მოსარჩელემ სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ განცხადებით ნოტარიუსს მიმართა 2014 წლის 10 აპრილს. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელემ პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ადგომების დახმარებით, 2013 წლის 28 იანვარს, ანუ დაპატიმრებიდან 20 დღე-

ში, განაახლა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე და №5 ქალთა პატიმრობის, სანახევროდ ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულებაში სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობის საფუძველზე გაასხვისა მისი კუთვნილი უძრავი ნივთი. ამდენად, პატიმრობის მიუხედავად, მას ჰქონდა შესაძლებლობა ადვოკატის მეშვეობით მიემართა განცხადებით ნოტარიუსისათვის (სსკ-ის 1423-ე მუხლი). პალატამ ასევე მიუთითა, რომ პატიმრობის შესახებ კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის მიმოწერა აკრძალულია. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე შემოსული წერილის მისთვის ჩაბარებას, აგრეთვე ბრალდებულის/მსჯავრდებულის წერილის ადრესატისათვის გაგზავნას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულება. პირადი ხასიათის კორესპონდენცია ადრესატს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხარჯით ეგზავნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიჩნია, რომ მოსარჩელეს ჰქონდა ორი შესაძლებლობა მემკვიდრეობის მისაღებად, კერძოდ, ადვოკატის/ნარმომადგენლის დახმარებით, რომლის მომსახურებითაც ის სარგებლობდა პატიმრობის განმავლობაში და ასევე, უზუალოდ, პენიტენციალური დაწესებულების დახმარებით, ნოტარიუსისათვის განცხადების გაგზავნის გზით. არცერთი შესაძლებლობა მოსარჩელის მიერ არ ყოფილა გამოყენებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიღა დასკვნამდე, რომ პენიტენციალურ დაწესებულებაში ყოფნის ფაქტი ვერ იქნება მიჩნეული სამკვიდროს მიღების ვადის საპატიოდ გაშვების საფუძვლად.

31. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოადგინა მოსარჩელე.

32. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ გარემოებებსა და მოსაზრებებს:

33. სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სსკ-ის 1310-ე მუხლი. პალატამ აგრეთვე გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას გამოიყენა ანალოგიის პრინციპი. მემკვიდრეობითი სამართლის კონკრეტული საკითხის გადაწ-

ყვეტისას გამოიყენა ვალდებულებითი სამართლის, კერძოდ, ჩუქების მომწერიგებელი ნორმების შედარებითი ანალიზი. არასწორად გამოიყენა ჩუქების მომწერიგებელი ნორმები. მემკვიდრეობის ჩამორთმევა ხდება სსკ-ის 1310-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნულ ნორმაში ჩამოთვლილია ის საფუძვლები, რაც დაინტერესებული პირის მიერ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადასტურებული უნდა იქნეს. პალატამ ზოგად შეხედულებებზე და არა კანონზე დაყრდნობით ბუნებითი სამართლის მოშველიებით შეაფასა და არასწორად განმარტა სსკ-ის 1310-ე მუხლის დანაწესი. სააპელაციო პალატამ აგრეთვე დაარღვია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და სამართლშემოქმედებითი საქმიანობა განახორციელა. მოსამართლეს ეკრძალებოდა „ბუნებითი სამართლის მოძღვრების გამოყენება, რომელიც სამართლის წყაროდ იმ სამართლებრივ დებულებებს მიიჩნევს, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის ბუნებიდან და გონიერივად შეცნობადია. ასეთი დებულებების ქმედითობა დამოკიდებული არ არის იმაზე, განხორციელებულია იგი თუ არა სამართლებრივი აქტის საფუძველზე. მოსამართლე ექვემდებარება მხოლოდ კანონს. სამოსამართლო სამართლი არის არა სამართლის წყარო, არამედ სამართლის შემეცნების წყარო. აგრეთვე, პალატამ თავისი პოზიციის დასტურებლად მოიშველია ეკრძალის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ეხება სისხლის სამართლის სფეროს. რა საფუძველი აქვს სააპელაციო პალატას გერმანიის სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკაზე აპელირებით დაასაბუთოს საქართველოს სამოქალაქო სამართლანწარმოების საქმეზე გადაწყვეტილება სრულიად გაუგებარია და სცდება ყველანაირ სამართლებრივ სტანდარტს. სისხლის სამართლის სამართლანწარმოებისას მოსარჩელემ განმარტა მიზეზი იმის შესახებ, რომ ვერ განაცხადა მომხდარი დანაშაულის შესახებ: ბრალდებული მას დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით. მას არ გაუნადგურებია მის სახლში არსებული მკვლელობის მტკიცებულებები, რომელიც პოლიციამ ამოილო, როდესაც ისინი სახლში მივიდნენ, მათ მოსარჩელემ გადასცა მის სახლში არსებული დანაშაულის იარაღი და განუცხადა მომხდარის შესახებ. ამ დროს, ბრალდებული ჯერ კიდევ არ იყო დაკავებული და იძებნებოდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა პარალელზე ანდერძის გაყალბებას ან განადგურებას და დანაშაულის დაფარვას შორის. ანდერძის გაყალბების ან განადგურების მიზანი პირდაპირ კავშირშია პირის ნება-სურვილთან მიიღოს მემკვიდრეობა ან ხელი შეუშალოს სხვა მემკვიდრეს, რათა გაზარდოს მისაღები წილი სამკვიდროდან. ხოლო დანაშა

ულის დაფარვა სამკვიდროს მიღებასთან არანაირ კავშირში არ არის ვინაიდან იგი ხორციელდება წინასწარ შეუპირებლად, პრო-კურატურა მოსარჩელეს ბრალს სდებდა მკვლელობის თანამო-ნანილეობაში, რაც არ გაიზიარა სისხლის სამართლის სასამარ-თლომ და მოსარჩელე სრულად გაამართლა წარდგენილ ბრალ-დებაში. აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაშია.

34. პალატამ არ მისცა შეფასება პირველი ინსტანციის სასა-მართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესა-ხებ, რომ ნოტარიუსმა წერილობით დაადასტურა მოპასუხის მხრიდან მისი როგორც მემკვიდრის არსებობის დამალვა.

35. პალატამ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა სსკ-ის 1423-ე, 1424-ე, 1426-ე მუხლებზე. მოიყვანა ციტირება უზენა-ესი სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეზე მიღებული გადაწ-ყვეტილებიდან და არასწორი შეფასება მისცა პირველი ინსტან-ციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

36. საჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შემდეგ მოსარ-ჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ 2014 წლის 30 იანვარს მოპა-სუხეს მიუმართავს თელავის სანოტაო ბიუროს ნოტარიუსისათ-ვის სამკვიდრო ქონების მიღების მოთხოვნით. მან ნოტარიუსს დაუმალა პირველი რიგის მემკვიდრის არსებობა. მისთვის ცნო-ბილი იყო მამკვიდრებლის სურვილი ანდერძით მთელი სამკვიდ-რო ქონების მოსარჩელისათვის დატოვების შესახებ. ანდერძი შედგენილია 1994 წლის 26 მარტს. საანდერძო განკარგულების თანახმად კი, მთელი ქონება ერგო მოსარჩელეს.

37. პალატამ თავის გადაწყვეტილებით საპატიოდ არ ჩათ-ვალა ის გარემოება, რომ ობიექტურად სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის გადაში მოსარჩელე ვერ დაეუფლებოდა სამკვიდ-რო ქონებას, ვინაიდან მოსარჩელე იმყოფებოდა პატიმრობაში. საააპელაციო პალატის დასაბუთება იმგვარია, რომ სსკ-ის 1423-ე მუხლის შესაბამისად მოსარჩელეს უნდა ემოქმედა პენიტენ-ციურ დაწესებულებაში და წარმომადგენლის მეშვეობით უნდა მიმედო მემკვიდრეობა სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის ვა-დაში.

38. კასატორი აღნიშნავს, რომ სსკ-ის 1423-ე მუხლი ეხება მემკვიდრის უფლებას, რომელიც არის ალტერნატიული უფლე-ბა და შესაძლებლობა მემკვიდრემ წარმომადგენლის მეშვეო-ბით მიიღოს სამკვიდრო ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ვითა-რებაში. აღნიშნული ნორმები არ წარმოადგენს სამკვიდროს მი-ღების ფაქტობრივად ხელშეშლის გამაპათილებელ სავალდე-ბულო ნორმებს. მით უფრო, რომ იგივე კოლეგიას უკვე აქვს მსგავს შემთხვევაზე სხვაგვარი განმარტება გაკეთებული, სა-

დაც არ გამოუყენებია აღნიშნული საკანონმდებო ნორმები. ამ-დენად, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სსკ-ის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი.

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საკასა-ციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესა-მოწმებლად, ხოლო 2017 წლის 17 ნოემბრის განჩინებით საკა-საციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სამართლებრივი საფუძვლით [დისპოზიცია: საკასაციო საჩივა-რი ქონებრივ და არაქონებრივ დავექში დასაშვებია თუ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას].

სამოტივაციო ნაწილი:

40. საკასაციო სასამართლო შეისწავლა წარმოდგენილი სა-კასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამონმა სააპელაციო პალა-ტის გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუ-თება და მიაჩინა, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყო-ფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

41. საკასაციო საჩივრით სადაცია, როგორც სამკვიდროს მი-ლების კანონით დადგენილი ვადის გაგრძელებისა და მამკვიდ-რებლის დანაშთი სამკვიდრო ქონების ნაწილზე ანდერძსმიერ მემკვიდრედ და მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობაზე უარის თქმის, აგრეთვე, მოსარჩელის ულირს მემკვიდრედ ცნობის მარ-თლზომიერება (სასარჩელო მოთხოვნის უარყოფა და შეგებე-ბული სარჩელის წარმატებულობა. იხ., ამ განჩინების პპ: 9-13, 14 15, 16).

42. საკასაციო საჩივრის საფუძვლების (კასაციის მიზეზე-ბის) კვლევისათვის, უპირველესად, უნდა აღინიშნოს სააპელა-ციო სასამართლოს მიერ საქმეზე დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მიმართ კასატორს საკა-საციო პრეტენზია არ წარმოუდგენია და ამდენად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალის მქონეა [სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილი].

43. 2013 წლის 06 იანვარს გარდაცვლილ მამაკვიდრებელს დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილები: მოსარჩელე და მოპასუხე.

44. თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 02 ოქტომ-

ბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (იხ., ამ განჩინების პპ: 2, 3) დაფგენილია, რომ ბრალდებული მამკვიდრებლის განზრას მკველობის ბრალდებით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის სექტემბერის თვის ბოლოდან იგი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოსარჩელესთან. თანაცხოვრების დაწყების შემდეგ, მან გაიცნო მოსარჩელის მამა – მამკვიდრებელი, რომელსაც ბრალდებულმა უთხრა, რომ არ ჰყავდა ნათესავები – მშობლები და ცოლ-შვილი. მამკვიდრებელმა აღნიშნული საეჭვოდ მიიღოდ და აითვალწუნა იგი, რამაც მათ შორის ურთიერთობა დაძაბა. ამით განაწყენებულმა ბრალდებულმა, შურისძიების მოტივით, განიზრახა მოეკლა მამკვიდრებელი.

45. ამავე განაჩენის შესაბამისად, მოსარჩელე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. მოსარჩელემ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისა მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოხატა შემდეგში: ფარულად დაუფლება და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა მამკვიდრებლის მეუღლის (მისი მამის მეუღლის) კუთვნილი ოქროს ნივთები, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

46. ამავე განაჩენის შესაბამისად, მოსარჩელემ ჩაიდინა დანაშაულის დაფარვა, კერძოდ, 2013 წლის 06 იანვარს ბრალდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული – განზრას მოკლა მამკვიდრებელი. აღნიშნული გარემოება მკვლელობის ჩადენისთანავე ცნობილი გახდა მოსარჩელისათვის. იგი ვალდებული იყო რა, რომ ბრალდებულის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის თაობაზე ეცნობებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის და ამის საშუალებაც ჰქონდა, დაფარა ბრალდებულის მიერ ჩადენილი განზრახი მკვლელობა და არ აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს. მომხდარის შესახებ მან პოლიციას განუცხადა მას შემდეგ, რაც ისინი მივიდნენ მის ბინაში.

47. მოსარჩელე პირობით ვადამდე გათავისუფლდა თავისუფლების აღვეთის დაწესებულებიდან საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2014 წლის 30 იანვრის №02/

14-№02/14-0006 გადაწყვეტილებით.

48. მამკვიდრებელმა 1994 წლის 26 მარტს შეადგინა ანდერ-ძი. საანდერძო განკარგულების თანახმად, იგი თავის შვილს – მოსარჩელეს უანდერძებდა მთელ თავის ქონებას, რომელიც მი-სი გარდაცვალების დღისთვის აღმოჩნდებოდა მის კუთვნილე-ბაში.

49. 2014 წლის 30 იანვარს მოსარჩელის ძმამ – მოპასუხებ მიმართა თელავის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსს მამკვიდრებ-ლის სამკვიდრო ქონების მიღების მოთხოვნით. 2014 წლის 30 იანვარს თელავის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსში გასცა სა-მემკვიდრეო მოწმობა, რომლის თანახმად მოპასუხებ, როგორც ან გარდაცვლილი მამკვიდრებლის კანონისმიერმა პირველი რი-გის მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო მამკვიდრებლის კუთვნი-ლი უძრავი ქონება: მდებარე ქ. თბილისი, ქ. წ-ის ქ. №67, ბ. №13-ში (შემდეგში: სადავო უძრავი ქონება), რომელიც 2014 წლის 03 თებერვალს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიც-ხა მოპასუხის სახელზე.

50. დადგენილია, რომ 2014 წლის 26 თებერვალს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სა-დავო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა მოპასუხის სიმამრის – ზ. ქ-ის (შემდეგში: მეორე მოპასუხე) სახელზე სა-კუთრების უფლებით.

51. 2014 წლის 30 იანვარს გაცემული სამკვიდროს მოწმობის საფუძველზე – მოპასუხის სახელზე აღირიცხა ა/მანქანა „ოპელ ვექტრა“ ვინ კოდი WOL0... (შემდეგში: სადავო მოძრავი ქონე-ბა), რომელიც 2010 წლის 21 ივლისიდან 2014 წლის 26 თებერ-ვლამდე რეგისტრირებული იყო მამკვიდრებლის სახელზე.

52. 2014 წლის 10 აპრილს მოსარჩელებ განცხადებით მიმარ-თა ნოტარიუსს და მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის გაცემა მამ-კვიდრებლის დანაშა ქონებაზე (რომელსაც ანდერძი ჰქონდა დაწერილი მოსარჩელის სასარგებლოდ). მოსარჩელემ განცხა-დებაში აღნიშნა, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 06.01.2013 წელს, ხოლო 09.01.2013 წელს იგი დააკავეს განზრას მკვლელო-ბაში თანამზრახველობისათვის და თელავის რაიონულმა სასა-მართლომ გაამართლა 02.10.2013 წელს. განმცხადებელს უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე.

53. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოა ზემოთ-დადგენილი და საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძა-ლის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასე-ბა.

54. სამართლის ნაწილში წარმოდგენილი საკასაციო პრეტენ-

ზიის (შედავება) კვლევის მიზნით, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ისინი პირობითად უნდა დაიყოს ორი მიმართულებით: პირველი პრეტენზია, რომელიც შეეხება ულირს მემკვიდრედ მოსარჩელის ცნობას და მაშასადამე, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა კვალიფიკაციას სსკ-ის 1310-ე, 1311-ე და 529.1 მუხლების ნორმატიული დანაწესის განმარტების გზით. მეორე პრეტენზია, რომელიც შეეხება სამკვიდროს მიღების კანონით დაგენილი ვადის არასაპატიოდ გამოებასა და ამ ვადის გაგრძელების უარყოფას სსკ-ის 1423-ე, 1424-ე და 1426-ე მუხლების საფუძველზე.

55. საკასაციო საჩივარი პირველი პრეტენზიის ნაწილში, კასატორის მიერ დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მიერ სსკ-ის 1310-ე, 1311-ე და 529.1 მუხლების არასწორი განმარტებისა და გამოყენების კუთხით. კასატორი მიიჩნევს, რომ სსკ-ის 1310-ე, 1311-ე მუხლები ანესრიგებენ სამემკვიდრეო ურთიერთობებს და მათი, გამოყენება სახელშეერულებო ურთიერთობების, საკუთრივ, ჩუქების გაუქმების მომწერლიგებელ 529.1 მუხლთან ერთად იმ მიზნით, რომ 529.1 მუხლის წინაპირობები მიჩნეული იქნეს 1311-ე მუხლის წინაპირობებად მოსარჩელის ულირს მემკვიდრედ ცნობისათვის, უმართებულოა (იხ., ამ განჩინების პ-33).

56. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორის წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება), რაც სააპელაციო პალატის მიერ სამართლის ნორმათა არასწორ განმარტებასა და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა არასწორ სუბსუმირებაში გამოიხატა.

57. საკასაციო პალატა მიუთითებს სასამართლოს, როგორც სამართლის შემფარდებელი ორგანოს უპირველეს ამოცანაზე დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მხარე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოქებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღნერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემონმებაც სასამართლოს პრეროგატივა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღნერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხა-

რე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

58. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოსარჩელის ულირს მემკვიდრედ ცნობის ნაწილში, დაეფუძნა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმგვარ ფაქტობრივ გარემოებებს, როგორიცაა: მოსარჩელის მიერ მშობლის – მამის ნინაშე ჩადენილი გაუმართლებელი საქციელი, კერძოდ, სასტიკად მოკლული მამის ხსოვნისადმი სრული უპატივცემულობა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ასეთ ვითარებაში, შეილის სრულად ბუნებრივი ქცევა უნდა ყოფილიყო იმგვარი მოქმედება, რაც მამის მოკვლის გამო მართლმსაჯულების აღსრულებას – მკვლელის დასჯას – შეუწყობდა ხელს და არა – პირიქით. ხოლო, მოსარჩელის დასჯა სისხლის სამართლის წესით არ იყო სამოქალაქო კუთხით მისი ამორალური ქმედების შეფასების საპირნონე და იმის ნინაპირობა, რომ სასტიკად მოკლული მამის ქონება, მკვლელისთვის ხელის დაფარების, მისი არგათქმის პირობებში, მიეღო ამ უკანსკნელს.

59. ამ გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსკ-ის 1310-ე მუხლის ნორმის დისპოზიცია, რომელიც ადგენს ულირს მემკვიდრედ ცნობის ნინაპირობებს იმავდროულად, იძლევა მისი ფართოდ განმარტების შესაძლებლობასაც, სახელდობრ, თუკი მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი ვრცელდებოდა უფრო მსუბუქ შემადგენლობაზე, მით უფრო, შესაბამისი შედეგი უნდა დადგეს იმ ვითარებაშიც, როდესაც სახეზეა უფრო მძიმე შემთხვევა, როგორიცაა განზრას მძიმე დანაშაულის ჩადენა – მშობლის მიმართ ჩადენილი განზრას მკვლელობის დაფარვა. ის, ვინც არ გაამართლებს მშობლის მოლოდინს კეთილსინდისიერ ქცევასთან დაკავშირებით, კარგავს მშობლისაგან ქონებრივი სიკეთით მიღების შესაძლებლობას.

60. მოცემულ საქმეზე, სააპელაციო სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია მშობელთან მიმართებით შვილის კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტი, რაც მამკვიდრებლის ქონების საკუთრებაში მიღებისა და ამ სიკეთით სარგებლობის უფლების ჩამორთმევის შედეგს განაპირობებდა.

61. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ჩუ-

ქების სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელ 529.1 მუხლზე, რომელიც მოიცავს გამჩუქებლის შესაძლებლობას, მის მიერ შეცილებულ იქნეს ხელშეკრულება და მისი შედეგები ისე-თი სპეციფიკური საფუძვლებით, როგორიცაა დასაჩუქრებულის მხრიდან დიდი უმაღურობის გამოჩენა ან მძიმე შეურაცხვოფის მიყენება. კეთილსინდისიერი ქცევის მოვალეობის დარღვევისას კი ადგენს სანქციებს, როგორიცაა სამემკვიდრეო სამართალში – მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა, ჩუქების სამართლებრივ ურთიერთობაში – ნაჩუქარის ქონების დაბრუნება.

62. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 1310-ე და 529.1 ნორმის ანალიგიის პრინციპით გავრცელებას მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოების (ამ განჩინების პ-58) მიმართ, იმგვარად, რომ განხორციელებულად იქნეს მიჩნეული სსკ-ის 1310-ე მუხლის წინაპირობები მოსარჩევის უღირს მემკვიდრედ ცნობის იურიდიული შედეგის დადგომისათვის. მით უფრო, სააპელაციო სასამართლოს იმ მოსაზრებზე დაყრდნობით, რომ თუკი სსკ-ის 1310-ე მუხლის სამართლებრივი შედეგი პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე ვრცელდება კანონით მოწესრიგებულ უფრო მსუბუქ შემადგენლობაზე, როგორიცაა მაგალითად, მამკვიდრებლის ნების თავისიუფლებაზე არაკეთილსინდისიერი ზეგავლენა და ანდერძში გამოხატული უკანასკნელი ნების დარღვევა დაისპოზიცია: „არც კანონით და არც ანდერძში მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრას ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრაზი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (უღირსი მემკვიდრე”], მითუმეტეს, უნდა გავრცელდეს კანონით მოწესრიგებელ, საქმის უფრო მძიმე შემადგენლობაზე, რომელიცა ასახულია ამ განჩინების პ-58-ში, რომელზეც კანონის კონკრეტული მიზანი უფრო დიდი მასშტაბით ვრცელდება.

63. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობებს აწესრიგებს სსკ-ის 1310-ე მუხლი. ნორმის პირველი ნაწილის დანაწესში საუბარია მემკვიდრის მიერ ჩადენილ სხვადასხვა მოქმედებებზე, რომლებმაც სამემკვიდრეო შეღავთები და უპირატესობები შექმნა თავისთვის. ასეთი

ქმედებებია, მამკვიდრებლისთვის უკანასკნელი ნების განხორციელებაში ხელისშეშლა, განზრახი დანაშაულის ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენა მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ. ყველა შემთხვევაში, ქმედების განმახორციელებელი სუბიექტის ქმედება უნდა იყოს განზრახ პრალეული, ხოლო თუ პირი გაუფრთხილებელი მოქმედებით აღნევს აღნიშნულ შედეგებს, მას არ შეიძლება ჩამორთვას მემკვიდრეობა და ულირს მემკვიდრედაც არ შეიძლება მისა აღიარება (შდრ: საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. რ. შენგელია, ე. შენგელია. 2015. 321). ნორმის მეორე ნახევარი კი, მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ განზრახი დანაშაულის ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენას ეხება. ასეთ შემთხვევაში, პირი შეიძლება უშუალოდ თავის სასარგებლოდ არ მოქმედებდეს, მაგრამ ხელს უშლიდეს მამკვიდრებელს თავისი უკანასკნელი სურვილის განხორციელებაში. საუბარია რომის სამართლის პრინციპზე *excepitio doli specialiis*, რომელიც ანგლო-მერიკულ სამართალში ეფუძნება unclean hands-ის შეცილებას (არასუფთა ხელები) (Sdr: Palandt/Heinrichs, BGB, 2003, 63. Auflage, §242 BGB, RdNr. 42-45). რაც შეეხება ნორმის წინაპირობების დადასტურების მტკიცების სტანდარტს, ამგვარ ქმედება დადასტურებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ. ქმედებების დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, პირს აეკრძალება ქონებრივი სარგებლის მიღება მამკვიდრებლისაგან (სამკვიდროს მიღება).

64. ყოველ შემთხვევაში, სსკ-ის 1310-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის ნების თავისუფლებაზე არაკეთილსინდისიერ ზეგავლენასა და ანდერძში გამოხატული უკანასკნელი ნების დარღვევას, მოქმედი პირის უღირს მემკვიდრედ ცნობამდე მივყავართ [აღიარებითი სარჩელის წარმატებულობა – სსკ-ის 180-ე და სსკ-ის 1310-ე მუხლები].

65. განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოები არ იძლევა იმის დასკვნის სამართლებრივ საფუძველს, რომ განხორციელებულად იქნეს მიჩნეული სსკ-ის 1310-ე მუხლის წინაპირობები. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნულ დასკვნას სააპელაციო სასამართლოც იზიარებს, თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ განხორციელებული არაკეთილსინდისიერი და გაუმართლებელი ქმედება (ამ განჩინების პ-58), უნდა დაედოს საფუძვლად სსკ-ის 1310-ე მუხლის ანალოგის წესით გამოყენებას შეეგბებული სარჩელის წარმატებულობისათვის სსკ-ის 529.1 მუხლთან ერთობლივ კავ-

შირში (ამ განჩინების პ-62). აღნიშნულს საკასაციო პალატა არ იზიარებს და მოიხმობს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლის მიხედვით სსკ-ის 1310-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის ნების თავისუფლებაზე არაკეთილ-სინდისიერ ზეგავლენასა და ანდერში გამოხატული უკანასკნელი ნების დარღვევას მოქმედი პირის უღირს მემკვიდრედ ცნობამდე მივყავართ. ასეთივე იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზეც, როდესაც მემკვიდრე სიცოცხლეს მოუსპობს მამკვიდრებელს. ვინაიდნ, მეორე შემთხვევაში (მამკვიდრებლის მკვლელობა), ბევრად უფრო მძიმეა სსკ-ის 1310-ე მუხლის შემადგენლობასთან შედარებით (შდრ: უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო ნილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (ჰაინ ბიოლინგი. ბრემენის მიწის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, 516). განსახილველ საქმეზე კი, დადგენილია, რომ მოსარჩელე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 21 თებერვლის განაჩენით სახელმწიფო ბრალმდებლის სააპელაციო საჩივარი მსჯავრდებულის/მოსარჩელის მიმართ, მკვლელობის წაეჭირების ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შესახებ არ დაკმაყოფილა (ამ განჩინების პ-3). აქედან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში არსებული სსკ-ის 1310-ე მუხლის უფრო მძიმე დანაშაულის მიმართ გავრცელების შესაძლებლობა (თუნდაც, თეორიული) სახეზე არ არის (შდრ: არგუმენტაცია მცირედან დიდზე: argumentum a minore ad maius; Sdr: Rüthers, Rechtstheorie, 1999, RdNr. 898 sowie Palandt/Heinrichs, BGB, 2003, Einleitung, RdNr. 43.).

66. სააპელაციო სასამართლოს ზემოთ მოყვანილი არგუმენტი კი, მოსარჩელის უღირს მემკვიდრედ ცნობის მიზნებისათვის სსკ-ის 1310-ე მუხლის ანალოგით გამოყენებასთან მიმართებით, იურიდიული თვალსაზრისით საკმარისად დამაჯერებელი არ არის და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ სამართლებრივ შედეგს არ ასაბუთებს. სააპელაციო პალატის ამ არგუმენტის დასაბუთება ვერც მოსამართლის, როგორც სამართალშემოქმედის როლის გაზრდის კვალობაზეა არგუმენტირებული. სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ პოზიტიური სამართლის გვერდიგვერდ ბუნებითი სამართლის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს ნებისმიერი ქცევა, რომელიც ლაბავს ან არღვევს ადამიანის თანდაყოლილ ბუნებით უფლებება-მოვალეობებს და მორალურად გაუმართლებელ „დანაშაულად“ ით-

ვლება (ამ განჩინების პ-24). სააპელაციო სასამართლოს მითითებულ მოსაზრებასთან მიმართებით ნიშანდობლივია აღნიშნოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატის მიერ განხორცილებული მითითებები, რომელიც კანონის მართალია ფართო ინტერპრეტაციის, თუმცა იმავდროულად, სამართლებრივი ერთგვაროვნების მიზანს ემსახურება: „საკანონმდებლო მოწესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები ერთის მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორეს მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნას სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტიულაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ. სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვირცობის პროცესში. სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს კანონის გავრცობის საჭიროების შემოწმებას. გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, ე.ი. ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში სამართლის სხვა ნორმებთან. სამართლის ნორმა ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ლოგიკურად თავსებადი იყოს უფრო მაღალი ან იგივე რაონგის ნორმათა კონტექსტში“ (რ. ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 10-ე გადა-

მუშავებული გამოცემა, GIZ 2009, 53) (იხ., სუსგ №ას-178-167-2017, 14 ივლისი, 2017 წელი).

67. საგულისხმოა, ბოლო წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული მიდგომა კანონის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის აუცილებლობასთან მიმართებით. საქმეში Tudor Tudor v. Romania (Application no. 21911/03, 24 მარტი, 2009 წელი), რომელშიც მომჩივანმა სახელმწიფოს საკუთრება, ხოლო მოგვიანებით, ამავე უძრავი ქონების (შენობა) ყოფილი მესაკუთრებულისტის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილი იქნა საკუთრების უფლებაში იმ შენობაზე, სადაც მომჩივანი ცხოვრობდა. რაიონული სასამართლოს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მესაკუთრებმ სარჩელი წარადგინა ამავე შენობაში მცხოვრებ პირთა და იმავდროულად, მომჩივანის წინააღმდეგ. ბუქარესტის სააპელაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მესაკუთრის ტიტული გადაწონიდა მომჩივანის სახელშეკრულებო შენაძენს და მომჩივანს დაევალა უძრავი ქონების მესაკუთრისთვის გადაცემა, მაშინ როდესაც სააპელაციო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებაში უპირატესობა მიანიჭა შემძენის „კეთილსინდისიერებას“ მესაკუთრესთან მიმართებით. ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ეროვნული კანონმდებლობის განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევა. მითითებული გადაწყვეტილებიდან საგულისხმო განსაზღვრულ საქმეზე სწორედ ის არის, რომ მასში ხაზი გაესვა პრეცედენტული სამართლის (case law) კონფლიქტს კანონის ნორმის განსაზღვრულობის (ინტერპრეტაცია) საკითხში (§ – 27) და ერთგვაროვანი პრაქტიკის შექმნის გზით მისი დაძლევის საჭიროებას, მანამ სანამ აღნიშნული კანონის დონეზე მოწესრიგდებოდა. კანონის ნორმის ასეთივე განსხვავებული ინტერპრეტაციის პრობლემა დადგა სხვა საქმეშიც ALBU AND OTHERS v. ROMANIA (Applications no. 34796/09), 10 მაისი, 2012 წელი) შშ: 34 (III, IV), რომელშიც აღნიშნა, რომ სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები უნდა დაეფუძნოს სამართლის განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც იმპლიმენტირებულია კონვენციის ყოველ მუხლში და ადგენს კანონისმიერი წესრიგის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს (მსგავს საკითხებზე აგრეთვე იხ., Iordan Iordanov and Others, §-47; stefanica and Others, §-31). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ სხვა საქმეში აღნიშნა, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებმა უნდა შექმნან მექანიზმი, რომე-

ლიც ხელს შეუწყობს სამართლებრივ განსაზღვრულობას (Nejdet ^a ahin and Perihan ^a ahin v. Turkey [GC] (Application no. 13279/05), 21 ოქტომბერი, 2011 წელი, ფს59-96) და ხელს შეუწყობს ერთგვა-როვანი პრაქტიკის დადგენას კონვენციის მე-6 მუხლის მიზნე-ბისათვის (სამართლიანი სასამართლოს უფლება). საქმეში ALBU AND OTHERS v. ROMANIA (Applications no. 34796/09), 10 მაისი, 2012 წელი) § – 34 (V) სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინ-ციპი, დასახელდა სამართლებრივი სტაბილურობის ინტერ ალია, გარანტად, რომელიც იმავდროულად, უზრუნველყოფს საზო-გადოების ნდობას სასამართლოების მიმართ. სასამართლო გა-დაწყვეტილებათა კონფლიქტი არაერთგვაროვნების კონტექ-სტში კი, პირიქით საზოგადოების ნდობის ხარისხს ამცირებს სასამართლოს მიმართ, მაშინ როდესაც ამგვარი ნდობა წარმოს-დგება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელო-ვანეს კომპონენტად.

68. მოცემულ შემთხვევაში კი, სსკ-ის 1310-ე მუხლის ნორმა-ტიული განმარტება, თუნდაც, მოსამართლის უფრო თავისუფა-ლი სამართლშემოქმედების ფონზე, ვერ დაასაბუთებს მის იმ-გვარად ინტერპრეტირების გამართლებას და შესაბამისად, მო-ცემულ საქმეზე დადგნენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ მისი დიპოზიციის გავრცელებას, როდესაც მოსარჩელის მხრი-დან მკვლელობის წაქეზების ნანილში, პროკურორის ბრალდება უარყოფილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (იხ., ამ გან-ჩინების პ-3). კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადასტურე-ბულია მხოლოდ მოსარჩელის მიერ ჩადენილი ქურდობა, ესე იგი, სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღ-მდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გა-მოიწვია. მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოხატა შემდეგში: ფა-რულად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა მამ-კვიდრებლის მეუღლის კუთვნილი ოქროს ნივთები, რითაც და-ზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი. ამავე განაჩენით დადასტურებულია მოსარჩელის მიერ ჩადენილი დანაშაულის და-ფარვა, კერძოდ, 2013 წლის 06 იანვარს ბრალდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული – განზრას მოკლა მამკვიდ-რებელი. აღნიშნული გარემოება მკვლელობის ჩადენისთანავე ცნობილი გახდა მოსარჩელისათვის. იგი ვალდებული იყო რა, რომ ბრალდებულის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადე-ნის თაობაზე ეცნობებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის და ამის საშუალებაც ჰქონდა, დაფარა ბრალდებულის მიერ ჩა-დენილი განზრას მკვლელობა და არ აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს. მომხდარის შესახებ მან პოლიციას განუცხადა მას

შემდეგ, რაც ისინი მივიღნენ მის ბინაში (ამ განჩინების პ-2). დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კი, თუნდაც მისი გასაკიცხაობის არსებობის პირობებში, არ ამართლებს მის მიჩნევას სსკ-ის 1310-ე მუხლის გამოყენების წინაპირობებად. მით უმეტეს, სსკ-ის 1310-ე მუხლის მიხედვით სარჩელის აღძვრა ულირს მემკვიდრედ ცნობასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში (შდრ: ულირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. ჰაინ ბიოლინგი. ბრემენის მიწის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე. ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, 522). ამ მოსაზრების, გასამყარებლად, არც სსკ-ის 529.1 მუხლით ხელმძღვანელობაა გამართლებული, ვინაიდან ეს უკანასკნელი ნორმა საერთოდ სხვა სამართლებრივ რეგულაციას შეეხება, მოქცეულია ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობების ნაწილში [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილი, სახელშეკრულებო სამართალი. 529-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია: ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მიმიგ შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმაღლურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ], წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობის მარეგულირებელ დანაწესს, ხოლო სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგით [სსკ-ის 5.3 მუხლი].

69. საკასაციო საჩივრით აგრეთვე, სადაცოა სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადის გაგრძელებისა და მამკვიდრებლის დანაშთი სამკვიდრო ქონების ნაწილზე ანდერძისმიერ მემკვიდრედ და მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (სასარჩელო მოთხოვნის უარყოფა და შეგებებული სარჩელის წარმატებულობა, იხ., ამ განჩინების პპ: 9-13, 14 15, 16), რომელ ნაწილშიც კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედაგება) წარმოდგენილი არ აქვს, სახელდობრ, კასატორი ვერ ადასტურებს სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადის არასაპატიოდ გაშვებასა და ამ ვადის გაგრძელების მართლზომიერი საფუძვლის არსებობას სსკ-ის 1423-ე, 1424-ე და 1426-ე მუხლების კონტექსტში (მეორე საკასაციო პრეტენზია).

70. საკასაციო პრეტენზის მეორე ნაწილში, საკასაციო პალატა მიუთითებს სსკ-ის 1424-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. აღნიშნული ნორმა ადგენს დროს,

რომლის განმავლობაშიც მემკვიდრემ უნდა გამოთქვას სამკვიდროს მიღების სურვილი. სამკვიდროს მისაღებად საჭირო მოქმედებები (სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა და მართვა, განცხადების შეტანა სანოტარო ორგანოში) შესრულებული უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში. დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში მემკვიდრე, როგორც წესი, კარგას სამკვიდროს მიღების უფლებას. მხოლოდ საპატიო მიზეზების არსებობისას სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს სამკვიდროს მიღების ვადა. კერძოდ, სსკ-ის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე.

71. ვინაიდან მოცემულ საქმეზე არ არსებობდა სსკ-ის 1426-ე მუხლის მეორე ნაწილის ბოლო წინადაღების („გადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე“) გამოყენების საფუძველი, რაც მოსარჩელეს მისცემდა საშუალებას, არ მიემართათ სასამართლოსათვის და ისე მიეღოთ სამკვიდრო, სარჩელის საფუძვლად მიეთითა სსკ-ის 1426-ე მუხლის ის დანაწესი, რომელიც ვადის გაშვების საპატიოობის დადგენის შემთხვევაში, მისცემდა მემკვიდრეს სამკვიდროს მიღების შესაძლებლობას.

72. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ უტყუარად დაადგენს ვადის გაშვების საპატიოობას. გაშვებული ვადის საპატიოდ ან არასაპატიოდ მიჩნევა სასამართლოს შეხედულებით წყდება და იგი უნდა ემყარებოდეს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც სარწმუნოს ხდიან, რომ მემკვიდრეს, ობიექტური მიზეზების გამო, არ შეეძლო ფაქტობრივად დაუფლებოდა სამკვიდრო ქონებას ან მიემართა სანოტარო ორგანოსთვის [სსკ-ის 105-ე და 102-ე მუხლები]. ამ უკანასკნელის განსაზღვრის კრიტერიუმები ყოველი შემთხვევის თავისებურებითა და საქმის კონკრეტული გარემოებებს გათვალისწინებით უნდა დადგინდეს.

73. ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც სასამართლომ საპატიოდ მიიჩნია მოსარჩელეთა მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვება, კერძოდ, მეორე მოსარჩელის შემთხვევაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის – სიბრმავის გათვალისწინებით,

ხოლო პირველი მოსარჩელის შემთხვევაში, 20.. წლიდან დავის დაწყებამდე მისი საქართველოში არყოფნის მხედველობაში მიღებით, სადაც გახდა მოსარჩელეთა მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობა იმ თვალსაზრისით, თუ რატომ არ გამოიყენეს მათ თავიანთი უფლება წარმომადგენლის მეშვეობით მიეღოთ სამკვიდრო კანონით დადგენილ ვადაში [სსკ-ის 1423-ე მუხლი]. ამ ვითარებაში, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ: „საპატიოობას ორი მნიშვნელოვანი საფუძველი შეიძლება გააჩნდეს: ა) თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება ცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე და ბ) თუ მემკვიდრემ ვადა გაუშვა ისეთი გარემოების გამო, რომელიც მას ობიექტურად არ აძლევდა საშუალებას, მიეღო სამკვიდრო დადგენილ ვადაში და მხოლოდ ამ დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრის შემდეგ შეძლო მან სასამართლოსათვის მიმართვა (იხ., სუსგ №ას-655-621-2015, 15 დეკემბერი, 2015 წელი).

74. საყურადღებოა, საკასაციო პალატის სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით „...სსკ-ი კანონი უშვებს სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენას სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების მიზეზი საპატიოდ იქნება ცნობილი. საპატიოობის კრიტერიუმი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასების საგანია და შასთან დაკავშირებული დასკვნა უნდა იყოს მოტივირებული თითოეული მემკვიდრის მართლზომიერი ინტერესის დაცვის აუცილებლობით, ვადის გაშვების სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამოკვლევითა და იმგვარი მოსაზრებით, რომ ვადის გაშვება განპირობებულია არა სამკვიდროს მიღების ნების არარსებობით, არამედ ასეთი ნების სათანადო წესით გამოხატვის შეუძლებლობით“ (იხ., №ას-480-454-2012, 30 აპრილი 2012 წელი).

75. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილადა მიჩნეული და კასატორს სადაც არ გაუხდია ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2013 წლის 06 იანვარს, მოსარჩელე პატიმრობაში იმყოფებულდა 2013 წლის 09 იანვრიდან 2014 წლის 30 იანვრამდე. დადგენილია, რომ მოსარჩელემ სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ განცხადებით ხოტარიუსს მიმართა 2014 წლის 10 აპრილს {სსსკ-ის 407.2 მუხლი}.

76. დადგენილია ისიც, რომ მოსარჩელემ პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ადვოკატის მეშვეობით, 2013 წლის 28 იანვარს, ანუ დაპატიმრებიდან 20 დღეში, განაახლა ამონანერი საჯარო რეესტრიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე და №5 ქალთა პატიმრობის, სანახევროდ ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დანესხებულება-

ში სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობის საფუძველზე გაასხვისა მისი კუთვნილი უძრავი ნივთი.

77. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 1423-ე მუხლი ითვალისწინებს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებას როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მემვეობით. სსსკ-ის 96.1 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქის მიერ გაცემული მინდობილობა უნდა დამონმდევს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მარწმუნებელი მუშაობს ან სწავლობს, იმ სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება, შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ, თუ მინდობილობა სამხედრო მოსამასახურემ გასცა. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ გაცემულ მინდობილობას ამონმებს ამ დაწესებულების დირექტორი.

78. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მოხმობილ ნორმათა იურიდიული კონსტრუქციები საკასაციო პალატას აძლევს იმის შეფასების საფუძველს, რომ პატიმრობის მიუხედავად, მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა წარმომადგენლის მეშვეობით მიერთა განცხადებით ნოტარიუსისათვის [სსკ-ის 1423-ე მუხლი].

79. ნიშანდობლივია ისიც, რომ პატიმრობის შესახებ კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის მიმოწერა აკრძალულია. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე შემოსული წერილის მისთვის ჩაბარებას, აგრეთვე, ბრალდებულის/მსჯავრდებულის წერილის ადრესატისთვის გაგზავნას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულება. პირადი ხასიათის კორესპონდენცია ადრე-სატს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხარჯით ეგზავნება.

80. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმასთან მიმართებით, რომ მოსარჩელეს ჰქონდა ორი შესაძლებლობა მემკვიდრეობის მისაღებად, კერძოდ, ადვოკატის/წარმომადგენლის დახმარებით, რომლის მომსახურებითაც ის სარგებლობდა პატიმრობის განმავლობაში და ასევე, უშუალოდ, პენიტენციალური დაწესებულების დახმარებით, ნოტარიუსისათვის განცხა-

დების გაგზავნის გზით.

81. არცერთი შესაძლებლობა მოსარჩელის მიერ არ ყოფილა გამოყენებული.

82. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია პენიტენციალურ დაწესებულებაში ყოფნის გამო, სამკვიდროს მიღების გადის საპატიოდ მიჩნევის თაობაზე, დაუსაბუთებელია და ამ თვალსაზრისით, დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია ნარმოდგენილი არ არის.

83. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა (მოსარჩელემ) განსახილველ შემთხვევაში, ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ მის მიერ გაშვებული სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადის აღდგენის შესაძლებლობები არსებობდა, ამიტომაც ამ ნაწილში, საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებულია.

84. მიუხედავად იმისა, რომ კასატორის პრეტენზია სრულიად გაზიარებულია შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების უსაფუძვლობის ნაწილში, აღნიშნული შედეგობრივი თვალსაზრისით, გავლენას ვერ მოახდენს დავის გადაწყვეტის არსებით, იურიდიულ შედეგზე. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. აღნიშნული კი, სსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების და საკასაციო საჩივრის (შესაბამისად, სარჩელის) დაკმაყოფილებაზე ურის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

85. საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:

1. თ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს გახსნა პოლიტი

სამკვიდროს მიღება

განჩინება საქართველოს სახალი

№ას-530-506-2016

23 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ძირითად სარჩელში – ხელშეწლის აღკვეთა,
შეგებებულ სარჩელში – თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნა და
სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ა. ნ-ებ (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ
სარჩელზე ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ნ-ის (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის გამოსახლება ზესტაფონის რაიონის სოფელ ქ-აში მდებარე მოსარჩელის კუთვნილი სახლიდან (უძრავი ქონების ს/კ №...).

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: მოსარჩელე დაიძადა და ჩანაცემილია ზესტაფონის რაიონის სოფელ ქ-აში მდებარე ბებიის – ნ. ნ-ის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში. მისი მშობლები დაქორწინდნენ 1960 წელს და მუდმივად ცხოვრობდნენ ქ. ზესტაფონში, ბ-ის ქუჩა №...-ში. მოსარჩელის დაბადებიდან რამდენიმე წელიწადში მისი მშობლები განქორწინდნენ და მამამ იგი წაიყვანა ზესტაფონის რაიონის სოფელ ქ-აში, ბებიის სახლში და იქ გაიზარდა ბებიის მზრუნველობის ქვეშ, ხოლო მისი და-ძმა კი, დედასთან ცხოვრობდნენ. მას დედასა და და-ძმასთან ერთად, ერთ ოჯახად არასოდეს უცხოვრია. სკოლის დამთავრების შემდგომ სწავლა განაგრძო ქ. მოსკოვში, დაამთავრა ინსტიტუტი და რუსეთის ფედერაციაში დარჩა სამუშაოდ. მამისა და ბებიის გარდაცვალების შემდგომ, ზესტაფონის რაიონის სოფელ ქ-აში მდებარე საცხოვრებელი სახლი ჩააბარა დედას, რისთვისაც სოლიდურ თანხებს უგზავნიდა რუსე-

თიდან. საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზემოხსენებულ სახლში დახვდა დედა, რომელმაც მისი დაძმის გამო გაყიდა საკუთარი ბინა, ამავე სახლში ცხოვრობდა მოპასუხე, რომელსაც ცუდი დამოკიდებულება ჰქინდა მოსარჩელესთან და არ აძლევს საკუთარ სახლში ცხოვრების საშუალებას. მოპასუხეს არ გააჩინა რაიმე უფლება, იცხოვროს სადაც სახლში.

1.2. სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა მოპასუხემ ძირითადი მოსარჩელისა და მესამე პირის – საჯარო რეგსტრის ეროვნული სააგენტოს ზესტატონის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, სადაც უძრავი ქონების 1/2 ნაწილში ძირითადი მოსარჩელის საკუთრების უფლების გაუქმების, ქონების 1/2-ის მესაკუთრედ შეგებებული მოსარჩელის აღიარებისა და შესაბამისი ცვილებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნით.

1.2.1. შეგებებული სარჩელი დამყარებულია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: სადაც უძრავი ქონება კომლის ქონებას წარმოადგენდა, სადაც ჩანერილი იყო ბებია და მხარეთა მამა. ბების კომლი განეკუთვნებოდა მეორე კატეგორიის კომლს. კომლი გაუქმდა 1993 წლიდან და, შესაბამისად, მისი ქონება გადაიქცა კომლის წევრთა საერთო საკუთრებად, ანუ ბებისა და მამის საკუთრებად. ბებია გარდაიცვალა 1998 წელს, ხოლო მხარეთა მამა – 1999 წელს. ამდენად, მამის ქონებაზე უნდა გახსნილიყო სამკვიდრო და შეგებებულ მოსარჩელესაც, როგორც მამის მემკვიდრეს, უნდა მიელო საკუთარი წილი. მოპასუხემ შეგებებულ სარჩელზე უკანონოდ დაირეგისტრირა საკუთრებად მამის მთლიანი ქონება, რის გამოც მისი საკუთრების უფლება უნდა გაუქმდეს სადაც ქონების 1/2 ნაწილზე.

2. მოპასუხების პოზიცია:

2.1. მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხემ (ძირითად სარჩელზე) სასარჩელო მოთხოვნა არ ცნო იმ დასაბუთებით, რომ სადაც სახლი კომლის ქონებას წარმოადგენდა და ძირითად მოსარჩელეს კომლის ქონებაზე არავითარი უფლება არ აქვს. მას მონანილეობა არ მიუღია კომლის საერთო საქმიანობაში, ანუ სკოლის დამთავრების შემდგომ ნავიდა რუსეთის ფედერაციაში, ხოლო მოპასუხე ყოველთვის ცხოვრობდა სადაც სახლში, უვლიდა და პატრონობდა მას. ის ასევე უვლის მოხუც დედასაც, ხოლო ავადმყოფ მამასა და ბებიას მან, დედამისმა და მისმა დამ მოუარეს, გარდაცვალების შემდეგ კი, დაკრძალეს.

2.2. შეგებებული სარჩელი არ ცნო ძირითადმა მოსარჩელემაც, რომელმაც ასევე მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით

მიმართა სასამართლოს და განმარტა, რომ ბებიის კომლში ბებიასა და მამასთან ერთად ჩაწერილი იყო თავადაც, ხოლო შეგებებულ მოსარჩელეს არავითარი შეხება არ ჰქონია კომლის ქონებასთან, იგი დასთან და დედასთან ერთად ცხოვრობდა ქ. ზესტაფონში, ბ-ის ქუჩაზე მდებარე დედის კუთვნილ ბინაში. ამდენად, კომლის ბოლო წევრი შეგებებული სარჩელის მოპასუხეა, კომლის ქონებაზე სამკვიდრო არ გახსნილა და სადაც ქონებაც მხოლოდ მის საკუთრებას წარმოადგენს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა ძირითადი მოსარჩელის საკუთრების უფლება ზესტაფონის რაიონის სოფელ ქ-აში მდებარე (ს/კ №....) უძრავი ქონების 1/3 ნაწილზე და საჯარო რეესტრის ჩანაწერში შევიდა შესაბამისი ცვლილება, შეგებებული მოსარჩელე ცნობილ იქნა სადაც უძრავი ქონების (ს/კ №....) 1/3-ის მესაკუთრედ და მისი საკუთრების უფლება აღირიცხა საჯარო რეესტრში, ამავე გადაწყვეტილებით მხარეთა შორის განაწილდა საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები.

4. აპელანციის მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ძირითადმა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება, სადაც ქონების კასატორისათვის დაბრუნება და ხელშეშლის აღკვეთა (იხ. საკასაციო საჩივარი).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი, ამავე კოდექსის 3911-ე მუხლთან მი-

მართებაში შეამოწმა კასატორის შუამდგომლობა, საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის თაობაზე და მიიჩნევს, რომ აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საკასაციო საჩივარი დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემაზე უარის თქმის დასაბუთება:

1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3911-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ: а) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას). დასახელებული ნორმით განსაზღვრულია იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, როდესაც საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია მის წარმოებაში არსებული საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას.

1.2. მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობა დასაბუთებულია იმით, რომ კასატორი არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოების შეფასებებს დავის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების თაობაზე, რის შესახებაც მან ორჯერ მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. იმისათვის, რათა საკასაციო სასამართლო მისი საჩივარი ზერელედ არ განიხილოს, მხარე მოითხოვს საქმის საკასაციო სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემას.

1.3. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს განცხადების არგუმენტაციას უსაფუძვლობის გამო და დამატებით აღნიშნავს, რომ განსახილველი საქმის ფარგლებში შეფასების საგანს წარმოადგენს ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან იმ ფაქტის დადგენის სისწორე, სადაც ქონება წარმოადგენდა თუ არა მხარეთა ან გარდაცვლილი მამისა და ბების სამკვიდრო მასას; კასატორის მოწინააღმდეგე მხარემ ფაქტობრივად მიიღო თუ არა სამკვიდრო ქონებიდან წილი თუ სადაც უძრავი ნივთი, როგორც კომლის უკანასკნელ წევრს, მთლიანად ეკუთვნის კასატორს; შეეგძებული მოსარჩევე წარმოადგენს თუ არა ქონების უკანონო მფლობელს.

1.4. საკასაციო პალატა, შესაფასებელი საკითხების გათვა-

ლისწინებით, მიიჩნევს, რომ არ არსებობს ზემოხსენებულ ნორ-მაში ჩამოთვლილი დავის საქართველოს უზენაესი სასამარ-თლოს დიდი პალატისათვის გადაცემის არც ერთი წინაპირობა, რაც შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძ-ველია.

2. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-ხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სა-სამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არ-სებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქ-მე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რო-მელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-დეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშ-ნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც სა-კასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. საკასა-ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო სა-ჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითე-ბული საფუძვლით.

2.2. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ძირითადად იმ დასკვნებს ეფუძნება, რომ:

2.2.1. მხარეები არიან ძმები, თ. ნ-ის შვილები და ნ. ნ-ის შვი-ლიშვილები;

2.2.2. მინის რეფორმამდე (მათ შორის 1992-1993 წლებში) ზესტაფონის რაიონის სოფელ ქ-აში ძებიის კომლს ერიცხებო-და საკარმიდამო ეზო და სავენახე ნაკვეთი ჯამში 1550 კვ.მ, ხოლო რეფორმის შემდგომ – 1995 წელს, მინის ნაკვეთის მიღე-ბა-ჩაბარების №... აქტით გადაეცა ჯამში 4350 კვ.მ ნაკვეთი;

2.2.3. 1992 წლიდან მხარეთა ბებიის კომლში რეგისტრირე-ბული იყვნენ ნ. ნ-ე (კომლის უფროსი), მისი შვილი – თ. ნ-ე (შემ-დგომში – მამკვიდრებელი) და შვილიშვილი – ა. თ.ის ძე ნ-ე;

2.2.4. მონტეების: ნ. ხ-ისა და ნ. ნ-ის ჩვენებებით დგინდება, რომ შეგებებული მოსარჩევე 1998 წლამდე ცხოვრობდა ქალაქ ზესტაფონში, ხოლო 1998 წელს, დედასა და დასთან ერთად საც-ხოვრებლად გადავიდა ბებიასა და მამასთან სოფელ ქ-აში, სა-

დაც ცხოვრობს დღემდე;

2.2.5. მხარეთა ბებია გარდაიცვალა 1998 წლის 29 ნოემბერს და ქ-აში მდებარე უძრავი ქონების მის კუთვნილ 1/3 წილს ფაქტობრივი ფლობით დაუუფლა მასთან თანამცხოვრები, მისი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილი (მხარეთა მამა), რომელიც 1999 წლის 4 მარტს გარდაიცვალა და დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე – შვილები: ა., დ. და ნ. ნ-ები;

2.2.6. ყოფილი კომლის სადავო ქონებიდან მამკვიდრებლის კუთვნილ 2/3 წილს, მისი გარდაცვალების შემდგომ ფაქტობრივი ფლობით დაეუფლნენ მისი შვილები: მოსარჩელე და შეგებებული სარჩელის ავტორი;

2.2.7. 2006 წლის 26 ივნისს, სადავო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში, მხოლოდ ა. ნ-ის საკუთრებაში აღირიცხა;

2.2.8. შეგებებული მოსარჩელის თავდაპირველ მოთხოვნას სადავო უძრავ ქონებაზე კასატორის საკუთრების უფლების მთლიანად გაუქმება, საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერის გაუქმება და კომლიდან მისი ამორიცხვა წარმოადგენდა. მოთხოვნის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლად შეგებებული მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ, სამკიდროს დაუფლებით იგი გახდა ქონების მესაკუთრე და სადავო ქონებაზე, საჯარო რეესტრში მოპასუხის (შეგებებულ სარჩელზე) საკუთრების უფლების რეგისტრაციით, ირლვეოდა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების უფლება. პირველი ინსტანციის სასამართლოს ე.წ „სარჩელის დაზუსტების“ შესახებ განცხადებით მიმართა შეგებებულმა მოსარჩელემ და მოითხოვა: ა) საჯარო რეესტრში, სადავო უძრავ ქონებაზე კასატორის საკუთრების უფლების ბათილად ცნობა, ამ ქონების ½ ნანილზე ფაქტობრივი ფლობით სამკიდროს მიღებულად ცნობა და მესაკუთრედ აღიარება.

2.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარე-

მოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და და-საბუთებული პრეტენზია (შედავება).

2.4. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის შედავებას იმის თაობაზე, რომ:

2.4.1. ბებიის კომლში შედიოდნენ თავად ბებია, მხარეთა მა-მა და კასატორი, რომელიც კომლის უკანასკელი წევრია, მო-ნინააღმდეგე მხარეს არავითარი უფლება ამ ქონებაზე არ გააჩ-ნდა და, ფინანსური პრობლემების გამო, (მონინააღმდეგე მხა-რემ გაყიდა საკუთარი სახლი) უსახლკაროდ დარჩენილი ძმა ხა-გრძლივ სტუმრად შეითარა კასატორმა, რომელიც აიძულა მო-ნინააღმდეგე მხარემ, დაეტოვებინა საცხოვრებელი სახლი. სარ-ჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შეგებებული სარჩელის მოთ-ხოვნა კასატორისაგან მაღულად იქნა შეცვლილი და სასამარ-თლომ ტენდენციურად დაკუმაყოფილა იგი;

2.4.2. სააპელაციო სასამართლომ საკუთარი მსჯელობა და-ამყარა მოწმეთა ჩვენებებს, რომელთაგან ერთი არის მხარეთა დედა და შეგებებული სარჩელის თანავტორი, ხოლო, მეორე – მხარეთა და;

2.4.3. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა მო-ნინააღმდეგე მხარის მიერ მამის სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, ამ თვალსაზრისით სასამართლო არასწორად დაეყრდნო მიკერძოებული მოწმის – მხარეთა დედის ჩვენებას, არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგე-ნილი მოწინააღმდეგე მხარის პირადობის მოწმობა, სადაც რე-გისტრაციის ადგილად მითითებულია სხვა მისამართი, ასევე, სასამართლომ მოიშველია საკრებულოს ცნობა, სადაც სადავო გარემოებასთან მიმართებით არაფერია ნახსენები;

2.4.4. სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა, რომ მო-ნინააღმდეგე მხარემ კასატორის მიერ ქონებაზე საკუთრების უფლების მიღების ფაქტი 2006 წლის 26 ივნისს შეიტყო და ამ დროიდან გასული არ არის ხანდაზმულობის საერთო – 10-წლი-ანი ვადა, რადგანაც მამის გარდაცვალების ფაქტის თაობაზე მოწინააღმდეგე მხარის ინფორმირება ამავდროულად კასატო-რის მიერ ქონებაზე საკუთრების მიღების ფაქტის შესახებ მის ინფორმირებაზე მიუთითებს, შესაბამისად, ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა ამოინურა 2009 წელს. მოწინააღმდეგე მხარეს არა-სოდეს უცხოვრია სადავო სახლში, არ დაუფლებია მოძრავ ნივ-თებს, არ გადაუხდია კომუნალური გადასახადები, რადგანაც იგი ცხოვრობდა და იზრდებოდა დედასთან, სადაც იყო რეგის-ტრიორებული;

2.4.5. სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის მოქმედება კასატორის მიმართ იმ შემთხვევაში გავრცელდებოდა, თუ მასზე რეგისტრირებული სადავო ქონება საჯარო რეესტრში კომლის ქონებად აღირიცხებოდა. ამ შემთხვევაში, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემობა, რომ ქონების კასატორის საკუთრებად რეგისტრაციამდე – 2006 წლამდე, ეს ქონება წარმოადგენდა კომლის ქონებას, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობებით და ირკვევა, რომ კასატორი იყო კომლის ერთადერთი წევრი და უფროსი, შესაბამისად, მამის გარდაცვალებით ქონებაზე სამკვიდრო არ გახსნილა, ვიდრე კომლის უკანასკნელი წევრი ცოცხალია (იხ. საკასაციო საჩივარი, ასევე, კასატორის №... და №... განცხადებები).

2.5. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას მოწინააღმდეგე მხარის მიერ ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის არასწორად დადგენის თაობაზე და მოიშველიებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებას, რომელიც სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის მტკიცებას შეეხება. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას, სასამართლო ვალდებულია, ისევე, როგორც სხვა სახის მტკიცებულება, მოწმის ჩვენება შეაფასოს მისი შინაარსისა და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით, იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულება, ფიზიკური მდგომარეობა, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოწმის ჩვენებაზე და სხვა) გათვალისწინებით, რომელიც ამ მტკიცებულებისთვისაა დამახასიათებელი და სწორედ ამ გზით მიიღოს გადაწყვეტილება სადაც ფაქტობრივი გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი კატეგორიის დავებისთვის დამახასიათებელი იურიდიული მიიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისთვის (მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება) შესაძლოა უფრო დამაჯერებელი იყოს სწორედ ნათესავის მიერ მიცემული ჩვენება, ვიდრე მეზობლის მიერ მიცემული ჩვენება, ვინაიდან საქმე ეხება ოჯახის წევრებს შორის არსებულ ურთიერთობას, რომელიც როგორც წესი, ნათესავისთვის უფრო კარგადაა (ცნობილი, ვიდრე მეზობლის თვის“ (იხ. სუსგ №ას-1698-1592-2012, 2 ივნისი, 2014 წელი). გარდა აღნიშნულისა, ამ გარემოების გაქარწყლებას კასატორი ცდილობს მოწინააღმდეგე მხარის პირადობის მოწმობაში რეგისტრაციის ადგილზე მითითებით, რასაც არ იზიარებს საკასაციო პალატა და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხ-

ლის პირველი ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს, ფიზიკურ პირს ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ამდენად, ამ თვალ-საზრისით სააპელაციო პალატის მსჯელობა საპროცესო კოდექ-სის 105-ე მუხლის სწორ გამოყენებას ემყარება, ხოლო, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილი ფაქტის გა-მაგარწყლებელ საპირნონე მტკიცებულებებზე ძირითად მო-სარჩელეს არ მიუთითებია.

2.6. დასაბუთებული შედავების არასებობის პირობებში სა-კასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დას-კვნას იმის თაობაზე, რომ 1993 წლიდან სადავო უძრავი ქონება გახდა ნ. 6-ის, თ. 6-ისა და ა. 6-ის თანასაკუთრებად თანაბარი წილით, რადგანაც ეს ქონება აღარ წარმოადგენდა კომლის ქო-ნებას, არამედ, თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნოდათ ყო-ფილი კომლის წევრებს, ამ შემთხვევაში, სასამართლომ სწო-რად განმარტა „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მე-ურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურ-ნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილება, ასევე, სამოქა-ლაქო კოდექსის 1323-ე მუხლის დებულებები (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. სასამართლო პრაქტიკა, სუსგ: №3კ-299, 26 იანვარი, 2000 წელი; №ას-241-566-09, 12 ნოემბერი, 2009 წელი; №ას-1778-1756-2011, 29 ივნისი, 2012 წელი; №ას-724-782-2011, 10 სექტემბერი, 2012 წელი).

2.7. რაც შეეხება ხანდაზმულობის საკითხს, პალატა არც ამ პრეტენზიას იზიარებს და განმარტავს, რომ იმ პირობებში, რო-დესაც დადგენილია მონინააღმდეგე მხარის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი (სკ-ის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობა), რაც საკუთრების კონსტიტუციით გა-რანტირებული უფლების გადაცემაზე მიუთითებს, არ შეიძლე-ბა მიღებული საკუთრების უფლების ხანდაზმულობაზე, მათ შო-რის სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათ-ვალისწინებულ 10-წლიან ვადაზე იყოს უფლების დაცვა დამო-კიდებული, რადგანაც სამკვიდროს მიღების ფაქტის არსებო-ბის შემთხვევაში, მემკვიდრეს აქვს უფლება, დაიცვას მიღე-ბული სამკვიდრო სხვა დანარჩენი მემკვიდრეებისაგან, მათ შო-რის იმ მემკვიდრეებისაგან, რომლებმაც განახორციელეს სა-კუთრების უფლების რეგისტრაცია. ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი უფლება და არა აბსოლუტური უფლება, შე-საბამისად, აბსოლუტურ უფლებაზე ხანდაზმულობა არ ვრცელ-დება (იხ. სუსგ №ას-146-140-2012, 12 ივლისი, 2012 წელი).

2.8. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის

განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

2.9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუმჯგას საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

3. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 11.07.2016 წ. №... საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 3911, 401-ე მუხლებით და

დადგინდება:

1. ა. 6-ის შუამდგომლობა საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

2. ა. 6-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

3. კასატორ ა. 6-ეს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს მის მიერ 11.07.2016 წ. №... საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

**პირადი ხასიათის უფლება-მოვალეობათა
მამკვიდრეობით გადაცემის დაუშვებლობა
სახელმწიფოს უარის დაუშვებლობა სამკვიდროს
მიღებაზე**

**განხილვა
საქართველოს სახელით**

№ას-650-616-2015

26 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსრუტე ჯავახეთის სამხარეო ტერიტორიული ორგანოს 24.08.07. მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი №218 ოქმით ვ. ც-ს (შემდეგში: მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი, უძრავი ქონების მესაკუთრე, გამყიდველი, მეორე აპელანტი, ან გარდაცვლილი მამკვიდრებელი) საკუთრებაში გადაეცა ნინოწმინდის რაიონში, აბულ-სამსარის მასივზე მდებარე 7500 ჰა მიწის ნაკვეთი, რაც საჯარო რეესტრში მის საკუთრებად აღირიცხა 13.09.2007წ. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში: სსკ, 183-ე, 311-ე, 312-ე მუხლები; იხ. მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმი №218, 24.08.2007წ. და საჯარო რეეტრის ამონაზე).

2. ზემოხსენებული უძრავი ქონების მესაკუთრესა და ი. ჯ-ეს (შემდეგში: მოსარჩელე, შეგებებული სარჩელის მოპასუხე, მყიდველი, პირველი აპელანტი) შორის 2010 წლის 28 ოქტომბერს გაფორმდა განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, უძრავი ქონების მესაკუთრემ მყიდველს განვადებით მიჰყიდა ნინოწმინდის რაიონში, აბულ-სამსარის მასივში მდებარე 7 500 666 კვმ მიწის ნაკვეთი, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული სახელმწიფოს მიერ (სსკ-ის 505-ე-507-ე, 289.1-ე მუხლები).

3. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის მიხედვით, ნასყიდობის საგანი გაიყიდა 135 000 (ას ოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარად, რაც ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების დღისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად, შეადგენდა 240 435 (ორას ორმოცი ათას ოცდათხუთმეტი) ლარს და მყიდველს უნდა გადაეხადა შემდეგი გრაფიკით: ხელშეკრულების დამონიტიზაციის დღისათვის – 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი, შემდეგ კი 2011 წლის ოქტომბერის ჩათვლით, ყოველი მომდევნო თვის 20 რიცხვში (20 ოქტომბერვალს, 20 მარტს, 20 აპრილს, 20 მაისს, 20 ივნისს, 20 ივლისს, 20 აგვისტოს, 20 სექტემბერს, 20 ოქტომბერს, 20 ნოემბერს) – 8 000 (რვა ათასი) აშშ დოლარი; ამავე პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე ნასყიდობის საგნის მყიდველი მესაკუთრედ ალირიცხვით და საჯარო რეესტრში (იხ. გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება).

4. მყიდველმა განვადებით შექნილი უძრავი ქონების (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი), საკადასტო კოდით ..., საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით 2010 წლის 29 ოქტომბერს მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნინოწმინდის რაიონის სარეგისტრაციო სამსახურს, რაზედაც სარეგისტრაციო სამსახურის 18.10.2012წ. №... გადაწყვეტილებით უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული უძრავი ნივთი განკარგული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ და იგი რეგისტრირებული იყო სახელმწიფოს საკუთრებად (მყიდველის განცხადება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, განცხადების მიღების ბარათი და სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება).

5. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით სამცხე-ჯავახეთის საოლქო განყოფილების უფროსი პროკურორის – ე. ფ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დამტკიცდა ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების გამყიდველს, როგორც ბრალდებულსა და პროკურორს შორის დადგებული საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, უძრავი ქონების გამყიდველი მსჯავრდებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 25.333-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამავე განაჩენით მსჯავრდებულს (რომელიც განსახილებულ დავაში მოპასუხება) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასაჯელის სახით, უსასყიდლოდ ჩამოერთვა საკუთრებაში არსებობდა.

ბული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულება შეადგინდა 225 000 (ორას ოც-დახუთი ათასი) ლარს (იხ. ახალციხის რაიონული სასამართლოს განაჩენი და განჩინება);

6. 2012 წლის 16 იანვარს ამ განჩინების პირველ პუნქტში მი-თითებულ უძრავ ქონებაზე /სახელმწიფო კოდით .../ დარეგის-ტრირდა სახელმწიფოს საკუთრების უფლება.

7. უძრავი ქონების მყიდველმა (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი) ეტაპობრივად, 2010 წლის 28 ოქტომბრიდან 2011 წლის 21 ივლისის ჩათვლით, გამყიდველის ანგარიშზე გადარიცხა თანხა – ჯამში 147 877.25 (ას ორმოცდაშვიდი ათას რვაას სამოცდაჩ-ვიდმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარი (იხ. სს „ბ-იდან“ სა-დაცო ქონების მყიდველის მიმდინარე ანგარიშიდან ამონაზერი).

8. მყიდველის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობი-ნების შემდეგ, გამყიდველმა ნასყიდობის ფასის დაბრუნების მიზნით, მყიდველის ანგარიშზე შეიტანა 2012 წლის 11 ივლისს – 19 460 (ცხრამეტი ათას ოთხას სამოცი) აშშ დოლარი, რაც თან-ხის შეტანის დღისათვის ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისდ შეადგინდა 32 087.60 (ოცდათორმეტი ათას ოთხმოცდაშვიდი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს და იმავე წლის 2 თებერვალს – 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარი, რაც 16 000 (თექესშეტი ათასი) ლარს შეადგინდა, შესაბამისდ, გამყიდველის მიერ მიღებულ და მყიდველისათვის დაბრუნებულ თანხებს შორის სხვაობა შეად-გენს 99 189.65 (ოთხმოცდაცხრამეტი ათას ას ოთხმოცდაცხრა ლარს და სამოცდახუთ თეთრს) – იხ. ამონაზერი მყიდველის ან-გარიშიდან.

9. სარჩელის მოთხოვნა

9.1. მყიდველმა 2012 წლის 10 დეკემბერს სარჩელი აღდრა გამყიდველის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის 99 189.65 (ოთ-ხმოცდაცხრამეტი ათას ას ოთხმოცდაცხრა ლარი და 65 თეთ-რი) ლარის დაკისრება; ასევე, მიუღებელი შემოსავლის სახით, ზიანის ანაზღაურება 2012 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 2 ნო-ემბრამდე 3 569.7 (სამი ათას ხუთას სამოცდაცხრა ლარი და სა-მოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით, ხოლო 2012 წლის 2 ნოემ-ბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე – დავალიანებული თანხის 10%-ის ოდენობით (იხ. დამატებითი სარჩელი).

10. მოპასუხის შესაგებელი

10.1. მოპასუხემ არ ცნო მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი და მიუთითა, რომ მან მყიდველს მიჰყიდა მის საკუთრებაში არ-სებული უფლებრივად უნაკლონი ნივთი და მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის თანხა მყიდველს მისთვის ეტაპობრივად უნ-

და გადაეხადა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველი დარეგისტრირებულიყო მესაკუთრედ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, ხოლო ნასყიდობის საფუსური დაიფარებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

10.2. მიუხედავად იმისა, რომ მყიდველმა (მოსარჩელემ) მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის თაობაზე განცხადებით მიმართა სარეგისტრაციო სამსახურს, იგი შეგნებულად თავს არიდებდა იმის განმარტებას, დაკმაყოფილდა თუ არა მისი მოთხოვნა რეგისტრაციის შესახებ და უარყოფით შემთხვევაში, რა ზომებს მიმართა მოსარჩელემ დარღვეული უფლების აღსადგენად;

10.3. მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 2012 წლის 16 იანვარს, ხოლო მოსარჩელემ სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა ჯერ კიდევ 2010 წლის 29 ოქტომბერს. მოპასუხის აზრით, მოსარჩელემ თავისი უმოქმედობით გამოიწვია ის გარემოება, რომ აღმოჩნდა ე.წ. დაზარალებულის მდგომარეობაში. იგი 2011 წლის ივლისამდე აგრძელებდა თანხის გადახდას და 14 თვის განმავლობაში არანარი პრეტენზია არ წაუყენებია არც საჯარო რეესტრისათვის და არც უშუალოდ ქონების გამყიდველისათვის;

10.4. არც ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ არ უცნობებია მოსარჩელეს მოპასუხისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს თანხის ნაწილი ძალადობისა და დაპატიმრების მუქარით დააბრუნებინეს. შესაბამისად, გამყიდველი თვითონვეა დაზარალებული, რადგან შექმნილი ვითარების გამო იპოთეკით დატვირთა თავისი ყველა ქონება, მან დაკარგა კანონიერად ნაყიდი ქონება. მოსარჩელეს ზიანი მიადგა საკუთარი უმოქმედობისა და საჯარო რეესტრის ქმედებით და არა მოპასუხის გამო, რის გამოც სარჩელი უსაფუძლოა (იხ. შესაგებელი, სხდომის ოქმი).

11. მოპასუხის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა

11.1. მოპასუხემ 2013 წლის 19 ივლისს უძრავი ქონების მყიდველის წინააღმდეგ შეგებებული სარჩელი აღძრა და მოითხოვა ამ უკანასკნელისათვის 141 244.75 (ას ორმოცდაერთი ათას ორას ორმოცდაოთხი ლარის და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის დაკისრება.

12. მოპასუხის პოზიცია შეგებებულ სარჩელზე

12.1. მყიდველმა მოპასუხის შეგებებული სარჩელის პასუხად წარდგენილი შესაგებლით არ ცნო გამყიდველის მოთხოვნა და მიუთითა, რომ მყიდველს არ გადასცემია ნაყიდი უძრავი ქონება, რადგან მას არ გადასცემია ამ ქონებაზე საკუთრების უფლება კანონით დადგენილი წესით. მყიდველმა ყველა ვალდებულება შეასრულა და გამყიდველის (განსახილველ დავაში მო-

პასუხისა და იმავდროულად შეგებებული მოსარჩელის) დანაშაულებრივი ქმედების გამო მინის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებად აღრიცხვა არ შეიძლება ჩაითვალოს მყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევად;

12.2. მყიდველს არ მიუძღვის ბრალი სახელმწიფოს სახელზე მინის ნაკვეთის რეგისტრაციაში და იგი ვერც ამ მინის ნაკვეთის დაპრუნებაზე იქნიებს გავლენას, რადგან მყიდველის საკუთრებაში არასოდეს ყოფილა აღნიშნული მინის ნაკვეთი. ამასთან, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ცნობილი იყო გამყიდველისათვის, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელმა ნებაყოფლობით დაუპრუნა მყიდველს თანხის ნაწილი ორჯერ გადახდით, რითაც აღიარა მოსარჩელის კანონიერი უფლება თანხის დაპრუნებაზე. საპირისპიროს დასამტკიცებლად საქმეში რაიმე მტკიცებულება არ იყო წარდგენილი, შესაბამისად, უსაფუძვლო იყო შეგებებული სარჩელის მოთხოვნა და იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო (იხ. შესაგებელი).

13. სიღნალის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

13.1. სიღნალის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მყიდველის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

13.1.1. მოპასუხეს (გამყიდველს) მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 99 189.65 (ოთხმოცდაცხრამეტი ათას ას ოთხმოცდაცხრა ლარი და 65 თეთრი) ლარის გადახდა;

13.1.2. მოპასუხეს მოსარჩელის სასარებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯი – 1000 (ათასი) ლარი;

13.1.3. დანარჩენ ნაწილში მყიდველის სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

13.1.4. გამყიდველის (მოპასუხის) შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

13.1.5. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 2976 (ორი ათას ცხრაას სამოცდათექვსმეტი) ლარისა და სარჩელის უზრუნველყოფისათვის 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდა.

13.2. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არ არსებობდა უდავო ფაქტობრივი გარემოებები და წინამდებარე განჩინების 1-8 პუნქტებში ასახული სადავო ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა, ხოლო გადაწყვეტილების სამართლებრივი მოტივაციისას გამოიყენა სსკ-ის 183-ე, 316-ე, 317-ე, 361-ე, 352-ე, 354-ე-355-ე, 405-ე, 411-ე, 414-ე, 477-ე, 505-ე მუხლები.

13.3. საქმის მასალებით დადგენილია, რასაც მხარეებიც არ უარყოფენ, რომ ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლება არ გადასულა, რადგან აღნიშნული უძრავი ნივთი განკარგულია არაუფლებამოსილი პირის მიერ და იგი რეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებად.

13.4. სასამართლომ განმარტა, რომ ორმხრივი ხელშეკრულების არსებობის პირობებში არსებითია, რომ ხელშეკრულება შეასრულოს ორივე მხარემ, ნინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დადგეს ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები.

13.5. სასამართლოს შეფასებით, მხარეთა შორის გაფორმებული იყო გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მხარეებიც იყვნენ, ერთი მხრივ, გამყიდველი (მოპასუხე) და, მეორე მხრივ, მყიდველი (მოსარჩელე).

13.6. სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიანოდოს საქონელი“. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, „მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება“. სსკ-ის 505-ე მუხლით, „განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში“. ამავე კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად, „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“.

13.7. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გამყიდველ-მა ვერ უზრუნველყო მყიდველისათვის (მოსარჩელისათვის) ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა. სსკ-ის 405-ე მუხლი კი აწესებს, რომ „თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შე-

უძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისათვის დაკარგა ინტერესი“. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების წინაპირობად დამატებითი ვადის დაწესებას განიხილავს. ბუნებრივია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც იწვევს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ანულირებას, არ შეიძლება განხორციელდეს მოვალისათვის ხელმეორედ შესაძლებლობის მიცემის გარეშე. თუმცა, დამატებითი ვადა უნდა იყოს გონივრული და არ უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ შესასრულებელი ვალდებულების თავისებურებიდან, არამედ მხედველობაშია მისაღები ასევე კრედიტორის ინტერესები. დამატებითი ვადის დაწესება აზრს კარგავს, როდესაც აშკარაა, რომ ამ პირობებშიც კრედიტორისათვის ხელსაყრელი შედეგების მიღწევა შეუძლებელია.

13.8. სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარდგენილი მასალებით დასტურდებოდა, რომ იმ პერიოდისათვის, როდესაც მოსარჩელემ შეწყვიტა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება გრაფიკით დადგენილი თანხის გადაუხდელობით, ნასყიდობის საგანი აღრიცხული იყო სახელმწიფოს საკუთრებად. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, მოცემულ შემთხვევაში დამატებითი ვადის განსაზღვრას აზრი არ ჰქონდა.

13.9. სასამართლომ იმსჯელა, რომ საქმის მასალებში წარდგენილი მტკიცებულებები, ასევე მხარეთა ახსნა-განმარტებები, უდავოდ ადასტურებდა, რომ გამყიდველმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა.

13.10. სასამართლომ წინამდებარე განჩინების მე-2 და მე-7 პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა და დაადგინა, რომ გამყიდველმა ვერ უზრუნველყო მყიდველისათვის (მოსარჩელისათვის) ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა. აღნიშნული გარემოება უფლებას აძლევდა მოსარჩელეს, მოეთხოვა მის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნება.

13.11. სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება)“, ხოლო სსკ-ის 352-ე მუხლის დანაწესით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების შემთხვევაში, ორივე მხარე თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებისაგან და ეკისრებათ ორმხრივი რესტიტუცია. ამ შემთხვევაში მხარეები ვალ-

დებულნი არიან, დაუბრუნდნენ ხელშეკრულების დადებამდე არსებულ მფგომარეობას.

13.12. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხებ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე და არ შეასრულა ის, რის გამოც იგი ვალდებული იყო დაებრუნებინა მიღებული თანხა, რომელიც შეადგენდა 99 189.65 (ოთხმოცდაცხრამეტი ათას ას ოთხმოცდაცხრა ლარი და 65 თეთრი) ლარს.

13.13. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის (მოსარჩევე შეგებებულ სარჩელში) განმარტება მოსარჩელის (მყიდველის) მიერ მინის ნაკვეთის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ნასყიდობის საგანი სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა გამყიდველის მიმართ ნარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენით, რომლითაც ეს უკანასკნელი მსჯავრდებულ იქნა (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი), ამ ვითარებაში მყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის დაბრუნება როგორც ფაქტობრივი, ასევე, სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელი იყო, რადგან მის საკუთრებაში აღნიშნული მინის ნაკვეთი არასოდეს არ ყოფილა.

13.14. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად „ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“. ამავე კოდექსის 414-ე მუხლის თანახმად ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვნი შესრულების მიმართ. მიუღებელი შემოსავალი თავისი სამართლებრივი ბუნებით ზიანის ერთ-ერთ სახეს ნარმოადგენს. ამდენად, მისთვის დამახასიათებელია ყველა ის ელემენტი, რომელიც ზიანიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის არის გათვალისწინებული. ზემოხსენებული წორმა სწორედ ამ მოსაზრებას განამტკიცებს, ამიტომ მიუღებელი შემოსავალიც ისევე, როგორც ზიანი, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და დადასტურებული უტყუარი მტკიცებულებებით. მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ მოპასუხისათვის თანხის საქართველოს კომერციულ ბანკებში სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის შემთხვევაში იგი მოგების სახით მიიღებდა სარგებელს.

13.15. სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად ზიანის მომტანია მხარისთვის, რადგან კრედიტორს ყოველთვის აქვს შესრულების მოლოდინი და

შესრულება მისთვის ყოველთვის გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მხოლოდ მაშინ, თუ დარღვევამ დამატებით მიაყენა ზიანი კრედიტორს. მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანი დგება, როდესაც ვალდებულების შესრულებით კრედიტორს გარკვეული შემოსავლის წყარო გაუჩნდებოდა, დამატებით მატერიალურ სიკეთეს შეიძენა, რაც ვერ განხორციელდა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ამგვარი გარემოება საქმეში წარდგენილი შასალების მიხედვით არ იკვეთებოდა. მიუღებელი შემოსავალი, როგორც ზიანის ერთ-ერთი ფორმა მეორადი მოთხოვნის უფლებაა და პირდაპირ კავშირშია ძირითად ვალდებულებასთან. მისი წარმოშობის წინაპირობაა ძირითადი ვალდებულების დარღვევა. ამიტომ, მოსარჩელე არამართებულად ითხოვდა მიუღებელ შემოსავალს, განხილავდა რა მას ძირითადი ვალდებულებისაგან განყენებულად.

13.16. სსკ-ის 411-ე მუხლი ცალსახად განსაზღვრავს მიუღებელი შემოსავლის ცნებას, რომელიც გულისხმობს სარგებელს, რასაც მხარე მიიღებდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მოიცავდა გამყიდველის ვალდებულებას, მყიდველისათვის გადაეცა საკუთრების უფლება ნასყიდობის საგანზე. ამდენად, მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელე მიიღებდა უძრავ ქონებას, რაც გამორიცხავდა ყოველგვარ კავშირს მოსარჩელის მიერ მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის წანილში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან. შესაბამისად, სასამართლო მოქლებულია შესაძლებლობას, განსაზღვროს სარგებლის ის ოდენობა, რომელსაც მოსარჩელე მიიღებდა.

13.17. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სადეპოზიტო განაკვეთის ყოველნიური 10%-ის ოდენობით, დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან მხარეს არ წარუდგენია არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მოსარჩელე საბანკო ანგარიშზე განთავსებით მიიღებდა მის მიერ მითითებულ სარგებელს. შესაბამისად, ამ წანილში სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია სასამართლომ და უარყო.

13.18. სსკ-ის 354-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულები მხარეებმა

უნდა შეასრულონ ერთდროულად, ხოლო 355-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის შეგებებულ სარჩელში მითითებული გარემოება, რომ მყიდველს მეორე მხარისათვის – გამყიდველისათვის არ შეუტყობინებია ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, რამდენადაც საქმეში წარდგენილი მტკიცებულებით დადასტურებული იყო, რომ მყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების შეწყვეტისა და ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების შემდეგ, გამყიდველმა, ნასყიდობის ფასის დაბრუნების მიზნით, მყიდველის ანგარიშზე ორჯერ შეიტანა თანხა (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი). ამდენად, სასამართლოს შეფასებით, გამყიდველის ამგვარი ქმედება – თანხის დაბრუნება მყიდველის ანგარიშზე შეტანის გზით, ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მისთვის ცნობილი იყო მყიდველის ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, რასაც იგი დაეთანხმა კიდეც თავისი მოქმედებით და, უფრო მეტიც, მისი ამგვარი შესრულება გულისხმობდა ვალდებულების არსებობას, სსკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

13.19. სასამართლომ არ გაიზიარა ასევე მოპასუხის შეგებებული სარჩელის პრეტენზია მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისა და მიწის ნაკვეთის დაბრუნების თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით, ასევე, მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდებოდა, რომ მყიდველმა ეტაპობრივად, 2010 წლის 28 ოქტომბრიდან 2011 წლის 21 ივლისის ჩათვლით, გამყიდველის ანგარიშზე გადარიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის მიხედვით გარკვეული თანხები – სულ 147 877.25 ლარი.

13.20. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რასაც მხარეებიც არ უარყოფნენ, რომ ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლება არ გადასულა, რადგან აღნიშნული უძრავი ნივთი განკარგული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ და ქონება რეგისტრირებული იყო სახელმწიფოს საკუთრებად; ახალციხის რაიონული სასამართლოს 19.10.2011 წლის განაჩენის საფუძველზე გამყიდველი მსჯავრდებულ იქნა და მას ამავე განაჩენით, დამატებითი სასჯელის სახით, სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი), შესაბამისად, მყიდველის უმოქმედობით გამოწვეულ ზიანსა და ნასყიდობის საგნის დაბრუნების შესაბამისად.

ბაზე მითითება არასწორი იყო, რადგან აღნიშნული მინის ნაკვეთი არასოდეს ყოფილა მოსარჩელის საკუთრება და საპირისპირო მტკიცებულებები საქმეში წარდგენილი არ იყო.

13.21. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 და 103-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედებს პრინციპი, რომ იმ მხარემ, რომელიც მტკიცებულებად იყენებს რამე ფაქტებს, გარემოებებს და დოკუმენტს, უნდა დაამტკიცოს ამ დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტების ნამდვილობა, თუ აღნიშნული გახდება სადაც. მითითებულ ხორმებზე დაყრდნობით სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული ნორმა შეიცავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის (მოვალეობების) განაწილების ზოგად წესს. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ – გარემოებები, რომელზეც იგი ამყარებს თავის შესაგებელს.

13.22. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ დაადასტურა მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა და ხელშეკრულების შეუსრულებლობა, ხოლო მის მიერ მითითებული გარემოებები მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების შესახებ არ იყო სარწმუნო და საკმარისა ამ ნაწილში მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასევე დაუსაბუთებელი იყო შეგებებული სარჩელის ავტორის (მოპასუხის) მოთხოვნა ძირითადი მოსარჩელისადმი (მყიდველისადმი) თანხის დაკისრების თაობაზე ზემოაღნიშნული გარემოებებისა და საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძვლზე.

13.23. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 დეკემბრის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებას მდებარე სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში: 1) ზონა სიღნაღი ..., სექტორი ბოდბისხევი ..., კვარტალი ..., ნაკვეთი ..., ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 258879.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი 5-, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1; 2) ზონა სიღნაღი ..., სექტორი ბოდბისხევი ..., კვარტალი ..., ნაკვეთი ..., ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 2036599.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი

13.24. სსსკ-ის 1991 მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწ-

უკეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა დაემაყოფილდა ნაწილობრივ, ამ ეტაპზე არ არსებობდა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საპროცესო-სამართლებრივი საფუძველი.

14. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

14.1. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

14.2. პირველმა აპელანტმა (მყიდველმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ პრეტენზიებზე დაყრდნობით:

14.2.1. არასწორია სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი მიუღებელი შემოსავლის დაკმაყოფილების უარყოფის ნაწილში, რადგან ფული ბრუნვაუნარიანი ობიექტია და ნებისმიერ დროს შეუძლია სარგებლის მოტანა. ეს დადგენილია უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკითაც;

14.2.2. არასწორია, ასევე, მოსარჩელის მიერ ადვოკატისათვის განეული ხარჯების ნაწილობრივ დაკმაყოფილება სსსკ-ის 37-ე და 53-ე მუხლების საფუძველზე.

14.3. მეორე აპელანტმა (გამყიდველი) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, მყიდველის სარჩელის მთლიანად უარყოფა, გამყიდველის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

14.3.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ამ განჩინების მე-8 პუნქტში მითითებული გარემოება, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მხარეებს არ ჰქონიათ არავითარი ურთიერთობა, გამყიდველმა მხოლოდ პროკურატურის დაუნებული მოთხოვნით გადაურიცხა მყიდველს თანხა;

14.3.2. სასამართლო თვითონვე უთითებს, რომ საჯარო რეგსტრის მონაცემებით მიწის ნაკვეთი გამყიდველის საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ მსჯელობს, რომ ნაკვეთი არაუფლებამოსილმა პირმა განკარგა, რადგან აპელანტი არ იყო მისი მესაკუთრე;

14.3.3. სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩეულები შეწყვიტა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება გრაფიკით დადგენილი თანხის გადაუხდელობით, რადგან ნასყიდობის საგანი აღრიცხული იყო სახელმწიფოს საკუთრებად, რაც არასწორია, რადგან მყიდველი (მოსარჩეული) 2011 წლის ივნისის ჩათვლით ურიცხავდა გამყიდველს თანხას, სახელმწიფო საკუთრებად კი ნაკვეთი აღირიცხა 2011 წლის 19 ოქტომბრის განაჩენის საფუძველზე.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და დასკვნები

15.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით პირველი აპელანტის (მოსარჩეულის) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე აპელანტის (შეგებებული მოსარჩეულის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

15.1.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცვალა მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურებისა და ადვოკატის ხარჯების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მყიდველის სარჩელი დაკმაყოფილდა;

15.1.2. მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა 3 569,70 (სამი ათას ხუთას სამოცდაცხრა ათასი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარი;

15.1.3. მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის განუული ხარჯი – 1000 (ათასი) ლარი.

15.2. სააპელაციო სასამართლომ ამ განჩინების 1-8 პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა: საქმის მასალებით დადგინდა, რომ ნასყიდობის საგანზე მყიდველის (მოსარჩეულის, პირველი აპელანტის) საკუთრების უფლება არ გადასულა, რადგან აღნიშნული უძრავი ნივთი განკარგული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ და იგი სახელმწიფო საკუთრებად იყო რეგისტრირებული. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ გამყიდველმა ვერ უზრუნველყო მყიდველისათვის ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა. მყიდველმა შეატყობინა გამყიდველს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი).

15.3. სასამართლომ დაასკვნა, რომ მყიდველი მართლზომიერად, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გავიდა ხელშეკრულებიდან, რადგან გამყიდველმა (მოპასუხემ) დაარღვია მასზე დაკისრებული ვალდებულება, რაც გულისხმობდა ნივთობრივად და უფლებივად უნაკლო ნივთის მყიდველისათვის გადა-

ცემას, ხოლო გამყიდველმა ვერ უზრუნველყო მყიდველისათვის ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა, შესაბამისად, ამ უკანასკნელს წარმოეშვა ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების თანახმად (ნორმათა დეფინიცია იხ. ამ განჩინების 13.7 და 13.11 ქვეპუნქტებში).

15.4. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მყიდველის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, მისთვის დამატებითი ვადის დაწესებას ან გაფრთხილებას არ ექნებოდა რაიმე შედეგი (სსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლები). ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების შემთხვევაში, ორივე მხარე თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებისაგან და ეკისრებათ ორმხრივი რესტიტუცია, ანუ იმავე მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება, რომელიც არსებობდა ხელშეკრულების დადების გარეშე. შესაბამისად, ვინაიდან გამყიდველმა დაარღვია და არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, იგი ვალდებული იყო მოსარჩელისათვის (მყიდველისათვის) დაბრუნებინა მიღებული თანხა – 99 189.65 ლარი, შესაბამისად, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ამ ნაწილში დასაბუთებული და კანონიერი იყო.

15.5. მეორე აპელანტის (გამყიდველის) სააპელაციო პრეტენზიაზე მსჯელობისას, სასამართლომ განმარტა, რომ ძირითადი მოსარჩელის (მყიდველის) სარჩელის დაკამაყოფილება გამორიცხავდა გამყიდველის შეგებებული სარჩელის დაკამაყოფილებას. მოცემულ შემთხვევაში გამოიკვეთა ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნათა შეპირისპირება. მყიდველის მიერ რესტიტუციის მიზნით განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე, სწორად არ გაიზიარა მოპასუხის (შეგებებული სარჩელის ავტორის) მოთხოვნა მოსარჩელის მიერ მინის ნაკვეთის დაბრუნების თაობაზე, რამდენადაც მყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის დაბრუნება როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელი იყო, რადგან ამ უკანასკნელის საკუთრებაში აღნიშნული მინის ნაკვეთი არც არასოდეს ყოფილა.

15.6. სსკ-ის 354-ე მუხლის თანახმად, „ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ ერთდროულად“, ხოლო 355-ე მუხლის შესაბამისად „ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხრისათვის შეტყყობინებით“. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მეორე აპელანტის (გამყიდველის)

განმარტება, რომ მყიდველს არ შეუტყობინებია ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, რამდენადაც საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ მყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების შეწყვეტისა და ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების შემდეგ, გამყიდველმა ნასყიდობის ფასის დაბრუნების მიზნით მყიდველს ანგარიშზე ორჯერ ჩაურიცხა თანხა (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი).

15.7. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს შეფასება და დასკვნები მყიდველის სასარგებლოდ გამყიდველისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის დაკისრების უარყოფის ნაწილში და სსკ-ის 411-ე და 414-ე მუხლებზე (ნორმათა დეფინიცია იხ. ამ განჩინების 13.14 ქვეპუნქტში) მითითებით განმარტა, რომ ზიანის მიყენების ფაქტისა და ზიანის ოდენობის შეფასება განსაკუთრებულ თავისებურებას იძენდა, როცა საქმე ეხებოდა ფულად ვალდებულებას. ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია ფულის განსაკუთრებული თვისებებით, კერძოდ, მისი სყიდვაუნარიანობის მაღალი ხარისხით, რაც ფულს ყველა შემთხვევაში ანიჭებს სარგებლის მოტანის უნარს. იგი ყოველთვის წარმოადგენს შემოსავლის წყაროს, ვინაიდან შეუძლია მესაკუთრეს შესძინოს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი პროცენტის სახით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება ყოველთვის აყენებდა პირს ზიანს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტს და არც ოდენობის დადგენას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩევეს მიუღებელი შემოსავლის სახით უნდა ანაზღაურებოდა თანხა, რასაც იგი მიიღებდა მინიმუმ გარკვეული პერიოდული შემოსავლის – დარიცხული სარგებლის სახით, 10%-იანი ნიხრით.

15.8. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა 2012 წლის 11 ივლისიდან (გამყიდველის მიერ პირველი თანხის – 19 460 აშშ დოლარის, კურსით – 32 097.60 ლარის მყიდველისათვის დაბრუნების მომენტი) 2012 წლის 2 ნოემბრამდე მიუღებელი შემოსავლის სახით 3 569.70 ლარის დაკისრების თაობაზე (იხ. ამ განჩინების მე-9 პუნქტი). სასამართლოს შეფასებით, 2012 წლის 11 ივლისს მყიდველისათვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობა შეადგენდა 115 789.65 (147 877.25-32 087) ლარს, რომლის წლიური 10% 11 579 ლარია,

ხოლო იმავე წლის 2 ნოემბრამდე ანუ გამყიდველის მიერ მეორე ეტაპზე თანხის დაბრუნებამდე პერიოდი შეადგენდა 3 თვეს და 21 დღეს (თანხა 21 დღისათვის – 675 ლარი). ამდენად, მიუღებელი შემოსავლის ოდენობა ზემოხსენებული გაანგარიშებით შეადგენდა 3 569.70 ლარს.

15.9. მოსარჩევლის მიერ იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის – დამატებით 1000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე: „იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დაკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.“

15.10. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა 04.12.2012წ. ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, პონორარი შეადგენს 2000 ლარს, რაც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი წესით: ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში 1000 ლარი, ხოლო 1000 ლარი – დავაზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 დღეში. საქმის მასალებში მოთავსებული იყო 1000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა ადვოკატისათვის რეალურად გაწეული ხარჯი – 1000 ლარის ოდენობით.

15.11. სასამართლომ საქმეში წარდგენილი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსარჩელეს წარმოეშვა იურიდიული ფირმისათვის 2000 ლარის გადახდის ვალდებულება. მართალია, 1000 ლარი მას შედარებით

გვიან უნდა გადაეხადა, თუმცა, ეს გავლენას ვერ იქონიებდა მოპასუხისათვის თანხის ანაზღაურების დაკისრებაზე, რადგან სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის, აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

15.12. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზეც გაამახვილა ყურადღება: „ნათელია, რომ საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრავს პროცესის ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს აქვს სრული შესაძლებლობა, ისარგებლოს ზემოხსენებული საპროცესო მექანიზმებით და მოითხოვოს საქმის განხილვასთან დაკავშირებით მის მიერ განეული პროცესის ხარჯების ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ისარგებლებს ზემოაღნიშნული შესაძლებლობით, იგი კარგავს პროცესის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან ასეთ მოთხოვნას მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და იგი არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სარჩელის დავის საგანი. აქედან გამომდინარე, უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ დასაწყისში დასმულ კითხვას, კერძოდ, დაუშვებელია დამოუკიდებელი სარჩელით იმ საპროცესო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც მოგებულმა მხარემ ძირითად სარჩელზე საქმის წარმოებისას გასწინა“ (იხ. სუსგ №ას-1706-1600-2012, 18.02.2014წ.). შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ქვემდგომი სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ უკვე დაკისრებული 1000 ლარის გარდა, მოპასუხეს, ასევე უნდა დაპასუხისრებოდა დამატებით 1000 ლარი იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯების ასაზღაურებლად.

15.13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის დამატებითი გადაწყვეტილებით მოსარჩელის (მყიდველის) შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მას, როგორც სააპელაციო საჩივრის ავტორს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით ზედმეტად გადახდილი 500 ლარიდან 317.22 ლარი და ასევე 833.06 ლარი.

16. საკასაციო სამართალნარმოების ეტაპი

16.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-

ტის 2015 წლის 31 ივნისის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოპასუხის საინფორმაციო ბარათის სტატუსის (აქტიურია თუ არა) შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა. აღნიშნულის მიზეზი გახდა მოპასუხისათვის გაგზავნილი გზავნილის დაბრუნება სასამართლოში იმ მითითებით, რომ ადრესატი (მოპასუხე) გარდაცვლილია (იხ. საკასაციო სასამართლოს განჩინება).

16.2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით მოპასუხის გარდაცვალების სარეგისტრაციო ჩანაწერი (აქტი № 49157000191) ირიცხება აღნიშნულ სამსახურში და გარდაცვალების რეგისტრაცია მოხდა 2015 წლის 15 აპრილს.

16.3. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სამოქალაქო საქმის წარმოება შეჩერდა მოპასუხის უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა (სსსკ-ის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; იხ. განჩინება).

16.4. საქმის მასალებშია მოსარჩელის წარმომადგენლის განცხადებები და ასევე შუამდგომლობა, საქმის განხილვის დაჩქარების მიზნით საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან მოპასუხის სამკვიდროს მიღება/არ მიღების თაობაზე ინფორმაციისა და მტკიცებულებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოთხვის თაობაზე, ასევე სიღნაღის ადგილობრივი თვითმმართველობიდან – ან გარდაცვლილი მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული ქონების კონკრეტული პირების მხრიდან ფაქტობრივი დაუფლებით სამკვიდროს მიღება/არ მიღებასთან დაკავშირებით.

16.5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ნოემბრის განჩინებით დაკავშირდილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა და ნოტარიუსთა პალატიდან იმავე წლის 2 დეკემბერს წარმოდგენილი იქნა ცნობა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ არსებობდა ერთიან ელექტრონულ სამეცვიდრეო რეესტრში (მოპასუხის სავარაუდო მემკვიდრეების მიერ ნოტარიუსთან არ ყოფილა წარდგენილი განცხადება სამკვიდროს მიღების თაობაზე), ასევე 2016 წლის 26 იანვარს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აცნობა სასამართლოს მოთხოვნილი ინფორმაციის გამგეობაში არარსებობის შესახებ.

16.6. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის განჩინებით განახლდა შეჩერებული საქმისწარმოება და მოპასუხის სავარაუდო უფლებამონაცვლე-ებს (ოჯახის წევრებს) დაევალათ საკასაციო სასამართლოს გან-ჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში მოპასუხის სამკვიდროს მიღების ან სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის დამადასტუ-რებელი დოკუმენტის საკასაციო სასამართლოსათვის წარდგე-ნა (იხ. განჩინება).

16.7. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 სექტემბრის განჩინებით და 30 სექტემბრის განჩინებით უსწორობის გასწორების შესახებ მოპასუხის უფ-ლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობაში შემა-ვალი საჯარო სამართლოს იურიდიული პირი – სახელმწიფო ქო-ნების ეროვნული სააგენტო (იხ. განჩინება).

16.8. სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ (შემდეგში: სააგენტო ან კასატორი) 2016 წლის 22 ნოემბერს სა-კასაციო საჩივარი წარმოადგინა თბილისის სააპელაციო სასა-მართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მოთხოვა დასახელებული გა-დაწყვეტილებისა და 2015 წლის 11 მაისის დამატებითი გადაწ-ყვეტილების (იხ. ამ განჩინების 15.13 ქვეპუნქტი) გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მყიდველის სარჩელის უარ-ყოფა შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე დაყრდნობით:

16.8.1. გამოკვეთილია როგორც სსკ-ის 393-ე მუხლით გათ-ვალისწინებული კონკრეტული საფუძვლები: სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა („ა“ ქვეპუნ-ქტი), გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა („ბ“ ქვეპუნქტი); ასევე – ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვე-პუნქტით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძველი: გა-დაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთე-ბული, რამაც განაპირობა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გა-რემოქების არასწორი შეფასება და შესაბამისად მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება;

16.8.2. სააგენტო არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს გან-სახილველ საქმეზე, ვინაიდან: მიმდინარე საქმის წარმოება, მყიდველის სარჩელზე გამყიდველის (ან გარდაცვლილი მოპა-სუხის) წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურებისა და თანხის დაკის-რების თაობაზე, დასაშვებად არ მიიჩნევს უფლებამონაცვლე-ობას. სსკ-ის 279-ე მუხლით დადგენილია სასამართლოს მოვა-ლეობა, შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალე-

ბისას, თუ სადაცო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას. თუკი ამგვარი უფლებამონაცვლეობა დასაშვებია, ასეთ შემთხვევაში, საქმის წარმოება შეჩერდება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. მოპასუხის გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარჩევე ვალდებულია, ერთწლიანი ვადის გასვლამდე, მიუთითოს მოპასუხის უფლებამონაცვლე პირი (პირი, რომელმაც სამკვიდრო ქონება მიიღო, უმკვიდრო ქონების შემთხვევაში – სახელმწიფო ან შესაბამისი ორგანიზაციი ან სხვა უფლებამონაცვლე). ამრიგად, მოპასუხე ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა დასაშვებია მაშინ, როდესაც მოპასუხის სამკვიდრო ქონებას იღებს მემკვიდრე, ან ქონების უმკვიდროდ ცნობის შემთხვევაში – სახელმწიფო, ე.ი. სამკვიდრო მასაში უნდა შედიოდეს ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც განსახილველი სამართლწარმოების საგანია და სადაცო სამართლურთიერთობა დაკავშირებულია სამკვიდრო მასაში შემავალ ასეთ უფლებებთან და მოვალეობებთან;

16.8.3. სსკ-ის 1330-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, ასეთი კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი სიკედილით;

16.8.4. მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებისა და ამ საფუძვლით თანხის დაკისრების სახით წარმოადგენს გამყიდველის სწორედ ისეთ ვალდებულებას (შესაბამისი საქმის გარემოებების დადასტურებისა და სარჩელის საფუძვლიანობის შემთხვევაში), რომელიც პირადი ხასიათისაა, რის გამოც ამგვარი სახის ვალდებულება სამკვიდრო მასაში არ შედის. განსახილველ სამოქალაქო საქმეზე სადაცო იყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო თანხის დაკისრება. აღნიშნული სამართლურთიერთობის მხარე შესაძლოა იყოს მხოლოდ ის პირი, რომელმაც დაარღვია ხელშეკრულება და ამით გამოწვეული ზიანის საკომპენსაციოდ უნდა დაეკისროს თანხა. ეს არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორის და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი სიკედილით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო თანხის დაკისრების მოთხოვნა შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ ხელშეკრულების მხარის და,

შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დამრღვევის მიმართ და ვინაიდან მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა არ ითვალისწინებს უფლებამონაცვლეობას, ამრიგად საპროცესო უფლებამონაცვლეობაც დაუშვებელია. საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში. გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეობა გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც მექვიდრე სამკვიდროს მიღების შედეგად ხდება მამკვიდრებლის იმ უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი, რომელთაც სადაცვო სამართალურთიერთობა ითვალისწინებს. კანონის თანახმად, ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულების ვალდებულება ვერ გადავა უფლებამონაცვლეზე. ამრიგად, სააგენტო წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს, ანუ სააგენტო არ არის ის პირი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს მყიდველის სარჩელზე და დაეკისროს პასუხისმგებლობა ან გარდაცვლილი მოპასუხის იმ ქმედებებზე, რომელიც პირადი ხასიათისაა და სამკვიდრო მსაში არ შედის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩინა, რომ სასამართლოს სსსკ-ის 272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა შეეწყვიტა საქმისწარმოება;

16.8.5. კასატორის მტკიცებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო არ გაიზიარებს სააგენტოს მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ სადაცვო სამართალურთიერთობა ითვალისწინებდა უფლებამონაცვლეობას (რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება კასატორი და სადაცვო ხდის), სააგენტო არ წარმოადგენს უფლებამონაცვლეს და შესაბამისად, სათანადო მოპასუხეს. კასატორი სადაცვოდ ხდის სააგენტოს, როგორც ან გარდაცვლილი მოპასუხის უფლებამონაცვლედ ცნობის საკითხს;

16.8.6. სსსკ-ის 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოპასუხის გარდაცვალების შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია ერთნობანი ვადის გასვლამდე მიუთითოს მოპასუხის უფლებამონაცვლე პირი (პირი, რომელმაც სამკვიდრო ქონება მიიღო, უმკვიდრო ქონების შემთხვევაში – სახელმწიფო ან შესაბამისი ორგანიზაცია ან სხვა უფლებამონაცვლე) განსახილველ შემთხვევაში სააგენტო სადაცვოდ ხდის ქონების უმკვიდროობის ფაქტს;

16.8.7. გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლედ სახელმწიფოს ცნობის შემთხვევაში სავალდებულოა, რომ სამკვიდრო ქონება ცნობილი იქნეს უმკვიდროდ, ე.ი. დადასტურებული იყოს ქონების უმკვიდროობა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოპასუხის უფლებამონაცვლედ სახელმწიფო ცნობის

ბის ეტაპზე მსჯელობის საგანიც კი არ გამხდარა.

16.8.8. სსკ-ის 1343-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ: „არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზ...“ ამრიგად, იმისათვის, რომ ქონება უმკვიდროდ ჩაითვალოს დადასტურებული უნდა იქნეს ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული გარემოება კუმულაციურად. განსახილველ შემთხვევაში კი უზენაესი სასამართლოს მიერ, ისე იქნა მიჩნეული ქონება უმკვიდროდ, რომ არც ერთი ზემოაღნიშნული გარემოება არ იქნა გამოკვლეული, რაც რეალურად უზენაესი სასამართლოს მიერ მიმდინარე საქმის წარმოების ფარგლებში შეუძლებელი იყო, ვინაიდან ქონების უმკვიდროდ ცნობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულია მხოლოდ ორი გზა:

1. თუ მოსარჩელე, როგორც დაინტერესებული პირი, მიმართავდა სასამართლოს ქონების უმკვიდროდ ცნობის მოთხოვნით;
2. თუ სააგენტო (სათანადო დაინტერესების არსებობის შემთხვევაში) მიმართავდა ნოტარიუსს ქონების უმკვიდროდ ცნობისა და შესაბამისი მოწმობის გაცემის თაობაზე.

16.8.9. ზემოხსენებული თითოეული შესაძლებლობის განხილვით, კასატორი განმარტავს: რომ ქონების უმკვიდროდ ცნობისათვის მოსარჩელის „ვალდებულებას“ (მისი ინტერესებიდან გამომდინარე) წარმოადგენდა, როგორც დაინტერესებულ პირს, სარჩელი წარედგინა სასამართლოში, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოეთხოვა მოპასუხის ქონების უმკვიდროდ ცნობა და მხოლოდ იმის შემდეგ, რაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომლითაც დადგენილი იქნებოდა მოპასუხის ქონების უმკვიდრობა, გამართლებული იქნებოდა სახელმწიფოს მიჩნევა მოპასუხის უფლებამონაცვლედ. შესაბამისად, კასატორს მიაჩნია, რომ ქონების უმკვიდროდ ცნობა უნდა მომხდარიყო დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოების წესით, სადაც სააგენტოს შესაძლებლობა მიეცემოდა მოპასუხის სტატუსით შედავება და შეპასუხება განეხორციელებინა ქონების უმკვიდროდ ცნობის შესახებ მოთხოვნის უსაფუძვლობასთან მიმართებით, დაეცვა საკუთარი ინტერესები, საქმეში მოწმის სახით მოეწვია მემკვიდრეები ან/და სხვა პირები, შეეგროვებინა და სასამართლოსათვის წარედგინა მტკიცებულებები ან/და სასამართლო წე-

სით გამოეთხოვა ისინი, რაც შესაძლოა ქონების უმკვიდროდ ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გამხდარიყო. სადავო შემთხვევაში კი სააგენტოს არ მიეცა შესაძლებლობა, სასარჩელო ნარმოების ფარგლებში შედაგებოდა ქონების უმკვიდროდ ცნობის მოთხოვნის საფუძვლიანობას და გაეხათილებინა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, რაც საგსებით შესაძლოა სხვაგვარი შედეგის დადგომის წინაპირობა გამხდარიყო;

16.8.10. ამასთან, ქონების უმკვიდროობა, გარდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა, შესაძლოა დადგენილიყო ზემოხსენებულ მეორე შემთხვევაშიც, თუ თავად სააგენტო მოითხოვდა ნოტარიუსთან ქონების უმკვიდროდ ცნობას. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №7 ბრძანების 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმკვიდრო ქონების მიღების მიზნით, უფლებამოსილი სუბიექტი ვალდებულია ნოტარიუსს მიმართოს განცხადებით. ამავე ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად, მემკვიდრეობის გახსნიდან ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუკი სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადება არ არის შეტანილი სანოტარო ბიუროში და უფლებამოსილი სუბიექტი ითხოვს უმკვიდრო ქონების საკუთრებაში გადაცემას, ნოტარიუსი ვალდებულია, გამოაქვეყნოს საჯარო განცხადება უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შესახებ. ამავე ბრძანების მე-6 პუნქტის თანახმად, უმკვიდრო ქონების უფლებამოსილი სუბიექტისათვის გადაცემის შემთხვევაში საქმის გარემოებებიდან გამომდინარე გამოითხოვება სხვა დოკუმენტები (იურიდიული პირების შესახებ დოკუმენტაცია, უმკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და სხვა). შესაბამისად, სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საკუთარი ინიციატივით უმკვიდრო ქონების უფლებამოსილი სუბიექტისათვის გადაცემის შესახებ მოწმობის გაცემის მოთხოვნით მიმართვისას, იმისათვის, რომ არ დაირღვეს შესაძლო მემკვიდრეობა უფლებები, კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებზეც ზემოთ აღინიშნა;

16.8.11. ამასთან, ქონების უმკვიდროდ ცნობას ნოტარიუსი ან სასამართლო ახდენს. ორივე შემთხვევაში სახელმწიფო, სააგენტოს სახით, უშუალოდაა ჩართული მიმდინარე პროცესებში და საკუთარი უფლებებისა და ინტერესების რეალიზებას ახდენს კანონით დადგენილი წესით. სსკ-ის 1444-ე მუხლის თა-

ნახმად, სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მას შემდეგ არ აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, როდესაც სათანადო წესით დადასტურდება ქონების უმკვიდრობა. სსსკ-ის 281-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, მოპასუხის გარდაცვალების შემთხვევაში მის უფლებამონაცვლედ მიეთითებინა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თუკი ქონება უმკვიდროდ იქნებოდა ცნობილი;

16.8.12. მოსარჩელემ თავის არაერთ განცხადებაში მოითხოვა, რომ მოპასუხის უფლებამონაცვლედ ცნობილი ყოფილიყო სააგენტო, თუმცა, მისი განცხადების დასაკმაყოფილებლად, როგორც ზემოთ აღინიშნა სავალდებულო იყო სათანადო წესით დადგენილიყო ქონების უმკვიდრობა. შესაბამისად, სახელმწიფოს არც მოპასუხის ქონება მიუღია, როგორც უმკვიდრო, ვინაიდან არ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება ქონების უმკვიდროდ ცნობაზე, ხოლო ასეთ გადაწყვეტილებად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება სააგენტოს ან გარდაცვლილი მოპასუხის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ, ვინაიდან სასამართლოს სათანადო წესით არ დაუდგენია და არ გამოუკვლევია ქონების უმკვიდრობა;

16.8.13. უზენაესმა სასამართლომ განჩინებაში განმარტა, რომ არაერთხელ იქნებ მოპასუხის სავარაუდო უფლებამონაცვლები (ოჯახის წევრები) გაფრთხილებული სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოს ჩართვის შესახებ სადაც სამართალურთიერთობაში, თუმცა, მათი მხრიდან სამკვიდროს მიღების თაობაზე იურიდიული ინტერესი არ გამოვლენილა. კასატორს ჩარმოუდგენლად მიაჩინა ქონების უმკვიდრობის დადგენა იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს ისიც კი არ გამოუკვლევია და, შესაბამისად, საქმეში არ მოპოვება: სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ გაცემული ცნობა მოპასუხის პირველი და მომდევნო რიგის მემკვიდრეობის არსებობა-არარებობის თაობაზე; ერთადერთი მტკიცებულება, რაც სასამართლო საქმის მასალებში მოიპოვება არის ინფორმაცია, რომ მოპასუხის მეუღლე – მ. ც-ი უარს ამბობდა გზავნილის ჩაბარებაზე, იმ მოტივით, რომ იგი მეუღლესთან მის გარდაცვალებამდე გაცილებული იყო. თუმცა, სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა მხოლოდ მოცემულ ინფორმაციას, ვინაიდან აღნიშნულის დასადასტურებლად აუცილებელია არსებობდეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოდან შესაბამისი მტკიცებულება,

იმყოფებოდა თუ არა მოპასუხე გარდაცვალებისას რეგისტრირებულ ქორნინებაში და ვისთან, ანალოგიურად უნდა იყოს ინფორმაცია მისი სხვა პირველი რიგის მემკვიდრეებზე, რაც საქმეში არ მოაპოვება. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხეს არ ჰყავდა პირველი რიგის მემკვიდრეები, კანონი დასაშვებად მიიჩნევს მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე რიგის მემკვიდრეობას, რომელთა რიგებშიც არსებულ მემკვიდრეთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. არც აღნიშნული ფაქტი გამოუკვლევია სასამართლოს, არ დაუდგენია მოპასუხეს ჰყავდა თუ არა, პირველი რიგის გარდა, სხვა მომდევნო რიგის მემკვიდრეები. მეორე მხრივ, გარდა კანონით მემკვიდრეებისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს ანდერძით მემკვიდრეობას;

16.8.14. კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული წერილი ერთიან ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში ინფორმაციის არარსებობის შესახებ არ გამორიცხავს ანდერძისმიერ მემკვიდრეთა არსებობას. საქართველოს ნოტარიუსთა პალატას გააჩნია ცალკე – ანდერძების ერთიანი ელექტრონული რეესტრი, რომელშიც ინახება ინფორმაცია ნოტარიუსთან დაცული ანდერძების შესახებ, საიდანაც ინფორმაცია წარმოდგენილი არ ყოფილა. ამრიგად, სასამართლომ არც ანდერძისმიერი მემკვიდრეების არსებობა გამორიცხა. ამდენად, ქონების უმემკვიდროდ ცნობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა – კანონისმიერ და ანდერძისმიერ მემკვიდრეთა არარსებობა, საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება, რის გამოც უკვე გამორიცხულია მოპასუხის უფლებამონაცვლედ სახელმწიფოს მიჩნევა. თუმცა, ასევე უნდა დადასტურდეს მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს არ მიღება. სსკ-ის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიღლო, ხოლო თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროდ ნაწილის ფლობას ითვლება, რომ მან მთლიანად მიღლო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. მემკვიდრეთა მიერ მოპასუხის რაიმე არამატერიალური ქონების მიღება – მისი რაიმე უფლების რეალიზაციაც კასამკვიდროს მიღებად ჩაითვლება. ქონების უმკვიდროდ ცნობის დადგენამდე გამოკვლეული უნდა ყოფილიყო, ვინ გასწია გარდაცვლილის დაკრძალვისა და მასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების ხარჯები, მემკვიდრეთა მიერ ხომ არ იქნა განკარგული მოპასუხის რაიმე ქონება მისი გარდაცვალე-

ბიდან 6 თვის ვადაში (თუნდაც დაკრძალვის ხარჯების დაფარვის მიზნით), რაც გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენას შეუწყობდა ხელს;

16.8.15. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 85-ე მუხლი ჩამოთვლის (არა ამომწურავად) იმ უამრავ ფაქტსა და დოკუმენტს, რომლებიც სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლებას დაადგენდა და ბოლოს, ქონების უმკვიდროდ ცნობის საფუძველი, სხვა გარემოებებთან ერთად, მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო ქონებაზე უარის თქმაა, რომელიც სანოტარო ორგანოში უნდა გაფორმდეს (სსკ-ის მუხლი 1434), რაც ასევე არ გამოუკვლევია სასამართლოს;

16.8.16. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს ქონების, მათ შორის უმკვიდრო/მიტოვებული ქონების, ასევე სახელმწიფოსათვის გადმოცემული ქონების სახელმწიფოს საკუთრებად მიღებასთან ან/და რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, განსახილველ საქმეში, ვინაიდან ქონება უმკვიდროდ არ არის ცნობილი, სააგენტო არ წარმოადგენს მოპასუხის უფლებამონაცვლეს და შესაბამისად, სააგენტოს არც გარდაცვლილი მოპასუხის ქონება მიუღია, დაურეგისტრირებია საკუთრებად. ვინაიდან, სააგენტოს მიღებული არ აქვს ან გარდაცვლილი მოპასუხის ქონება, შესაბამისად, იგი არც მის სამკვიდრო მასაში შემავალ აქტივებსა და პასივებზეა უფლებამოსილი პირი, სააგენტო არ არის არც მოპასუხის ვალდებულებების მატარებელი, რის გამოც სააგენტოს მიმართ წარდგენილი მოთხოვნები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს;

16.8.17. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ უკიდურეს შემთხვევაშიც კი, თუკი სასამართლო არ გაითვალისწინებს სააგენტოს არც ერთ არგუმენტს და მიიჩნევს, მოპასუხის უფლებამონაცვლედ, ანუ დადგინდება, რომ მოპასუხის ქონება უმკვიდროა და რომ სააგენტო, წარმოადგენს სამკვიდრო მასის მიმღებ პირს, სასამართლოს მიერ ცალსახად უნდა განიმარტოს, რომ სსკ-ის 1484-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მი-

დებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის შესაბამისად, ამავე კოდექსის 1492-ე მუხლის შესაბამისად, უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლისას სახელმწიფო პასუხს აგებს უმკვიდრო ქონების შესაბამისი ნაწილით მამკვიდრებლის ვალებზე ისე, როგორც მემკვიდრე. ამრიგად, მას შემდეგ, რაც სათანადო საფუძვლების არსებობის დადასტურების და უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მოპასუხის ქონება ცნობილ იქნება უმკვიდროდ და სახელმწიფო ასეთ შემთხვევაში ვალდებული იქნება მიიღოს სამკვიდრო ქონება, მან მოპასუხის ვალებისათვის პასუხი უნდა აგოს მხოლოდ მიღებული სამკვიდრო ქონების აქტივის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი ნაწილით და არა მთელი თავისი ქონებით, ასევე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ვინაიდან სააგენტო ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, პასუხი აგოს სახელმწიფო ბიუჯეტშა, შესაბამისად, თავდაპირველად გამოკვლეულ უნდა იქნეს მოპასუხის რა ქონების მიმღებისა სააგენტო და შესაბამისი საფუძვლების არსებობის პირობებში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უფლებამონაცვლეს შესაძლოა დაეკისროს მიღებული უმკვიდრო ქონების – აქტივის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნაწილის შესაბამისი თანხა. შესაბამისად, აღსრულებაც შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ უმკვიდრო ქონების ნაწილის პროპორციულად (შესაძლოა დღის ნერიგში დადგესა ამ მიმართულებით სასამართლო გადაწყვეტილების განმარტებაც);

16.8.18. რაც შეეხება დავის არსებით მხარეს, ვინაიდან სააგენტოს მიერ წარდგენილია საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, სააგენტო არ ეთანხმება და ასაჩივრებს მას, როგორც ფაქტობრივი გარემოებების, ისე სამართლებრივი შეფასების ნაწილში;

16.8.19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მარტის განჩინებით ს ა ა-გენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ [საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას] და „ე“ [სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე] ქვეპუნქტების საფუძველზე (8.02.2017 №259 ცვლილების საფუძველზე სსსკ-ის 391.5-ე მუხლის ახალი რედაქცია ამოქმედდა 2017 წლის 14 მარტიდან).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ სააგენტოს საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და განჩინება შემდეგი არგუმენტაციით:

17. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონშებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზიები არაკალიფიციური და დაუსაბუთებელია.

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81; Hirvisaari v. Finland, §32).

19. კასატორის ძირითადი პრეტენზიები იმას ეხება, რომ:

19.1. განსახილველი დავა არ ითვალისწინებს მატერიალურ-სამართლებრივ უფლებამონაცვლეობას, რადგან ურთიერთობა პირადი ხასიათის არის, მხოლოდ მამკვიდრებელს (მოპასუხეს) ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალებით შეწყდა; შესაბამისად – არ არსებობს საპროცესოსამართლებრივი უფლებამონაცვლეობის საფუძვლიც;

19.2. ნებისმიერ შემთხვევაში სააგენტო არასათანადო მოპასუხეა, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს არ გამოიკვლევია სადაც ქონების უმკვიდროდ ცნობის, შესაძლო ანდერძისმიერი და კანონისმიერი (გარდა პირველი რიგის მემკვიდრებებისა, მორიგი რიგის მემკვიდრეების არსებობის თაობაზე) მემკვიდ-

რეების არსებობის საკითხი;

19.3. სადაცია ან გარდაცვლილი მოპასუხის დანაშთი სამკვიდრო ქონების უმკვიდრობა;

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 1130-ე მუხლით დადგენილია: „სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, ასევე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი სიკვდილით“. ამ მოწესრიგების საფუძველზე სამკვიდროში არ შედის ისეთი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათის გამო მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, კერძოდ, ასეთი შეიძლება იყოს: საალიმენტი უფლებები და მოვალეობები, პენსიის მიღების უფლება, მამკვიდრებლის ჯარმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება (ზიანის ანაზღაურების იმ თანხის გარდა, რომელიც მამკვიდრებელს სიცოცხლეში უნდა მიეღო) და სხვა (სსკ-ის 1328-ე მუხლი).

21. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/ განჩინებაში განმარტავს: „მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამონაცვლეობის ყველაზე გავრცელებულ სახეს სწორედ სამემკვიდრეო ურთიერთობები წარმოადგენს და ამ შემთხვევაში, მემკვიდრის პასუხისმგებლობის ფარგლები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით“ (იხ. სუსგ №ას-567-538-2015, 16.10.2015წ; შდრ. №ას-461-435-2014, 30.08.2014); „მოპასუხისაგან მოთხოვნილი ზიანი არ არის მამკვიდრებლის პირადი ხასიათის უფლება“ (იხ. სუსგ №ას-1268-1526-09, 25.05.2010 წ.). სსკ-ის 1130-ე მუხლზე მსჯელობისას, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ ისიც განმარტა, რომ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მოხმარებისათვის დაწესებული შეღავათების მიღების სადავოდ გამხდარი უფლება პირადი ხასიათის იყო, ვინაიდან მხოლოდ გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებზე ვრცელდებოდა (იხ. სუსგ №ას-305-562-08, 27.05.2008წ.). საკასაციო სასამართლოს პრაქტიკითა და დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების შეჯერების შედეგად, სსკ-ის 1130-ე მუხლის გამოყენების თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეობის სამართალში, რომელიც მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის უნივერსალურობის პრინციპს ეფუძნება, დასახელებული ნორმა, სხვებთან ერთად (მაგ. 1310-ე მუხლი – ულირსი მემკვიდრე; 1363-ე მუხლი – ანდერძის საიდუმლოება; 1484-ე მუხლი – მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა კრედიტორ-

თა წინაშე) დაცვითი ფუნქციის მატარებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ სამეცნიერო სამართლებრივ ურთიერთობებში მამკვიდრებლის ჩანაცვლებით ამ უკანასკნელის უფლება-მოვალეობებს მემკვიდრე დებულობს და მხოლოდ ისეთი უფლება-მოვალეობებისაგან იქნება თავისუფალი, რაც ცალსახად და არაორაზროვნად მამკვიდრებლის პირადი უფლების (ცალდებულების) ხასიათიდან გამომდინარებდა, მხოლოდ მისი მონაწილეობით იყო განხორციელებადი ან მისთვის იყო განკუთვნილი. აღნიშნული კი სამეცნიერო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების სამართლებრივ და ზნეობრივ დაცვით მნიშვნელობაზე მიუთითებს.

22. ზემოხსენებულ პუნქტში განვითარებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით, სრულიად ცხადია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადაც სამართლურთიერთობაში მოპასუხის მატერიალურსამართლებრივი უფლებამონაცვლეობის შესაძლებლობა დადგენილია, რაც პროცესუალურსამართლებრივი უფლებამონაცვლეობის დასაბუთებულ წინაპირობას წარმოადგენს.

23. კასატორის პრეტენზიებთან დაკავშირებით მისი, როგორც არასათანადო მოპასუხის სტატუსისა და შესაძლო მემკვიდრეთა წრის არასაკმარისად გამოკვლევის გამო, სადაც კონების უმკვიდროობის დაუსაბუთებლობის შესახებ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 1444-ე მუხლით დადგენილია სახელმწიფოს უარის დაუშვებლობა სამკვიდროს მიღებაზე „სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა“; ამ ნორმაში 09.12.2005 წელს №2239 კანონის საფუძველზე ცვლილების შეტანა შეეხო მხოლოდ სუბიექტს და სიტყვის „ხაზინის“ ნაცვლად, ჩაინერა „სახელმწიფო“. სსკ-ის 1444-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, უნინარესად, ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ დასახელებული ნორმა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილი დავის შემთხვევაში ემსახურება კრედიტორის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობის შექმნას, შესაბამისი წინაპირობების შემოწმების საფუძველზე. სსკ-ის 1444-ე მუხლის მიზნის დასაზუსტებლად საკასაციო სასამართლო განიხილავს ამავე კოდექსის 1343-ე მუხლის დეფინიციას: „1. თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამ-

კურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში. 2. უმკვიდრო ქონება სამენარმეო საზოგადოებაში ან კონპერატივში წილის, აქციის ან პას სახით გადადის მათ ხელში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. დასახელებული ნორმის პირველი ნინილის პირველი წინადადებით დადგენილია უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლის რამდენიმე დამოუკიდებელი წინაპირობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი რომელიმე წინაპირობის არსებობის შემთხვევაში ქონება უმკვიდროა და გადადის სახელმწიფოზე, შესაბამისად, სხვა შესაძლო მემკვიდრეთა მსგავსად, კანონი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ სახელმწიფომ, საკუთარი სურვილისამებრ მიიღოს ან არ მიიღოს უმკვიდრო ქონება; უმკვიდრო ქონება სახელმწიფოზე გადადის. 1343.1 მუხლის მეორე წინადადებით გამორიცხულია უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლა. 1343-ე მუხლის მე-2 წანილი კი განსაზღვრავს კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც ამავე მუხლის პირველი ნინილის პირველ წინადადებაში მითითებული ერთ-ერთი რომელიმე დამოუკიდებელი წინაპირობის არსებობისას, უმკვიდრო ქონება გადადის სამენარმეო საზოგადოებაში ან კონპერატივში ან კანონით დადგენილ შემთხვევებში შესაძლებელია გადავიდეს სახელმწიფოზე.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების [„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის გამოყენებაზე] 93-ე მუხლით დადგენილია უმკვდრო ქონების გადაცემის წესი უფლებამოსილი სუბიექტებისათვის, რაც სსკ-ით დადგენილ შემთხვევებში ხდება, აღნიშნული კი სსკ-ის 1444-ე და 1343-ე მუხლების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, სახელმწიფოს წარმოუშობს ვალდებულებას, მასზე გადასული უმკვიდრო ქონების შესახებ განცხადებით მიმართოს ნოტარიუსს, რადგან განსახილველი დავის მოპასუხის (ან გარდაცვლილი მამკვიდრებლის) მემკვიდრეებმა (სამემკვიდრეო ურთიერთობის სუბიექტებმა) არ მიიღეს სამკვიდრო (სამემკვიდრეო ურთიერთობის ობიექტი). გარდა ამისა, კანონმდებლის მიერ სსკ-ის 1444-ე მუხლში გაცხადებული ნების დასაზუსტებლად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ამავე კოდექსის 1426-ე მუხლზე: 1. სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სა-

სამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე. 2. ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევაში სამკვიდროს მიღების ვადის გამშვებ მემკვიდრეს მისი ხვედრი ქონებიდან, რომელიც სხვა მემკვიდრებმა მიიღეს, ან სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა, ნატურად მიეცემა ის, რაც შენარჩუნებულია; მას მიეცემა ასევე მისი ხვედრი ქონების დანარჩენი ნაწილის ღირებულება“ და ყურადღებას გაამახვილებს მეორე ნაწილის შინაარსზე, რომელიც ერთმანეთისაგან ტერმინოლოგიურადაც კი განასხვავებს (სსკ-ის 1343.1 მუხლის პირველი წინადადების დეფინიციის მსგავსად) მემკვიდრებს, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს და სახელმწიფოს, რომლის საკუთრებაში გადავიდა უმკვიდრო ქონება, რადგან სამკვიდროს მიმღებმა მემკვიდრემ კანონით დადგენილი ვადა გაუშვა, რაც სწორედ იმას ადასტურებს, რომ სახელმწიფოს უფლება არ აქვს უარი თქვას იმ სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა. ამდენად, სამემკვიდრეო სამართლის ნორმების სისტემური და ლოგიკური ანალიზი სხვაგვარი დასკვნის გამოტანას გამორიცხავს.

25. ყოველ კონკრეტულ სადაც სამართალურო იერთობაზე მსჯელობისას სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი დამოუკიდებელი ხელისუფლების, მოვალეობაა სამართლებრივი უსაფრთხოებისა და მხარეთა კანონის წინაშე თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტრინიებს, რომ სასამართლოს არ გამოუკვლევია შესაძლო მემკვიდრეთა (მათ შორის ანდერძისმერი) არსებობის საკითხი, ისე მიიჩნია სათანადო მოპასუხედ და საქმეში ჩართო სახელმწიფო სააგენტოს სახით. „სამართლის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოფის სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვირცობის პროცესში. სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს კანონის განვირცობის საჭიროების შემოწმებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის ინტერპრეტაციის მიზნის მისაღწევად ანუ კანონის აზრის გასაგებად, გამოიყენება განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული და სისტემური ხერხები. „გრამატიკული“ ინტერპრეტაციის მიზანია, დაადგინოს, ენობრივი თვალსაზრისით, რა მიზენელობით იხმარება კანონის სიტყვები ამ ენის მატარებელთა საზოგადოებაში და რა

მნიშვნელობით იყენებს მათ კანონმდებელი (რაინცოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, გვ.53). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მოწესრიგებასა და ოპტიმალურ დაკმაყოფილებას უნდა იწვევდეს. კანონის ინტერპრეტაცია არ ნიშნავს მხოლოდ სიტყვების მიღმა მდგომი აზრის ახსნას, არამედ იგი ნიშნავს სხვადასხვა მნიშვნელობებიდან ყველაზე სწორი და გადამნებული მნიშვნელობის შერჩევას. „ინტერპრეტაციას აქვს მსჯელობითი ხასიათი, როდესაც არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენა ხდება, რომელთაგან უკეთეს მოტივაციას უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს (რაინცოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, გვ.59). გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, ე.ი. ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში სამართლის სხვა ნორმებთან. სამართლის ნორმა ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ლოგიკურად თავსებადი იყოს უფრო მაღალი ან იგივე რანგის ნორმათა კონტექსტში“ (იხ. სუსგ წას-178-167-2017, 14.07.2017წ.).

26. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა ნანილობრივ არის დაკმაყოფილებული, ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა პელანტის შუამდგომლობა და ან გარდაცვლილი მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებას [სიღნაღის რაიონი, სოფ. ბოდბისხევი – 1) ს/კ ... და 2) ს/კ ...] დაედო ყადაღა. საქმისწარმოება არ იყო დასრულებული, როდესაც მოპასუხე გარდაცვალა, რის გამოც საქმე შეჩერდა სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (იხ. ამ განჩინების 16.3. ქვეპუნქტი). განსახილველ დავაზე გადაწყვეტილების, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, აღსრულების ხელშეწყობა სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია, რადგან კონკრეტულ დავაზე მიღწეული სამართლებრივი შედეგი, მისი რეალურად აღსრულების გარეშე, ვერ ქმნის მხარის სამართლიანი დაკმაყოფილების საფუძველს, აღნიშნული კი გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს ზრუნვის საგანია და სამართლებრივი უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი, რათა თითოეულმა მხარემ მიიღოს მართლმსაჯულების განხორციელების შედეგი არა ფორმალურად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სახით, არამედ მისი აღსრუ-

ლების გზით. „საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე. ამ კონტექსტში მნიშვნელოვნია ევროსასამართლოს გადაწყვეტილება „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებლის საჩივარი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლება, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე შპს „იზა და მაკრახიძე“ საქართველოს წინააღმდეგ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შროის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40) - იხ. სუსგ №ას-1238-1161-2015, 12.02.2016წ; შდრ. სუსგ-ები: №ას-1187-1117-2015, 05. 02.2016წ; შდრ. №ას-1132-1065-2015, 03.05.2016წ;

27. საკასაციო სასამართლოს, სსკ-ის 1444-ე მუხლის გამოყენების თაობაზე, მიზანშენონილად მიაჩნია იმსჯელოს 1343-ე მუხლში მითითებული დამოუკიდებელი წინაპირობების (იხ. ამ განჩინების 23-ე პუნქტი) შესახებ, ასევე, სსკ-ის 1424-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე: „სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან“. კანონით დადგენილი სამკვიდროს მიღების ვადა პრეკლუზიურ ვადას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ვადის გასვლა წყვეტს სამკვიდროს მიღების უფლებას. განსახილველ შემთხვევაში, შეჩერებული საკასაციო სამართალწარმოების განახლების მიზნით, მოსარჩევლის შუამდგომლობის საფუძველზე, სახელმწიფო სერვისების სააგენტოდან გამოთხოვილი ცნობით დადასტურებულია, რომ მოპასუხე გარდაიცვალა და აღნიშნუ-

ლი იურიდიული ფაქტის რეგისტრაცია განხორციელდა 2015 წლის 15 აპრილს (იხ. ამ განჩინების 16.2 ქვეპუნქტი), ამასთან, სასამართლოს მიერ საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან გა- მოთხოვილი ინფორმაციით, ან გარდაცვლილი მოპასუხის სამემ- კვიდრეო საქმის წარმოება არ მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ მითითებული ინფორმაცია საჯაროა და მისი მოძიება მამ- კვიდრებლის სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მითითებით შესაძლებელია ნოტარიუსთა პალატის ოფიციალურ საიტზე: notary.ge, სამემკვიდრეო საქმეთა რეესტრში.

28. საკასაციო სასამართლომ ან გარდაცვლილი მოპასუხის შესაძლო მემკვიდრეებს კანონით დადგენილი წესით გაუგზავ- ნა განჩინება სამკვიდროს მიღების ან ფაქტობრივად დაუფლე- ბის თაობაზე განხორციელებულ ქმედებათა შესახებ ინფორმა- ციის მოძიებისა და სავარაუდო მემკვიდრეთა გამოსავლენად, რომელთაც სასამართლოს მიერ განსახილველ დავაში უნდა გა- მოეხატათ გარდაცვლილი მამკვიდრებლის უფლებამონაცვლედ ჩართვის ან სხვა სახის ინფორმაციის მოხილების სურვილი (იხ. ამ განჩინების 16.6 ქვეპუნქტი), თუმცა, სავარაუდო მემკვიდ- რეებს არავითარი ინფორმაცია არ მიუწოდებიათ სასამართლო- სათვის, მიუხედავად იმისა, რომ მათ განემარტათ გარდაცვლი- ლი მამკვიდრებლის უფლებამონაცვლედ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს ჩართვის თაობაზე, რომელზედაც კანო- ნის ძალით გადადის უმკვიდრო ქონება.

29. საკასაციო სასამართლო კასატორის პრეტენზიის საპა- სუხოდ, რომ არ გამოკვლეულა სადავო ქონების უმკვიდროო- ბის საკითხი, განმარტავს: სსკ-ის 1424-ე მუხლით პრეკლუზუ- რი ვადის დაწესებით, კანონმდებელმა კონკრეტული ვადით შე- მოსაზღვრა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღება. აღსანიშ- ნავია ისიც, რომ მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიღონ ან არ მი- იღონ სამკვიდრო. სამემკვიდრეო სამართალი ერთმანეთისაგან მიჯნავს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას, რაც შეუქცევა- დია (სსკ-ის 1446-ე მუხლი) და სამკვიდროს მიღებისაგან თვის არიდებას. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა დასაშვებია კა- ნონით დადგენილი წესით, კერძოდ, სსკ-ის 1434-ე მუხლით აღ- ნიშნული ვადა სამ თვეს შეადგენს შესაძლო მემკვიდრისათვის იმ დღიდან, „როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მოწვე- ვის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსე- ბობისას ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე უნ- და გაფორმდეს სანოტარო ორგანოში“. საკასაციო სამართალ- ნარმოების ეტაპზე არ გამოვლენილა ან გარდაცვლილი მამ-

კვიდრებლის სავარაუდო მემკვიდრეთა ნება, როგორც ერთჯე-რადი აქტი სამკვიდროს მიღებაზე უარის შესახებ. განსახილ-ველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მსჯელობას განა-ვითარებს ან გარდაცვლილი მამკვიდრებლის სავარაუდო მემ-კვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღებაზე თავის არიდებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ან გარდაცვლილი მამკვიდრებლის სა-ვარაუდო მემკვიდრეებს შეეძლოთ მოეთხოვათ სამკვიდროს მი-ღებაზე უარის სათქმელად კანონით დადგენილი 3-თვიანი ვა-დის გაგრძელება დამატებით ორი თვით, საკასაციო სასამარ-თლოს შეფასებით, 1424-ე და 1434-ე მუხლების შინაარსის ერ-თობლივად გაანალიზებით, სამკვიდროს მიღების თავის არიდე-ბად უნდა შეფასდეს განსახილველი შემთხვევა, რაც სამკვიდ-როს მიღებაზე უარის ტოლფას ქმედებად უნდა იქნეს მიჩნეუ-ლი. ან გარდაცვლილი მამკვიდრებლის მემკვიდრეებმა საკუ-თარი კონკლუდენტური ქმედებით ფაქტიურად გამოხატეს სა-ამკვიდროს მიღებაზე უარი, რის გამოც მათ აღარ აქვთ შესაძ-ლებლობა, ჩაერთონ სამემკვიდრეოსამართლებრივ ურთიერ-თობებში. აქედან გამომდინარე, გამოვლენილია სსკ-ის 1343-ე მუხლის ერთ-ერთი დამოუკიდებელი წინაპირობა, კერძოდ, გან-სახილველ შემთხვევაში, არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო მემ-კვიდრეობა, რომელიც აქტივებსა და პასივებს მოიცავს (სსკ-ის 1328-ე მუხლი), შესაბამისად, სახელმწიფოზე გადავიდა უმ-კვიდრო ქონება, რაზედაც ეს უკანასკნელი უარს ვერ იტყვის (სსკ-ის 1444-ე მუხლი).

30. საკასაციო სასამართლო კასატორის მხოლოდ იმ მოსაზ-რებას გაიზიარებს (იხ. ამ განჩინების 16.8.17 ქვეპუნტი), რომე-ლიც ეხება სახელმწიფოს მიერ უმკვიდრო ქონების მიღების (რომელიც მოცემულ შემთხვევაში მასზე გადავიდა, რადგან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო ქონება) შემდეგ მამკვიდრებლის კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობის მოცულობასა და ფარ-გლებს, რაც კანონით იმგვარად არის დადგენილი, როგორც ამა-ზე პასუხისმგებელი იქნებოდა ან გარდაცვლილი მამკვიდრე-ბელი (მოვალე). სსკ-ის 1492-ე მუხლის თანახმად: „უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლისას სახელმწიფო პასუხს აგებს უმკვიდრო ქონების შესაბამისი ნაწილით მამკვიდრებლის ვალებზე ისე, როგორც მემკვიდრე“. ამდენად, კასატორის მო-საზრების პასუხად, რომ შესაძლოა ამ მიმართებით გადაწყვე-ტილების განმარტების საკითხი დადგეს, საკასაციო სასამარ-თლო აქვთ განმარტებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სამემკვიდ-რო-სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტად, ანუ უმკვიდ-რო ქონების მემკვიდრედ შემოვიდა სახელმწიფო, რომელზეც

გადავიდა ან გარდაცვლილი მამკვიდრებლის (მოპასუხის) სამკვიდროში შემავალი აქტივები და პასივები, შესაბამისად, სახელმწიფო, როგორც უმკვიდრო ქონების მემკვიდრე, მამკვიდრებლის კრედიტორთა წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ მიღებული აქტივის ფარგლებში და იმ მოცულობით, როგორც პასუხისმგებელი იქნებოდა ან გარდაცვლილი მამკვიდრებელი (მოპასუხე). „სამოქალაქო კოდექსის 1492-ე მუხლის გათვალისწინებით უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასცლისას სახელმწიფო პასუხს აგებს უმკვიდრო ქონების შესაბამისი ნაწილით მამკვიდრებლის ვალებზე“ (იხ. სუსგ №ას-70-66-2012, 12.03.2012.).

31. ზემოხსენებული სამართლებრივი მოტივაციით საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის შედეგად არ დაკმაყოფილდა სააგენტოს მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების თაობაზე, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის დამატებითი განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება და 11 მაისის დამატებითი გადაწყვეტილება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე

სამკვიდროს მიღებას სამკვიდრო ქონების ფაქტოპრივი დაუფლებით

განხილვა საქართველოს სახელით

№ას-62-60-2016

17 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანა,
მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-
ფუძვლები:

1.1. ქ. ხ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხა-
რე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ქ-ის (შემდგომში – მოპა-
სუხე, აპელაციური ან კასატორი) მიმართ და მოითხოვა ქ. ქუთაის-
ში, ნ-ის ქ. №...ში მდებარე, ან გარდაცვლილი ვ. ხ-ის (შემდგომში
– მამკვიდრებელი) დანაშორებულის 1/2-ის მემკვიდრედ აღია-
რება, რომელიც ფაქტობრივი ფლობით აქვს მიღებული მოსარ-
ჩელეს, მან ასევე მოითხოვა სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო
რეესტრის ჩანაწერში შესაბამისი ცვლილების შეტანა და ქონე-
ბის 1/2-ის მესაკუთრედ მოსარჩელის მითითება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: 1997 წლის 22
მარტს გარდაიცვალა მამკვიდრებელი, რომელსაც დარჩა ორი
პირველი რიგის მემკვიდრე – მოსარჩელე და მოპასუხე. დანაშ-
თი სამკვიდრო მხარეებმა მიიღეს ფაქტობრივი ფლობით, თუმ-
ცა მოსარჩელეს სამკვიდრო მოწმობა არ აუღია და ქონებაზე
საკუთრების უფლება არ აღურიცხავს საჯარო რეესტრში. 1994
წლის 14 ივნისის ანდერძით მამკვიდრებელმა ნება გამოხატა
მთელი მისი სამკვიდრო თანაბრად განაზილებულიყო მის შვი-
ლებს შორის, რომელთათვისაც ცნობილი იყო, რა ეკუთვნოდათ
სამკვიდროდან პირობითად. მოსარჩელე დედის გარდაცვალე-
ბის შემდეგ ამუშავებდა მიწის ნაკვეთს, რომელიც მას მამკვიდ-

რებელმა სიცოცხლეშივე გამოუყო, ამასთანავე, მას სამკვიდროდან მიღებული აქვს სხვადასხვა ნივთები: ბეჭედი, კაბა და სხვა წვრილმანები (გარკვეული ნივთები, რომლებიც მოსარჩეულეს უნდა წაედო დედის გარდაცვალების შემდგომ, გაანადგურა მოპასუხებმ). მოპასუხეს მიუმართავს ნოტარიუსისათვის, დაუმალავს, როგორც 1994 წლის ანდერძის, ისე მეორე მემკვიდრის არსებობის ფაქტი, ნარუდგენია 1984 წლის 5 დეკემბრით დათარიღებული ანდერძი და 1997 წლის 13 დეკემბერს მიუღია სამკვიდრო უფლების დამადასტურებელი მოწმობა, რომლის საფუძველზეც, 2008 წლის 25 ოქტომბერს სამკვიდრო ქონებაზე აღურიცხავს საჯარო უფლება საჯარო რეესტრში, რის შესახებაც მოსარჩელისათვის მოგვიანებით გახდა ცნობილი.

2. მოპასუხის პიზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხავი/განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხებ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელეს სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია, იგი არ ამუშავებდა მინის ნაკვეთს. დედის დანაშთი ქონება დადგენილი წესით მიიღო მხოლოდ მოპასუხებ, მხარეთა შორის სამკვიდროს ფაქტობრივ გაყოფაზე შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია, მათ დაახლოებით სამოცი წელია არ აქვთ ურთიერთობა, გარდა ამისა, მოსარჩელეს არც მამკვიდრებელთან ჰქონია კარგი ურთიერთობა, დედის გარდაცვალების შემდგომ საერთოდ არ მისულა მის სახლში, ხოლო მშობლების მოვლა-დაკრძალვის ყველა ხარჯი გაღებულ იქნა მოპასუხის მიერ. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ანდერძი არ არის ნამდვილი, თუმცა, მისი ნამდვილობის პირობებშიც, ის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება. სადაც სახლი აშენებულია მოპასუხისა და მისი მეუღლის მიერ, სადაც 1969 წლიდან არ უცხოვრია მოსარჩელეს. მამკვიდრებლის სახელზე თავდაპირველად რიცხული სახლი მოპასუხის მიერ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რადგანაც მხარეთა მშობლებს არ გააჩნდათ საკმარისი მატერიალური სახსრები. ნოტარიუსისათვის წარდგენილი ანდერძი კანონით დადგენილი წესითაა შედგენილი, რაც საფუძვლად დაედო სამკვიდრო მოწმობის გაცემას, მოსარჩელეს რატომლაც ოცი წლის შემდგომ გაახსენდა სამკვიდროზე უფლების არსებობა, რაც სარჩელის სანდაზმულობაზე მიუთითებს, გარდა ამისა, მის მიერ დასახელებული მოწმები არ იტყვიან სიმართლეს, რადგანაც წლების განმავლობაში მათ და მოპასუხეს შორის დავები მიმდინარეობს სასამართლოში. მოსარჩელე არ ითვალისწინებს 1997 წლამდე არსებული სამოქალაქო კოდექსის ნორმებს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა მემკვიდრედ ცნობისა და სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანის თაობაზე დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. ქუთაისში, ნ-ის ქ. №...ში მდებარე ან გარდაცვლილი ვ. ხ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების 1/2-ის მემკვიდრედ. ცვლილება შევიდა ნოტარიუს ე. გ-ის მიერ 1997 წლის 13 დეკემბერს გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში და ქ.ქუთაისში, ნ-ის ქ. №...ში მდებარე სახლის 1/2 ნაწილის მემკვიდრედ მიეთითა მოსარჩელე, ასევე, ცვლილება შევიდა საჯარო რეესტრის ჩანაწერში და ქ. ქუთაისში, ნ-ის ქ. №...ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2 საკუთრების უფლებით აღირიცხა მოსარჩელის სახელზე.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კავატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (იხ. საკასაციო საჩივრი).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს ანდერძის-მიერი (ამავდროულად, კანონისმიერი) მემკვიდრის მიერ ფაქტობრივად დაუფლების გზით სამკვიდროს მიღების კანონიერება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ქვემდგომმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მემკვიდრე ფაქტობრივად დაეუფ-

ლა დანაშთ ქონებას, რითაც მან გამოხატა ნება, მიეღო დედის ქონება. სასამართლოების მიერ დადგენილ ამ გარემოებას არ ეთანხმება კასატორი იმ დასაბუთებით, რომ სასამართლომ და-არღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები და არასაკმარისად გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები. საკასაციო საჩივრის საფუძვლების დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.1.1. ქუთაისში, ნ-ის ქ. №...ში მდებარე უძრავი ქონება ეკუთვნიდა მამკვიდრებელ ვ. ხ-ეს.

1.1.2. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 1997 წლის 22 მარტს.

1.1.3. ჟ. ხ-ე და ლ. ქ-ე არიან ვ. ხ-ის შვილები.

1.1.4. 1984 წლის 5 დეკემბრს მამკვიდრებელმა საკუთარი ქონება უანდერძა კასატორს, თუმცა, მოგვიანებით, 1994 წლის 14 ივნისს მან სამკვიდრო თანაბარნილად უანდერძა ორივე შეიძლს.

1.1.5. 1997 წლის 13 დეკემბერს კასატორმა 1984 წლის 5 დეკემბრის ანდერძის საფუძველზე აიღო სამკვიდრო მოწმობა მთელ დანაშთ ქონებაზე.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სასამართლებრივი წორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.3. როგორც უკვე აღინიშნა, საკასაციო საჩივრით შედავებულია გასაჩივრებული განჩინების დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩევემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო, რაც გამოიხატა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ მიწის დამუშავებაში, ასევე, კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ 1994 წლის 14 ივნისს შედგენილი ანდერძი ნამდვილია. ამ თვალსაზრისით წარმოდგენილ პრეტენზიებს არ იზიარებს საკასაციო პალატა შემდეგი გარემოებების გამო:

1.3.1. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მამკვიდრებელი

გარდაიცვალა 1997 წლის 22 მარტს, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე. საქმეში წარმოდგენილი შესაგებლით, გარდა იმისა, რომ სარჩელში მითითებულ გარემოებებს არ დაეთანხმა მოპასუხე, მან სადავოდ გახადა სარჩელის სამართლებრივი საფუძველი (მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება). საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია კანონის დროში მოქმედების პრინციპი და მე-3 ნაწილი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამოძლადა კარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ როგორც ანდერძის ნამდვილობის, ისე – მოსარჩელის მიერ სამკეიდროს მიღების ფაქტი 1960 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაში უნდა შემონმდეს.

1.3.2. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 551-ე მუხლი ადგენდა ანდერძის ნამდვილობის შემდეგ წესს: ანდერძი უნდა შედგეს წერილობით, მისი შედგენის ადგილისა და დროის აღნიშვნით და პირადად მოანდერძის მიერ წარედგინოს დასამოწმებლად სანოტარო ორგანოს, ხოლო იქ, სადაც სანოტარო ორგანო არ არის – სახალხო დეპუტატების სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭოს აღმასკომს. მოანდერძებ ხელი უნდა მოაწეროს ანდერძს აუცილებლად ნოტარიუსის ან სახალხო დეპუტატების ადგილობრივის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის თანდასწრებით. თუ მოანდერძე ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო თვითონ ვერ მოაწერს ხელს, შეიძლება, მისი თხოვნით ანდერძს ხელი მოაწეროს სხვა მოქალაქებ ნოტარიუსის, ხოლო იქ, სადაც სანოტარო ორგანოები არ არის, სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირის (ამ კოდექსის 552-ე მუხლი) თანდასწრებით, ამასთან, უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ თვითონ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა. საქმეში წარმოდგენილი 1994 წლის 14 ივნისს შედგენილი ანდერძი კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. იგი ხელმოწერილია არა მოანდერძის, არამედ სხვა პირის მიერ და შეიცავს დადასტურებას, რომ თავად ნების გამომხატველს არ შეეძლო ხელის მოწერა წერა-

კითხვის უცოდინრობის გამო, თავის მხრივ, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ანდერძზე ხელმოწერა ეკუთვნის ნ. გეს, დასკვნა კატეგორიული ხასიათისაა და მას ვერ გააქარნყლებს კასატორის მითითება თავად ნ. ი-ის ასული გ-ის განმარტებაზე, რომლის თანახმადაც ხელმოწერით მას მოანდერდის ნება არ დაუდასტურებია. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ სსიპ ნოტარიუსთა პალატის მიერ გაცემულ ინფორმაციაზე ანდერძის ერთიანი ელექტრონული რეესტრიდან, რომლის თანახმადაც, ანდერძის ერთიან ელექტრონულ რეესტრში არ იძებნება ჩანაწერი 1994 წლის 14 ივნისს მამკვიდრებლის სახელით დამოწმებული ანდერძის გაუქმების თაობაზე, ანდერძისმიერი მემკვიდრეები არიან მოსარჩელე და მოპასუხე. მითითებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად დაუშვეს 1994 წლის ანდერძის ნამდვილობის პრეზუმუცია, რის გამოც კასატორის მიერ ამ თვალსაზრისით წარმოდგენილი პრეტენზის გაზიარების საფუძველი არ არსებობს.

1.3.3. უდავოა ის გარემოებაც, რომ კასატორმა მემკვიდრეობის უფლების მოწმობა 1984 წლის 5 დეკემბერს შედგენილი ანდერძის საფუძველზე მიიღო. ამ ფაქტის სამართლებრივი შეფასებისათვის საკასაციო პალატა მოიხმობს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 553-ე მუხლს, რომლითაც დადგენილია მოანდერძის უფლება, ნებისმიერ დროს შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი. ნორმის მე-2 აბზაცის თანახმად, შემდგომი ანდერძი აუქმებს ადრინდელს მთლიანად ან მის იმ ნაწილს, რომელიც ახალ ანდერძს ენინაალმდეგება. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 1994 წელს შედგენილი ანდერძით გაუქმდა 1984 წლის ანდერძი იმ ნაწილში, რომლითაც მთელი ქონება კასატორს ეანდერძა, რადგანაც ახალი საანდერძო განკარგულებით მამკვიდრებელმა სამკვიდროს $\frac{1}{2}$ დაუტოვა მოსარჩელეს, თავის მხრივ, ეს გარემოება იძლევა დასკვნის საფუძველს იმისათვის, რომ მოპასუხის მიერ ახალი სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში მიღებული უფლების დამდგენი დოკუმენტი არანამდვილი ნების საფუძველზეა გაცემული და მას, როგორც ცალმხრივად გამოვლენილ ნებას (სკ-ის 50-ე მუხლი), მოქმედი სამოქალაქო კოდექსის პირობებში, იურიდიული ძალა არ გააჩნია (სკ-ის 54-ე მუხლი).

1.3.4. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს, ამ თვალსაზრისით სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლზე, რომელიც სამკვიდ-

როს მიღების იურიდიულ შედეგს განსაზღვრავდა, კერძოდ, იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდრისა გახდეს, მან უნდა მიიღოს იგი. არ შეიძლება სამკვიდროს მიღება რაიმე პირობების წამოყენებით. სამკვიდრო მიღებულად ითვლება თუ მემკვიდრე ფაქტიურად შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე, როდესაც იგი შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ. ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული მოქმედებები შესრულებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიდის იმ დასაკვნამდე, რომ მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭირო იყო მემკვიდრეს ნამდვილი უფლების საფუძველზე განეხორციელებინა ნივთზე ბატონობა, რაც მიანიშნებდა, რომ მან გამოხატული ნების ფარგლებში ქონება თავისად მიიჩნია ან უფლების მოსაპოვებლად უნდა მიემართა სანოტარო ბიუროსათვის, თუმცა, როგორც ერთი, ისე – მეორე ქმედების შედეგად საკუთრების წარმოშობისათვის სავალდებულო იყო კანონისმიერი ვადის დაცვა, რომელიც 6 თვეს შეადგენდა.

1.3.5. სარჩელის თანახმად, უ. ხ-ემ დედის სამკვიდროდან მიიღო გარკვეული ნივთები: ბეჭედი, კაბა და სხვა წვრილმანები, ასევე დაუუფლა მინის ნაკვეთს, ამუშავებდა მას, იღებდა მოსავალს (ხილს). საქმეში არსებული შესაგებლით მოპასუხემ სადაცვოდ გახადა მოსარჩელის განმარტება მიწის დამუშავების გზით სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების თაობაზე, ხოლო სამკვიდროდან გარკვეული ნივთების მიღებას იგი არ შედავებია. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმადაც, მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ. ამავე მუხლის მე-4 ნაწილით კი, დაგენოლია, რომ პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუ-

მენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შესარულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. ამ ნორმის დებულებას აზუსტებს ამავე კოდექსის 219-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილი უკრძალავს მხარეს იმ გარე-მოებებზე მითითებას რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითი-თებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტა-დიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დრო-ზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცე-ბის საგნის სწორად განსაზღვრის შემდეგ სასამართლომ ერთმა-ნეთისაგან უნდა გამიჯნოს სადავო და უდავო გარემოებები, უდავო გარემოება ისეთი ფაქტობრივი აღნერილობაა, რომელ-საც მოპასუხე ეთანხმება ან საერთოდ არ პასუხობს. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მოპასუხეს დედის სამკედ-როდან მოსარჩელის მიერ გარკვეული ნივთების დაუფლება სა-დავო არ გაუხდია, რაც ამ ფაქტის უდავოდ მიჩნევის წინაპირო-ბაა და მის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება საკასაციო სასამართლოში მხარის მიერ ამ კუთხით წარმოდგე-ნილი პრეტენზიები. რაც შეეხება მინის დამუშავების თაოპაზე კასატორის მსჯელობას, პალატის მოსაზრებით, ამ შემთხვევა-ში ქვემდგომი სასამართლოები სწორად დაეყრდნენ მოწმეთა ჩვენებებს. პალატა განმარტავს, რომ მატერიალური სამართლის არც ერთი ნორმა სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქ-ტის დადასტურების სპეციალურ სტანდარტს არ ადგენს, შესა-ბამისად, გამოყენებულ უნდა იქნას საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც დასაშვებ მტკიცებულებად, მათ შორის მოწმის ჩვენებასაც მიიჩნევს, თავის მხრივ, ამავე კოდექსის 140-ე მუხლი მოწმედ განიხილავს ნებისმიერ პირს, რომელსაც შესაძლებელია, გააჩნდეს რაიმე ინფორმაცია სადა-ვო გარემოების შესახებ. მოწმის ჩვენების შეფასებისას სასა-მართლო მას იკვლევს, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რა დროსაც, ბუნებრივია, მნიშვნელობა ენიჭება, როგორც სუბიექტურ, ისე – ობიექტურ ფაქტორებს, მათ შორისაა მოწმის უნარი, აღიქვას ფაქტები და სწორად გადმოსცეს ისინი, მისი დამოკიდებულება მოდავე მხა-რებისა და გარემოებების მიმართ, ასეთ დროს მოწმდება ჩვე-ნების იურიდიული სანდოობა და, ბუნებრივია, შეფასების პრო-ცესუალურ საფუძველს 105-ე მუხლი წარმოადგენს.

1.3.6. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სარწმუ-ნოდ ვერ მიიჩნევს შემდეგი მოწმეების: მ. ჩ-ის (იგი კონკრეტულ პერიოდს, როდის შეიტყო მოსარჩელის მიერ სამკვიდროს და-

უფლება, ვერ ადასტურებს), ლ. ხ-ის, მ. ხ-ის (აწარმოებდნენ და-
 ვას სასამართლოში ლ.ქ-ესთან), გ. ქ-ისა (აღნიშნული მოწმე მო-
 პასუხის მეუღლეა, შესაბამისად, დაინტერესებულია საქმის შე-
 დეგით) და მ. ქ-ის (მოპასუხე არის მისი ბიცოლა, ამასთანავე,
 მოწმე ადასტურებს, რომ არ იმყოფებოდა საქართველოში, ანუ
 არ არის მის მიერ გადმოცემული გარემოებების თვითმხილვე-
 ლი) ჩვენებები. რაც შეეხება მოწმე ჯ. ბ-ის ჩვენებას, სასამარ-
 თლო მას სარწმუნოდ მიიჩნევს, რამდენადაც მოწმე, მართალია,
 მოსარჩელის კურსელია, თუმცა, იგი ხანგრძლივი დროის გან-
 მავლობაში ცხოვრობდა მხარეთა სახლში, კარგად იცნობს, რო-
 გორც მოდავე სუბიექტებს, ისე მათ ოჯახს. მოწმე ადასტურებს
 ისეთ გარემოებებს, რომლებიც სამკვიდროს დაუფლების ფაქტს
 სარწმუნოს ხდის (მოსარჩელე, მეუღლის დახმარებით უვლიდა
 მინას, იღებდა მოსავალს, მოწმის ჩვენებით, იგი ეხმარებოდა
 მას სამეურნეო საქმიანობაში, მან შემოღობა მინის ნაკვეთი,
 სადაც მოპასუხისგან მალულად უწევდა მისვლა დებს შორის
 არსებული უთანხმოების გამო). მოწმე ჯ. ქ-ი ასევე ადასტურებს
 მოსარჩელის მიერ მიწით სარგებლობას (იგი მოპასუხის შეილის
 მასწავლებელია), მართალია, მოწმე მოსარჩელის მონათხრობს
 გადმოსცემს (თავად არ დახმარებია მიწის დამუშავებაში), თუმ-
 ცა სხვა მოწმეთა ჩვენებისაგან ეს ჩვენება შინაარსობრივად არ
 განსხვავდება, სწორედ ამ კუთხითაა იგი მნიშვნელოვანი მტკი-
 ცებულება. მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღებას ადასტუ-
 რებს მოწმე ნ. მ-ი, რაც შეეხება ი. ხ-ისას ჩვენებას, რომელიც
 სადავო მისამართზე მდებარე ერთ-ერთი უძრავი ქონების მე-
 საკუთრეა და სასამართლოს ნინაშე მოპასუხის შუამდგომლო-
 ბით ნარსდგა, მან დაადასტურა, რომ 90-იანი წლებიდან რამდე-
 ნიმე წელი ხედავდა მოსარჩელესა და მის მეუღლეს, რომლე-
 ბიც უვლიდნენ მინის ნაკვეთს, ხოლო ჩვენების მიცემის დროი-
 სათვის ნაკვეთს უვლიდა მოპასუხე. მოწმეს არ ახსოვს მამკვიდ-
 რებელი როდის გარდაიცვალა, თუმცა მისი გარდაცვალების შემ-
 დეგ არ უნახავს მოსარჩელე, აქევე მოწმე ადასტურებს, რომ სახ-
 ლის მშენებლობისას სადავო მიწის ნაკვეთზე არსებული წყლის
 მიღები ითხოვა მოსარჩელისგან და დაუბრუნა ქ.ხ-ეს იმავე მი-
 ნის ნაკვეთზე. რაც შეეხება მოწმე ბ. ძ-ას ჩვენებას, საკასაციო
 სასამართლო მას არ იზიარებს იმ საფუძვლით, რომ მოწმის გან-
 მარტებით, იგი მეზღვაურია და 5-7 თვე არ იმყოფებოდა ქუთა-
 ისში. ამდენად, მოწმეთა ჩვენებების სხვა მტკიცებულებებითან
 ერთობლივად შეფასებით საკასაციო პალატა არ იზიარებს კა-
 სატორის პრეტენზიას საპროცესო ნორმათა დარღვევის თაო-
 ბაზე და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინების დასკვნები

სრულად ემყარება მტკიცებულებათა გამოკვლევის საპროცესო სტანდარტს.

1.4. პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოპასუხის არგუმენტს სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე და განმარტავს, რომ, როგორც გასაჩივრებული განჩინებითა დადგენილი, უფლებამოსილი პირი სამეცნიერო კანონით გათვალისწინებულ ვადაში დაეუფლა ფაქტობრივი ფლობით (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის მე-3 აბზაცი), შესაბამისად, იგი გახდა ქონების მესაკუთრე/თანამესაკუთრე, ასეთ შემთხვევაში კი, ხანდაზმულობაზე მითითება ვერ გახდება სარჩელის დაქშაყოფილების შემაფერხებელი წინაპირობა, რამდენადაც სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლით (რომელიც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ადგენს) თავად სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი განმარტებულია, როგორც საერთო ვადა უფლების დაცვისა. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მიერ განხორციელებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედების სასამართლოს მხრიდან აღიარება, რაც კასატორის არგუმენტის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს.

1.5. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები, ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

2.1. საკასაციო სასამართლოს №... განცხადებით მომართა ლ.ქ-ემ და წარმოადგინა მტკიცებულებები: ნ.გ-ის განცხადების, საჯარო რეესტრის ამონანერის, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.11.2010წ. №ას-716-671-2010 განჩინების ასლები 8 (რვა) ფურცლად.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია

სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, მით უფრო ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული იმ მტკიცებულებათა წარდგენა, რაც საქმის მასალებში ისედაც მოიპოვება. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა დაუბრუნდეს ლ. ქ-ეს.

3. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, გადახდილი ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 104-ე, 407-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. კასატორს დაუბრუნდეს №... განცხადებაზე დართული მტკიცებულებები: 6. გ-ის განცხადების, საჯარო რეესტრის ამონანერის, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონმბისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.11.2010წ. №ას-716-671-2010 განჩინების ასლები 8 (რვა) ფურცლად.

4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

გადაცემის მიღება საქართველოს სახელით

№ას-283-268-2017

7 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობისა და ჩუქების ხელშეკრულების ნაწილობრივ გაუქმება, სამკვიდროდან წილის მიკუთვნება

აღნერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. გ. ს-მა და მ. ს-ემ (შემდგომში – მოსარჩელები, აპელანტები ან კასატორის მოწინააღმდეგე მხარეები) სარჩელი აღძრეს სასამართლოში ლ. ს-ის, ფ. ს-ისა და გ. მ-ის მიმართ და მოითხოვს:

- 1990 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი გ. ს-ის დანაშთ ქონებაზე ნოტარიუს თ. გ-ის მიერ 2008 წლის 18 იანვარს ლ. ს-ის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მოწმობის 1/3 ნაწილში გაუქმება;
- ლ. ს-ესა და გ. მ-ს შორის 2014 წლის 23 ივნისს დადებული ჩუქების ხელშეკრულების 1/3 ნაწილში გაუქმება;
- გ. მ-ის საკუთრებად რიცხული, ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №60-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ №...) 1/2-ის 1/3 ნაწილის მესაკუთრედ მოსარჩელების ცნობა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელები ბ. გ-ს დე ს-ის შვილები არიან. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეებს მემკვიდრეობითი ტრანსმისიით ეკუთვნით სადაცო ქონება, როგორც წილი მათი ან გარდაცვლილი მამისა. 1992 წლის 23 ნოემბერს გარდაიცვალა მოსარჩელეების მამა, რომელმაც მიიღო, თუმცა, ვერ გაიფორმა 1990 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი მამის – გ. ს-ის სამკვიდრო, თავის მხრივ, გ. ს-ემ მიიღო და სიცოცხლეში ვერ გაიფორმა 1984 წლის 18 იანვარს გარდაცვლილი დედის – ლ. ს-

ის სამკვიდრო ქონება. მოსარჩელების მიმართ იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათებით, ასევე, პირადობის მოწმობებით დასტურდება, რომ ისინი რეგისტრირებული არიან სადაც ქონებაში და მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ შეუდგნენ სამკვიდრო ქონების ფლობას. ამ ფაქტს ადასტურებს მოსარჩელეთა დაბადების მოწმობებიც. ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №60-ში მდებარე უძრავი ქონება შედგება 450 კვ.მ მინის ნაკვეთის, №1, №2, №3 და №4 შენობა-ნაგებობებისაგან, რომელიც ორ თანაბარ წილად გაიყო და ქონების 1/2 მიიღეს ლ. ს-ის შეილის – გ. ს-ის შეილებმა, ხოლო დარჩენილი 1/2-მოსარჩელების მამიდა – ლ. ს-ემ 2008 წლის 11 იანვარს. ლ. ს-ის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქონება (მთლიანი ქონების 1/2), კანონის თანახმად სამ თანაბარ წილად უნდა გაყოფილიყო, ვინაიდან მამკვიდრებელ გ. ს-ეს ჰყავდა მეუღლე და ორი შეილი. მოსარჩელების მამა, მამის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში გარდაიცვალა და მას სამკვიდროს მიღების თაობაზე ნოტარიუსისათვის არ მიუმართავს, ხოლო ლ. ს-ემ ნოტარიუსს მოსარჩელების მამის გარდაცვალების შემდეგ – 2008 წელს მიმართა, რომელმაც დამალა მოსარჩელების არსებობა და ქონება საკუთრებაში ერთპიროვნულად მიიღო. მოსარჩელებსა და ლ. ს-ეს, ასევე, ბებიას – ფ.-ს-ეს ჰქონდათ კარგი ურთიერთობა და ნდობის გათვალისწინებით სამკვიდრო ქონების დროულად გაფორმება არ მომხდარა, მოგვიანებით, როდესაც ურთიერთობა დაიძაბა, მათ მიაკითხეს ნოტარიუსს, რა დროსაც ცნობილი გახდა, რომ მთელი სამკვიდრო ქონება მხოლოდ მამიდას მიუღია. მოგვიანებით, ლ. ს-ემ მთელი ქონება აჩუქა საკუთარ შეილს – გ. მ-ს.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. ფ. ს-ემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელები 1988 წლიდან აღარ ცხოვრობენ სადაც მოსამართზე, ისინი დედასთან გადავიდნენ საცხოვრებლად და მას შემდეგ ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №60-ში არ უცხოვრიათ. 1992 წელს მოსარჩელეების დედამ – ე. ქ-მა სახლიდან გამოაგდო მოსარჩელეების მამა, რომელიც 1992 წლის 12 ნოემბერს გარდაიცვალა და მას შემდგომ ოჯახს ფორმალური ურთიერთობაც არ ჰქონია, ისინი არც გარდაცვლილი პაპისა და არც მისი დედის სამკვიდროს დაუფლებიან. მოპასუხის განმარტებით, მას სამკვიდრო ქონება საკუთრებაში არ მიუღია, შესაბამისად, არ წარმოადგენს პირს, რომელმაც პასუხი უნდა აღოს სარჩელზე;

2.2. ამავე გარემოებებზე მითითებით, არ ცნო სარჩელი ლ. ს-ემაც და დამატებით განმარტა, რომ მოსარჩელეთა მშობლები

განქორწინებულები იყვნენ, მათი დედა ქორწინებაში სხვა პირთან იმყოფებოდა და ბ. ს-ის დაკრძალვაზეც არ ყოფილა. ის ფაქტი, რომ მოსარჩელები სადაცო მისამართზე აღარ ცხოვრობდნენ, დასტურდება სკოლიდან მათი გადაყვანის შესახებ ცნობებით, ასევე, მოწმეთა ჩვენებით. მ. ს-ეს, რომელსაც 25 წლის ასაკში ჰყავდა ორი შვილი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ გააჩნდა და რეგისტრაციის მიზნით, 2005 წელს ლ. ს-ემ ჩანსრა ბ-ის ქ. №60-ში, რაც შეეხება მეორე მოსარჩელეს, ის ათ წელზე მეტია, რაც ირლანდიაში ცხოვრობს და გადაკეთებული აქვს გვარი (არის ს-ი). რეგისტრაციის, ასევე, გ.ს-ისათვის მოქალაქეების გაუქმების თხოვნით მოპასუხეს მიმართული აქვს იუსტიციის სამინისტროსათვის;

2.3. გ. მ-მა ასევე არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ ლ. ს-ემ მიიღო არა გ., არამედ – ლ. ს-ის სამკვიდრო. მოსარჩელები კი, არც ლ., არც გ. და არც ბ. ს-ის სამკვიდროს არ დაუფლებიან. დღეისათვის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის მოპასუხეს. შესაგებლის თანახმად, ქონების საკუთრებაში მიღებისას იგი იყო კეთილმოუწყობელი, შედგებოდა ორი ოთხისაგან, არ გააჩნდა ლობე და მინიმალური საძირკველიც კ. მშობლების განქორწინების შემდგომ (1988წ.) მოსარჩელებს სადაცო სახლში არ უცხოვრიათ, მათ აქვთ ნათესავური კავშირი, გ. მ-ს სურდა გ. ს-ის საქართველოში დასაქმება, მანვე საკუთარ კომპანიაში ტვირთების გადამზიდავად დააწყებინა მუშაობა მ. ს-ის მეულლეს, ჰქონდა სოლიდური შემოსავალი, თუმცა შემცირების შემდგომ მხარეთა შორის ურთიერთობა დაიძაბა და ვითომდა ლ. ს-ის მიერ ქონების მითვისების თაობაზე საგამოძიებო ორგანოს მიმართა მოსარჩელემ.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელაციების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით საა-

ბელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ნოტარიუს თ. გ-ის მიერ 2008 წლის 18 იანვარს გაცემული სამკვიდრო მონაბირი 1990 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი გ. ს-ის სამკვიდრო ქონების 1/3 ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი ლ. ს-ესა და გ. მ-ს შორის 2014 წლის 23 ივნისს დადებული ჩუქების ხელშეკრულება ნაჩუქარი ქონების 1/3 ნაწილში და მ. ს-ე და გ. ს-ი ცნობილ იქნენ ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №60-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №...) გ. ბ-ის საკუთრებაში რიცხული 1/2-ის 1/3 ნილის შესაკუთრედ.

6. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. ნორმის მე-2 ნაწილი გვთავაზობს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, თუ რა განიხილება სამართლის ნორმის დარღვევად, მათ შორისაა, სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამჯუბნებელი ნორმის არასწორი გამოყენება/განმარტება, ხოლო, შე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის წესების დარღვევა მაშინ გახდება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლი, თუკი ამ დარღვევის შედეგად არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი საქმეზე.

1.2. წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს არასრულწლოვნის მიერ სამკვიდროს მიღების, ასევე, სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების კანონიერება წარმოადგენს, საკითხის კვლევის მიზნით, პალატა ასევე შეჩერდება პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადას-

ტურქისა და პირობებზე, რამდენადაც სააპელაციო სა-სამართლომ სარჩელის საფუძვლიანობა ძირითადად იმ დასა-ბუთებით გაიზიარა, რომ მემკვიდრეები სამკვიდროს დაეუფ-ლნენ ფაქტობრივი ფლობით, რამაც მოსარჩელებს სადავო ქო-ნებაზე საკუთრების უფლება წარმოუშვა.

1.3. კასატორები არ ეთანხმებიან გასაჩივრებული გადაწყვე-ტილების დასკვნებს და პრეტენზიას აცხადებენ სასამართლოს მხრიდან, როგორც მატერიალური სამართლის ნორმათა, ისე – საპროცესო დანაწესების დარღვევაზე და ამ გზით სარჩელის არასწორად დაკმაყოფილებაზე.

1.4. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორების ხსენებულ არგუმენტებს და მათი საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით ყურადღებას გაამახვილებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნე-ლობის მქონე, ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ შემ-დეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.4.1. ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №60 -ში მდებარე უძრავი ქონება 1962 წლის 13 აპრილის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე აღი-რიცხა ლ. ს-ის საკუთრებაში;

1.4.2. ლ. ს-ე გარდაიცვალა 1984 წლის 18 იანვარს. მას დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე – შვილები: გ. ს-ე და ვ. ს-ე;

1.4.3. გ. ს-ე გარდაიცვალა 1990 წლის 8 თებერვალს. მას დარ-ჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე – მეუღლე ფ. ს-ე, შვილები: ბ. ს-ე და ლ. ს-ე;

1.4.4. ბ. ს-ე ფაქტობრივად დაეუფლა მამის – 1990 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი გ. ს-ის დანაშა სამკვიდრო ქონე-ბას, ცხოვრობდა რა მისი გარდაცვალების დროისათვის ქ. თბი-ლისში, ბ-ის ქ. №60 -ში მდებარე საცხოვრებელ სახლში;

1.4.5. ბ. ს-ე გარდაიცვალა 1992 წლის 23 ნოემბერს. მოსარჩე-ლები მ. ს-ე და გ. ს-ი არიან ბ. ს-ის პირველი რიგის მემკვიდრე-ები – შვილები;

1.4.6. 2008 წლის 18 იანვარს ნოტარიუს თ. გ-ის მიერ, ლ. ს-ის სასარგებლოდ, 1990 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი გ. ს-ის სამკვიდრო ქონებაზე (რომელიც მოიცავს 1984 წლის 18 იან-ვარს გარდაცვლილი ლ. ს-ის ქონების ნაწილს – ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №60 -ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ №...) 1/2-ს) გაიცა სამკვიდრო მოწმობა, რომლის საფუძველზეც სამკვიდრო ქო-ნება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ლ. ს-ის სახელზე. სამკვიდრო ქონების 1/2 ნაწილი დარჩა ღიად;

1.4.7. 2011 წლის 17 ივნისს ნოტარიუს თ. გ-ის მიერ ლ. ს-ის მეორე შვილის – ვ. ს-ის შვილების: ლ., ზ., ა., თ. და ი. ს-ეების სასარგებლოდ გაიცა სამკვიდრო მოწმობა ქ.თბილისში, ბ-ის

ქ.№60-ში მდებარე უძრავი ქონების ღიად დარჩენილ 1/2 ნილ-ზე;

1.4.8. 2014 წლის 23 ივნისს ლ. ს-ემ მემკვიდრეობით მიღებული, ქ. თბილისში, ბ-ის ქ.№60-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნილი აჩუქა შვილს – გ. მ-ს;

1.4.9. 2014 წლის 12 დეკემბერს მ. ს-ემ და გ. ს-ემ (ამჟამად ს-ი) განცხადებით მიმართეს ნოტარიუს თ. გ-ს 1990 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი გ. ს-ის დანაშთი სამკვიდრო ქონებიდან განმცხადებლების მამის – ბ. ს-ის კუთვნილ წილზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნით. 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით განმცხადებლებს უარი ეთქვათ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე იმ მოტივით, რომ ლ. ს-ის სამკვიდრო მასაზე უკვე გაცემული იყო სამკვიდრო მოწმობები;

1.4.10. გ. ს-ე (ამჟამად ს-ი) ქ. თბილისი, ბ-ის ქ.№60-ში რეგისტრირებული იყო 1995 წლიდან, ხოლო მ. ს-ე – 2005 წლიდან. 2015 წლის 15 მაისს მოსარჩელეები მოხსნილ იქნენ რეგისტრაციიდან საცხოვრისის მესაკუთრის – გ. მ-ის განცხადებით;

1.4.11. გ. ს-ე (ამჟამად ს-ი) და მ. ს-ე – 1988 წლის 16 სექტემბრამდე სწავლობდნენ საბურთალოზე მდებარე №... საშუალო სკოლაში, ხოლო, 1988 წლის 16 სექტემბრის №14 პრძანების საფუძველზე, ამოირიცხნენ დიდ დილომში მდებარე №... საშუალო სკოლაში გადასვლის გამო;

1.4.12. მ. ს-ე 1998 წლის 3 ოქტომბერს დაოჯახდა.

1.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშევები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებული გარემოებები საკასაციო პალტის წინამდებარე გადაწყვეტილებისათვის სავალდებულო ძალის მქონეა, რამდენადაც მხარეთა მიერ არ არის შედავებული, არამედ, როგორც აღინიშნა კასატიონთა ძირითადი პრეტენზიები მიმართულია მოსარჩელეების მხრიდან სამკვიდროს ფაქტორივად დაუფლების ფაქტის მიმართ.

1.6. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღება წარმოადგენს მემკვიდრის უფლებას და არა ვალდებულებას და სამკვიდროზე საკუთრების უფლების წარმოშობა კანონით გათვალისწინებული იმპერატიული დანაწესების განუხრელ დაცვაზეა დამოკიდებული. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი ადგენს სამკვიდროს მიღების წესსა და პირობებს და განსაზღვრავს, თუ რა ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად. ნორმის

მე-2 ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ორი წესია შემოთავაზებული: ა) როდესაც მემკვიდრე განცხადებით მიმართავს სანოტარო ბიუროს სამკვიდროს მიღების თაობაზე; ბ) მემკვიდრე ფაქტობრივად დაეუფლება სამკვიდროს/მის ნაწილს – განახორციელებს იმგვარ იურიდიულ მოქმედებებს, რაც მისი მხრიდან სამკვიდროს მიღებად განიხილება. ანუ სამკვიდროს მისაღებად, საჭიროა, როგორც მოსარჩელის ცალმხრივი ნების არსებობა, ისე – ამ ნების გარეგანი ფორმირება (თანხვედრა) კანონით დადგენილი წესით. ბუნებრივია, როგორც ერთი, ისე – მეორე ქსედება სამართლებრივი ძალის მატარებელია მაშინ, თუ იგი ამავე კოდექსის 1424-ე მუხლით გათვალისწინებულ 6-თვიან ვადაში განხორციელდა.

1.7. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელები მამის გარდაცვალების დროისათვის იყვნენ არასრულწლოვნები, მ. ს-ე იყო 12 წლის, ხოლო, გ. ს-ი – 15 წლის, შესაბამისად, დღის წესრიგში სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სწორად დადგა საკითხი იმის თაობაზე, შეეძლოთ თუ არა არასრულწლოვნა მემკვიდრეებს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება მაშინ, როდესაც დადგენილია, რომ მემკვიდრეები ცხოვრობდნენ დედასთან და არა მამკვიდრეებელთან. მოქმედი კანონმდებლობა ამ ვითარებაში საკითხის გადაწყვეტის იმგვარ წესს გვთავაზობს, როდესაც არასრულწლოვნის ნაცვლად სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების ნარმომაშობი მოქმედებების განხორციელება ეკისრება მის კანონიერ ნარმომადგენელს (სკ-ის 1422-ე მუხლი). ამგვარ ნარმომადგენლად, მოცემულ შემთხვევაში, გვევლინებოდა მოსარჩელეთა დედა (სკ-ის 1198-ე (6) მუხლი), თუმცა, უდავოა, რომ მას პ. ს-ის გარდაცვალებიდან 6-თვიანი ვადის დაცვით არ განუხორციელებია სამკვიდრო ქონებაზე შვილების საკუთრების უფლებანარმომაშობი კანონით გათვალისწინებული არც ერთი მოქმედება.

1.7.1. საკასაციო პალატა არასრულწლოვნის/შეზღუდულ-ქმედუნარიანი პირის მიერ სამკვიდროს მიღების წესთან მიმართებით ყურადღებას გაამახვილებს დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაზე. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც დადგენილი იყო მემკვიდრის შესაძლებლობის შეზღუდვის ფაქტი, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1422-ე მუხლი უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის 1198-ე მუხლთან მჭიდრო კავშირში, რომლის მე-4 ნაწილით იმპერატორულადაა განსაზღვრული მშობლების (მშობლის), როგორც კანონიერი ნარმომადგენლების ვალდებულება, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი

შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩელის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სამკვიდროს ვადის გაშვებას არასაპატიოდ მივიჩნევდით, მაინც იარსებებდა მოთხოვნის დაქმაყოფილების საფუძველი, რადგანაც არასრულნლოვანი, მით უფრო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, საკუთარი უფლებების დაცვას ვერ შეძლებდა იმ შემთხვევაში, თუ კანონიერი წარმომადგენელი დაარღვევდა მისი ქონებისადმი გულისხმიერების ვალდებულებას (იხ. სუსგ №ას-4-4-2016, 11 ივლისი, 2016 წელი). ამავე საქმეში საკასაციო სასამართლო ყურადღება გაამახვილა იმგვარ გარემოებებზე, როგორიცაა, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლება და აღნიშნა, რომ მსგავსად სხვა ძირითადი უფლებებისა, იგი არ არის აბსოლუტური და ამავე ნორმის მე-2 პუნქტით ამ უფლებაში ჩარევა დაშვებულია კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძვლით. მემკვიდრეობის გზით ქონების მიღებისა და საკუთრების მოპოვების სპეციალურ წესს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი, კერძოდ, პირი, რომელიც კანონით დადგენილ მოთხოვნებს შეასრულებს, ხდება ქონების სრულუფლებიანი მესაკუთრე სამკვიდროს გახსნის მომენტიდან (სკ-ის 1451-ე მუხლი), თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი წარმოადგენს საკუთრების უფლებაში ჩარევის იმ საკანონმდებლო გამონაკლისის კერძო შემთხვევას, როდესაც მესაკუთრეს, როგორც მემკვიდრეს, შეიძლება, ჩამოერთვას საკუთრება. მოხმობილი განმარტებებიდან გამომდინარე (რომელიც ზედმინევნითაა ასახული გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშიც), საკასაციო პალატა დასაშვებად მიიჩნევს შემთხვევას, როდესაც არასრულნლოვანი მემკვიდრის კანონიერი წარმომადგენელი არღვევს მის ქონებრივ უფლებებს და არ იღებს სამკვიდროს, მემკვიდრემ სრულნლოვანების მიღწევის შემდგომ მოახდინოს საკუთარი ქონებრივი უფლებების დაცვა. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით განსაზღვრულ „არასრულნლოვნის საუკეთესო ინტერესების“ გამოვლენა-დაცვის აუცილებლობაზე (იხ. კონვენციის პრეამბულა, ასევე, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი), თუმცა გასაზიარებელია კასატორის პრეტენზია კონვენციის სუბიექტებთან მიმართებით, რამდენადაც მისი პირველი მუხლის თანახმად, ნინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი, სანამ 18 წლის

ასაკს მიაღწევდეს, თუ კანონით, რომელიც ამ ბავშვისადმი გა-
მოიყენება, ის უფრო ადრე არ აღწევს სრულნლოვანებას.

1.7.2. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების გამოტანისას
იხელმძღვანელა რა ზემოხსენებული კონვენციით, ასევე, სხვა
საერთაშორისო აქტებით აღიარებული ბავშის უფლებების დამ-
ცავი მექანიზმებით, მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება,
თუ რა ასაკიდან შეუდგნენ მოსარჩელები საკუთარი ქონებრი-
ვი ინტერესების დაცვას. საკასაციო სასამართლო სრულად იზი-
არებს ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს სულისკვეთე-
ბას არასწრულნლოვნის ინტერესების, მათ შორის, ქონებრივი
ინტერესების დაცვის თვალსაზრისით და აღიარებს მას, რო-
გორც წარუულ ღირებულებას დემოკრატიულ საზოგადოება-
ში, რაზეც მეტყველებს, ერთი მხრივ, ეროვნული კანონმდებ-
ლობით დადგენილი დანაწესები (სკ-ის 1422-ე მუხლი), ხოლო,
მეორე მხრივ, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა (იხ. სა-
მოტოვაციო ნაწილი 1.7.1. პუნქტი) და მხედველობაში იღებს მათ
შორის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილ გადაწყვე-
ტილებას (Case of S.L. ans J.L. vs. Croatia), სადაც ხაზი აქვს გასმუ-
ლი არასრულნლოვნის უფლების უპირატესობას ყველა გადაწ-
ყვეტყილებაში, რომელიც ბავშვს უკავშირდება, თუმცა, რო-
გორც აღინიშნა, მსგავსი მიღებობა გამართლებულია მაშინ, რო-
დესაც მოდავე სუბიექტი არასრულნლოვანია. ამ თვალსაზრი-
სით საკასაციო სასამართლო დამატებით მოიშველიებს ეროვ-
ნულ სასამართლო პრაქტიკასაც. სამკვიდროს მიღების კანო-
ნით გათვალისწინებული ვადის გადაცილების მიზეზის საპატი-
ოობა გულისხმობს იმ ვადის საპატიობს შეფასებას, რითაც გა-
დაცილებულია სამკვიდროს მიღებისათვის კანონით გათვალის-
წინებული ვადა. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს თვი-
თონ ტერმინის „ვადაგადაცილების“ განმარტებიდან. მითითე-
ბული ტერმინი გულისხმობს არა რაიმე ვადაში, არამედ ამ ვა-
დის გასვლის შემდგომ პერიოდშიც არსებულ მდგომარეობას,
ანუ ეს ეხება არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ
ექვს თვეს, არამედ იმ პერიოდსაც, ვიდრე მხარემ მიმართა სა-
თანადო ორგანოებს სამკვიდროს მიღების მოთხოვნით. იმის და-
სადგენად, გადააცილა თუ არა საპატიო მიზეზით მხარემ კანო-
ნით დადგენილ ვადას, უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სამკვიდ-
როს მისაღებად დადგენილ დროში სანოტარო ორგანოსთვის მი-
მართვის ან ქონების დაუფლების შეუძლებლობის ფაქტი, არა-
მედ იმ ვადის საპატიობაც, რომლითაც მან გადააცილა ამ მოქ-
მედებათა განხორციელების ვადას (იხ. სუსგ №ას-177-167-2011,
7 ივლისი, 2011 წელი). სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გა-

მომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიონბის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: 1. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; 2. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძვლით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა. ვადის გაშვების საპატიონბაზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს კანონიერი წარმომადგენლის დამკიდებულება არასრულნლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებს დაცვის მიმართ. კანონიერი წარმომადგენლის მიერ საკუთარი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება ან უფლებამოსილების უკანონო გამოყენება შეიძლება გახდეს არასრულნლოვნის მიერ გაშვებული სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის საფუძველი (იხ. სუსგ №ას-386-737-07, 10 დეკემბერი, 2007 წელი). ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილება საპატიოდ მიიჩნია, როგორც მისი არასრულნლოვანების პერიოდში, ისე – სრულნლოვანების მიღწევიდან სასამართლოსათვის მიმართვამდე, როდესაც მოსარჩელემ შეძლო და დაამტკიცა, როგორც მატერიალური სახსრების უქონლობა სარჩელის აღძვრის დროისათვის, ისე – საომარი მოქმედების არსებობა საქართველოში. საკასაციო პალატის განმარტებით, მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან ექვსი თვის ვადაში საპატიო მიზეზების – არასრულნლოვანებისა და სათანადო წარმომადგენლის არარსებობის გამო, არ შეეძლო სამკვიდროს მიღება და ასეთივე სამკვიდროს მიღების ხელშემშლელი საპატიო გარემოებები არსებობდა მისი სრულნლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგაც. ამავე საქმეში საკასაციო სასამართლომ მხედველობაში ის გარემოებაც მიიღო, რომ მემკვიდრემ, რომელმაც სამკვიდრო მიიღო, იცოდა სხვა მემკვიდრის არსებობის შესახებ, რის შესახებაც არ უცნობებით ნოტარიუსისათვის. ამგვარი ქმედება კი, წარმოადგენდა კერძო სამართლის სუბიექტის სამქალაქო კოდექსის მე-8, ასევე, 1310-ე, 1427-ე, 1478-ე, 1497-ე და მემკვიდრეობითი სამართლის სხვა ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას (იხ. სუსგ №ას-1224-1076-2010, 12 აპრილი, 2011 წელი).

1.8. პალატა მიუბრუნდება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, სადაც სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად განმარტა, რომ სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადის ათვლა მოსარჩელების მიმართ სრულნლოვანების მიღწევის მომენტიდან უნდა დაიწყოს. ამ მსჯელობის შესაბამისად, სააპელაციო

სასამართლომ მოწმეების, ასევე, მხარეთა განმარტებების ანალიზის შედეგად დადასტურებულად მიიჩნია სამკვიდროს დაუფლება.

1.8.1. საკასაციო პალატა სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის მტკიცების თვალსაზრისით მოწმის ჩვენებას, როგორც მტკიცებულებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ღირებულად მიიჩნევს, თუმცა, იზიარებს კასატორთა პოზიციას მათი შეფასების კრიტერიუმებისა და სისწორის თვალსაზრისით (სასამართლოს მხრიდან სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევა): მოწმის ჩვენებით უტყუარად უნდა დასტურდებოდეს მემკვიდრის მხრიდან იმგვარი მოქმედების განხორციელება, რაც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, დადგენილად მიიჩნიოს, რომ მემკვიდრე ქონებას საკუთრად განიხილავდა, ეპყრობოდა მას, როგორც საკუთრების საგანს, რაც მის მართვა-განკარგვაში გამოიხატება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამავე ნორმის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის მტკიცება ეკისრება მოსარჩევე მხარეს.

1.8.2. საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომლის თანაბმადაც, სამკვიდროს მიღება დასტურდება მოსარჩევე მ. ს-ის იმ განმარტებით, რომ იგი მიღიოდა და კვირაობით რჩებოდა ბებიასთან (ამ განმარტებას, ერთი მხრივ, არ ეთანხმებიან მოპასუხები, რის გამოც მისი იურიდიული ძალმოსილება, როგორც ინდივიდუალურად აღიარებული მტკიცებულებისა, ნაკლებად სარწმუნოა), რადგანაც ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულია ტრადიცია ბებიაშვილიშვილის ურთიერთობისა, რომელიც, როგორც წესი, განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ხასიათდება და ბებიასთან შვილიშვილის ვიზიტი, თუნდაც ბებია სამკვიდრო ქონების მფლობელი იყოს, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს საკუთრებაში მიღებას არ ადასტურებს. რაც შეეხება განმარტების იმ ნაწილს, რომ მ. მამის ნივთებს მიიჩნევდა თავისად, იგი სხვა მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, არ ნარმოადგენს სამკვიდროს დაუფლების უალტერნატივო წინაპირობას. მართალია, მოწმეები ი. ა-ი და ნ. ჭ-ე განმარტავენ, რომ მ. სტუმრობდა მამიდას, თუმცა, საკასაციო პალატა ამ ჩვენებასაც ზემოხსენებული სტანდარტით აფასებს და მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოწმის ჩვენებით არ დგინდება ვიზიტის პერიოდი, არასარწმუნოდ მიიჩნევს (მოწმის ჩვენებით მ. მან სადავო სახლში მას შემდეგ ნახა, რაც მოსარჩევს ეყოლა შვილი). სა-

კასაციონ სასამართლო ასევე არ მიიჩნევს საკმარისად მოწმე 6. ფ-ის ჩვენებას სადაც ფაქტის დასადასტურებლად და უპირველესად აღნიშნავს იმას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ამ მტკიცებულების გაზიარებაზე უარი სწორად დაამყარა მოწმესა და ლ. ს-ეს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობას (იხ. პოლიციის გაფრთხოება), გარდა ამისა, მოწმე ვერ ადასტურებს ბ. ს-ის გარდაცვალებიდან რა პერიოდში მიღიოდა მ. ს-ე სადაც სახლში. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ლ. ს-ე თავადვე ადასტურებდა მ. ს-ის სადაც სახლში ცხოვრებას, საკასაციო პალატის მოსაზრებით უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რამდენადაც ლ. ს-ე აღნიშნავდა იმას, რომ მ. გარკვეული პერიოდი შვილთან ერთად ცხოვრობდა ამ სახლში, რასაც უკავშირებს ასევე რეგისტრაციის ფაქტს. ამ თვალსაზრისით მხარეთა შორის სადაც არა ის გარემოება, რომ მ. ს-ემ სრულწლოვანებას 1998 წელს, ხოლო გ. ს-მა – 1995 წელს მიაღწია. მ. ს-ე სადაც სახლში რეგისტრირებულია 2005 წლიდან, ხოლო გ. ს-ი – 1995 წლიდან, თუმცა, გარდა რეგისტრაციისა, არც სასამართლოს დაუდგენია და არც საქმის მასალებითაა დადასტურებული (მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით) გ. ს-ის მხრიდან სამკვიდროს დაუფლების ფაქტი, ნოტარიუსისათვის მიმართვა კი, როგორც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, 2014 წლის 12 დეკემბერს განხორციელდა.

1.9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელების მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტთან მიმართებით კასატორებმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული დასაბუთებული შედავება წარმოადგინეს, რაც გასაჩინობებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. ამასთანავე, რადგანაც არ იყვეთება მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის ან სხვა საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის გამო, საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება:

1.9.1 იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეებმა ვერ დაადასტურეს სრულწლოვანების მიღწევიდან 6 თვის ვადაში მამის – ბ. ს-ის სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი, არ არსებობს მიკუთხნებითი მოთხოვნის წარიშელის დაკმაყოფილების წინაპირობები, ამასთანავე, სწორედ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელეებს მამის დანაშთ ქონე-

ბაზე საკუთრება არ წარმოშობიათ, ლ. ს-ის სასარგებლოდ გა-ცემული სამკვიდრო მოწმობისა და ლ. ს-ესა და გ. მ-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების 1/3 ნაწილში გაუქმების მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეებს არ გააჩნიათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იუ-რიდიული ინტერესი.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991-ე მუხლის თა-ნახმად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევ-ვაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს ამ სარ-ჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღო-ნისძიებას.

2.2. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, რადგანაც არ დაკმაყოფილდა მ. ს-ისა და გ. ს-ის სარჩელი, პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამო-ქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინე-ბით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას გ. მ-ის (პ/№...) საკუთრებაში რიცხულ, ქ. თბილისში, ბ-ის ქ.№60-ში მდებარე უძრავი ქონების (უძ-რავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) 1/3 ნაწილს.

3. სასამართლო ხარჯები:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით აპელან-ტებს, ხოლო, საქართველოს უზენააში სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინებით კასა-ტორებს გადაუვადდათ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგა-რიშსწორება, შესაბამისად, არც სააპელაციო და არც საკასაციო სამართალნარმოების ეტაპზე პროცესის ხარჯები (სახელმწი-ფო ბაჟი) არ გადახდილა, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა შორის ამ ხარ-ჯების განაწილების წინაპირობა არ არსებობს.

3.2. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშ-სწორების საკითხს, პალატა ხელმძღვანელობს საპროცესო კო-დექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებით, რომ-ლის თანახმადაც, სარჩელზე უარის თქმისას, სასამართლოს მი-ერ განეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბი-უჯეტის სასარგებლოდ.

3.3. საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის თანახ-მად, სადაც ქონების (1/3) საბაზრო ღირებულება 58 421 ლა-რია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირ-ველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, განსახილველი დავის

საგნის ღირებულებას წარმოადგენს, ხოლო გადავადებული ბაჟის ოდენობა, ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ამ თანხის 4%-ითა და 5%-ით – 5 257,89 ლარით უნდა განისაზღვროს და საბოლოოდ, ამ თანხის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ მოსარჩელეებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 1991-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ლ დ ა:

1. ლ. ს-ის, ფ. ს-ისა და გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. გ. ს-ისა და მ. ს-ის სარჩელი ლ. ს-ის, ფ. ს-ისა და გ. მ-ის მიმართ, 2008 წლის 18 იანვარს გაცემული №... სამკვიდრო მოწმობისა და 2014 წლის 23 ივნისის ჩუქების ხელშექრულების 1/3 ნაწილში გაუქმდების, ასევე, სამკვიდროდან წილის მიკუთვნების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას გ. მ-ის (პ/№...) საკუთრებაში რიცხულ, ქ. თბილისში, ბ-ის ქ.№60-ში მდებარე უძრავი ქონების (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) 1/3 ნაწილს.

5. გ. ს-სა (პ/№...) და მ. ს-ეს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროთ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 5 257,89 ლარის გადახდა.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

განერიცა საქართველოს სახელით

№ას-1297-1217-2017

8 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, სამ-
კვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ზ. მ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასა-
მართლოში მ. და გ. მ-ების (შემდგომში – მოპასუხები, აქე-
ლანტები, კასატორები) მიმართ ბათილად იქნას ცნობილი 2006
წლის 13 ოქტომბერს ნოტარიუსის მიერ მოპასუხის სახელზე
გაცემული სამკვიდრო მოწმობა და მოსარჩელე ცნობილ იქნეს
მამკვიდრებლის დანაშთი ქონების მესაკუთრედ.

7 სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2004 წლის 16 დეკემბერს გარ-
დაეცვალა დედა. 2002 წლის 6 თებერვალს მას შედგენილი ჰქონ-
და ანდერძი, რომლითაც კუთვნილი ქონება უანდერძა ორი შვი-
ლიდან ერთ-ერთს, უფროს ვაჟს – მოსარჩელეს.

3. ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, მოსარჩელე დედის გარ-
დაცვალებამდე სამუშაოდ ნავიდა ამერიკის შეერთებულ შტა-
ტებში, სადაც დღემდე ცხოვრობს და მუშაობს. წლების მანძილ-
ზე იგი აგზავნიდა საქმაოდ სოლიდურ თანხას, რითაც ფაქტო-
რივად არჩენდა დედასა და ძმის ოჯახს. მისი დავალებით მეუღ-
ლე მ. ო. აწვდიდა თანხებს დედასა და ძმას, თავადაც ჩადიოდა
და ჩაპერინდა მათვის ფული და სურსათი. მანვე გაიღო მამკვიდ-
რებლის მოვლის, დაკრძალვის, საფლავის მოწყობის, ორმოცისა
და წლისთავის ხარჯი, რასაც ხელმძღვანელობდა მისი მეუღლე.

4. მოსარჩელის მითითებით, ასევე, გასწია ძმის მეურნალო-
ბისა და დაკრძალვის ხარჯიც. იმის გამო, რომ საზღვარგარეთ
არალეგალურად იმყოფებოდა, მან ვერ მიიღო სამკვიდრო მოწ-
მობა, თუმცა კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში მეუღლის

სახელზე გასცა მინდობილობა, რომელმაც შეაგროვა გარკვეული საჭირო დოკუმენტაცია.

5. ამავდროულად, დედის გარდაცვალებისთანავე მოსარჩელემ ოჯახის წევრების – მეუღლისა და შვილის მეშვეობით სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით ისედაც მიიღო დედის სამკვიდრო, თუმცა მოგვიანებით შეიტყო, რომ მისმა ძმამ დაუმალა ნოტარიუსს მოსარჩელის არსებობის ფაქტი და 2006 წლის 13 ოქტომბერს უკანონოდ მიიღო სამკვიდრო მოწმობა დედის მთლიან სამკვიდროზე.

მოპასუხის პოზიცია:

6. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მოსარჩელემ გაუშვა სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადა. მას არც ფაქტობრივი ფლობითა და არც სანოტაროში ორგანოში განცხადების შეტანის გზით არ მიუღია დედის ქონება. მოსარჩელის ძმა მუდმივად ცხოვრობდა სადავო ბინაში. მან ფაქტობრივი ფლობითა და კანონით დადგენილი წესით მიიღო დედის სამკვიდრო. მოპასუხები არიან მოსარჩელის ძმის პირველი რიგის მემკვიდრეები – მისი მეუღლე და შვილი, რომლებმაც მოსარჩელის ძმის გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივი ფლობით მიიღეს მისი სამკვიდრო ქონება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

7. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 13 ოქტომბერს ნოტარიუსის მიერ მოსარჩელის ძმის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა სადავო სამკვიდროს $\frac{3}{4}$ ნაწილზე და სამკვიდრო მოწმობით განსაზღვრული სამკვიდროს $\frac{3}{4}$ წილის მიმღებ მემკვიდრედ ცნობილ იქნა მოსარჩელე, ხოლო აღნიშნული სამკვიდროს $\frac{1}{4}$ ნაწილის თანამესაკუთრეებად ცნობილ იქნენ მოსარჩელის ძმის პირველი რიგის მემკვიდრეები – მოპასუხეები, რაც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებები:

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2017 წლის 6 ივლისის განჩინებით მოპასუხეთა სა-

აპელაციო საჩივარი არ დაქმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2004 წლის 12 დეკემბერს. მას დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე – შვილები, მოსარჩევე და მისი ძმა.

10. 2002 წლის 6 თებერვალს მამკვიდრებელმა შეადგინა ანდერძი და მთელი თავისი ქონება უანდერძა უფროს ვაჟს – მოსარჩევეს, რომელმაც, დედის დანაშთი სამკვიდროს მიღების მიზნით, კანონით დადგენილი 6-თვიან ვადაში ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნ-ში მიმართა ნოტარიუსს და გასცა მინდობილობა თავისი მეუღლის სახელზე ყველა საფუძვლით მემკვიდრეობის მიღების შესახებ. მოსარჩევის მეუღლე დაეუფლა სადაცო დანაშთ სამკვიდრო ქონებას ფაქტობრივი ფლობით. მან, ასევე, სამკვიდროს მისაღებად შეაგროვა გარკვეული საბუთები, ცნობები საკრებულოდან მამკვიდრებლის საცხოვრებელი აღილისა და საგადასახადო ინსპექციიდან დაგალიანების არარსებობის შესახებ. სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან გამოითხოვა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მაჩვენებლები და საინვენტარიზაციო გეგმა, რომლებიც წარადგინა საჯარო რეესტრში და მოსარჩევის სახელზე გადაიხადა რეგისტრაციის საფასური, ასევე, მის მიერ გაცემული მინდობილობა წარადგინა ნოტარიუსთან.

11. მოსარჩევის მეუღლე და შვილი მიიჩნევდნენ სამკვიდრო ბინას მოსარჩევის კუთვნილად, ანუ თავისად და პერიოდულად, წელიწადში რამდენჯერმე ჩადიოდნენ და ცხოვრობდნენ სადაცო ბინაში, იღებდნენ სტუმრებს. საჭიროებისას, მოსარჩევის მეუღლე ფარავდა ბინის ხარჯს, იხდიდა მისი გადახურვისათვის საჭირო თანხას. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დაადასტურეს პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა.

12. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩევემ, დედის გარდაცვალებისთანავე, თავისი ოჯახის წევრების – მეუღლისა და შვილის მეშვეობით, ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო დედის დანაშთი სამკვიდრო. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დაადასტურეს პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა.

13. მოწმეთა ჩვენებების შეფასებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ 6-თვიან ვადაში მოსარჩევის მეუღლე, როგორც მოსარჩე-

ლის წარმომადგენელი, დაეუფლა სადაცო სამკვიდროს, რაც გა-
მოიხატა მამკვიდრებლის გარდაცვალების, ქელების, ორმოცის,
წლისთავის ხარჯის გადახდაში. მოწმეებმა დაადასტურეს,
რომ მოსარჩელის მეუღლე, მამკვიდრებლის გარდაცვალების
შემდეგ, რჩებოდა სადაცო ბინაში, დამტეს „სპალნაში“ ათევდა,
ჩამოიტანა ტელევიზორი, გადახურა სახლი, ასევე, თბილისი-
დან „გამზადებული პურმარილი“ ჩამოიტანა ორმოცისთვის.

14. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა მოწმეთა ჩვენებები
და დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ეხმარებოდა ან გარ-
დაცვლილ დედასა და ძმას, ასევე, დედის გარდაცვალებიდან
6-თვიან ვადაში განახორციელა ისეთი მოქმედებები, რომლე-
ბიც მონმობენ, რომ იგი ნამდვილად დაეუფლა დედის სამკვიდ-
როს და აკეთებდა ყველაფერს ამ სამკვიდროს, ანუ თავისად
დაგულვებული ქონების, მოვლა-პატრონობისათვის.

15. სააპელაციო პალატამ უდავოდ დაადგინა, რომ მოსარჩე-
ლის ძმა თავის ცოლ-შვილთან ერთად მუდმივად ცხოვრობდა
დედასთან სადაცო ბინაში მისი გარდაცვალების შემდგომაც, სა-
ნამ თავად 2015 წლის 20 ივლისს გარდაიცვლებოდა.

16. მოსარჩელის ძმას დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე
– მეუღლე და შვილი, იგივე მოპასუხებები, რომლებიც დღემდე
ცხოვრობენ სადაცო ბინაში. მათ მიიღეს მოსარჩელის დანაშთი
სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობით.

17. 2006 წლის 13 ოქტომბერს გაცემული №... სამკვიდრო მოწ-
მობის თანახმად, მოსარჩელის ძმამ, როგორც 2004 წლის 12 დე-
კემბერს გარდაცვლილი მამკვიდრებლის პირველი რიგის კანო-
ნისმიერმა მემკვიდრემ – შვილმა ფაქტობრივი ფლობით საკუთ-
რებაში მიიღო მამკვიდრებლის მთლიანი დანაშთი სამკვიდრო.
სამკვიდრო მოწმობის გაცემისას მას ნოტარიუსისათვის არ უთ-
ქვამს, რომ ჰყავდა ძმა, ანუ, რომ არსებობდა სხვა პირველი რი-
გის მემკვიდრეც.

18. სააპელაციო პალატის მითითებით, კანონისმიერი მემ-
კვიდრების შემთხვევაში მოსარჩელის ძმის კუთვნილი წილი
იქნებოდა სამკვიდროს 1/2, მაგრამ დადგენილია, რომ, ანდერ-
ძის თანახმად, მთლიანი სამკვიდრო ქონება მოსარჩელეს გადა-
ეცა. სავალდებულო წილის გათვალისწინებით კი მისი კუთვნი-
ლი წილია სამკვიდროს 1/4, რაც ამ უკანასკნელს მიღებული აქვს.

19. აღნიშნულ სამართლებრივ ნორმათა და ფაქტობრივ გა-
რემოებათა გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია,
რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა
მოსარჩელის წილად სამკვიდრო მასის 3/4, ხოლო მის ძმას მია-
კუთვნა 1/4 წილი.

20. საქართველოს სამოქალქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 1421-ე, 1423-ე, 1424-ე, 1433-ე, მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებას, რომ მოსარჩელემ, კანონით დადგენილ 6-თვითან ვადაში, გამოხატა სამკვიდროს მიღების ნება, აშშ-ში, ქ. 6.-ში მიმართა ნოტარიუსს და მინდობილობა გასცა თავის მეუღლეზე დედის დანამთი სამკვიდროს მიღების მიზნით. ამ უკანასკნელმა კი დაიწყო საბუთების შეგროვება საჯარო რეესტრსა და ნოტარიუსთან.

21. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სწორედ მოსარჩელის დავალებითა და სურვილით ჩადიოდა მისი მეუღლე მამკვიდრებლის სახლში როგორც მის სიცოცხლეში, ასევე, – გარდაცვალების შემდეგ. გარევეული პერიოდით რჩებოდა ამ ბინაში, მიიტანა იქ ტელევიზორი, გადახურა სახლი, გაიღო მამკვიდრებლის ქელების, ორმოცის, წლისთავის, ასევე, საფლავის მოწყობის ხარჯი.

22. სსკ-ის 1371-ე-1373-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სამკვიდრო მოწმობა კანონიერია მხოლოდ მოსარჩელის ძმისათვის სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების ნაწილში.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

23. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხეებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

24. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო პალატის განჩინება ემყარება არასწორად დადგენილ გარემოებებს, არასწორად შეფასდა მოწმეთა ჩვენებები და მოსარჩელის მიერ გაცემული მინდობილობა, რაც იმთავითვე არ ნიშნავს სამკვიდროს მიღებას, მინდობილობა წარმოადგენს ჩვეულებრივ დავალების ხელშეკრულებას, რომლიც არ შესრულებულა, კერძოდ, მოსარჩელის მეუღლეს კანონით დადგენილ ვადაში ნოტარიუსისათვის არ მიუმართავს.

25. მხარის მოსაზრებით, არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხზე. მოცემულ შემთხვევაში გასულია ხანდაზმულობის არა მხოლოდ მემკვიდრეობითი სამართლით გათვალისწინებული ვადები, არამედ საერთო ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

26. კასატორებმა მიიჩნიეს, რომ სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ

2014 წლის 10 აპრილის №ას-909-867-2013 გადაწყვეტილებაში სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტება, რომ ფაქტობრივ ფლობაში სადაც ქონებასთან ზოგადი კავშირი არ იგულისხმება, სტუმრად ყოფნა და სამკვიდრო ქონებაში პერიოდულად ღამის გათენება არ ნიშნავს მის ფაქტობრივ დაუფლებას.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან.

სამოტივაციო ნაწილი:

28. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

29. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2004 წლის 12 დეკემბერს. მას დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე – შვილები, მოსარჩელე და მისი ძმა.

30. 2002 წლის 6 თებერვალს მამკვიდრებელმა შეადგინა ანდერძი და მთელი თავისი ქონება უანდერძა უფროს ვაჟს – მოსარჩელეს, რომელმაც, დედის დანაშთი სამკვიდროს მიღების მიზნით, კანონით დადგენილი 6-თვიან ვადაში ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნ-ში მიმართა ნოტარიუსს და გასცა მინდობილობა თავისი მეუღლის სახელზე ყველა საფუძვლით მემკვიდრეობის მიღების შესახებ. მოსარჩელის მეუღლე და უფლა სადაც დანაშთ სამკვიდრო ქონებას ფაქტობრივი ფლობით. მან, ასევე, სამკვიდროს მისაღებად შეაგროვა გარკვეული საბუთები, ცნობები საკრებულოდან მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილისა და საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების არარსებობის შესახებ. სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან გამოითხოვა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მაჩვენებლები და საინვენტარიზაციო გეგმა, რომლებიც წარადგინა საჯარო რეესტრში და მოსარჩელის სახელზე გადაიხადა რეგისტრაციის საფასური, ასევე, მის მიერ გაცემული მინდობილობა წარადგინა ნოტარიუსთან.

31. მოსარჩელის მეუღლე და შვილი მიიჩნევდნენ სამკვიდრო ბინას მოსარჩელის კუთვნილად, ანუ თავისად და პერიოდუ-

ლად, წელიწადში რამდენჯერმე ჩადიოდნენ და ცხოვრობდნენ სადაც ბინაში, იღებდნენ სტუმრებს. საჭიროებისას, მოსარჩელის მეუღლე ფარავდა ბინის ხარჯს, იხდიდა მისი გადახურვისათვის საჭირო თანხას. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დაადასტურეს პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა.

32. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ, დედის გარდაცვალებისთანავე, თავისი ოჯახის წევრების – მეუღლისა და შვილის მეშვეობით, ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო დედის დანაშთი სამკვიდრო. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დაადასტურეს პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა.

33. მოწმეთა ჩვენებების შეფასებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ 6-თვაიან ვადაში მოსარჩელის მეუღლე, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელი, დაუუფლა სადაც სამკვიდროს, რაც გამოიხატა მამკვიდრებლის გარდაცვალების, ქელების, ორმოცის, ნლისთავის ხარჯის გადახდაში. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ მოსარჩელის მეუღლე, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, რჩებოდა სადაც ბინაში, ღამეს „სპალნაში“ ათევდა, ჩამოიტანა ტელევიზიონი, გადახურა სახლი, ასევე, თბილისიდან „გამზადებული პურმარილი“ ჩამოიტანა ორმოცისთვის.

34. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა მოწმეთა ჩვენებები და დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ეხმარებოდა ან გარდაცვლილ დედასა და ძმას, ასევე, დედის გარდაცვალებიდან 6-თვაიან ვადაში განახორციელა ისეთი მოქმედებები, რომლებიც მოწმობენ, რომ იგი ნამდვილად დაუუფლა დედის სამკვიდროს და აკეთებდა ყველაფერს ამ სამკვიდროს, ანუ თავისად დაგულვებული ქონების, მოვლა-პატრონობისათვის.

35. სააპელაციო პალატამ უდავოდ დაადგინა, რომ მოსარჩელის ძმა თავის ცოლ-შვილთან ერთად მუდმივად ცხოვრობდა დედასთან სადაც ბინაში მისი გარდაცვალების შემდგომაც, სანამ თავად 2015 წლის 20 ივლისს გარდაიცვლებოდა.

36. მოსარჩელის ძმას დარჩა ორი პირველი რიგი მემკვიდრე – მეუღლე და შვილი, იგივე მოპასუხეები, რომლებიც დღემდე ცხოვრობენ სადაც ბინაში. მათ მიიღეს მოსარჩელის დანაშთი სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობით.

37. 2006 წლის 13 ოქტომბერს გაცემული №... სამკვიდრო მოწმობის თანახმად, მოსარჩელის ძმამ, როგორც 2004 წლის 12 დეკემბერს გარდაცვლილი მამკვიდრებლის პირველი რიგის კანო-

ნისმიერმა მემკვიდრემ – შვილმა ფაქტობრივი ფლობით საკუთრებაში მიიღო მამკვიდრებლის მთლიანი დანამთი სამკვიდრო. სამკვიდრო მოწმობის გაცემისას მას ნოტარიუსისათვის არ უტკვამს, რომ ჰყავდა ძმა, ანუ, რომ არსებობდა სხვა პირველი რიგის მემკვიდრეც.

38. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მხარემ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მოსარჩელის მიერ მისი მეუღლისათვის გაცემული მინდობილობის საფუძველზე სადავო სამკვიდროს მიღების ნების გამოვლენის შესახებ, მოწმეთა ჩვენებების თანახმად, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების თაობაზე. ამავდროულად, კასატორმა სადაცოდ გახადა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი.

39. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქი საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეუზე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: а) საქმე მოიცავს სამართლებრივ პროცედუმას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; б) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლო საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

40. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

41. საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიებიდან საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ იმ პრეტენზიებზე, რომლებიც მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანია. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (ჯდარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

42. მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

43. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმიღვევი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად

რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებ-ლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადაცოდ ქცეული უფლე-ბის დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სა-მოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დაცის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩე-ლის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კო-დექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლო-ში წარდგენილ სარჩელში.

44. სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის გამო-ყენებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მოიხმობს სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებულ განმარტებას, რომ „სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორ-მის მისადაგება სასამართლოს პრეროგატივა, ამ შემთხვევაში მთავარია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესატყვევისა მტკიცებულებებით გამყარება, რაც მოთხოვნის სა-მართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის შემთხვევაშიც ან არასწორად მითითების დროსაც კი, მოწინააღმდეგის პოზიცი-ისა და საქმეზე მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზე-ბისა და შეჯერების შედეგად, სასამართლოს კვლევისა და ოუ-რიდიული შეფასების საგანია.

45. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 1421-ე, 1423-ე-1424-ე მუხლების შესაბამისად, თავისი სამართლებ-რივი ბუნებით სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. იგი გამოხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, მემკვიდრის ნე-ბას. შესაბამისად, მისი სამართლებრივი შედეგის დადგომისათ-ვის საქმარისია მხოლოდ ერთი პირის – მემკვიდრის მიერ გა-მოვლენილი ნება მემკვიდრების მიღების თაობაზე.

46. სამკვიდროს მიღება შესაძლებელია ორი გზით: მემკვიდ-რის მიერ მაკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში სამკვიდრო მოწმობის მისაღებად ნოტარიუსისათვის მიმართვა; სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლება.

47. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება გულისხმობს, რომ მემკვიდრემ აქტიური ქმედებით გამოხატოს სამკვიდროს მიღების სურვილი, თუნდაც სამკვიდროს ნაწილის დაუფლების გზით, თუმცა სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების შემ-თხვევაში მემკვიდრეს ეკისრება აღნიშნული ფაქტის მტკიცე-ბის ტვირთი სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად (სუსგ 24.03.2017წ. საქმე №ას-33-29-2017).

48. საკასაციო სასამართლო მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს

ფაქტობრივი ფლობით დაუფლებასთან დაკავშირებით არაერთ გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) უთითებს, რომ: „სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე კომპონენტები – სამკვიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა. ფაქტობრივი ფლობისკენ მიმართული ნებისმიერი მოქმედებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი, მემკვიდრის ნება. მემკვიდრის ყველა ამგვარი მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა (მაგალითად: მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მამკვიდრებლის ნივთების, როგორც საკუთარის მიღება და განკარგვაც, სამკვიდროს ფაქტობრივი მართვა, მოვლა და სხვა)“ (სუსგ-ები №ას-1172-1127-2016, 31.03.2017წ; №ას-203-193-2016, 02.06.2016; №ას-972-921-2015, 15.12.2015წ; №ას-482-455-2012, 31.05.2012წ. №ას-186-175-2017 2.06.2017წ.)

49. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მიერ მითითებული მტკიცებულება – საზღვარგარეთ მყოფი მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილ ვადაში, დედის სამკვიდრო მიღების მიზნით, თავისი შეუდლის სახელზე გაცემული მინდობილობა, როგორც მხარის მიერ გამოვლენილი ნება და სადაცო სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების დასადასტურებელად მოწმეთა ჩვენებები. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ მოსარჩელის მეუღლე და შვილი დროდადრო ჩადიოდნენ სამკვიდრო სახლში, გაიღეს მისი გადახურვისა და სხვა მიმდინარე ხარჯები.

50. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებების უარსაყოფად სარწმუნო არგუმენტები ვერ წარმოადგინა და ვერ დაასაბუთა, რომ გადაწყვეტილებით გაზიარებული მოწმეების ჩვენებები მცდარია და რეალობას არ ასახავს. მხარის მიერ მითითებული სუბიექტური პრეტენზია მათი ჩვენებების უარყოფის საკმარის და დამაჯერებელ საფუძველს არ წარმოადგენს.

51. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში განვითარებული მსჯელობა მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების წესის შესახებ, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, განსახილველ დაგმი დადგინდა, რომ კანონით დადგენილი წესით და ვადაში მოსარჩელე დაუუფლა სამკვიდრო ქონებას, რითაც ნათლად გამოხატა სამკვიდროს მიღების ნება.

52. საკასაციონ საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველი ვერ გახდება კასაატორების პრეტენზია ვერც სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

53. მართალია, მოპასუხები შესაგებელსა და სააპელაციო საჩივარში მიუთითებდნენ სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხზე, თუმცა არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია აღნიშნულთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მითითებული საპროცესო დარღვევა ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი სსკ-ის 393-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

54. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატის მიერ ხანდაზმულობის საკითხზე სათანადო მსჯელობას შედეგად კასაატორებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება ვერ მოჰყვებოდა, რადგან, საკუთრების უფლებიდან გამომდინარე სარჩელებზე, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.

55. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი მატერიალური ან/და საპროცესო დარღვევებით, ვერც კასაატორი მიუთითებს რაიმე ისეთ დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

56. კასაატორმა ვერ დაასაბუთა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობაში მოდის.

57. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით და არც იმ საფუძვლით, რომ საკასაციო სასამართლოს მსგავს საკითხზე ჯერ არ უმსჯელია და გადაწყვეტილება არ მიუღია. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე არ არსებობს ვარაუდი, რომ საკასაციო საჩივრის განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს უკვე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

58. ამავდროულად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან.

59. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. და გ. მ-ების საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

სამკიდროს მიღების ვალის გაგრძელება

განხილვა საკართველოს სახელით

№ას-4-4-2016

11 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: სამკიდროს მიღების ვადის გაგრძელება, სამკიდრო მოწმობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ქ. ი-ის კანონიერმა წარმომადგენელმა ა. ბ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან მონინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ი-ისა (შემდგომში – მოპასუხე, კასატორი) და ლ. მ-ის (შემდგომში – თავდაპირველი თანამოპასუხე ან დასაჩუქრებული) მიმართ და მოითხოვა:

- ა) 2010 წლის 7 აგვისტოს გარდაცვლილი ვ. ი-ისა და 2011 წლის 11 ივლისს გარდაცვლილი ლ. ა-ის სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება;
- ბ) ვ. ი-ის დანაშთი სამკვიდროს – ქ. თბილისში, რ-ის გზატკეცილის „ვ“ კორპუსში მდებარე №53 ბინის (ს/კ № 01.18.12.003.001....) 1/3-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარება და შესაბამის ნაწილში 2012 წლის 8 თებერვალს ა. ი-ის სახელზე გაცემული №120112656 სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა;
- გ) ლ. ა-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების – ქ. თბილისში, რ-ის გზატკეცილის „ვ“ კორპუსში მდებარე №53 ბინის (ს/კ № 01.18.12.003.001....) 1/3-დან 1/2 წილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარება და შესაბამის ნაწილში 2012 წლის 8 თებერვალს ა. ი-ის სახელზე გაცემული №120112577 სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა;
- დ) ზემოხსენებულ უძრავ ქონებაზე 2013 წლის 5 თებერვალს ა. ი-სა და ლ. მ-ეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების მოსარჩელის სამკვიდრო წილის შესაბამის ნაწილში ბათილად ცნობა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: მოსარჩელე ან გარდაცვლილი ვ. ი-ის პირველი რიგის მემკვიდრეა (შვილი), ამავდროულად იგი ან გარდაცვლილი ლ. ა-ის შვილიშვილია. უძრავი ქონება წარმოადგენდა ა. ი-ის, ლ. ა-ისა და ვ. ი-ის საერთო საკუთრებას თანაბარი წილის უფლებით. მამკვიდრებლების გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის დროისათვის მოსარჩელე ცხოვრობდა დედასთან, რომელმაც, როგორც მემკვიდრის კანონიერმა წარმომადგენელმა, 2012 წლის 12 მარტს წოტარიუს მიმართა საკუთარი შვილის სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნით, რაზეც მიიღო უარი. სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის შესახებ დადგენილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სამკვიდრო მოწმობები გაცემული იყო მოპასუხე ა. ი-ის სახელზე, რომელმაც დამალა რა სხვა მემკვიდრის არსებობა, არამართლზომიერად მიიღო საკუთრებაში მამკვიდრებელთა დანაშთი ქონება. სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას საფუძვლად უნდა დაედოს ის საპატიო მიზეზები, რომ მამკვიდრებელთა გარდაცვალების, ასევე, სამკვიდროს

მიღების ექვსთვიანი ვადის არსებობის შესახებ მოსარჩელის კანონიერი წარმომადგენლისათვის არ იყო ცნობილი, გარდა ამისა, გასათვალისწინებულია, რომ მოსარჩელე არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, საჭიროებს მუდმივ მეთვალყურეობას, მისი დედა ზრდიდა სამ არასრულწლოვან შვილს, დასაქმებული იყო დასუფთავების სამსახურში და მეთვალყურეობდა მეუღლეს, რომელსაც, მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ესაჭიროებოდა მკურნალობა. მოვალეობათა კოლიზიაში მყოფმა კანონიერმა წარმომადგენელმა კი, არჩია ოჯახის წევრების ჯანმრთელობაზე ზრუნვა. მან ასევე მიმართა სასამართლოს სამკვიდროდან წილის არასრულწლოვანი შვილისათვის მიკუთვნების მოთხოვნით, თუმცა, სარჩელი იმ დასაბუთებით არ დაკმაყოფილდა, რომ გასული იყო სამკვიდროს მიღების კანონით გათვალისწინებული ვადი. 2013 წელს მოპასუხებს შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რის შედეგადაც სადაც უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა დასაჩუქრებული მოპასუხის სახელზე. ჩუქების ხელშეკრულება მოჩვენებითია, ვინაიდან მას რაიმე იურიდიული შედეგი არ მოჰყოლია.

2. მოპასუხების პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ ა. ი-მა ძმის – ვ. ი-ისა და დედის – ლ. ა-ის დანაშოთ ქონება მიიღო კანონით დადგენილი წესით და სამკვიდრო მოწმობა აიღო სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის გასვლის შემდგომ. მოსარჩელის კანონიერ წარმომადგენელს სრული შესაძლებლობა ჰქონდა სანოტარო ორგანოსათვის მიმართვის გზით მიეღო სამკვიდრო, ამასთანავე, მოსარჩელე მხარე ვერ ადასტურებს, რომ არსებობს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების საპატიო მიზეზი. გარდა აღნიშნულისა, მოპასუხებს შორის 2013 წლის 5 თებერვალს დადგენილი ჩუქების ხელშეკრულება კანონიერია, უძრავი ქონება დასაჩუქრებულს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით გადაეცა საკუთრებაში, რადგანაც იგი მხარეთა შორის არსებული დავის დასრულების შემდეგამ გაფორმებული, ამასთან, ა. ი-ს აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და სურდა მეუღლისთვის გადაეცა საკუთრებაში უძრავი ქონება.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი დაკმაყოფილდა: მოსარჩელეს გაუგრძელდა 2010 წლის 7 აგვისტოს გარდაცვლილ ვ. ი-ის სამკვიდროს მიღების ვადა; ბათილად იქნა ცნობილი ვ. ი-ის დანაშთ ქონებაზე – ქ. თბილისში, რ-ის გზატკეცილის „ვ“ კორპუსში მდებარე №53 ბინის (საკადასტრო კოდი №01.18.12.003.001....) 1/3 ნაწილზე ა. ი-ის სახელზე 2012 წლის 8 თებერვალს გაცემული №120112656 სამკვიდრო მოწმობა; მოსარჩელეს ასევე გაუგრძელდა 2011 წლის 11 ივნისს გარდაცვლილი ლ. ა-ის სამკვიდროს მიღების ვადა; ბათილად იქნა ცნობილი ლ. ა-ის დანაშთ ქონებაზე – ქ. თბილისში, რ-ის გზატკეცილის „ვ“ კორპუსში მდებარე №53 ბინის (საკადასტრო კოდი N01.18.12.003.001.) 1/3 წილის 1/2 ნაწილზე, სულ – 1/6 წილზე ა. ი-ის სახელზე 2012 წლის 8 თებერვალს გაცემული №120112577 სამკვიდრო მოწმობა; 1/2 ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისში, რ-ის გზატკეცილის „ვ“ კორპუსში მდებარე №53 ბინაზე 2013 წლის 5 თებერვალს მოპასუხებს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება და მოსარჩელე ცნობილ იქნა აღნიშნული უძრავი ქონების 1/2-ის მესაკუთრედ.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ი-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (იხ. საკასაციო საჩივარი, ასევე საკასაციო სასამართლოს 11.02.2016წ. განჩინება დასაჩუქრებულის პრეტენზიის ნაწილში საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემონტათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს არასრულნლოვანი მემკვიდრისათვის სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის, მის წილ სამკვიდროზე გაცემული უფლების დამდგენი დოკუმენტისა (სამკვიდრო მოწმობა) და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის კანონიერება წარმოადგენს.

1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.2.1. მოსარჩელე მამკვიდრებელ ვ. ი-ის შვილია და იგი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე არასრულწლოვანია;

1.2.2. 2010 წლის 7 აგვისტოს გარდაიცვალა მამკვიდრებელი ვ. ი-ი, რომელსაც ორი პირველი რიგის მემკვიდრე: დედა – ლ. ა-ი და შვილი – ჟ. ი-ი დარჩნენ;

1.2.3. გარდაცვლილი მამკვიდრებლის დანაშთს წარმოადგენდა ქ.თბილისში, რ-ის გზატკეცილზე „ვ“ კორპუსში მდებარე №53-ე ბინის 1/3 წილი;

1.2.4. 2012 წლის 12 მარტის სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების თანახმად, ვ. ი-ის კუთვნილი ქონება პირველი რიგის მემკვიდრეებს: ლ. ა-სა (დედა) და ჟ. ი-ი (შვილი) არ მიუღიათ, არამედ, 2012 წლის 8 თებერვალს №120112656 სამკვიდრო მოწმობის თანახმად, იგი მეორე რიგის მემკვიდრემ – ა. ი-მა მიიღო;

1.2.5. 2011 წლის 11 ივნისს გარდაიცვალა ვ. ი-ის დედა – ლ. ა-ი;

1.2.6. მამკვიდრებელ ლ.ა.-ის სამკვიდრო მასაში შედიოდა ქ.თბილისში, რ-ის გზატკეცილზე „ვ“ კორპუსში მდებარე №53-ე ბინის 1/3;

1.2.7. ლ. ა-ს დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე: ვ. ი-ის შვილი – ჟ. ი-ი (მემკვიდრე წარმომადგენლობის უფლებით) და ა. ი-ი (შვილი);

1.2.8. ლ. ა-ის სამკვიდრო მასაში შემავალი ქონება (ბინის 1/3) 2012 წლის 8 თებერვალის №120112577 სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, მთლიანად ა. ი-მა მიიღო;

1.2.9. 2012 წლის 14 თებერვალს ა. ი-ი ქ.თბილისში, რ-ის გზატკეცილზე „ვ“ კორპუსში მდებარე №53 ბინის მესაკუთრედ აღირიცხა. საკუთრების უფლების რეგისტრაციას საფუძვლად დაედო 2012 წლის 8 თებერვალს გაცემული №120112577 და №120112656 სამკვიდრო მოწმობები;

1.2.10. მოსარჩელის კანონიერმა წარმომადგენელმა, დედამ

– ა. მ-მა (ბ-ებ) 2012 წლის 12 მარტს განცხადებით მიმართა სანოტარო ბიუროს 2010 წლის 7 აგვისტოს გარდაცვლილი ვ. ი-ისა და 2011 წელს გარდაცვლილი ლ. ა-ის სამკვიდროს მიღების თაობაზე. ნოტარიუსის 2012 წლის 12 მარტის დადგენილებით ა. მს, სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე სამკვიდრო მოწმობის მისაღებად კანონით დადგენილი ვადის გაშევის გამო, უარი ეთქვა;

1.2.11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით არასრულწლოვანი უ. ი-ის კანონიერი წარმომადგენლის სარჩელი ა. ი-ის მიმართ არ დაკმაყოფილდა. სასამარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა უ. ი-ისათვის ან გარდაცვლილი ვ. ი-ის დანაშთი უძრავი ქონების, ასევე ლ. ა-ის სამკვიდროდან 1/2-ის მიუუთვნება, და ამ ნაწილში ა. ი-ის სასარგებლოდ 2012 წლის 8 თებერვალს გაცემული სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობა;

1.2.12. 2013 წლის 5 თებერვალს ა. ი-სა და ლ. მ-ეს შორის გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ქ.თბილისში, რ-ის გზატეციონის „ვ“ კორპუსში მდებარე №53 ბინა, ამავე წლის 7 თებერვალს აღირიცხა დასაჩუქრებულის საკუთრებად.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასამვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება (სსსკ-ის 393-ე მუხლი).

1.4. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს სამკვიდროს მიღების ვადის საპატიოდ გაშვების, მემკვიდრისათვის ნილის მიუუთვნებისა და ამ ნილის პროპორციულად გაცემული სამკვიდრო მოწმობების, ასევე, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე იმ დასაბუთებით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან, რომლის თანახმადაც, სამკვიდროს მიღების ვადის საბაზიოდ დარღვევის ფაქტი არა მხოლოდ სამკვიდროს მიღების ვადის განმავლობაში უნდა შეფასდეს, არამედ, იმ ვადის საპატიოობაც უნდა შემოწმდეს, რომლითაც მემკვიდრემ გადააცი-

ლა ამ მოქმედებათა განხორციელების ვადას, ხოლო, მეორე მხრივ, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საერთაშორისო კანონმდებლობის ზოგადი ინტერპრეტაციის საფუძველზე არასწორად განმარტა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების მარეგულირებელი ნორმები და არასწორად გააბათილა გარიგებები.

1.5. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის ძირითად არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად აღუდგინა მემკვიდრეს სამკვიდროს მიღების ვადა. პალატის მოსაზრებით, საკითხის სწორი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია, უპირატესად ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს მიღების ვადის საპატიოდ მიჩნევას მოითხოვს, ნარმოადგენს არასრულწლოვანს, რომელსაც დადგენილი აქვს შესაძლებლობის შეზღუდვა. სააპელაციო პალატამ „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის, ასევე, სხვა საერთაშორისო აქტებისა და ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მოშველიებით დაასაბუთა არასრულწლოვნის ქონებრივი უფლებების დაცვის აუცილებლობა მისი საუკეთესო ინტერესების ჭრილში, რასაც სავსებით იზიარებს საკასაციო პალატა, თუმცა, უმთავრესად, ყურადღებას გამახვილებს განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმასა და მის ფაქტობრივ შემადგენლობაზე:

1.5.1. სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. დასახელებული ნორმა ნარმოადგენს საგამონაკლისო შემთხვევას და მისი გამოყენება დასაშვებია მაშინ, როდესაც უალტერნატივოდ დგინდება გარემოება იმის თაობაზე, რომ მემკვიდრემ სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლით დადგენილ ვადაში ვერ შეძლო კანონით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედების განხორციელება – ნების ცალმხრივად გამოხატვა, რაც მოწმობს მის მზაობასა და სურვილს, საკუთრებად მიიჩნიოს/მიიღოს გარდაცვლილი პირის დანაშთი ქონება (სკ-ის 1421-ე მუხლი).

1.5.2. საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება კასატორის პოზიციას დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის გამოყენების თაობაზე და ბუნებრივია, იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებას, გადმოცემულს 2011 წლის 7 ივლისის №ას-177-167-2011

განჩინებაში, რომლის ანალიზზეც ქვემოთ შევჩერდებით. ამ-ჯერად პალატა ყურადღებას საქმის მასალებით დადგენილ იმ გარემოებაზე გაამახვილებს, რაც რეალურად დაედო საფუძ-ვლად მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

1.5.3. წარმოდგენილი მტკიცებულებებით, როგორც აღინიშ-ნა, დადგენილია, რომ მემკვიდრე არასრულწლოვანი, ამასთა-ნავე, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირია. საქმეში მოპოვება სამედიცინო ცნობა იმის თაობაზე, რომ მო-სარჩელე საჭიროებს მუდმივ მოვლას, დასკვნის სახით კი, მი-თითებულია, რომ უ.ი-ი მუდმივი დახმარებას საჭიროების მქო-ნე პირია. მართალია, ეს დოკუმენტი ვადიანია, თუმცა, მორიგი გადამოწმების თარიღი 2016 წლის 2 მარტითაა განსაზღვრული, ხოლო სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც არასრულწლოვ-ნის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას დაადას-ტურებდა, საქმეში არ მოპოვება. ამ გარემოების შეფასების შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს არც კანონით დადგენილ ვადაში და არც სრულწლოვანების მიღწე-ვისას დამოუკიდებლად არ ექნება შესაძლებლობა, მიიღოს სამ-კვიდრო, უფრო მეტიც, სამოქალაქო კოდექსის 1422-ე მუხლი ადგენს ქმედულუნარო და შეზღუდულქმედუნარიანი პირის მი-ერ სამკვიდროს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მი-ლების წესს. მითითებული ნორმა, განსახილველი საქმის თავი-სებურების გათვალისწინებით, უნდა განიმარტოს ამავე კოდექ-სის 1198-ე მუხლთან მჭიდრო კავშირში, რომლის მე-4 ნაწილით იმპერატიულადა განსაზღვრული მშობლების (მშობლის), რო-გორც კანონიერი წარმომადგენლების ვალდებულება, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შევილების უფლებები და ინტერე-სები, რაც მოიცავს შევილების ქონების მართვასა და გამოყენე-ბას. მოხმობილი ნორმების ერთობლივი შეფასების შედეგად სა-კასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩელის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სამკვიდ-როს ვადის გაშვებას არასაპატიოდ მივიჩნევდით, მაინც იარ-სე-ბებდა მოთხოვნის დაქმაყოფილების საფუძველი, რადგანაც არასრულწლოვანი, მით უფრო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, საკუთარი უფლებების დაცვას ვერ შეძლებ-და იმ შემთხვევაში, თუ კანონიერი წარმომადგენელი დაარ-ღვევდა მისი ქონებისადმი გულისხმიერების ვალდებულებას (იხ. ნინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.5.4. პუნ-ქტი). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საესებით სწორად განმარტა „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ ცნება და სწო-რად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შეპირისპირებულ სიკეთეთა

შორის, როგორიცაა მოპასუხე ა.ი-ის მიერ სამკვიდროს დადგენილ ვადაში მიღება და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტრესები, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ქონებრივი უფლებების დაცვის აუცილებლობას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ უკანასახელს.

1.5.4. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლება, ისევე, როგორც სხვა უფლებები არ არის აბსოლუტური და ამავე ნორმის მე-2 პუნქტით ამ უფლებაში ჩარევა დაშვებულია კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძვლით. მემკვიდრეობის გზით ქონების მიღებისა და საკუთრების მოპოვების სპეციალურ წესს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი, კერძოდ პირი, რომელიც კანონით დადგენილ მოთხოვნებს შეასრულებს, ხდება ქონების სრულუფლებიანი მესაკუთრე სამკვიდროს გახსნის მომენტიდან (სკ-ის 1451-ე მუხლი), თუმცა, განსახილებით მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა (იხ. წინამდებარე განჩნების სამოტივაციო ნაწილის 1.5.1. პუნქტი) წარმოადგენს საკუთრების უფლებაში ჩარევის იმ საკანონმდებლო გამონაკლისის კერძო შემთხვევას, როდესაც მესაკუთრეს, როგორც შემკვიდრეს, შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება. საკასაციო პალატა აქვე მიმოიხილავს სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის შესახებ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, სამკვიდროს მიღების კანონით გათვალისწინებული ვადის გადაცილების მიზეზის საპატიოობა გულისხმობს იმ ვადის საპატიობის შეფასებას, რითაც გადაცილებულია სამკვიდროს მიღებისათვის კანონით გათვალისწინებული ვადა. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს თვითონ ტერმინის „ვადაგადაცილების“ განმარტებიდან. მითითებული ტერმინი გულისხმობს არა რაიმე ვადაში, არამედ ამ ვადის გასვლის შემდგომ პერიოდშიც არსებულ მდგომარეობას. ანუ ეს ეხება არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ ექვს თვეს, არამედ იმ პერიოდსაც ვიდრე მხარემ მიმართა სათანადო ორგანოებს სამკვიდროს მიღების მოთხოვნით. იმის დასადგენად, გადააცილა თუ არა საპატიო მიზეზით მხარემ კანონით დადგენილ ვადას, უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ დროში სანოტარო ორგანოსთვის მიმართვის ან ქონების დაუფლების შეუძლებლობის ფაქტი, არამედ იმ ვადის საპატიოობაც, რომლითაც მან გადააცილა ამ მოქმედებათა განხორციელების ვადას (იხ. სუსგ №ას-177-167-2011, 7 ივლისი, 2011 წელი). სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გა-

მომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიონბის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: 1. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; 2. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძვლით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძვლის ალმოფხვრის შემდეგ მიმართა. ვადის გაშვების საპატიონბაზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს კანონიერი წარმომადგენლის დამოკიდებულება არასრულნლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიმართ. კანონიერი წარმომადგენლის მიერ საკუთარი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება ან უფლებამოსილების უკანონო გამოყენება შეიძლება გახდეს არასრულნლოვანის მიერ გაშვებული სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის საფუძველი (იხ. სუსგ №ას-386-737-07, 10 დეკემბერი, 2007 წელი). ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილება საპატიოდ მიიჩნია, როგორც მისი არასრულნლოვანების, ისე სრულნლოვანების მიღწევიდან სასამართლოსადმი მიმართვამდე, როდესაც მოსარჩელემ შეძლო და დაამტკიცა, როგორც მატერიალური სახსრების უქონლობა სარჩელის აღძრის დროისათვის, ისე – საომარი მოქმედების არსებობა საქართველოში. საკასაციო პალატის განმარტებით, მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან ექვსი თვის ვადაში საპატიო მიზეზების – არასრულნლოვანებისა და სათანადო წარმომადგენლის არარსებობის გამო, არ შეეძლო სამკვიდროს მიღება და ასეთივე სამკვიდროს მიღების ხელშემშლელი საპატიო გარემოებები არსებობდა მისი სრულნლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგაც. ამავე საქმეში საკასაციო სასამართლომ მხედველობაში ის გარემოებაც მიიღო, რომ მემკვიდრემ, რომელმაც სამკვიდრო მიიღო, იცოდა სხვა მემკვიდრის არსებობის შესახებ, რის შესახებაც არ უცნობებია ნოტარიუსისათვის. ამგვარი ქმედება კი, წარმოადგენდა კერძო სამართლის სუბიექტის სამოქალაქო კოდექსის მე-8, ასევე, 1310-ე, 1427-ე, 1478-ე, 1497-ე და მემკვიდრეობითი სამართლის სხვა ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას (იხ. სუსგ №ას-1224-1076-2010, 12 აპრილი, 2011 წელი).

1.5.5. მოხმობილი სასამართლო პრაქტიკის ზოგადი ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას კანონისმიერი ვადის დარღვევის საპატიონბის თაობაზე, რამდენადაც მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოსარჩელე წინამდებარე დავის

წარმოების დროისათვის კვლავ არ არის სრულწლოვანი, ამასთან, აქვს ჯანმრთელობის საკმაოდ რთული მდგომარეობა, რაც სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილების საკმარისი საფუძველია, ამასთან, საკასაციო პალატა საკუთარ შინაგან რწმენას დამატებით ამყარებს მოსარჩელის (კანონიერი წარმომადგენლის) მტკიცებაზე, რომლის თანახმადაც, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, დროულად განეხორციელებინა სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი იურიდიული მოქმედებანი, რადგანაც მას სამი არასრულწლოვანი შვილი ჰყავდა აღსაზრდელი, რაც დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი თ. და ზ. ბ-ების დაბადების მოწმობებით, ამასთანავე, მოსარჩელის დედა, დასუფთავების სამსახურის ცნობის თანახმად, დასაქმებული იყო, ხოლო საქმეში წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა № 100/ა) თანახმად, ა. ბ-ის მეუღლე თ. ბ-ე (იხ. ქორწინების მოწმობა) 2011 წლის 24 სექტემბერს მოთავსდა სტაციონარში და გაეწერა ამავე წლის 28 სექტემბერს, საავადმყოფოში მისი მოთავსების საფუძვლად მითითებულია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ტრავმა. სტაციონარიდან განერისას პაციენტს მიეცა შემდეგი სამკურნალო და შრომითი რეკომენდაცია: კონსერვატიული მკურნალობა ჩინჩხეოვანი დაჭიმვით ექვსი კვირის განმავლობაში, შემდგომი რეაბილიტაცია ტრავმატოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ. მართალია, მოპასუხე მხარე არ ეთანხმება სარჩელში მითითებულ გარემოებას, იმის თაობაზე, რომ ა.ბ-ე მეთვალყურეობდა მეუღლეს, თუმცა, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის, ასევე, სხვა ზემოხსენებული გარემოებების საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად შეფასებით, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ გაზიარებულ უნდა იქნას მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ ლ. ა-ის სამკვიდროს მიღების ვადის ამონურვის დროისათვის და შემდგომი პეირიოდისათვის მას არ ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, ფაქტობრივად დაუფლებოდა სამკვიდროს ან მიემართა ნოტარუსისათვის. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქვემდგომმა სასამართლო მემკვიდრის არასრულწლოვანების, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და კანონიერი წარმომადგენლის მიერ მითითებული ზემოხსენებული ფაქტების გათვალისწინებით, საპატიო მიზეზის არსებობის მოტივით, მართებულად აღუდგინა მოსარჩელეს სამკვიდროს მიღების ვადა და სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის საფუძველზე სწორად მიაკუთვნა მთელი უძრავი ქონების 1/2 ნაწილი (ვ. ი-ის სამკვიდრო შეადგენდა სადაც უძრავი ქონების 1/3-ს. ასევე 1/3 ნაწილს შეადგენდა ლ. ა-ის სამკვიდ-

როთანაზიარი საკუთრებიდან, საიდანაც მოსარჩელეს, როგორც პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს ეკუთვნოდა 1/2, ანუ მთელი ქონების 1/6. ჟ. ი-ის სამკვიდრო წილების ჯამი კი, მთელი ქონების 1/2-ს ქმნის).

1.6. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად ცნონ ბათილად მამკვიდრებელ ვ. ი-ის დანაშთი ქონების თაობაზე ა. ი-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა სრულად, ხოლო ლ. ა-ის სამკვიდროს თაობაზე – 1/2 ნაწილში. აღნიშნული საკითხის შეფასებისას სასამართლო მხედველობაში იღებს უდავო გარემოებას იმის შესახებ, რომ ვ. ი-ის სამკვიდრო მისი პირველი რიგის მემკვიდრებს: მოსარჩელესა და ან გარდაცვლილ ლ. ა-ს არ მიუღიათ, მოსარჩელეს, როგორც ნარმომადგენლობის უფლებით პირველი რიგის მემკვიდრეს არც ბებიის სამკვიდრო მიუღია დადგენილ ვადაში. ამ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს შეფასებას, რომ კასატორს, როგორც მეორე რიგის მემკვიდრეს, სამოქალაქო კოდექსის 1337-ე მუხლის ძალით უფლება არ ჰქონდა, მიეღო ძმის სამკვიდრო, ვინაიდან არსებობდა მისი პირველი რიგის კანონით მემკვიდრე, რაც შეეხება ლ. ა-ის სამკვიდროს, ამავე კოდექსის 1336-ე მუხლის შესაბამისად, პირველი რიგის მემკვიდრეთა წილი სამკვიდროდან სწორად განისაზღვრა თანაბრობის პრინციპის დაცვით, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე, მართებულად ჩათვალა სამკვიდრო მოწმობები ბათილად მოსარჩელის წილის პროპორციულად, რის თაობაზეც კასატორს დასაშვები შედავება არ წარმოუდგენია.

1.7. ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ამ ხელშეკრულების 1/2 ნაწილში სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის შემადგენლობის არსებობა, რამეთუ გარიგების დადების მიზანს მოპასუხის მიერ ქონებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდება ნარმოადგენდა. საკასაციო საჩივრის შესწავლით არ ირკვევა სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობის წინააღმდეგ დასაბუთებული პრეტენზის არსებობის ფაქტი, უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით, დადგენილი ხავეზის გამოუსწორებლობის გამო, ლ. მ-ის მოთხოვნის წანილში საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ა. ი-ს, როგორც ქონების გამჩუქებელს აღიარებითი სარჩელის წანილში არ შეიძლება გააჩნდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით

გათვალისწინებული ნამდვილი იურიდიული ინტერესი – მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, კასატორის ქონებრივი უფლების აღდგენა ვერ განხორციელდება.

1.7.1. უდავოა, რომ ქ.თბილისში, რ-ის გზატკეცილზე „ვ“ კორპუსში მდებარე №53 ბინა 2013 წლის 5 თებერვალს ა.ი-მა ჩუქე-ბის გზით გადასცა მეულლეს საკუთრებაში. ეს გარიგება, სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის მიხედვით, წარმოადგენს უსასყიდლო ხელშეკრულებას, საიდანაც 1/2-ის ბათილი განკარგვის ფაქტი იქნა დადგენილი. საკასაციო სასამართლო მოიხმობს სამოქალაქო კოდექსის 989-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც, თუ 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღები, რომელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადასცემს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისაგან დაკმაყოფილება შეუძლებელია.

1.8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებებსა და დასკვნებს სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე და თვლის, რომ კასატორს არ მიუთითებია იმგვარ ფაქტებსა და გარემოებზე, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდებოდა (სსს-ის 393-ე-394-ე მუხლები). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

2. სასამართლო ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის, „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ი-ის საკასაციო საჩივარი არ დაქმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკუთრების ნარმოშობა სამკვიდროზე სამკვიდროს მიღებაზე შედავის ვადა

განერიება საკართველოს სახელით

№ას-715-685-2016

13 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სამკვიდროს გაყოფა

აღნერილობითი ნაწილი:

1. თ. შ-ემ (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძ-ის ტერიტორიული ორგანოსა (საკრებულოს) და მცირენლოვნების, ე. და მ. შ-ების (შემდგომში – „მოსასუხეები“, „კასატორები“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორები“) კანონიერი წარმომადგენლის 6. ბ-ს მიმართ.

2. მოსარჩელემ მოითხოვა:

2.1. 1998 წლის 16 აპრილის №... მიღება-ჩაბარების აქტის (შემდგომში – „მიღება-ჩაბარების აქტი“) არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად აღიარება, რომლის თანახმად, მცხეთის

რაიონის სოფ. ძ-ის მიწის რეფორმის კომისიის თავმჯდომარებ მოპასუხეების მამკვიდრებელს, ზ. შ-ეს (შემდგომში – „მამკვიდრებელი“) ჩააბარა ძ-ში მდებარე მიწის ნაკვეთი „...“, ფართით 1300 კვ.მ (შემდგომში – „სადაც მიწის ნაკვეთი“ ან „სადაც ქონება“);

2.2. საჯარო რეგისტრის 2004 წლის ჩანაწერის ბათილად ცნობა (განცხადების რეგისტრაციის №...), რომლითაც სადაც მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით ..., დარეგისტრირდა მამკვიდრებლის სახელზე;

2.3. 2012 წლის 20 თებერვალს მოპასუხეების სახელზე გაცემული №... სამკვიდრო მოწმობისა და აღნიშნული მოწმობის საფუძველზე უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეგისტრის 2013 წლის 20 მარტის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

2.4. სადაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობა და საჯარო რეგისტრში აღნიშნული უძრავი ქონების მის სახელზე აღრიცხვა.

3. მოსარჩელის განმარტებით, სადაც მიწის ნაკვეთი არის მისი მამის – ი. შ-ის სამკვიდრო ქონება. 1965 წლის 25 ოქტომბრის მცხეთის აღმასკომის №... გადაწყვეტილების (შემდგომში – „აღმასკომის №... გადაწყვეტილება“) საფუძველზე, ლ. დ-ებ თავისი მშენებარე სახლი სადაც მიწის ნაკვეთთან ერთად მიჰყიდა ი. შ-ეს. ის გარემოება, რომ ი. შ-ემ ნამდვილად იყიდა ეს მშენებარე სახლი და დაამთავრა მისი მშენებლობა თანდართული გეგმის მიხედვით, დასტურდება მცხეთის რაიონის სასამართლოს 1973 წლის 20 ივნისს გადაწყვეტილებით, რომლის თანახმად, არ დაკმაყოფილდა მცხეთის რაიონის ძ-ის სასოფლო საპჭოს სარჩელი ი. შ-ის მიმართ მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის შესახებ უსაფუძვლობის გამო.

4. სარჩელის თანახმად, ი. შ-ე გარდაიცვალა 1979 წლის 8 სექტემბერს. 1980 წლის 20 მარტს მოსარჩელეზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა ი. შ-ის სამკვიდრო ქონების ნაწილზე – ავტომანქანაზე.

5. 2004 წლის 12 თებერვალს ი. შ-ის უძრავი ქონების მესაკუთრედ მიღება-ჩააბარების აქტის საფუძველზე დარეგისტრირდა მამკვიდრებელი. ის გარემოება, რომ მამკვიდრებლის-თვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე მდებარე საცხოვრებელი სახლი სწორედ ის სახლია, რომელიც ი. შ-ეს ჰქონდა შეძენილი, დასტურდება აეროფოტოსურათით და ამონანერით საჯარო რეგისტრიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მეზობელი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით ...) ირიცხებოდა ზ. კ-ის სახელზე და იგივე კ-

ე არის მოხსენებული მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ მიღება-ჩაბარების აქტში.

6. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2011 წლის 15 აგვისტოს გარდაცვალა მამკვიდრებელი და 2012 წლის 20 თებერვლის სამკვიდრო მონაბიძის საფუძველზე სადავო მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მოპასუხების საკუთრების უფლება.

7. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ქონების ნაწილის – ავტომანქანის მიღების შედეგად, მან სრულად მიიღო მამის სამკვიდრო ქონება ანუ საცხოვრებელი სახლიც და, შესაბამისად, 1979 წლიდან იგი არის საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე, ხოლო 1997 წლიდან კი, 1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედებული ახალი სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, – ამ სახლზე დამაგრებული მინის ნაკვეთის მესაკუთრეც. შესაბამისად, მის გარდა, არავის ჰქონდა უფლება განეკარგა მისი უძრავი ქონება.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადასცა მცხეთის რაიონულ სასამართლოს, ხოლო მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 მარტის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოიყო მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხების მიმართ 2012 წლის 20 თებერვლის სამკვიდრო მონაბიძის ბათილად ცნობისა და სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ აღიარების შესახებ და განსჯადობით განსახილველად გადაეცა მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

9. 2014 წლის 27 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ყადაღა დაედო მოპასუხების საკუთრებაში არსებულ სადავო მინის ნაკვეთს.

10. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ მათ მიერ მემკვიდრეობით მიღებული სადავო ქონება წარმოადგენს ი. შ-ის საკუთრებას.

11. შესაგებლის თანახმად, აღმასკომის №... გადაწყვეტილება არ წარმოშობს რაიმე უფლებებს ამ ქონებაზე, რადგან 1965 წელს მინა წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გადაეცემოდა მხოლოდ სარგებლობის უფლებით. ამასთან, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ლ. დ., რომელსაც მიეცა უფლება გაესხვისებინა თავისი მშენებარე სახლი მიწის ნაკვეთან ერთად,

მიჰყიდა აღნიშნული ქონება ო. შ-ეს.

12. მოპასუხეების განმარტებით, 1998 წლის 16 აპრილს მათ მამკვიდრებელს გადაეცა სადავო მინის ნაკვეთი, როგორც რეფორმამდე მის მფლობელობაში არსებული ნაკვეთი და მასზე გაცემულია საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა. მიღება-ჩაბარების აქტის გამცემი ერთ-ერთი ადგინისტრაციული ორგანოა მინის მართვის სამმართველო, რომელიც იმავდროულად იყო უძრავ ნივთზე უფლებათა მარეგისტრირებელი ორგანო. შესაბამისად, საკუთრების უფლება რეგისტრირებულად მიიჩნევა 1998 წლიდან, რის შემდეგაც გასულია 15 წელზე მეტი ვადა. აღნიშნულის გამო, სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის საფუძველზე, მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შეცდომით რეგისტრაციის შემთხვევაშიც კი სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება ეკუთვნის მამკვიდრებელს.

13. ამასთან, მოპასუხეებმა მიუთითეს, რომ მოსარჩეულები იცოდა 2004 წლიდან მამკვიდრებლის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, თუმცა 2013 წლამდე მისი საკუთრების უფლება სადავოდ არ გაუხდია. მან 2012 წლის 10 აპრილს მიიღო სამკვიდრო მოწმობა მამის სამკვიდროზე სრულად, რის შემდეგ საჯარო რეესტრში სცადა სადავო ქონების რეგისტრაცია სხვა მისამართის მითითებით, რაც დასტურდება სარეგისტრაციო დოკუმენტაციით.

14. მოსარჩეულებ დაზუსტებული სარჩელით სასარჩელო მოთხოვნა შეამცირა და საბოლოოდ მოითხოვა 1992 წლიდან სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ აღიარება. ამასთან, მან დამატებით მიუთითა, რომ 1981 წლის 14 აპრილს ნოტარიუსმა უ. გ-ემ გასცა კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, რომლის თანახმად, მოსარჩეულე და მისი ძმა – მამკვიდრებელი ცნობილ იქნენ თანაბარნილში მემკვიდრეებად ო. შ-ის დანაშთ ქონებაზე, კერძოდ, ანაბარზე.

15. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 20 თებერვალს მამკვიდრებლის სამკვიდროზე მოპასუხეების მიმართ გაცემული სამკვიდრო მოწმობა მცხეთაში, ა-ში მდებარე უძრავი ქონების – 1195 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის და მასზე არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი ...) 1/2 წილის შესახებ; მოსარჩელე აღიარებულ იქნა მცხეთაში, ა-ში მდებარე უძრავი ქონების – 1195 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის და მასზე არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი ...) 1/2 წილის მე-

საკუთრედ.

16. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაემაყოფილდა, უცვლელად დარჩა მცხეთის რაი-ონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება.

18. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გა-დაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გა-რემოებები:

18.1. სადაც უძრავი ქონება, მდებარე: მცხეთა, ა-ი, 1195 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული საცხოვრებელი სახლი ტექალრიცხვის სამსა-ხურში აღრიცხული არ ყოფილა;

18.2. მოსარჩელის მამა – ი. შ-ე გარდაიცვალა 1979 წლის 8 სექტემბერს. მას დარჩა ორი პირები რიგის მემკვიდრე: შვი-ლები – მოსარჩელე და მამკვიდრებელი (მოპასუხეთა მამა);

18.3. სადაც ქონებაზე (მდებარე: მცხეთა, ა-ი, 1300 კვ.მ სა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ ...) საჯა-რო რეესტრში 2004 წლის 12 თებერვლიდან რეგისტრირებულია მამკვიდრებელის საკუთრების უფლება. რეგისტრაციის საფუძ-ვლად მითითებულია 1998 წლის 16 აპრილს გაცემული მიწის ნაკ-ვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №... (მამკვიდრებლისათვის მცხე-თის რაიონის სოფელ ძ-ში 0.13 ჰა სასოფლო – სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთის 1 ნაკვეთად გადაცემის შესახებ);

18.4. მამკვიდრებელი 2011 წლის 13 აგვისტოს გარდაიცვა-ლა. 2012 წლის 20 თებერვალს მისი შვილების – მოპასუხეების მიმართ გაცემულია სამკვიდრო მოწმობა მამის სამკვიდრო ქო-ნებაზე – მცხეთაში, ა-ში მდებარე 1300 კვ.მ სასოფლო-სამე-ურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, კოდით ...;

19. სააპელაციო პალატის მითითებით, საქმეში წარმოდგე-ნილი მტკიცებულებების სამართლებრივი შეფასების საფუძ-ველზე, პასუხი უნდა გასცემოდა კითხვას: შედიოდა თუ არა სა-დაც უძრავი ქონება მოსარჩელის მამის – ი. შ-ის სამკვიდრო მასაში.

20. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მცხეთის მშრომელ-თა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტე-ტის 1965 წლის 25 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების (შემ-დგომში – „აღმასკომის №... გადაწყვეტილება“) საფუძველზე, ი. შ-ეს მცხეთაში, ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე წარმო-

ეშვა საკუთრების უფლება, ხოლო 1195 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე – კანონიერი სარგებლობის უფლება. შესაბამისად, ი. შ-ის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული ქონება ამ უკანასკნელის სამკვიდრო მასაში შევიდა.

21. სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნული დასკვნა დააფუძნა შემდეგ გარემოებებს: საქმეში წარმოდგენილი აღმასკომის №... გადაწყვეტილების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. გ-ის ძე დ-ის თხოვნა დაკმაყოფილდა და ამ უკანასკნელს ნება დაერთო, წანილობრივ აშენებული ბინა პოლკოვნიკ ი. ი-ის ძე შ-ეზე გაესხვისებინა; ამასთან, მცხეთის რაიონის სასამართლოს 1973 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მცხეთის რაიონის სოფელ ძ-ის სასოფლო საბჭოს სარჩელი ი. შ-ის მიმართ, ძ-ში მდებარე თვითნებურად აშენებული საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევის შესახებ, არ დაემყოფილდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ი. შ-ეს ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით ნება დაერთო მშენებარე სახლის ყიდვაზე და მასზე გაცემულია გეგმა ბინის მშენებლობის შესახებ.

22. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხები სადაცოდ ხდიდნენ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების – აღმასკომის №... გადაწყვეტილებისა და მცხეთის რაიონის სასამართლოს 1973 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების ნამდგილობას და ამ დოკუმენტების სიყალბეს ამყარებდნენ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე მხარის მიერ წარმოდგენილი იქნა 1965 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებული მცხეთის აღმასკომის ორი ერთნაირი შინაარსის გადაწყვეტილება, რომელთაგან ერთის ნომერია ..., ხოლო მეორის – ..., მათ შორის განსხვავებაა, ასევე, ოქმის პარაგრაფებშიც; ერთ შემთხვევაში მითითებულია პარაგრაფი – 6, ხოლო მეორე შემთხვევაში – პარაგრაფი – 9; მცხეთის რაიონის სასამართლოს 1973 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების სიყალბის საფუძვლად კი მოპასუხები მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოში არ მოიქმნა საქმის მასალების არქივში გადაგზავნის შესახებ ინფორმაცია.

23. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხების ზემოაღნიშნული მოსაზრებები, შემდეგ გარემოებათა გამო:

23.1. აღმასკომის №...ით იდენტიფიცირებული დოკუმენტი პირველი ინსტანციის სასამართლომ ამორიცხა მტკიცებულე-

ბათა სიიდან და იგი გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ დასდებია. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება აღმასკომის №... გადაწყვეტილების ასლს, რომელიც გაცემულია უფლებამოსილი აღმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ და მოპასუხეს აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით არ მოითოვებია ისეთ გარემოებებზე, რაც მის ავთენტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელეს მისი მტკიცების ფარგლებში არ წარმოუდგენია სათანადო და დასაშვები მტკიცებულება (მაგ., სასამართლო განაჩენი), რომელიც სადაც დოკუმენტის სიყალეს დაადასტურებდა;

23.2. ორივე ზემოაღნიშნული დოკუმენტი (აღმასკომის №... და №... გადაწყვეტილებები), რომელთა შინაარსიც სრულიად იდენტურია, წარმოდგენილია ასლის სახით, თუმცა, №...ით იდენტიფიცირებული დოკუმენტის ასლი, რომელიც გაცემულია საქართველოს ეროვნული არქივის მიერ, შესრულებულია ქსეროქსის საშუალებით და წარმოადგენს უშუალოდ დედანი დოკუმენტის ასლს (დოკუმენტზე დასმულია გადაწყვეტილების მიმღები პირების ხელმოწერა), №... დოკუმენტი კი გაცემულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და არის ასლის ასლი (პირველი ასლი სავარაუდოდ გაცემულია გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ). ამასთან „პირველი ასლი“ შედგენილია არა ქსეროქსის საშუალებით, არამედ კომპიუტერის ან საბეჭდი მანქანის საშუალებით ისე, რომ ტექსტი ხელახლა არის დაბეჭდილი, ხოლო ტექსტის ბოლოს უფლებამოსილი პირების ხელმოწერების ნაცვლად მითითებულია: „ხელმოწერილია“, ასლის დედანთან სისწორეს კი ადასტურებს მდივანი. ასეთ ვითარებაში, სააპელაციო პალატამ სარწმუნოდ მიიჩნია მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ №... დოკუმენტის ასლის ბეჭდვის დროს გადაწყვეტილების მაიდანტიფიცირებულ მონაცემებში შემსრულებელმა დაუშვა ტექნიკური შეცდომა. სასამართლოს აღნიშნულ რწმენას უმყარებს ასევე ის გარემოებაც, რომ სადაც გადაწყვეტილების რეალურად არსებობის ფაქტი დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მცხეთის რაიონის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 1973 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით, რომელიც სწორედ მცხეთის აღმასკომის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას ემყარება.

24. სააპელაციო პალატამ, ასევე, არ გაიზიარა მოპასუხეების პრეტენზია მცხეთის რაიონის სასამართლოს 1973 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების სიყალის შესახებ და მიიჩნია, რომ ის ფაქტი, რომ არ დგინდება, თუ როდის გაეგზავნა არქივს სა-

მოქალაქო საქმის დოკუმენტაცია, არ მიუთითებდა ამ დოკუმენტის სიყალბეზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი, რომელიც გაცემულია იმ საჯარო დაწესებულების (საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივთსაცავის) მიერ, რომელიც სასამართლოში წარმოებულ საქმეთა დოკუმენტაციის შენახვაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს.

25. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე ზოშნავს იმას, რომ მხოლოდ სასამართლო წყვეტის მტკიცებულებათა სარწმუნობის საკითხს. ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და მოსაზრებების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხების არგუმენტი – სადავო დოკუმენტების სიყალბის შესახებ, მოკლებული იყო მტკიცებას.

26. სააპელაციო პალატამ, ასევე, არ გაიზიარა მოპასუხეების შედავება, რომ აღმასკომის №... გადაწყვეტილება, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 238-ე, 239-ე, 240-ე მუხლების შესაბამისად, არ წარმოადგენდა სადავო ქონებაზე (საცხოვრებელ სახლზე) ი. შ-ის საკუთრების უფლების წარმომშობ დოკუმენტს.

27. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის თანახმად, სახლი, რომელსაც მოქალაქე აშენებდა, მისი მშენებლობის დამთავრებამდე, არ შეიძლებოდა გასხვისებულიყო სხვა პირზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახლი იყიდებოდა მასალად. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ნებართვა (მშენებარე სახლის ი. შ-ეზე გასხვისების უფლება) ლ. დ. აღმასკომის №... გადაწყვეტილებით მოიპოვა, ხოლო ის ფაქტი, რომ აღნიშნული ნებართვის ფარგლებში ლ. დ. სადავო ქონება ი. შ-ეზე ნამდვილად გაასხვისა, დასტურდება მცხეოს რაიონის სასამართლოს 1973 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მცხეოს რაიონის ძ-ის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სარჩელი მოპასუხე ი. შ-ის მიმართ ბინის ჩამორთმევის შესახებ. გადაწყვეტილებაში მითითებულია: „სახალხო სასამართლო თვლის, რომ მოპასუხის განმარტება სწორია, საქმეშია ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება და ისაგან შ-ის მიერ ბინის ყიდვის ნებართვაზე და გეგმა ამ უკანასკნელის სახელზე გაცემული ბი-

ნის მშენებლობის შესახებ. სარჩელის მოთხოვნა ხსენებულ გარემოებათა მიხედვით არასწორია და გაზიარებული არ უნდა იქნეს“. ამასთან, სააპელაციო პალატამ მოწმეთა ჩვენებებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ სახლის მშენებლობა გააგრძელა ი. შემდეგ სახლში სარემონტო სამუშაოები მისმა შეიღება – მამკვიდრებელმა და მოსარჩელემ დაასრულეს.

28. 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის გამოყენების ფარგლებთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, ქალაქი ან ქალაქის ტიპის დაბაში მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დამოწმებულ უნდა იქნას სანოტარო წესით და რეგისტრირებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სამი თვეს ვადაში სანოტარო წესით დამოწმების დღიდან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული ნორმა არეგულირებს არა მშენებარე სახლის, არამედ – დასრულებული საცხოვრებელი სახლის გასხვისების სამართლებრივ საფუძვლებს, ხოლო განსახილველ შემთხვევაში კი საკითხი ესება მშენებარე სახლს, რომლის გასხვისების სპეციალურ წესს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 240-ე მუხლი ადგენს და იგი მშენებარე სახლის გასხვისებისათვის, აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვის შემდგომ, დამატებით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სანოტარო წესით დადების ვალდებულებას არ ითვალისწინებს. სააპელაციო პალატამ დაგენილად მიიჩნია, რომ მშენებარე სახლი ტექ.აღრიცხვის ბიუროში ლ. დ-ის სახელზე აღრიცხული არ ყოფილა და, შესაბამისად, იგი ვერ იქნებოდა სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი ანუ – ისეთი ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი, რომელიც სანოტარო წესით დადასტურებას საჭიროებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მცდარი იყო მოპასუხების მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ სადაცოუძრავი ქონების მიმართ ი. შ-ის საკუთრების უფლების წარმოშობისათვის სავალდებულო იყო მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება.

29. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 1965 წელს უფლებამოსილი ორგანოს – აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე, ი. შ-ეს საცხოვრებელ სახლზე წარმოეშვა საკუთრების უფლება, ხოლო მასთან მდებარე მიწის ნაკვეთზე კი – კანონიერი სარგებლობის უფლება.

30. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხებს

სარჩელის საწინააღმდეგოდ არ წარმოუდგენიათ რაიმე მტკი-ცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი ი. შეს არ გადასცემია ან მტკიცებუ-ლებები იმის შესახებ, რომ სადავო მიწის ნაკვეთი ინდივიდუა-ლურად მამკვიდრებელს გამოყეყო სამშენებლოდ და ნება და-ერთო სადავო სახლის მშენებლობაზე ან, რომ მამკვიდრებელ-მა მესამე პირთან დადებული გარიგების საფუძველზე შეიძინა ეს ქონება.

31. სააპელაციო პალატამ მიუთითა „საქართველოს რესპუბ-ლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების მე-5 პუნქტზე, რომ-ლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებზე კა-ნონით დადგენილი ნორმის ფარგლებში რიცხული საკარმიდა-მო, საბალე და სააგარაკო მიწები უსასყიდლოდ გადადის მათ კერძო საკუთრებაში და ამავე დადგენილების მე-7 პუნქტზე, რომლის მიხედვით, სოფლის ყოფილ მკვიდრთ მიწები გამოე-ყოფათ კერძო საკუთრებაში, თუ მათ მემკვიდრეობით მიღებუ-ლი აქვთ საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი, იგივე წესი ვრცელდება მოქალაქეებზე, რომელთაც კანონით დადგენილი სხვა წესით მიღეს საცხოვრებელი სახლი.

32. მიღება-ჩაბარების აქტთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯე-ლობა და ალიშნა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მოქალა-ქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დო-კუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“ საქართვე-ლოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნი-სის №503 დადგენილების შესაბამისად, მამკვიდრებელზე მი-ნის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის გაცემა მიუთითებს ი. შ-ის სამკვიდროში არსებული მიწის ნაკვეთის პრივატიზაციაზე მის ყველა მემკვიდრეზე, რადგან აღნიშნული დადგენილების თანახმად, ოჯახის ყველა წევრზე მიწის მიღება-ჩაბარების აქ-ტის გაფორმება გათვალისწინებული არ იყო.

33. სააპელაციო პალატამ, საქართველოს სამოქალაქო კო-დექსის 1328-ე მუხლზე დაყრდნობით, განმარტა, სამკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის უფლებებსა და ვალდებულებებს. სამ-კვიდროში შედის ქონებრივი უფლებები, შესაბამისად, სამკვიდ-რო არ მოიცავს მხოლოდ რეგისტრირებულ უფლებებს, სამკვიდ-როში შედის ასევე მამკვიდრებლის მიერ ქონებაზე კანონით დადგენილი წესით მოპოვებული უფლებები. სააპელაციო სასა-მართლომ მიიჩნია, რომ ი. შემ კანონით დადგენილი წესის დაც-

ვით, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ნებართვის საფუძველზე ლ. დ-ისაგან შეიძინა მშენებარე სახლი, რის შემდეგაც დაასრულა სახლის მშენებლობა. ამ უძრავ ქონებაზე უფლება ი. შ-ეს სიკოცხლეში არ გაუსხვისებია. ის ფაქტი, რომ სახლი და მიწის ნაკვეთი ი. შ-ის სახელზე არ აღრიცხულა, სახლის ექსპლუატაციაში მიღება არ დასტურდება, არ გამორიცხავდა მის მართლზომიერ უფლებებს ამ ქონებაზე. სადავო სახლზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება იყო ი. შ-ის სამკვიდროში არსებული ქონებრივი უფლება. შესაბამისად, ი. შ-ის გარდაცვალების შემდეგ, სადავო უძრავი ქონება სამკვიდრო მასის ნაწილი გახდა იმ კანონიერი უფლებებით, რაც მამკვიდრებელს ამ ქონების მიმართ გააჩნდა.

34. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩეულმ მამის სამკვიდროში არსებული სადავო ქონება ფაქტობრივი დაუფლების გზით ძმასთან (მამკვიდრებელთან) ერთად თანაბარნილში მიიღო. სააპელაციო პალატამ აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

34.1. 1980 წლის 20 მარტს ნოტარიუს მ. დ-ის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, მოსარჩეულე ცნობილია მამის ი. შ-ის სამკვიდროს – ავტომანქანის (პობედა მ-20, სახ. №გრო ...) მესაკუთრედ;

34.2. 1981 წლის 14 აპრილს გაცემული სამკვიდრო მოწმობის შესაბამისად, მამკვიდრებელსა და მოსარჩეულეს თანაბარნილად აქვთ მიღებული მემკვიდრეობა მამის – ი. შ-ის საბანქო ანაბარზე;

34.3. 2012 წლის 10 აპრილს ნოტარიუს ე. ყ-ის მიერ გაცემულია სამკვიდრო მოწმობა, რომლის მიხედვით, მოსარჩეულე ცნობილია მამის ი. შ-ის სამკვიდროში არსებული უფლებების (სამკვიდრო აქტივი) და ვალდებულებების (სამკვიდრო პასივი) მემკვიდრედ მიღებული სამკვიდროს ღირებულების ფარგლებში. სამკვიდრო მოწმობაში მითითებულია, რომ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღება დასტურდება 1980 წლის 20 მარტს გაცემული სამკვიდრო მოწმობით.

35. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადასტურებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩეულე სადავო საცხოვრებელ სახლს მამის გარდაცვალების შემდეგ ძმასთან (მამკვიდრებელთან) ერთად ფაქტობრივად დაეუფლა, სააპელაციო საჩივრით შედავებული არ არის. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია გარემოება, რომ მოსარჩეულემ, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ, სამკვიდრო მასაში შემავა-

ლი სადაც საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი ფაქტობრივი დაუფლების გზით ძმასთან (მამკვიდრებელთან) ერთად თანაპარნილში მიიღო.

36. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეთა უფლებებს არ იცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით დადგენილი რეესტრის მონაცემების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმეცია, რადგან მთელ ქონებაზე მამკვიდრებლის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის ხამდვილი უფლების საფუძველზე, ვინაიდან, როგორც დადგინდა მამის ქონება ძმასთან ერთად მემკვიდრეობით მიიღო ასევე მოსარჩელემ. მხოლოდ რეგისტრაციის ძალაში არსებობის ფაქტი რეგისტრირებული უფლების ნამდვილობაზე არ მიუთითებს. უფლების რეგისტრაციის სისწორისათვის განმსაზღვრელია უფლების ნარმოშობის საფუძველი, მისი მართლზომიერება. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მთელ ქონებაზე მამკვიდრებლის საკუთრების უფლების რეგისტრაციის უსწორობა, რადგან სადაც ქონება მიწის რეფორმამდე მის ინდივიდუალურ სარგებლობაში არ იმყოფებოდა, სადაც მიწის ნაკვეთი მართლზომიერ სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა მის მამას – ი. შეს, ხოლო მოსარჩელეს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, ძმასთან ერთად, თანაპარნილად წარმოეშვა უფლებები სადაც უძრავ ქონებაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამკვიდროს მიღების პირობებში მემკვიდრეს (მოსარჩელეს) ჰქონდა უფლება, დაუცვა მიღებული სამკვიდრო სხვა დანარჩენი მემკვიდრებისაგან, მათ შორის იმ მემკვიდრისაგან, რომელმაც განახორციელა საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

37. სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება სასამარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივლისის №ას-146-140-2012 განჩინებაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ მემკვიდრის მიერ სადაც უძრავი ქონების მიღება ფაქტობრივი ფლობით ან მართვით მას განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმში აყენებს. სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (კონკლუდენტური მოქმედებებით) მემკვიდრე ხდება სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. ამ მოქმედიდან ის ითვლება მამკვიდრებლის ურთიერთობების კრედიტორად და მოვალედ. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლით განსაზღვრული დანაწესის თანახმად, საკუთრების

უფლება ჩნდება კანონის საფუძველზე. ამასთან ერთად, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, როგორც რეგისტრაცია-სავალდებულო უფლება, მოითხოვს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, თუმცადა საკუთრების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის უფლება ხანდაზმულობით შეზღუდული არ არის. სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების გზით მიღების შემთხვევაში, მართალია, მემკვიდრეს წარმოეშვება მიღებულ უძრავ ნივთზე საკუთრების რეგისტრაციის უფლება, მაგრამ ამ რეგისტრაციის განუხორციელებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მან არ მიღო ეს ქონება. ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი უფლება და არა აბსოლუტური უფლება, შესაბამისად, აბსოლუტურ უფლებაზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, აგრეთვე, იმ განჩინებების კანონიერებაზე, რომლებიც გამოტანილი იყო საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებდა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას.

39. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 ოქტომბრის საოქმო განჩინებასთან დაკავშირებით, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის შესახებ და სხდომაზე მოწმებად მოწვეულნი იქნენ გ. ჯ-ე და ზ. კ-ე, სააპელაციო პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლისა და 215-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების ანალიზის საფუძველზე, მიუთითა, რომ მტკიცებულებათა წარდგენა დასაშვებია საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, ხოლო მათი წარდგენა სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაუშვებელია, ვინაიდან ამის უფლებას ზღუდვას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის შესაბამისად, მთავარ სხდომაზე სასამართლო დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შესახებ შუამდგომლობებს განიხილავს მხოლოდ გამონაკლისის სახით, კერძოდ, თუ მხარეს მათი წარდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე არ შეეძლო ობიექტური მიზეზებით ანუ აღნიშნულის შესახებ არ იცოდა ან შუამდგომლობათა წარდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარემ ვერ უზრუნველყო საპატიო მიზეზით. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის შესახებ მოსარჩელემ წარადგინა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შუამდგომლობის განხილვისას საპროცესო სამართლის ნორმე-

ბის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა და, შესაბამისად, უსაფუძვლო იყო მოპასუხეების მოთხოვნა საოქმო განჩინების გაუქმების შესახებ.

40. სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 21 ნოემბრის საოქმო განჩინებაც, რომლითაც არ დაკამაყოფილდა მოპასუხეების წარმომადგენლის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და 393-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით, განმარტა, რომ, გარდა იმისა, რომ მოპასუხეების მიერ მითითებული გარემოებები ვერ ასაბუთებდა მოსამართლის საქმის შედეგით დაინტერესების ფაქტს, ასევე გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იყო არსებითად სწორი გადაწყვეტილება. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდებოდა იმ სახის საპროცესო დარღვევები, რომლებსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი მითითებულ განჩინებასთან დაკავშირებით არ უნდა ყოფილიყო დაკმაყოფილებული.

41. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, აგრეთვე, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 ოქტომბრის განჩინების კანონიერებაზე, რომლითაც არ დაკამაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა საქმიდან მცხეთის რაიონის სასამართლოს 1983 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების ამოღებისა და, ასევე, აღმასკომის №... გადაწყვეტილების ამორიცხვის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეები მიუთითებდნენ საბუთის სიყალბეზე, რასთან დაკავშირებითაც პალატამ უკვე იმსჯელა და მიიჩნა, რომ მოპასუხეების არგუმენტი დოკუმენტის სიყალბის შესახებ მოკლებული იყო მტკიცებას. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები დაცული იყო არქივში და არ წარმოადგენდა არაკანონიერი გზით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

42. სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა, აგრეთვე, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც არ დაკამაყოფილდა მოპასუხეების შუამდგომლობა მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 84-ე მუხლის პირველ ნაწილსა და მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელე არის პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი თავისი დარღვეული ან სადაცო უფლების დასაცავად. პირმა შესაძლებელია მიმართოს სასამართლოს, როდესაც მას ესაჭიროება თავისი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. მხარეებს, ანუ სადაცო მატერიალურ-სამართლად მიმდინარეობის სუბიექტებს, საქმეში გამოიყენება გარკვეული მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა არის უძრავ ქონებასთან მიმართებით გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა და ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა. სარჩელის მოთხოვნა ემყარება იმ გარემოებას, რომ ქონება ნარმოადგენს სამკვიდრო მასას, რომელიც მოსარჩელეს მიღებული აქვს კანონით დადგენილი წესით. ამდენად, მოსარჩელემ მიიჩნია რა, რომ დაირღვა მისი ქონებრივი უფლებები, ითხოვს სასარჩელო წესით ქონებრივი ინტერესის დაკამაყოფილებას. ქონება, რომელიც წარმოადგენს სადაცოს, მოსარჩელის განმარტებით, მისი მამის სამკვიდროში შედიოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა სადაცო სამართლურთიერთობის მონაწილე მხარეს და, შესაბამისად, მითითება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე არ იყო სათანადო მხარე, სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა.

43. სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 ოქტომბრის განჩინებაც, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხეების შუამდგომლობა გ. კ-ისა და სოფელ ძ-ის ტერიტორიული ორგანოს მდივნის მოწმის სტატუსით დაბარების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად განჩინებაში მითითებულია, რომ ამჟამად მოქმედი სოფელ ძ-ის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის და ამ ტერიტორიულ ირგანოში მომუშავე თანამდებობის პირის მდივნის დაკითხვა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დადასტურების საშუალებას არ წარმოადგენდა, რადგან მათი ჩვენება არ შეეხებოდა სადაცო პერიოდში მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის გაცემის გარემოებებს და იმ ფაქტს, რომ ი. შ-ის სამკვიდროში შედიოდა თუ მამკვიდრებლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა ეს ქონება, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 102-ე მუხლის, 104-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 140-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კანონიერად არ დაკმაყოფილა მოპასუხების შუამდგომლობა გ. კისა და სოფელ ძ-ის ტერიტორიული ორგანოს მდივნის მოწმეებად გამოძახების შესახებ.

44. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხეებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

45. საკასაციო საჩივრის ავტორებმა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, ასევე მოითხოვეს სასამართლოს მიერ გამოტანილი წინმსწრები განჩინებების – სოფელ ძ-ის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულისა და მდივნის სასამართლოში მოწმებად დაკითხვაზე, მტკიცებულებების გამოთხოვაზე, მოსარჩელის მოწმების დაკითხვაზე, დამატებით მოწმების დაკითხვაზე, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მოწმეთა ჩვენებების დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობაზე, დოკუმენტის სიყალბეზე, მოსარჩელის არასათანადო მოსარჩელედ ცნობაზე, მოსამართლე დ. გ-ის აცილებაზე, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების – ე.წ. სარჩელი ძ-ის აღმასკომის სახელით – დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობაზე, მოსამართლე ნ. ნ-ის აცილებაზე და სასამართლოს მიერ განჩინების მიღების გარეშე ბ. ჩ-ის მოწმედ დაკითხვის კანონიერების შემოწმება.

46. კასატორებმა ასევე აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩა ძალაში, კერძოდ, კასატორებმა მიუთითეს, რომ მცხეთის რაიონულმა სასამართლომ 2014 წლის 27 მარტს განჩინებით ყადაღა დაადო კასატორების საკუთრებაში არსებულ მთლიან სადავო ქონებას და ეს განჩინება 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით უცვლელად დატოვა ძალაში, მიუზედავად იმისა, რომ მოსარჩელის მიერ შემცირებული სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე სასამართლომ მოსარჩელის საკუთრების უფლება აღიარა სადავო ქონების მხოლოდ ½ ნაწილზე.

47. კასატორები უთითებენ, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დ. გ-ს არ გააჩნია ადმინისტრაციული საქმიდან გამოყოფილი სამოქალაქო საქმის განხილვის სამართლებრივი საფუძველი და ითხოვენ, რომ შემოწმდეს სამოქალაქო სარჩელის განსახილველად მიღების კანონიერება.

48. საკასაციო საჩივრის ავტორებმა მიუთითეს, რომ სააპე-

ლაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მიღება-ჩაბარების აქტით მამკიდრებელზე გადაცემული 1300 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მცხეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმას-რულებელი კომიტეტის 1960 წლის 30 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით მოქალაქე ლ. გ-ის ძე დ-ეზე გამოყოფილი ძ-ის კირის ქარხნის 1000 კვ.მ. საკარმილამო მიწის ნაკვეთის იდენტურობის საკითხი.

49. კასატორებმა აღნიშნეს, რომ სასამართლოებმა არ გამოიკვლიეს 36 წლის განმავლობაში მოსარჩელის მიერ მამისვან დარჩენილი სამკიდროს მიღების დამაბრკოლებელი მიზეზი, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა ის ფაქტი, იცოდა თუ არა მოსარჩელემ მიღება-ჩაბარების აქტით მამკიდრებელზე მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ, ხოლო, თუ არ იცოდა, როდის გაიგო ამის თაობაზე.

50. საკასაციო საჩივრის ავტორების განმარტებით, სასამართლომ მოსარჩელეს ისე მიაკუთვნა სადაცო ქონების ॥ ნაწილი, რომ 2004 წელს საჯარო რესტრში მამკიდრებელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლად მითითებული მიღება-ჩაბარების აქტი არ გაუქმებულა. ამასთან, კასატორების მტკიცებით, აღნიშნული აქტის ბათილობის გარეშე მოსარჩელის აღიარებით სარჩელზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება, ვინაიდან სახეზე იქნება ორი საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი: ერთი მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც სადაცო გამხდარი უძრავი ქონების ½ ნაწილი იქნება მოსარჩელის საკუთრების და, მეორე მხრივ, მამკიდრებლის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი – მიღება-ჩაბარების აქტი.

51. კასატორების მითითებით, საქმეში არ მოიპოვება აღმასკომის გადაწყვეტილება, რომლითაც მიწის ნაკვეთი, რომელიც 1960 წელს გამოეყო ლ. დ-ეს სარგებლობის უფლებით, აღმასკომმა ჩამოართვა ლ. დ-ეს და სარგებლობის ან სხვა სახის უფლებით გადასცა ი. შ-ეს და, რომელიც წარმოშობდა ი. შ-ის უფლებას ამ მიწაზე.

52. საკასაციო საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, რეალურად დაიდო თუ არა სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება ლ. დ-ესა და ი. შ-ეს შორის. ამასთან, კასატორები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ აღმასკომის №... გადაწყვეტილებით ლ. დ-ეს მიეცა მხოლოდ სახლის გასხვისების უფლება, ხოლო 1960 წლის 30 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით გამოყოფილი 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემაზე არ ჰქონდა უფლება.

53. კასატორების მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გამოევლია 2011 წელს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სამკვიდრო მონაცემის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე მოსარჩევისთვის უარი თქმის მიზეზი ანუ რეგისტრაციაზე უარი განპირობებული იყო იმით, რომ მოსარჩევეს არ გააჩნდა საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი თუ სახეზე იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, რეგისტრირებული უფლებისა და დასარეგისტრირებელი უფლების იდენტურობა.

54. საკასაციო საჩივრის ავტორები ამტკიცებენ, რომ აღმასკომის №... გადაწყვეტილება არის ყალბი, სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით განვითარებული მსჯელობა დაუსაბუთებელია და არ ემყარება საქმის მასალებს.

55. კასატორებმა ასევე მიუთითეს, რომ მცხეთის სასამართლოს 1973 წლის 20 ივლისის №... გადაწყვეტილება გამოტანილია აღმასკომის №... გადაწყვეტილების, ოქმი №22, პარაგრაფი 6-ის საფუძველზე. №... გადაწყვეტილება მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ამორიცხა მტკიცებულებების სიიდან, თუმცა, ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება გამოიყენა ი. შ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად.

56. ამასთან, კასატორებმა აღნიშნეს, რომ მცხეთის სასამართლოს 1973 წლის 20 ივლისის №... გადაწყვეტილება არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სადაც კონება ი. შ-ის საკუთრებას წარმოადგენდა, რადგან ი. შ-ზე ბინის ჩამორთმევა შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ იგი არ იყო ბინის მესაკუთრედ რეგისტრირებული პირი და მას არ გააჩნდა ნასყიდობის ხელშეკრულება დამოწმებული სანოტარო წესით.

57. კასატორების განმარტებით, საქმეში არსებული აღმასკომის №... გადაწყვეტილების ნამდვილობა ეჭვქვეშ არ დააყენა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რაც გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში, როგორც წინმისწრება განჩინება და არც სააპელაციო სასამართლოს არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილება ან განჩინება, შესაბამისად, კასატორები ითხოვენ ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით აღნიშნული საკითხის შემოწმებას.

58. საკასაციო საჩივრის ავტორები უთითებენ, რომ, თუ სადაც კონება რეალურად წარმოადგენს ი. შ-ის სამკვიდრო მასაში შემაგალ ქონებას, სასამართლოს უნდა გამოეკვლია, ხომ არ იყო აღნიშნული ქონება მამკვიდრებლის ერთპიროვნული სამკვიდრო ქონება, რადგან მის ძმას ერთპიროვნულად ერგო

ავტომანქანა მემკვიდრეობით, რომლის ფასი იმ დროს სადაც მინის ნაკვეთის ლირებულებაზე მეტი იყო.

59. კასატორებმა აღნიშნეს, რომ მიღება-ჩაბარების აქტი გაცემულია მინის მართვის სამმართველოს მიერ, რომელიც წარმოადგენდა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მარეგისტრირებელ ორგანოს. შესაბამისად, ამ ორგანოს მიერ მიღება-ჩაბარების აქტის მამკვიდრებელზე გაცემის შედეგად მას წარმოეშვა საკუთრების უფლება, რაც უტოლდება საჯარო რეესტრის ჩანაწერს. შესაბამისად, ითვლება, რომ მამკვიდრებელი არის ამ უძრავი ნივთის მესაკუთრე 1998 წლიდან. ამასთან, გამომდინარე იქედან, რომ უძრავ ქონებაზე ხანდაზმულობის 6-წლიანი ვადა მოქმედებს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაციიდან გასულია 12 წელი, ხოლო თავად მიღება-ჩაბარების აქტის გამოცემიდან – 18, კასატორების მოსაზრებით, სარჩელი ხანდაზმულია.

60. კასატორებმა მიუთითეს სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამკვიდროს მიღებაზე შედაგების ვადა არის 2 თვე და აღნიშნეს, რომ სასამართლომ არ დაადგინა, კასატორების სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელე და, ამასთან, გაშვებული ჰქონდა თუ არა მას გასაჩივრების ვადა. კერძოდ, საკასაციო საჩივრის ავტორების განმარტებით, მოსარჩელისთვის საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაციის მცდელობისას ცნობილი გახდა, რომ კასატორებზე იყო გაცემული სამკვიდრო მოწმობა, შესაბამისად, მას უფლება ჰქონდა სამკვიდრო მოწმობის თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან 2 თვის ვადაში გაესაჩივრებინა სამკვიდრო მოწმობის კანონიერება, რაზეც სასამართლოს არ უმსჯელია.

61. კასატორებმა საკასაციო საჩივრაში დააყენეს შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისა და, აგრეთვე, როგორც განსაკუთრებული და იშვიათი სამართლებრივი დავის, დიდი პალატისთვის გადაცემაზე.

62. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 სექტემბრის განჩინებით კასატორების შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

63. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო

საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისა და, აგრეთვე, საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის გადაცემის თაობაზე კასატორების შუამდგომლობის განხილვის შედეგად, მიიჩნევს, რომ აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საკასაციო საჩივარი მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშეგვებლად.

64. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: а) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; б) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ეპროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

65. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

66. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად აქვს გამოკვლეული საქმის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება და სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

67. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე

მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგინათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

68. საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიებიდან (იხ. მოცემული განჩინების 44-ე-61-ე პუნქტები) საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ იმ პრეტენზიებზე, რომლებიც მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანია. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯდარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03, პარ. 71; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81.).

69. საკასაციო სასამართლო უპირველესად იმსჯელებს კასატორების იმ პრეტენზიაზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მიღება-ჩაბარების აქტით მამკვიდრებელზე გადაცემული 1300 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მცხეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1960 წლის 30 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით მოქალაქე ლ. გ-ის ძე დ-ეზე გამოყოფილი ძ-ის კირის ქარხნის 1000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთის იდენტურობის საკითხი.

70. საკასაციო სასამართლო კასატორების ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა ი. შ-ის სამკვიდროს (იხ. მოცემული განჩინების მე-19-30-ე პუნქტები). სააპელაციო სასამართლო აღნიშნულ დასკვნამდე მივიდა საქმეში არსებული აღმასკომის №... გადაწყვეტილებისა და მცხეთის რაიონის სასამართლოს 1973 წლის 20 ივლისის გა-

დაწყვეტილების შესწავლის შედეგად. აღმასკომის №... გადაწყვეტილებით ლ. გ-ის ძე დ-ეს ნება დაერთო გაესხვისებინა ნაწილობრივ აშენებული ბინა პოლკოვნიკ ი. ი-ის ძე შ-ეზე. ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ, თავის მხრივ, ა-ში მცხოვრებ ლ. გ-ის ძე დ-ეს მიწის ნაკვეთი გამოეყო აღმასკომის 1960 წლის 30 აგვისტოს №... გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო, მცხეთის რაიონის სასამართლოს 1973 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით კი არ დაკმაყოფილდა მცხეთის რაიონის სოფელ ძ-ის სასოფლო საბჭოს სარჩელი ი. შ-ის მიმართ სოფელ ძ-ში მდებარე თვითნებულად აშენებული საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევის შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად, ი. შ-ეს ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით ნება დაერთო მშენებარე სახლის ყიდვაზე და მასზე გაცემულია გეგმა ბინის მშენებლობის შესახებ.

71. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საჯარო რეესტრში მამკვიდრებლის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლად მითითებულია მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული აქტის თანახმად კი, სადაც კონება წარმოადგენს მიწის რეფორმამდე არსებულ ფართს.

72. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოდგენილი მტკიცებულებები მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ აღმასკომის №... გადაწყვეტილების საფუძველზე (რომლის გამოცემას, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო აღმასკომის 1960 წლის 30 აგვისტოს №... გადაწყვეტილება ა-ში მცხოვრებ ლ. გ-ის ძე დ-ისთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე), ი. შ-ეს მცხეთაში, ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე წარმოექვენა საკუთრების უფლება, ხოლო 1195 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე – კანონიერი სარგებლობის უფლება. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნონს, რომ მოპასუხებს არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოებში წარუდგენიათ იმ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც სარწმუნოდ, უტყუარად და დამაჯვერებლად გააქარწყლებდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ზემოაღნიშნულ წერილობით მტკიცებულებებს (მაგალითად, იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ი. შ-ეს არ გადასცემია საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი ან, რომ მამკვიდრებელს მიწის რეფორმამდე ინდივიდუალურად გამოეყო მიწის ნაკვეთი სახლის ასაშენებლად ან, რომ მან მესამე პირისგან შეიძინა აღნიშნული ქონება).

73. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალნარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარნებულონ მეორე მხარის მიერ ნამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

74. სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომლებიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ეკისრება სასარჩელო განცხადებაში მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთი, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, ნარადიონის იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარნებულებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადასწონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს.

75. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნაკვეთების იდენტურობასთან დაკავშირებული პრეტენზია მოცემულ შემთხვევებაში არ არის გამყარებული მოთხოვნის გამომრიცხავი შესაბამისი მტკიცებულებებით.

76. რაც შეეხება კასატორების პრეტენზიას აღმასკომის №... გადაწყვეტილების სიყალებსთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება საპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ კასატორები ვერ უთითებენ ისეთ გარემოებებზე, რაც მის ავთენტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი შეიძლება გახდეს (იხ. მოცემული განჩინების 23.1 პუნქტი).

77. მომდევნო საკასაციო პრეტენზია, რომელზეც იმსჯელებს საკასაციო პალატა, შეეხება იმ გარემოებაზე მითითებას,

რომ სასამართლომ მოსარჩელეს სადაცო ქონების ნაწილი მიაკუთვნა საჯარო რეესტრში მამკვიდრებელის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლად მითითებული მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობის გარეშე.

78. საკასაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციისა და სააკელაციო სასამართლოების მსჯელობას აღნიშნულთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მიწისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა, რომლის თანახმად, მიწის ნაკვეთის ოჯახის ყველა წევრისთვის გადაცემა არ იყო გათვალისწინებული ანუ მიღება-ჩაბარების აქტი გადაეცემოდა ოჯახის ერთ წევრს, რაც უზრუნველყოფდა ოჯახის წევრებისთვის მიწის ნაკვეთის პრივატიზაციას, მათ საკუთრების უფლებასაც ამ ქონებაზე. გამომდინარე აქედან, მამკვიდრებელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება არ გამორიცხავს მიწის ნაკვეთის ½ ნაწილზე მოსარჩელის საკუთრების უფლებას, რომელიც ამ შემთხვევაში აღიარებულ იქნა სასამართლოს მიერ.

79. საკასაციო სასამართლომ იმსჯელა კასატორების იმ პრეტენზიასთან დაკავშირებითაც, რომლის თანახმად, მიღება-ჩაბარების აქტის მამკვიდრებელზე გაცემის შედეგად მას წარმოეშვა საკუთრების უფლება, რაც უტოლდება საჯარო რეესტრის ჩანაწერს და ითვლება, რომ მამკვიდრებელი არის ამ უძრავი ნივთის მესაკუთრე 1998 წლიდან, შესაბამისად, მან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის საფუძველზე მოიპოვა საკუთრების უფლება.

80. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლით გათვალისწინებულია უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით, რომლის თანახმად, თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს.

81. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მიწისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნი-

სის №503 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, მიწის მიღება-ჩა-ჩაბარების აქტი წარმოადგენდა მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო აქტის გაცემისა და საცხოვრებელი სახლის დაპროექტება-მშენებლობის ერთადერთ საფუძველს. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტი არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს და წარმომაბს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებთან ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება თავის-თავად არ გულისხმობს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმომბილი უფლების რეგისტრაციას.

82. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის საფუძველზე საკუთრების უფლების მოპოვებისთვის აუცილებელია, რომ პირი ამ ქონებას ფლობდეს როგორც საკუთარს ანუ ქონებას არ უნდა ჰყავდეს სხვა მფლობელი, გარდა რეგისტრირებული მე-საკუთრისა. იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩევემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო და მამკვიდრებლის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 2004 წლიდან ანუ საჯარო რეესტრში სადაც ქონების მამკვიდრებლის სახელზე რეგისტრაციიდან გასული არ არის 15 წელი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის დადგომის შესაძლებლობას.

83. რაც შეეხება კასატორების მითითებას უძრავ ქონებაზე ხანდაზმულობის 6-წლიან ვადასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლითაც დადგენილია მოცემული 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, ეხება უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადას, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

84. ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის

დღიდან. შესაბამისად, მოსარჩელეს სადაც ქონების ფაქტობრივი ფლობით მემკვიდრეობის მიღების საფუძველზე წარმოეშვა საკუთრების უფლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან, რომლის განხორციელების უფლება ხანდაზმულობით არ არის შეზღუდული. კანონით არ არის დადგენილი კონკრეტული ვადა, რომელიც ავალდებულებს მემკვიდრეს სამკვიდრო მოწმობის მიღებას ან აღნიშნული მოწმობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

85. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის თაობაზე გასაჩივრებულ განჩინებაში მოცემული მსჯელობა შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

86. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკედილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის არა კონკრეტული საგნები, არამედ მამკვიდრებლის უფლება ამ საგნებზე. ამასთან, უფლება ნივთზე (საკუთრების, სარგებლობის) იმავე სახით გადადის მემკვიდრეებზე, რა სახითაც ის მამკვიდრებელთან არსებობდა. მიუხედავად ნივთზე უფლების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის განუხორციელებლობისა, ეს უფლება სამკვიდრო მასაში შედის (სუსგ №ას-851-800-2010, 2011 წლის 16 თებერვალი, სუსგ №ას-646-613-2014, 30 ოქტომბერი, 2015 წელი).

87. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადაც ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება წარმოადგენს ი. შ-ის სამკვიდროში არსებულ ქონებრივ უფლებას.

88. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მემკვიდრეს წარმოეშვება მიღებული უძრავი ნივთის საკუთრების უფლების რეგისტრაციის უფლება, მაგრამ ამ რეგისტრაციის განუხორციელებლობა არ ნიშნავს, რომ მან არ მიიღო ეს ქონება. სამკვიდროს მიღების ფაქტის არსებობის შემთხვევაში მას აქვს უფლება, დაიცვას მიღებული სამკვიდრო სხვა დანარჩენი მემკვიდრეებისაგან, მათ შორის იმ მემკვიდრეებისაგან, რომლებმაც განახორციელეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი უფლება და არა აბსოლუტური უფლება, შესაბამისად, აბსოლუტურ უფლებაზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება (იხ. სუსგ №ას-146-140-2012, 2012 წლის 12 ივლისის განჩინება).

89. ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სამართლებრივი მოწესრიგება წარმოადგენს საკუთრების უფლების დაცვის გარანტიას. „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰერიკე ქრონექვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

90. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ მოსარჩეულმ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო და აღნიშნულის წინააღმდეგ კასატორებმა კვალიფიციური შედავება ვერ წარმოადგინეს, შესაბამისად, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება მას უფლებას აძლევს დაიცვას საკუთარი სამკვიდრო კასატორებისგან ანუ იმ მემკვიდრებისგან, რომლებმაც უკვე განახორციელეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია და აღნიშნულზე ხანდაზმულობის ვადა ვერ გავრცელდება.

91. რაც შეეხება კასატორების პრეტენზიას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლთან დაკავშირებით (იხ. მოცემული განჩინების მე-60 პუნქტი), საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუკი სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრე არ მიიღებს ზომებს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს სამკვიდროს მიღებაზე. სამკვიდრო მოწმობა ადასტურებს მასში მითითებული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს. ამდენად, სამკვიდროს მიღება ყოველთვის წინ უსწრებს სამკვიდრო მოწმობის გაცემას. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლი ადგენს კონკრეტულად სამკვიდროს მიღების ან მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ ხანდაზმულობის ვადას და არა – სამემკვიდრეო მოწმობის გასაჩინოების ვადას (სუსგ №ას-111-104-2015, 2015 წლის 30 ოქტომბერი, სუსგ №ას-72-68-2013, 2013 წლის 8 აპრილი, სუსგ №ას-43-43-2016, 2016 წლის 23 მარტი). ამ ნორმის გამოყენების საფუძველი იარსებებდა მაშინ, თუ დავის საგანი იქნებოდა მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე გამოვლენილი ნების ნამდვილობა (სუსგ №ას-655-621-2015, 2015 წლის 15 დეკემბერი). მოცემულ შემთხვევაში, კასატორები სადაცოდ არ ხდიან ამ ფაქტს. შესაბამისად, არ არსებობს ორთვიანი ხანდაზ-

მულობის ვადის გამოყენების საფუძველი.

92. საკასაციო პალატა კასატორების იმ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, საქმეში არ არსებობს ლ. დესა და ო. შეს შორის სახლის ნასყიდობის ხელშეკრულების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა 1964 წლის სამოქალაქო სასამართლის კოდექსის 240-ე მუხლი, რომლის თანახმად, მშენებარე სახლის გასხვისებისათვის, აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვის შემდგომ, დამატებით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სანოტარო წესით დადების ვალდებულება არ იყო გათვალისწინებული.

93. კასატორები ასევე სადავოდ ხდიან პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების წინმსწრებ (საოქმო) განჩინებებს.

94. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. მოცემული ნორმა საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, იმსჯელოს იმ წინმსწრებ (საოქმო) განჩინებების კანონიერებაზე, რომლებიც დამოუკიდებელ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

95. საკასაციო პალატა წინმსწრები (საოქმო) განჩინებების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად გამოიკვლია და შეაფასა აღნიშნული საკითხი (იხ. მოცემული განჩინების 38-ე-43-ე პუნქტები). საკასაციო სასამართლო დამატებით მოიშველიებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორებს საკასაციო საჩივარში არ მიუთითებიათ რაიმე დამატებით ფაქტებსა და გარემოებებზე, რომლებიც დაადასტურებდა საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას.

96. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინების კანონიერების საკითხს, რომლითაც კასატორებს (აპელანტებს) უარი ეთქვათ შუადგომლობის დაკმაყოფილებაზე სააპელაციო

სასამართლოს მოსამართლის 6. ნ-ის აცილების შესახებ, საკა-საციონ სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორების მითითება იმ გარემოებებზე, რომ მოსამართლე 6. ნ-ესა და მოსარჩელის ად-ვოკატებს მ. ნ-ესა და ლ. კ-ეს ერთმანეთთან კოლეგიური ურთი-ერთობა აკავშირებდათ, ერთ პალატაში მუშაობდნენ, როგორც მოსამართლები და ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, არ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოსამართლის აცილების საფუძველს და ვერ ასაბუთებს მოსამართლის საქ-მის შედეგით დაინტერესების ფაქტს. რაც შეეხება მითითებას, რომ ისინი იმყოფებიან ნათესაურ კავშირში, აღნიშნული ფაქტი არაფრით დადასტურებული არ არის. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსამართლე 6. ნ-ის აცილებაზე უარის თქმის განჩინების კანონიერებაში ეჭვის შეტანის საფუძ-ველი არ არსებობს.

97. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ვერ უთითებენ მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორ-მების ისეთ დარღვევაზე, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმე-და საქმის განხილვის შედეგზე.

98. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორებს და-საბუთებული პოზიცია არ წარმოუდენიათ ადამიანის უფლე-ბათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ან/ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენ-ტულ სამართლთან წინააღმდეგობის საფუძვლით, შესაბამი-სად, საკასაციო საჩივარი აღნიშნული საფუძვლითაც არ არის დასაშვები.

99. გამომდინარე აქედან, არ არსებობს საქართველოს სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინე-ბული არცერთი წინაპირობა, რომლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დასაშვებად ცნობს წარმოდგენილ საკასაციო სა-ჩივარს. შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საა-პელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასა-ჩივრებული განჩინება.

100. საკასაციო პალატა იმსჯელებს აგრეთვე კასატორების შუამდგომლობაზე საქმის საქართველოს უზენაესი სასამარ-თლოს დიდი პალატისთვის გადაცემის თაობაზე და მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391¹-ე მუხ-ლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ: а) საქმე თავისი ში-

ნაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას). დასახელებული ნორმით განსაზღვრულია იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, როდესაც საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია მის წარმოებაში არსებული საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას.

101. მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობა დასაბუთებულია იმით, რომ აღნიშნული საქმე, კასატორების მოსაზრებით, წარმოადგენს განსაკუთრებულ და იშვიათ სამართლებრივ დავას.

102. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული განჩინების ზემოაღნიშნულ პუნქტებში განვითარებული მსჯელობა ნათლად მეტყველებს კასატორების შუამდგომლობის უსაფუძვლობაზე, ეკრძოდ, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მხარეებს შორის წარმოშობილ დაგაზის საქართველოს უზენაეს სასამართლოს გააჩნია მყარად დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკა. შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391'-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი წინაპირობა და კასატორებს უარი უნდა ეთქვათ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

103. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და შისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს უნდა დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე თანდართული მტკიცებულებები (მცხეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმას-

რულებელი კომიტეტის 1965 წლის 25 ოქტომბრის №... და №... გადაწყვეტილებები; სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის დუშეთის არქივის მიერ 2014 წლის 6 თებერვალს, ამავე წლის 6 და 21 მაისს, 2015 წლის 9, 15 და 23 იანვარს გაცემული საარქივო ცნობები; 2011 წლის 19 დეკემბრის და 2012 წლის 3 მაისის ამონანერები საჯარო რეესტრიდან; სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 19 ივნისის ცნობა სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 3 ივნისის №... და 2014 წლის 21 მაისის №... წერილები; მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძ-ს ტერიტორიული ორგანოს 2014 წლის 10 ივნისის №... წერილი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2015 წლის 28 იანვრის №... წერილი; 2012 წლის 20 თებერვლის სამკვიდრო მოწმობა; მიწის ნაკვეთის მიღება ჩაპარების აქტი №...; სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 18 და 19 ნოემბრის, 2015 წლის 13, 14 და 15 იანვრის ცნობები; 6. ბ-ს 2014 წლის 8 მაისის №... განცხადებაზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პასუხი; თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2014 წლის 17 ნოემბრის განჩინება საქმეზე №28/2515-04; ამონარიდები საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებებიდან), მთლიანობაში „43“ ფურცლად.

104. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს უნდა დაუბრუნდეთ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 (სამასი) ლარის 70% – 210 (ორას ათი) ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. და ე. შ-ეების კანონიერი წარმომადგენლის 6. ბ-ს საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი;

2. კასატორების მ. და ე. შ-ეების კანონიერი წარმომადგენლის 6. ბ-ს შუამდგომლობა საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის გადაცემისა და ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო;

3. კასატორების მ. და ე. შ-ეების კანონიერ წარმომადგენელს 6. ბ-ს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (მცხეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1965 წლის 25 ოქტომბრის №... და №... გადაწყვეტილებები; სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის დუშეთის არქივის მიერ 2014 წლის 6 თებერვალს, ამავე წლის 6 და 21 მაისს, 2015 წლის 9, 15 და 23 იანვარს გაცემული საარქივო ცნობები; 2011 წლის 19 დეკემბრის და 2012 წლის 3 მაისის ამონანერები საჯარო რეესტრიდან; სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 19 ივნისის ცნობა სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 3 ივნისის №... და 2014 წლის 21 მაისის №... წერილები; მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძ-ის ტერიტორიული ორგანოს 2014 წლის 10 ივნისის №... წერილი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2015 წლის 28 იანვრის №... წერილი; 2012 წლის 20 თებერვლის სამკვიდრო მოწმობა; მინის ნაკვეთის მიღება ჩაბარების აქტი №...; სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 18 და 19 ნოემბრის, 2015 წლის 13, 14 და 15 იანვრის ცნობები; 6. ბ-ს 2014 წლის 8 მაისის №... განცხადებაზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პასუხი; თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2014 წლის 17 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/2515-04; ამონარიდები საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებიდან), მთლიანობაში „43“ ფურცლად;

4. კასატორების მ. და ე. შ-ეების კანონიერ წარმომადგენელს 6. ბ-ს (პ/ნ: ...) დაუბრუნდეს ჯ. ხ-ის მიერ 2016 წლის 8 აგვისტოს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღებაზე შედავის ვადა

განრიცხა

№ას-1457-1377-2017

31 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე.გასიტაშვილი,
ბ.ალავიძე

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, სამ-
კვიდრო წილზე მესაკუთრედ ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. გ. რ-ი (ს-ე), მ. ს-ე და ხ. ს-ე (შემდეგში: მოსარჩელები ან
აპელანტები) არიან ა. რ-ს (შემდეგში: მამკვიდრებელი ან მო-
სარჩელების მამა) და ი. ს-ს (შემდეგში: მოსარჩელების დედა)
შეილები.

2. მოსარჩელების დედა გარდაიცვალა 1996 წლის 17 ო-
ბერვალს.

3. 2010 წლის 21 იანვარს მამკვიდრებელი ქორწინებაში გა-
ტარდა მ. ბ-ესთან (შემდეგში: მოპასუხე ან კასატორი). ამ დრო-
ისთვის მოსარჩელების მამის სახელზე, პრივატიზაციის ხელ-
შეკრულების საფუძველზე, ტექბიუროში აღრიცხული იყო ქ.
თბილისში, მ-ის ქ. № 9-ში (შემდეგში: სადავო მისამართზე მდე-
ბარე ბინა) მდებარე 87 კვ.მ. ფართი, რომლის ნაწილიც (46.54
კვ.მ.) მან დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში საკადასტრო კო-
დით №-... და 2010 წლის 12 ოქტომბრის ხელშეკრულებით აჩუქა
მოპასუხეს. რაც შეეხება დარჩენილ 40.46 კვ.მ. ფართს, აღნიშ-
ნული ტექბიუროში რეგისტრირებული დარჩა მოსარჩელეთა მა-
მის სახელზე.

4. მოსარჩელეთა მამა გარდაიცვალა 2011 წლის 5 აპრილს.
მას დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე: შვილები – მოსარ-
ჩელები და მეუღლე – მოპასუხე.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2012 წლის 24 აპრილის კანონიერ დალაში შესულ
გადაწყვეტილებაში სასამართლომ იმსჯელა ამავე საქმეში მო-
სარჩელეთა: გ. ს-ს, მ. ს-ს და ხ. ს-ს სხვა მოთხოვნაზე, რომელიც
შეეხებოდა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობას, ჩუ-
ქების ხელშეკრულების ბათილად ცნობას და მესაკუთრედ აღ-

რიცხვას სადაც მისამართზე მდებარე ბინის სხვა ნაწილზე – 40,46 კვ.მ ფართიდან 3/8 ნილზე. დასახელებული გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოსარჩელები ცნობილი იქნენ სადაც მისამართზე მდებარე მოსარჩელეთა მამის სახელზე პრივატიზებული უძრავი ქონების 40,46 კვ.მ. ფართობის 3/8 ნილზე (თითოეული 1/8 ნილზე) მესაკუთრეებად. ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 12 ოქტომბერს მოსარჩელეთა მამას და მოპასუხეს შორის სადაც მისამართზე მდებარე ბინის ფართობი 46,54 კვ.მ. გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება 3/8 ნაწილში. მოსარჩელეები ცნობილი იქნენ სადაც მისამართზე მდებარე მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული 46,54 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების 3/8 ნილზე (თითოეული 1/8 ნილზე) მესაკუთრეებად. ამ გადაწყვეტილებით დადგენილადა მიჩნეული, რომ მოსარჩელეები სადაც უძრავი ქონების პრივატიზაციის დროს იყვნენ მოსარჩელეთა მამის ოჯახის წევრები და ამდენად, შესაბამის წილებზე მოპოვებული ჰქონდათ საკუთრების უფლება მიუხედავად უძრავი ქონების მამის სახელზე პრივატიზაციისა (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 01 თებერვლის №107 დადგენილება).

6. მოპასუხებზე 2012 წლის 04 დეკემბერს ნოტარიუსმა გასცა სამკვიდრო მოწმობა სადაც მისამართზე მდებარე მამკვიდრებლის საკუთრებაში დარჩენილი უძრავი ქონების (40,46 კვ.მ.) 5/8 ნაწილის 1/4 ნაწილზე. რომელიც შეადგენს დაახლოებით 6,3 კვ.მ-ს.

7. დადგენილია, რომ მოსარჩელეთაგან გ. რ-ს და მ. ს-ეს კანით დადგენილ ვადაში კერძოდ, მამკვიდრებელის გარდაცვალებიდან (2011 წლის 5 აპრილი) ექსი თვის ვადაში მისი სამკვიდროს მიღების შესახებ მიმართული აქვთ ნოტარიუსისთვის განცხადებებით (იხ. საქმეში მოთავსებული სადაც სამკვიდროს მოწმობის სრულად შესწორებული ვარიანტი). რაც შეეხება მოსარჩელე (აპელანტ) ხ. ს-ეს, მას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა კანონით გათვალისწინებული რომელიმე გზით (სკ-ის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი) სამკვიდროს მიღების ფაქტს.

8. დღეს მდგომარეობით მამკვიდრებლის სახელზე პრივატიზებული უძრავი ქონება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მოდაცე მხარეებზე ორი საკადასტრო კოდით ა) №..., სადაც მისამართზე მდებარე უძრავი ქონება, ფართი 46,54 კვ.მ., მესაკუთრეები: მოპასუხე – 5/8 ნაწილი, გ. ს-ე (რ-ი) – 1/8 ნაწილი, მ. ს-ე – 1/8 ნაწილი და ხ. ს-ე – 1/8 ნაწილი. უფლების დამა-

დასტურებელი დოკუმენტები: ჩუქების ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი – 12/10/2012წ. და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება; ბ) №... (ძველი ს/კ:...), სადაცო მისამართზე მდებარე უძრავი ქონება, ფართი 35.46 კვ.მ., მესაკუთრეები: მოპასუხე – 5/8 ნაწილის 1/4 ნაწილი; უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: სამკვიდრო მოწმობა №..., დამოწმების თარიღი 04/12/2012წ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.

9. მოსარჩელეებმა სარჩელი აღძრეს მოპასუხის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვეს ნოტარიუს მიერ მოპასუხეზე 04.12.2012წ-ს გაცემული №... სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა და მოსარჩელეების ცნობა მოპასუხის სახელზე აღრიცხული სადაცო მისამართზე მდებარე უძრავ ქონების 5/8 ნაწილის 1/4 ნაწილზე.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების გაუქმების და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით წარდგენილი სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შესაბამისად, სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 04.12.2012 წელს ნოტარიუსის მიერ მოპასუხეზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა (№...) და მოსარჩელეები გ. რ-ი და მ. ს-ე ცნობილ იქნენ მესაკუთრეებად მოპასუხის სახელზე რიცხული სადაცო მისამართზე მდებარე უძრავი ქონების – ბინა №16ა (ფართი 35,46 კვ.მ.) – 5/8 ნაწილის 1/4 ნაწილზე.

11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 1-8-ში გარემოებები.

12. ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ მამკვიდრებელის მიერ ჩუქების ხელშეკრულებით მოპასუხეზე გადაცემული უძრავი ქონების ღირებულება ბევრად აღემატება სამკვიდროში მოპასუხის წილის ღირებულებას. ჩუქების ხელშეკრულება კი, დაიდო მოსარჩელეთა მამის გარდაცვალებამდე, ე.ი. მისი სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში, რაც გამორიცხავდა ამ სამკვიდრო წილის მიღებას.

13. დავის სამართლებრივი მოწესრიგებისას სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 1455-ე მუხლის დანაწესით, რომლის თანახმად, სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მექანიზმის წილში ჩა-

ითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეზე გაკეთებულ შემდეგ განმარტებაზე, რომ „... ნაჩუქარი ქონების ღირებულების გათვალისწინება ნიშნავს მემკვიდრის წილის სწორედ ამ ღირებულების ფარგლებში შემცირებას, ანუ თუ მემკვიდრემ ჩუქებით მიიღო 1000 ლარის ქონება, მისი წილი სამკვიდრო სწორედ ამ ქონებით შემცირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მამკვიდრებლის მიერ გაჩუქებულ ქონებასთან დაკავშირებით სხვა რამე დათქმას კანონი არ ადგენს. სამკვიდროში ნაჩუქარი ქონების შეტანა უზრუნველყოფს სხვა მემკვიდრეების ინტერესების დაცვას იმ მიმართებით, რომ ადრე დასაჩუქრებულ მემკვიდრეს საჩუქრის ღირებულება მისაღებ სამკვიდროში ჩაეთვლება და მისი წილი ამ ფარგლებში შემცირდება, რაც პროპორციულად სხვა მემკვიდრეთა წილის გაზრდას გამოიწვევს“ (იხ. სუსგ, №ას-1058-1325-09, 23.03.2010წ.).

14. მოცემულ შემთხვევაშიც სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სახეზე იყო შემთხვევა, როდესაც მამკვიდრებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულებით მოპასუხეზე გადაცემული უძრავი ქონების ღირებულება ბევრად აღემატებოდა სამკვიდროში მოპასუხის წილის ღირებულებას.

15. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე სადავო სამკვიდრო მონმობით უკანონოდ აღირიცხა მამკვიდრებლის საკუთრებაში დარჩენილი უძრავი ქონების (40.46 კვ.მ.) 5/8 ნაწილის 1/4 ნაწილის მესაკუთრედ. რომელიც დაახლოებით 6.3 კვ.მ-ს შეადგენს.

16. პირები ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებით სწორად დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეზე მის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეესაბამებოდა სსკ-ის 1455-ე მუხლის შემადგენლობას, თუმცა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას საფუძვლად სარჩელის ხანდაზმულობა დაუდო (სსკ-ის 1450-ე მუხლი). აღნიშნული არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ და განმარტა, რომ ნორმის დანაწესით სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი. სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ცალმხრივი გარიგება, რომლითაც გამოხატულია მემკვიდრის ნება სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით. სამკვიდროს მიღებისა და მიღებაზე უარის თქმის წესი დადგენილია სსკ-ის

1421-ე-1451-ე მუხლებით. თუკი სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრე არ მიიღებს ზომებს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს სამკვიდროს მიღებაზე სამკვიდრო მოწმობა ადასტურებს მასში მითითებული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს. ამდენად, სამკვიდროს მიღება ყოველთვის წინ უსწრებს სამკვიდრო მოწმობის გაცემას. შესაბამისად, სსკ-ის 1450-ე მუხლი ადგენს კონკრეტულად სამკვიდროს მიღების ან მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ ხანდაზმულობის ვადას და არა სამემკვიდრეო მოწმობის გასაჩივრების ვადას. ამ ნორმის გამოყენების საფუძველი იარსებებდა მაშინ, თუ დავის საგანი იქნებოდა მოპასუხის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე გამოვლენილი ნების ნამდვილობა.

17. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელით მოთხოვნილი იყო მიღებული სამკვიდრო წილის გაზრდა იმ ქონების ხარჯზე, რომელიც, სსკ-ის 1455-ე მუხლის დარღვევით, სადაცო სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მოპასუხებ თავის სახელზე დაირეგისტრირა. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 1450-ე მუხლი და არასწორად დაადგინა, რომ არსებობდა ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების საფუძველი.

18. ამასთან, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოსარჩელე b. ს-ს მიერ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გზით (სსკ-ის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მამკვიდრებლის სამკვიდროს მიღების ფაქტი, გამოირიცხებოდა მის ნაწილში სადაცო სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა (სსკ-ის 180-ე მუხლი).

19. გადაწყვეტილების გაუქმების და სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხებ.

20. კასატორი ალნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და იგი არასწორად განმარტა, კერძოდ, არ გამოიყენა სსკ-ის 1450-ე მუხლი, რომელზე მითითებითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სადაო ურთიერთობა მართებულად მოაწესრიგა.

21. კასატორი მიუთითებს სააპელაციო პალატის განმარტებაზე, რომლის მიხედვით სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ცალმხრივი გარიგებაა და თუკი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სამკვიდრო მოწმობის მისაღებად მემკვიდრე არ მიიღებს ზომებს, ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს სამკვიდროს მიღების ფაქტზე. კასატორის განმარტებით, მან სა-

დავონ ქონება საჩუქრად მიიღო და მისი მიღება კასატორის ნებაზე აღარ იყო დამოკიდებული, რაც სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა. შესაბამისად, კასატორი თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სწორად იყო დადგენილი მოთხოვნის ხანდაზმულობაც, ვინაიდან, მონინააღმდეგე მხარეთა მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტია გასაჩივრებული. საკასაციო საჩივრის ავტორი თვლის, რომ სსკ-ის 1450-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების ვადა თანხვედრაშია სსკ-ის 1455-ე მუხლთან, ვინაიდან, სამკვიდრო ქონების გაზრდის საკითხის დაყენების შესაძლებლობა გულისხმობს სამკვიდროს მიღების ფაქტის გასაჩივრებას. კასატორის განმარტებით, აღნიშნული ნორმის დანაწესი არ მიუთითებს იმის თაობაზე, რომ სამკვიდროს მიღების ნების გამოხატვა არ შეიძლება დადასტურდეს თუნდაც სამკვიდრო მოწმობის მიღების საფუძველზე, პირიქით, სწორედ ამ მოწმობის მიღება პირდაპირ მიუთითებს სამკვიდროს მიღების ნებაზე. კასატორი თვლის, რომ მის მიერ სადავო ქონების საჩუქრად მიღება აღასტურებს, რომ მას სამკვიდროს მიღება სურდა, თუმცა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გამოხატა აღნიშნულის ნება.

22. კასატორი აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე მხარეებისათვის ცნობილი იყო სამკვიდროს მიმღების ნების რეალიზაციის შესახებ, შესაბამისად, სამკვიდრო მოწმობის მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს, ნინააღმდეგ შემთხვევაში, მოხვენა ხანდაზმულად ითვლება.

სამოტივაციო ნაწილი:

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრი მიღებულ იქნა ნარმოღბაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

24. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

25. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ განსახილვები საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია როგორც რელევანტური ნორმის გამოყენების, ასევე, მისი არასწორი განმარტების კუთხით. სახელდობრ, კასატორის შედაგება დაფუძნებულია მასზედ, რომ განსახილვები ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს სსკ-ის 1450-ე მუხლი, რომელიც სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს

ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი. კასატორი მიიჩნევს, რომ ვინაიდან, მოსარჩელეთა მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტია გასაჩივრებული. სსკ-ის 1450-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების ვადა თანხვედრაშია სსკ-ის 1455-ე მუხლთან, ვინაიდან, სამკვიდრო ქონების გაზრდის საკითხის დაყენების შესაძლებლობა გულისხმობს სამკვიდროს მიღების ფაქტის გასაჩივრებას (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

26. აღნიშნულს საკასაციო პალატა არ იზიარებს და პირველ რიგში აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელეები მოითხოვდნენ ნოტარიუსის მიერ მოპასუხეზე 04.12.2012წ-ს გაცემული №... სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობას და მოპასუხის სახელზე აღრიცხული სადავო მისამართზე მდებარე უძრავ ქონების 5/8 ნაწილის ¼ ნაწილზე საკუთრების უფლების აღიარებას (ამ განჩინების პ-9).

27. სსკ-ის 1450-ე მუხლი კი, არეგულირებს სამკვიდროს მიღებაზე შედავების ვადას და ადგენს ქცევის წესს, რომლის მიხედვით სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი.

28. საკასაციო პალატის 2017 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებაში (№ას-715-685-2016) გაკეთებული განმარტების მიხედვით, თუკი სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრე არ მიიღებს ზომებს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს სამკვიდროს მიღებაზე. სამკვიდრო მოწმობა ადასტურებს მასში მითითებული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს. ამდენად, სამკვიდროს მიღება ყოველთვის წინ უსწრებს სამკვიდრო მოწმობის გაცემას. შესაბამისად, სსკ-ის 1450-ე მუხლი ადგენს კონკრეტულად სამკვიდროს მიღების ან მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ ხანდაზმულობის ვადას და არა – სამკვიდრეო მოწმობის გასაჩივრების ვადას (სუსგ №ას-111-104-2015, 2015 წლის 30 ოქტომბერი, სუსგ №ას-72-68-2013, 2013 წლის 8 აპრილი, სუსგ №ას-43-43-2016, 2016 წლის 23 მარტი). ამ ნორმის გამოყენების საფუძველი იარსებებდა მაშინ, თუ დავის საგანი იქნებოდა მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე გამოვლენილი ხების ნამდვილობა (სუსგ №ას-655-621-2015, 2015 წლის 15 დეკემბერი).

29. მოცემულ შემთხვევაში კი, სარჩელის მოთხოვნას წარ-

მოადგენს არა მოპასუხის მიერ სამკვიდროს მიღების შესახებ ნების სადაცობა, არამედ მოპასუხეზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, რაზედაც როგორც უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკით განიმარტა ვერ გავრცელდება სსკ-ის 1450-ე მუხლის აბსტრაქტული შემადგენლობა და ნორმით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

30. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 1455-ე მუხლის გამოყენების და განმარტების შესახებ სააპელაციო სასამართლოს მითითება შესაბამისობაშია სასამართლო პრაქტიკასთან იხ., სუსგ №ას-1583-1486-2012, 28 იანვარი, 2013 წელი, რომელშიც სადაცო იყო სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, სამკვიდრო წილზე მესაკუთრედ ცნობა, სასამართლომ ამ განჩინებაშიც დაასკვნა, რომ „..ნებისმიერ შემთხვევაში, გ. შ-ის მიერ ჩუქების ხელშეკრულებით მიღებული ქონების ღირებულება ბევრად აღემატებოდა ა. შ-ის სამკვიდროში მისი წილის ღირებულებას. ჩუქების ხელშეკრულება დაიდო ა. შ-ის გარდაცვალებამდე, ე.ი. მისი სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში. ამიტომ, სსკ-ის 1455-ე მუხლის თანახმად, საქალაქო სასამართლომ სრულიად კანონიერად მიიღო გადაწყვეტილება ამ ქონების გ. შ-ის წილში ჩათვლისა და, ამ მოტივით, გასაჩივრებული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე“ (აგრეთვე იხ., სუსგ №ას-1058-1325-09, 23 მარტი, 2010 წელი).

31. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანახესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: а) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიიღილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების

მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ენინაალმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განხსნავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განხსნავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიცია წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლთან წინაალმდეგობის საფუძვლით.

32. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების უცალებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან სსკ-ის 1450-ე და 1455-ე მუხლების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილია სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ასახულია წინამდებარე განჩინებაში.

33. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვებას საკასაციო საჩივარი, რის გამოც, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

34. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიწნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად

იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩი-ვარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. კასატორ მ. ბ-ეს უკან დაუბრუნდეს ც. მ-ის მიერ 13.12.2017-ში საგადახადო დავალებით №... გადახდილი სახელმწიფო ბაჟი-დან (415 ლარი) 290.5 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

3. პრედიტორის დაკვაყოფილება მიმკვიდრეთა მიერ

**მიმკვიდრეთა პასუხისმგებლობა პრედიტორთა
ნინაშვილი**

პრედიტორის მოთხოვნის ნარჩენის ვალა

**განხილვა
საქართველოს სახელით**

№ას-303-285-2014

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. 20.09.2005 წელს ი. ტ-ემ (შემდეგში მსესხებელმა, მოვა-
ლემ, მამკვიდრებელმა ან მოპასუხეთა მამამ) გ. ნ-ისგან (შემ-
დეგში მოსარჩევისგან) ისესხა 8900 აშშ დოლარი და 4500 ლა-
რი, რომელიც მას მოსარჩევისათვის არ დაუბრუნებია, (საქარ-
თველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 623-ე მუხ-
ლი).

2. 20.09.2005 წელს მსესხებელმა ვ. შ-სგან (შემდეგში ფიზი-
კური პირისგან ან კრედიტორისგან) ისესხა 30 000 აშშ დოლარი,
ერთი წლის ვადით, წლიური 8%-ის სარგებლით, (სსკ-ის 623-ე
და 625-ე მუხლები).

3. მსესხებელი გარდაიცვალა 2006 წლის 26 მაისს. მას დარჩა
ორი პირველი რიგის მემკვიდრე – დ. ტ-ე (შემდეგში პირველი
მოპასუხე) და ქ. ტ-ე (შემდეგში მეორე მოპასუხე ან კასატორი),
(სსკ-ის 1306-ე, 1307(ა), 1336-ე მუხლები).

4. 2006 წლის 4 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობის
თანახმად, პირველმა მოპასუხემ, როგორც მამკვიდრებლის
მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება – მცხე-
თის რაიონის სოფელ წ-ში მდებარე 0.06 ჰა მიწის ნაკვეთი მშე-
ნებარე სახლით (მიწის ნაკვეთი №...), (სსკ-ის 1328-ე, 1421-ე,
1499-ე მუხლები);

5. 2006 წლის 4 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, პირველმა მოპასუხემ, როგორც მამკვიდრებლის მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება – მცხე-თის რაიონის სოფელ წ-ში მდებარე 0.06 ჰა მიწის ნაკვეთი მშენებარე სახლით (მიწის ნაკვეთი №...), (სსკ-ის 1328-ე, 1421-ე, 1499-ე მუხლები);

6. 2006 წლის 6 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, პირველმა მოპასუხემ, როგორც მამკვიდრებლის მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება – ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთი მშენებარე სახლით, (სსკ-ის 1328-ე, 1421-ე, 1499-ე მუხლები).

7. 20.09.2005 წლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით, 12.01.2007 წელს, მოსარჩელემ ფიზიკურ პირს გადაუხადა 32 400 აშშ დოლარი, (სსკ-ის 371-ე მუხლი).

8. მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონება, მამკვიდრებლის გალის სანაცვლოდ, 2006 წლის 22 დეკემბრის №1-4376 და 2007 წლის 12 იანვრის №1-140 და №1-141 ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, პირველმა მოპასუხემ საკუთრებაში გადასცა მოსარჩელეს (იხ. ტომი 1, ს.ფ. 29-41), (სსკ-ის 1484-ე მუხლი).

9. მოსარჩელემ, ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკუთრების უფლების მოპოვების შემდეგ) ააშენა 369 კვ.მ სამსართულიანი სასტუმრო. მითითებული სასტუმროს ასაშენებლად მოსარჩელემ გასწია 600 000 ლარის ხარჯი.

10. კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით: მეორე მოპასუხის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი პირველ მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის 2006 წლის 22 დეკემბერსა და 2007 წლის 12 იანვარს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები 1/2 ნაწილში, მეორე მოპასუხე ცნობილ იქნა მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონებების (ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული მშენებარე სახლის, ასევე, მცხეთის რაიონის სოფელ წ-ში მდებარე №... და №... მიწის ნაკვეთების) 1/2 ნაწილის მესაკუთრედ და შესაბამისი ცვლილებები შევიდა პირველი მოპასუხის სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობებში – №..., №... და №....

11. ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის

(სართულიანობა 3, განაშენიანების ფართი 369 კვ.მ., ს/კ №...) 1/2 ნაწილის მესაკუთრეა მოსარჩელე, ხოლო 1/2 ნაწილის – მეორე მოპასუხე.

12. მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს პირველი და მეორე მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

– პირველი მოპასუხისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, 423 978.48 ლარის დაკისრება;

– მეორე მოპასუხისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, 423 978.48 ლარის დაკისრება.

13. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეთა მამამ (მამკიდრებელმა), თავის სიცოცხლეში, მოსარჩელისგან ისესხა 8 900 აშშ დოლარი და 4500 ლარი, რომელიც არ დაუბრუნებია. მანვე, სხვადასხვა დროს, სს „ს-ში“ აიღო კრედიტი, რომელთა გასტუმრების მიზნით, მოსარჩელემ, მოვალის ნაცვლად, ბანკს გადაუხადა 78 990.97 ლარი. მოპასუხეთა მამამ ისესხა, ასევე, 30 000 აშშ დოლარი ფიზიკური პირისგან ერთი წლის ვადით, წლიური 8%-ის სარგებლით. აღნიშნული სესხიდან გამომდინარე მოპასუხეთა მამის ვალდებულება (ჯამში 147 200 ლარი), ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, კრედიტორის წინაშე მოსარჩელემ შეასრულა. მოპასუხეების მამა გარდაიცვალა 2006 წლის 26 მაისს. მისი სამკიდრო მთლიანად მიიღო პირველმა მოპასუხემ, რომელმაც მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონება, მამის ვალის სანაცვლოდ, საკუთრებაში გადასცა მოსარჩელეს. პირველი მოპასუხისგან საკუთრებაში მიღებულ ერთ-ერთ მინის ნაკვეთზე (მდებარე დაბა უ-ში), მოსარჩელემ ააშენა სასტუმრო, რომლის მშენებლობაში მან დახარჯა 600 000 ლარი. მას შემდეგ, რაც დამთავრდა სასტუმროს მშენებლობა და მინის ნაკვეთის ღირებულება საგრძნობლად გაუმჯობესდა, მეორე მოპასუხემ დაიწყო დავა სამკვიდრო ქონების თაობაზე და, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მას მიეკუთვნა სადავო ქონების (მათ შორის, დაბა უ-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის) 1/2 ნაწილი. მოსარჩელის განმარტებით, მამკვიდრებლის მთლიანი ვალი შეადგენს 247 956.97 ლარს, ხოლო სასტუმროს მშენებლობისა და რემონტისათვის გახარჯული თანხა – 600 000 ლარს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ თითოეულმა მემკვიდრემ მას უნდა გადაუხადოს 423 978.48 ლარი, რაც სულ შეადგენს 847 956.97 ლარს. მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 1484-ე, 1486-ე, 1487-ე, 1488-ე მუხლებზე.

14. პირველ მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია, სასა-მართლო სხდომაზე კი განმარტა, რომ მან, მოსარჩელეს, მამ-კვიდრებლის ვალების სანაცვლოდ, საკუთრებაში გადასცა მი-სი წილი უძრავი ქონება, შესაბამისად, მან, მიღებული აქტივის ფარგლებში, მამკვიდრებლის კრედიტორთან ვალდებულება შე-ასრულა მისი წილის პროპორციულად. აქედან გამომდინარე, პირველი მოპასუხის მოსაზრებით, მის მიმართ მოთხოვნა უსა-ფუძვლო იყო.

15. მეორე მოპასუხემ წარადგინა, როგორც მოთხოვნის გა-მომრიცხავი, ისე მოთხოვნის განხორციელების ხელშემშლელი (ხანდაზმულობა) შესაგებელი. მეორე მოპასუხის განმარტებით, მამკვიდრებელს მოსარჩელის ვალი არ ჰქონია, სასტუმრო კი, თავად მამკვიდრებელმა ააშენა გარდაცვალებამდე, შესაბამი-სად, მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო. გარდა ამი-სა, მოთხოვნა ხანდაზმულიც იყო, ვინაიდან მოსარჩელეს, სკ-ის 1488-ე მუხლით დადგენილ ექსტვიან ვადაში, მემკვიდრეე-ბისათვის მოთხოვნა არ წაუყენებია.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგიის 2013 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩე-ლი არ დაკმაყოფილდა.

17. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა წინამდე-ბარე გაჩინების 3-6, 8, 10-11 პუნქტებში მითითებული გარემო-ებები და მიიჩნია, რომ, მართალია, მოსარჩელის მოთხოვნა ხან-დაზმული არ იყო, მაგრამ, დაუსაბუთებლობის გამო, დაკმაყო-ფილებას არ ექვემდებარებოდა, კერძოდ, სასამართლოს მოსაზ-რებით, მართალია, სკ-ის 1328-ე და 1484-ე მუხლების საფუძ-ველზე, მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეები ვალ-დებული იყვნენ, მთლიანად დაემაყოფილებინათ მამკვიდრებ-ლის კრედიტორთა ინტერესები მიღებული აქტივის ფარგლებ-ში, თითოეულის წილის პროპორციულად, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდებოდა მოსარჩელის (კრედიტორის) მიმართ მამკვიდრებლის ვალდებულების არსებობის ფაქტი.

18. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, ასევე, მოსარჩელის მოთხოვნა სასტუმროს მშენებლო-ბაზე განეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლოს მოსაზრებით, სკ-ის 991-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ იგი და-ამტკიცებდა სასტუმროს მშენებლობაზე ხარჯების განევისა და ამით მოპასუხეთა გამდიდრების ფაქტს. სასამართლომ, უპირ-ველესად, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პირველი მოპასუხე არ წარმოადგენდა სასტუმროს მესაკუთრეს და, შე-

საბამისად, ვერც მისი გამდიდრების ფაქტი იარსებებდა. რაც შეეხებოდა მოთხოვნას მეორე მოპასუხის მიმართ, მართალია, ეს უკანასკნელი წარმოადგენდა იმ მინის ნაკვეთის 1/2 ნაწილის მესაკუთრეს, რომელზეც სასტუმრო მდებარეობდა, მაგრამ, სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩევემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად, ვერ შეძლო იმ ფაქტის დამტკიცება, რომ მეორე მოპასუხე მოსარჩელის ხარჯზე გამდიდრდა.

19. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა მოსარჩევემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით:

20.1. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

20.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება;

20.3. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

20.4. მეორე მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 16200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, 4450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 2250 ლარის გადახდა;

20.5. მეორე მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 286000 ლარის გადახდა;

20.6. მოსარჩელს უარი ეთქვა პირველი მოპასუხისათვის 429 478.48 ლარის დაკისრებაზე.

21. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება და მიუთითა, რომ, სსკ-ის 1488-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი, მამკვიდრებლის კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენის ვადის ათვლის დასაწყისს უკავშირებს, როგორც სამკვიდროს გახსნის მომენტს, ისე – იმ სუბიექტურ ფაქტორს, როდესაც კრედიტორისთვის ცნობილია: ა. სამკვიდროს გახსნის შესახებ; ბ. მემკვიდრეთა ვინაობის შესახებ.

22. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამკვიდროს გახსნიდან – 2006 წლის 26 მაისიდან 6 თვის ვადაში პირველმა მოპასუხებმ დაკმაყოფილა რა მამკვიდრებლის კრედიტორის (მოსარჩელის) ინტერესი მიღებული სამკვიდროს სრულად გადაცემის გზით, მოსარჩელეს სხვა მემკვიდრეთა მიმართ მოთ-

ხოვნის საფუძველი აღარ გააჩნდა იმ დრომდე, ვიდრე თბილის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მეორე მოპასუხის სარჩელი დაკმაყოფილდებოდა და იგი ცნობილ იქნებოდა სამკვიდრო ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ დროიდან (17.01.2012წ.) 6 ოცენი (25.04.2012წ.) მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი მოთხოვნა ხანდაზმული არ იყო.

23. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა იმ ნაწილში, რომლითაც ეს უკანასკნელი მოითხოვდა 20.09.2005 წლის სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელის მიერ მამკვიდრებლისათვის სესხად გადაცემული 8900 აშშ დოლარისა და 4500 ლარის ნახევრის მეორე მოპასუხისათვის დაკისრებას.

24. სააპელაციო სასამართლომ, საქმეში წარმოდგენილი 20.09.2005 წლის ხელწერილით, რომელსაც ხელს აწერდნენ მოსარჩელე და მამკვიდრებელი, დადგენილად მიიჩნია, რომ მამკვიდრებელმა მოსარჩელისგან ისესხა 8900 აშშ დოლარი და 4500 ლარი (სსკ-ის 623-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, მეორე მოპასუხე სესხის არსებობის ფაქტს უარყოფდა, მაგრამ მას ზემოხსენებული ხელწერილის გამაქარწყლებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მეორე მოპასუხის მოსაზრება ვერ იქნებოდა გაზიარებული.

25. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, ასევე, რომ მამკვიდრებელს, თავის სიცოცხლეში, ნახესხები თანხა მოსარჩელისათვის არ დაუბრუნებია. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სესხის დაბრუნების ფაქტი, მოცემულ შემთხვევაში, მამკვიდრებლის მემკვიდრეებს უნდა ემტკიცებინათ. პირველი მოპასუხის განმარტებით, არც მამკვიდრებელს და არც მას მოსარჩელისათვის სესხი არ დაუბრუნებათ, ხოლო მეორე მოპასუხეს სესხის დაბრუნების კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება არ წარმოუდგენია (სსკ-ის 429-ე მუხლი).

26. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, სსკ-ის 1484-ე მუხლე და მიიჩნია, რომ მეორე მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის გადაეხადა 20.09.2005 წლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მამკვიდრებლის ვალის ნახევარი, კერძოდ, 4450 აშშ დოლარი და 2250 ლარი.

27. სააპელაციო სასამართლომ, საქმეში წარმოდგენილი 20.09.2005 წლის ხელწერილით დადგენილად მიიჩნია, რომ მამკვიდრებელმა ფიზიკური პირისგან ისესხა 30 000 აშშ დოლარი

(სსკ-ის 623-ე მუხლი), ხოლო 12.01.2007 წლის ხელწერილით კი, დადგენილად მიიჩნია, მოსარჩევის მიერ კრედიტორის წინაშე ზემოხსენებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ფაქტი, კერძოდ, მან კრედიტორს გადაუხადა 32 400 აშშ დოლარი (სსკ-ის 371-ე მუხლი). მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად ჩათვალა მოსარჩევის მოთხოვნა მეორე მოპასუხისათვის 32 400 აშშ დოლარის ნახევრის – 16 200 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

28. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუსაბუთებელი იყო მოსარჩევის მოთხოვნა 20.09.2005 წლის სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თანხის ნახევრის პირველი მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, ვინაიდან ამ უკანასკნელმა, მიღებული სამკვიდრო ქონების მოსარჩევისათვის საკუთრებაში გადაცემით, სსკ-ის 1484-ე მუხლის შესაბამისად, დააკმაყოფილა მამკვიდრებლის კრედიტორის ინტერესები მიღებული აქტივის ფარგლებში, თავისი წილის პროპორციულად.

29. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუსაბუთებელი იყო, ასევე, მოსარჩევის მოთხოვნები: ა. მოპასუხეებისათვის 147 200 ლარის დაკისრებისა და პ. სს „ს-თან“ 2004 წლის 17 მაისს, 2005 წლის 17 ივნისსა და 2006 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან, პალატის მოსაზრებით, მოსარჩევემ ვერ დაადასტურა ამ მოთხოვნების ფაქტობრივი საფუძვლის არსებობის ფაქტი.

30. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დასაბუთებულად მიიჩნია, მოსარჩევის მოთხოვნა დაბა უ-ში მდებარე უძრავ ქონებაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე, კერძოდ, აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

30.1. ზოგადი სფეროს აუდიტორის – ი. ხ-ის 2008 წლის 8 აგვისტოს აუდიტორული დასკვნის მიხედვით, მოსარჩევის საკუთრებაში არსებული ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული მშენებარე სახლით, შეფასდა 28 000 ლარად.

30.2. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 28.02.2012 წლის №... დასკვნის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა უ-ში, ს-ოს ქ.№...-ში მდებარე სახლის ფუნდამენტის, პირველი სართულის იატაკისა და

მასზე აშენებული კედლების ხარჯთაღრიცხვა შეადგენდა 16 984.72 ლარს. ამავე დასკვნის კვლევითი ნაწილის მიხედვით, სახლი, 2006 წლის 25 მაისის მონაცემებით, „პირველი სართულის დაკვალვის მდგომარეობაში იმყოფებოდა“.

30.3. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიხედვით, მოსარჩელე, 2007 წლის თებერვლის დასაწყისში, შეუთანხმდა მ., მუ....და მა....ფ-ძებს, გარკვეული ანაზღაურების საფასურად, დაბა უ-ში სახლის აშენების თაობაზე. თავად ეს ფაქტი მხარეებს შორის სადაცო არ გამხდარა. დავის საგანს წარმოადგენდა თანხის დაკისრება. ზემოხსენებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს, მ., მუ....და მა. ფ-ძების სასარგებლოდ, დაეკისრა ამ უკანასკნელთა მიერ შესრულებული სამუშაოების ლირებულების ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმაზე მიუთითებდა, რომ დაბა უ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (სასტუმროს) მშენებლობას ანარმოებდა მოსარჩელე, როგორც ამ უძრავი ქონების მესაკუთრე. მოპასუხეებს ამ ფაქტის გამაპათილებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ.

30.4. შპს აუდიტორული ფირმა „გ-ის“ 2011 წლის 10 იანვრის №... დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნის თანახმად, ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გაშენებული 24-ნომრიანი კეთილმოწყობილი სასტუმროს საწყისი საბაზრო ლირებულება შეადგენდა 670 000 აშშ დოლარს.

30.5. საჯარო რეესტრის 03.09.2009 წლის ამონანერის მიხედვით, მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხებოდა ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განლაგებული მშენებარე სახლით კონკრეტული ფართობის მიუთითებლად.

30.6. საჯარო რეესტრის 16.03.2012 წლის ამონანერის მიხედვით, მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხებოდა ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 სამსართულიანი 369.00 კვ.მ საცხოვრებელი სახლი.

30.7. მეორე მოპასუხე წარმოადგენდა ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული მშენებარე სახლის (მიწის ნაკვეთი №...) 1/2 ნილის მესაკუთრეს.

30.8. საქმეში წარმოდგენილი სესხის ხელშეკრულებების მიხედვით, მოსარჩელის მიერ სესხის აღების მიზანს წარმოადგენდა დაბა უ-ში მდებარე სასტუმროს მშენებლობა, რაც, პა-

ლატის მოსაზრებით, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ დაბა უ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, მშენებარე სახლის საძირკვლისა და პირველი სართულის იატაკის მოწყობის შემდეგ, სასტუმროს მშენებლობა აწარმოა მოსარჩელემ, მას შემდეგ, რაც ეს მიწის ნაკვეთი მას საკუთრებაში გადასცა პირველმა მოპასუხემ.

31. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ პირველი მოპასუხე არ წარმოადგენდა რა სასტუმროს მესაკუთრეს, ვერ იქნებოდა მოსარჩელის შიერ ჩატარებული სამუშაოების მიმღები და, შესაბამისად, გამდიდრებული პირი, ამიტომ მის მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

32. მეორე მოპასუხეს, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსკ-ის 991-ე მუხლის საფუძველზე, უნდა დაკვისრებოდა სადაც უძრავი ქონების გაუმჯობესების ხარჯის ნახევარი – 286 000 ლარი.

33. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასება იძლეოდა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობა, იყო მშენებარე მხოლოდ პირველი სართულის მონაბაზით. ამ მომენტისათვის მიწის ნაკვეთი მშენებარე სახლთან ერთად შეფასებული იყო 28 000 ლარად. სხვა სახის დოკუმენტი, რომელიც სამკვიდროს გახსნის დროისათვის ქონების შეფასებას ან ჩატარებული სამუშაოების ღირებულებას განსაზღვრავდა, მეორე მოპასუხეს არ წარმოუდგენია. 10.01.2011 წლის აუდიტორული დასკვნის მიხედვით, ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გაშენებული 24-ნომრიანი კეთილმოწყობილი სასტუმროს საწყისი საბაზრო ღირებულება შეადგენდა 670 000 აშშ დოლარს. აქედან გამომდინარე, პალატამ მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ვლინდებოდა ობიექტური შედეგი – ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე სამართლებრივი სიკეთის შეძენა (დაზოგვა) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. პალატის მოსაზრებით, მეორე მოპასუხე მოსარჩელის ხარჯზე გამდიდრდა, ზემოხსენებულ ქონებაზე მოსარჩელის მიერ წარმოებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქონების გაუმჯობესებაზე მოსარჩელის მიერ განეულ ხარჯს უნდა გამოკლებოდა ამ ქონების საწყისი საბაზრო ღირებულება ($600\ 000 - 28\ 000 = 572\ 000$) და ამ თანხის

ნახევარი – 286 000 ($572\ 00:2=286\ 000$) ლარი უნდა დაპკისრებო-
და მოსარჩეოს.

34. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასა-
ციო საჩივარი შეიტანა მეორე მოპასუხემ. საკასაციო საჩივრის
საფუძვლები:

– არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაო-
ბაზე, რომ სამკვიდროს გახსნიდან (2006 წლის 26 მაისიდან) 6
თვის განმავლობაში პირველმა მოპასუხემ დააკმაყოფილა მო-
სარჩელის მოთხოვნა და ამ უკანასკნელს გაუსტუმრა მამკვიდ-
რებლის ვალი სამკვიდრო ქონების საკუთრებაში გადაცემით.
კასატორი მიუთითებს, რომ მემკვიდრეობით მიღებული უძრა-
ვი ქონება პირველმა მოპასუხემ მოსარჩელეს მიჰყიდა 2006
წლის 22 დეკემბერსა და 2007 წლის 12 იანვარს დადებული ნას-
ყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, ანუ სამკვიდროს
გახსნიდან 6 თვის შემდეგ, რაც, მისი მოსაზრებით, იმას ნიშ-
ნავდა, რომ მოსარჩელეს სამკვიდროს გახსნიდან ექვს თვეში
მოთხოვნა არ წაუყენებია მემკვიდრეებისათვის, შესაბამისად,
მისი მოთხოვნა ხანდაზმული იყო სსკ-ის 1488.1 მუხლის მიხედ-
ვით;

– მოსარჩელემ მამკვიდრებლის გარდაცვალების დღესვე შე-
იტყო სამკვიდროს გახსნის ფაქტი, ასევე, მან იცოდა, რომ მამ-
კვიდრებელს ჰყავდა ორი პირველი რიგის მემკვიდრე, რომლებ-
საც უნდა გადაეხადათ მამის ვალი. კანონიერ ძალაში შესული
გადაწყვეტილებით, ასევე, დაფენილი იყო, რომ მეორე მოპა-
სუხემ 2006 წლის 24 ნოემბერს განცხადებით მიმართა ნოტარი-
უსს და მიიღო სამკვიდრო. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს მე-
ორე მოპასუხისათვის მოთხოვნა არ წაუყენებია სამკვიდროს
გახსნიდან ექვს თვეში, რითაც მან, როგორც კრედიტორმა, და-
კარგა მოთხოვნის უფლება სსკ-ის 1488.3 მუხლის მიხედვით;

– მამკვიდრებელს მოსარჩელისა და ფიზიკური პირის ვალი
არ ჰქონია. მამკვიდრებელმა ბანკიდან გამოიტანა 5200 აშშ დო-
ლარი, გახსნა საკრედიტო ხაზი 20000 აშშ დოლარზე და, ბუნებ-
რივია, რომ სესხის ალება არ სჭირდებოდა. თავის შესაგებელში
მოპასუხემ (კასატორმა) იმუამდგომლა საქმეზე გრაფიკული ექ-
სპერტიზის ჩატარების თაობაზე, რათა დადგენილიყო 2005
წლის 20 სექტემბრის ხელწერილებზე მამკვიდრებლის ხელმო-
ნერების ნამდვილობის ფაქტი, თუმცა საქმის განხილვის შემ-
დეგ ეტაპზე, მოპასუხეს შუამდგომლობა აღარ დაუყენებია,
რადგან გამოიკვთა, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო;

– არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმას-
თან დაკავშირებით, რომ 2006 წლის 22 დეკემბრისა და 2007 წლის

12 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, პირველმა მოპასუხემ სამკვიდრო ქონება მოსარჩელეს გადასცა მამკვიდრებლის ვალების სანაცვლოდ. აღნიშნული მსჯელობა არ ეყრდნობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, კერძოდ, უშუალოდ ამ ხელშეკრულებების შინაარსსა და თბილისის საპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 იანვრის კანონიერ ძალაში შესულ განჩინებას, სადაც აღნიშნულია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებები არ შეიცავს მითითებას სამკვიდრო ქონების მამკვიდრებლის ვალის სანაცვლოდ გადაცემის თაობაზე. მიუხედავად ამისა, საპელაციო სასამართლომ უგულებელყო სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 105.2 მუხლის მოთხოვნები კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების პრეიუდიციულობის შესახებ;

– მოსარჩელეს არ გააჩნია 16200 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან იგი არასათანადო მოსარჩელეა. აღნიშნული მოთხოვნა შესაძლებელია ჰქონოდა მხოლოდ ფიზიკურ პირს, რომელსაც მეორე მოპასუხისათვის მამკვიდრებლის ვალის გადახდა არ მოუთხოვია. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელემ ფიზიკურ პირს მამკვიდრებლის ვალი დაუბრუნა 2007 წლის 12 იანვარს, ესე იგი, სამკვიდროს გასსინდან კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ. ამ დროისათვის ფიზიკურ პირს უკვე დაკარგული ჰქონდა მეორე მოპასუხისგან მამკვიდრებლის ვალის მოთხოვნის უფლება, გამომდინარე სსკ-ის 1488.3 მუხლითან, შესაბამისად, მოსარჩელეც ვეღარ მოითხოვს მის მიერ ფიზიკური პირისათვის გადახდილი თანხის მეორე მოპასუხისათვის დაკისრებას;

– სარჩელი ხანდაზმულია 286000 ლარის დაკისრების ნანილ-შიც. საპელაციო სასამართლომ, მითითებული თანხა მეორე მოპასუხეს დააკისრა იმის გამო, რომ თითქოს 2007 წლის თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით დაბა უ-ში მოსარჩელემ ააშენა სასტუმრო. მოსარჩელეს სასტუმრო რომც აეშენებინა, მას შეეძლო მოპასუხისათვის მოეთხოვა მხოლოდ სასტუმროს აშენებაში დახარჯული თანხის ნახევარი სასტუმროს აშენებიდან – 2007 წლის აგვისტოდან 2010 წლის აგვისტოს ჩათვლით (3 წლის განმავლობაში). მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი ნარდგენილ იქნა ხანდაზმულობის სამნლიანი ვადის დარღვევით, თუმცა საპელაციო სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე არ უმსჯელია;

– საპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია სასტუმროს აშენების ზუსტი პერიოდი, რისი დადგენაც უცილებელი იყო საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. საპელაციო სასამართლომ, №... ექსპერტის დასკვნაზე დაყრდნობით დადგე-

ნილად მიიჩნია, რომ ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში, სანაპიროს ქ. №...-ში, მშენებარე სახლი, 2006 წლის 25 მაისის მონაცემებით, პირველი სართულის დაკვალვის მდგომარეობაში იმყოფებოდა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო ამ დასკვნას არ უნდა დაყრდნობოდა, ვინაიდან მასში ასახული საკითხი ექსპერტიზის კვლევის საგანი არ ყოფილა;

- სააპელაციო სასამართლომ, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით დადგენილად ჩათვალა, რომ საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საჭირო სამუშაოები მოსარჩელემ შეასრულა. კასატორის მოსაზრებით, ზემოხსენებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისათვის სააპელაციო სასამართლოს პრეიუდიციული ძალა არ უნდა მიენიჭებინა, ვინაიდან ამ საქმეში იგივე მხარეები არ მონაწილეობდნენ (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი);

- სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 8 აგვისტოს აუდიტორული დასკვნის საფუძველზე არასწორად დაადგინა, რომ ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მშენებარე სახლით) ლირებულება 2006 წლის 25 მაისის მონაცემებით შეადგენდა 28000 ლარს;

- სააპელაციო სასამართლომ, 2011 წლის 10 იანვრის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო 920.20 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გაშენებული იყო კეთილმოწყობილი 24-ნომრიანი სასტუმრო, რომლის საწყისი საბაზო ღირებულება შეადგენდა 670 000 აშშ დოლარს. სააპელაციო სასამართლო დასკვნაში არ აღნიშნა, რომ ექსპერტიზა ჩატარდა ქ. ფ-ში არსებული შპს აუდიტორული ფირმა „გ-ის“ მიერ, ექსპერტმა შეაფასა დაბა უ-ში მდებარე 24-ნომრიანი სასტუმრო, რომლის განაშენიანების ფართია 374 კვ.მ და გააჩნია 135 კვ.მ-იანი ორსართულიანი კვების ბლოკი, შეფასება ზოგადია და არ ეყრდნობა დეტალურად რამე მონაცემს, მაშინ, როდესაც სადავო შენობა-ნაგებობა სამსართულიანია და მისი განაშენიანების ფართი 369.00 კვ.მ-ია. ამდენად, ექსპერტიზის დასკვნიდან არ ჩანს, რომ სადავო სასტუმროა შეფასებული.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განჩინებით მეორე მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

36. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივარის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ

მეორე მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილ-დეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლება შემდეგ გარემოებათა გამო:

37. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპე-ლაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობ-რივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთე-ბული პრეტენზია (შედავება).

38. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმისათ-ვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები (იხ. ნინამდებარე განჩინების 1-11-ე, 30.1-30.2, 30.4-30.8 და 33-ე პუნქტები), რომელთა მიმართ კასატორს დასაბუთებული პრე-ტენზია არ წარმოუდგენია.

39. კასატორი სადავოდ ხდის გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლებით მოსარჩელის შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილებას:

I. 20.09.2005 წლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდი-ნარე 4450 აშშ დოლარისა და 2250 ლარის მეორე მოპასუხი-სათვის დაკისრებას;

II. 20.09.2005 წლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდი-ნარე 16 200 აშშ დოლარის მეორე მოპასუხისათვის დაკის-რებას;

III. ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე მიწის ნაკ-ვეთზე სასტუმროს მშენებლობისათვის მოსარჩელის მიერ განეული ხარჯის, 286 000 ლარის, მეორე მოპასუხისათვის დაკისრებას.

40. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენ-ზიები მოსარჩელის თითოეული მოთხოვნის მიმართ დამიუკი-დებლად უნდა შემოწმდეს, როგორც ამ მოთხოვნების საფუძ-ელიანობის, ასევე, მათი ხანდაზმულობის თვალსაზრისით.

I. საკასაციო პალატის დასკვნები კასატორის პრეტენზი-ებზე მოსარჩელის პირველ მოთხოვნასთან მიმართებით:

41. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის პირველი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 1484-ე მუხ-ლის პირველი ნაწილი (მემკვიდრები ვალდებული არიან მთლი-ანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერე-სები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წი-ლის პროპორციულად).

42. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვე-ვაში, ამ ნორმის გამოყენების ნინაპირობები განხორციელებუ-ლია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ: а) მამ-

კვიდრებელს, 20.09.2005 წლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გააჩნდა მოსარჩელის ვალი 8900 აშშ დოლარი და 4500 ლარი, რომელიც მას არ გაუსტუმრებია; ბ) მამკვიდრებელი გარდაიცვალა და, შესაბამისად, სამკვიდრო გაიხსნა 2006 წლის 26 მაისს; გ) მამკვიდრებლის სამკვიდრო, ნოტარიუსისათვის განცხადებით მიმართვის გზით, მიღებს მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეებმა – პირველმა და მეორე მოპასუხემ; დ) პირველმა მოპასუხემ, მიღებული სამკვიდროს ფარგლებში, თავისი წილის პროპორციულად, დააკმაყოფილა მამკვიდრებლის კრედიტორის (მოსარჩელის) ინტერესები, ამ უკანასკნელისათვის თავისი წილი სამკვიდრო ქონების საკუთრებაში გადაცემით, ხოლო, მეორე მოპასუხეს – კრედიტორის ინტერესები არ დაუკმაყოფილებია. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, ასევე, რომ მამკვიდრებლის ვალები არ აღემატებოდა სამკვიდროს. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორს დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) არ წარმოუდგენია, შესაბამისად, ისინი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

43. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წინამდებარე განჩინების 42-ე პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სსკ-ის 1484.1 მუხლის საფუძველზე, იურიდიულად ასაბუთებენ მოსარჩელის მოთხოვნას – 20.09.2005 წლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მამკვიდრებლის ვალდებულების ნახევრის – 4450 აშშ დოლარისა და 2250 ლარის მეორე მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

44. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას მოსარჩელის პირველი მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს სსკ-ის 1488.1 მუხლით დადგენილი მოთხოვნის წარდგენის ექვსოვიან ვადა არ დაურღვევა.

45. ზემოხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათოვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიღებს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, ამ წესის დაუცველობა გამოიწვევს კრედიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგებას“.

46. საკასაციო პალატა, უპირველესად, უურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სსკ-ის 1488.1 მუხლით დადგენილი

ექვსთვიანი ვადა არის მამკვიდრებლის კრედიტორთა მიერ უშუალოდ მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის (პრეტენზის) წარდგენის და არა სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ზემოხსენებული ვადის დაცვით არ წარუდგინეს მოთხოვნა მემკვიდრეებს, ისინი კარგავენ მოთხოვნის უფლებას, რაც, შემდგომში, სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ „მითითებული წორმით დადგენილია პრეტენზის – მოთხოვნის წარდგენის ვადა და არა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც სასამართლოსათვის მიმართვის გზით კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით. მოთხოვნა კი, როგორც წესი, წარედგინება უშუალოდ მხარეს. საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. საპრეტენზიო ვადაში წარდგენილი მოთხოვნა კი, შეიძლება არ დააქმაყოფილოს სასამართლომ, თუ გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მოვალე მიუთითებს ამის თაობაზე“ (იხ. სუსგ, 07.10.2010წ., საქმე №ას-143-136-2010; სუსგ, 22.02.2008წ., საქმე №ას-968-1269-2007).

47. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პრაქტიკული მნიშვნელობისასა იმ საკითხის გარკვევა, თუ როდიდან იწყება სსკ-ის 1488.1 მუხლით გათვალისწინებული ექვსთვიანი ვადის ათვლა. მითითებული წორმა ადგენს, რომ ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, რაც მამკვიდრებლის კრედიტორებმა შეიტყვეს სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუმცა ამავე წორმის მიხედვით, მამკვიდრებლის მემკვიდრეებმა მოთხოვნა უნდა წარუდგინოს იმ მემკვიდრეებს, რომელმაც მიიღეს სამკვიდრო. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიანი ვადის ათვლისათვის მხოლოდ იმის ცოდნა, რომ სამკვიდრო გაიხსნა, საკმარისი არაა, მამკვიდრებლის კრედიტორებმა უნდა იცოდნენ, ასევე, იმ მემკვიდრეთა ვინაობა, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, რათა მათ წარუდგინონ მოთხოვნა. კანონი მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების ორ გზას ადგენს, კერძოდ, სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით და ნოტარიუსისათვის განცხადების წარდგენით (სსკ-ის 1421-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორებისათვის ცნობილია,

როგორც სამკვიდროს გახსნის, ასევე, იმ მემკვიდრეთა შესახებ, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, მაშინ კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ სამკვიდროს გახსნის შესახებ ცნობის მიღებიდან ექვს თვეში. ამასთან, შესაძლებელია, კრედიტორებმა იცოდნენ სამკვიდროს გახსნის თაობაზე მამკვიდრებლის გარდაცვალების დღესვე, მაგრამ სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეთა შესახებ მათ ვერ შეიტყონ სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვს თვეში, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ნოტარიუსს განცხადებით მიმართავს სსკ-ის 1424-ე მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადის ბოლო დღეს ან კრედიტორისათვის არაა ცნობილი იმ ფაქტების თაობაზე, რომლებიც მემკვიდრის მიერ ამავე ვადაში სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებას ადასტურებს. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, სამკვიდროს მიღების თაობაზე კრედიტორებისათვის ცნობილი ხდება მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო მოწმობის აღების შემდეგ ან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ასეთ დროს, მამკვიდრებლის კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ გონივრულ ვადაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე.

48. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ მისთვის 2006 წლის დეკემბერში გახდა ცნობილი პირველი მოპასუხის მიერ მამკვიდრებლის მთელი სამკვიდროს მიღების თაობაზე, რომელმაც, მამის ვალის სანაცვლოდ, მოსარჩელეს შესთავაზა მემკვიდრეობით მიღებული სამკვიდროს საკუთრებაში გადაცემა, რაც განახორციელა კიდეც 2006 წლის დეკემბერში და 2007 წლის იანვარში დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ხელშეკრულებების დადებისას, მისთვის უცნობი იყო სამკვიდროს მიმღები მეორე მემკვიდრის თაობაზე, ვინაიდან პირველმა მოპასუხებ მას წარუდგინა სამკვიდრო მოწმობები, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ სამკვიდრო მხოლოდ ამ უკანასკნელს ჰქონდა მიღებული. მითითებული გარემოებები, სასამართლოში მიცემული ახსნა-განმარტებით, დაადასტურა პირველმა მოპასუხებ, ხოლო მეორე მოპასუხებს მათი გამაბათილებელი მტკიცებულებები სასამართლოსათვის არ წარუდგენია. ამასთან, თავად კასატორის განმარტებითაც დასტურდება, რომ მან სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსს განცხადებით მიმართა 2006 წლის 24 ნოემბერს, ანუ სამკვიდროს გახსნიდან ექვსთვიანი ვადის გასვლამდე ორი დღით ადრე, შე-

საბამისად, ამ დღრომდე მოსარჩელეს ობიექტურადაც ვერ ეცოდინებოდა სამკვიდროს მიმღები მეორე მემკვიდრის შესახებ და, ცხადია, ვერც მოთხოვნას წაუყენებდა მას. საყურადღებოა, რომ მეორე მოპასუხებ სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადებით მიმართა სხვა ნოტარიუსს და არა იმას, რომელთანაც განცხადება ჰქონდა შეტანილი პირველ მოპასუხეს, ამასთან, სწორედ ამ უკანასკნელთან წამოიწყო მან დავა სამკვიდრო მოწმობის მისაღებად და ისიც 2008 წელს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სამკვიდროს გასხვიდან ექვს თვეში მეორე მოპასუხის მიერ სამკვიდროს მიღების შესახებ, არათუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა, თავად პირველმა მოპასუხემაც კი არ იცოდა (ამ უკანასკნელის განმარტებით, მეორე მოპასუხე თანახმა იყო, რომ მთელი სამკვიდრო მიეღო პირველ მოპასუხეს და მამკვიდრებლის ვალიც მას გადაეხადა). ამდენად, მოსარჩელემ 2006 წლის დეკემბრის დასაწყისში შეიტყო, რომ სამკვიდრო მხოლოდ ერთმა მემკვიდრემ მიიღო და მოთხოვნაც სწორედ მას წარუდგინა. ამ უკანასკნელმა დააკმაყოფილა კრედიტორის ინტერესები და, მამკვიდრებლის ვალის სანაცვლოდ, მას საკუთრებაში გადასცა მემკვიდრეობით მიღებული ქონება. ასეთ ვთარებაში, ცხადია, მოსარჩელე აღარ დაიწყებდა სამკვიდროს მიმღები სხვა მემკვიდრეების მოძიებას, ვინაიდან, ჯერ ერთი, ზემოხსენებული სამკვიდრო მოწმობებით, მისთვის პრეზუმირებული იყო სამკვიდროს მიმღები მხოლოდ ერთი მემკვიდრის არსებობის ფაქტი და, მეორეც, მისი ინტერესები მთლიანად იყო დაკმაყოფილებული მამკვიდრებლის ქონების საკუთრებაში მიღებით. მას შემდეგ, რაც სასამართლომ, 09.11.2011 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრედ მეორე მოპასუხეც მიიჩნია და მას სამკვიდროს 1/2 ნაწილიც გადასცა საკუთრებაში, ამ უკანასკნელს მოსარჩელემ მაღევე წარუდგინა მოთხოვნა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-10 და 22-ე პუნქტები). აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს მეორე მოპასუხის მიმართ მოთხოვნის უფლება არ დაუკარგავს.

49. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ამავე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2012 წლის 17 იანვრის განჩინებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს სამკვიდრო ქონება არ გადასცემია მამკვიდრებლის ვალების სანაცვლოდ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოხსენებული გარემოება მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე გავლენას ვერ მოახდენს,

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქონების გადაცემის მომენტში მოსარჩელე ვარაუდობდა, რომ პირველი მოპასუხე მამკვიდრებლის ვალებს ისტუმრებდა და, მეორეც, სწორედ იმის გამო, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მეორე მოპასუხეს საკუთრებაში გადაცა სამკვიდროს 1/2 ნაწილი, მას წარმოეშვა ვალდებულება, მიღებული აქტივის ფარგლებში, თავისი წილის პროპორციულად, დაეკმაყოფილებინა მამკვიდრებლის კრედიტორის (მოსარჩელის) ინტერესები.

II. საკასაციო პალატის დასკვნები კასატორის პრეტეზიებზე მოსარჩელის მეორე მოთხოვნასთან მიმართებით:

50. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მეორე მოთხოვნა გამომდინარეობს კონდიქციური ვალდებულებიდან, კერძოდ, ამ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმაა სსკ-ის 986-ე მუხლი (პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება). მითითებული ნორმის მიხედვით, სხვისი ვაღლის გადახდა კონდიქციური ვალდებულების საფუძველი ხდება იმის გამო, რომ უსაფუძვლოდ დაიზოგა სხვისი ქონება. იგულისხმება, რომ პირი შეგნებულად ან შეცდომით აკეთებს ამას. ორივე შემთხვევაში, ვალის გადამხდელს უფლება აქვს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ დაზოგილის უკან დაბრუნება.

51. ზოგადად, კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის ერთდროულად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მოვალის გამდიდრება; ამის შესაბამისად, კრედიტორის ქონებრივი დანაკლიის; კრედიტორიდან მოვალესთან სამართლებრივი სიკეთის გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა. სსკ-ის 986-ე მუხლის გამოყენებისათვის დამატებით უნდა დადგინდეს, რომ არსებობს სხვისი ვალი და იგი გასტუმრებულია არა უშუალოდ მოვალის, არამედ მესამე პირის მიერ. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ, როგორც მესამე პირმა, ფიზიკურ პირს (კრედიტორს) გადაუხადა 32 400 აშშ დოლარი, რითაც მან გაისტუმრა მემკვიდრეების (მოვალეების) ვალი ფიზიკური პირის წინაშე (სსკ-ის 371-ე მუხლი). თავის მხრივ, მემკვიდრეთა ვალდებულება გამომდინარებდა მათი მამკვიდრებლის მიერ ფიზიკურ პირთან დადებული 20.09.2005 წლის სესხის ხელშეკრულებიდან (სსკ-ის 1484-ე მუხლი). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, განხორციელებულია კონდიქციური ვალდებულების დაკისრების სამივე წინაპირობა: ა. მემკვიდრეები გამდიდრდნენ (დაზოგეს თავიანთი ქონება), ვინაიდან მათი ვალი მოსარჩელემ გადაიხადა; ბ. მოსარ-

ჩელემ განიცადა ქონებრივი დანაკლისი, რაღვან, სხვისი ვალის გადახდის გამო, შემცირდა მისი ქონება: გ. მოსარჩელის ხარჯზე მემკვიდრეები უსაფუძვლოდ გამდიდრდნენ, ვინაიდან მათ შორის არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა, რაც, მოსარჩელეს კრედიტორისათვის მემკვიდრეების ვალის გადახდას დაავალდებულებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, სსკ-ის 986-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა მეორე მოპასუხისათვის 16 200 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე დასაბუთებულია.

52. კასატორის მოსაზრებით, მამკვიდრებლის ვალის გადახდის მოთხოვნის უფლება ჰქონდა თავად მამკვიდრებლის კრედიტორს (ფიზიკურ პირს) და არა მოსარჩელეს, შესაბამისად, ეს უკანასკნელი არასათანადო მოსარჩელეა. საკასაციო პალატა კასატორის ამ პრეტენზიას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, მართალია, მოსარჩელე არ არის მამკვიდრებლის კრედიტორი (მას მამკვიდრებლისათვის სესხი, 30 000 აშშ დოლარი, არ გადაუცია), მაგრამ მისი მოთხოვნა უფასებება, არა სსკ-ის 1484-ე მუხლს (მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე), არამედ ამავე კოდექსის 986-ე მუხლს (დანახარჯების კონდიქციას), ანუ მოსარჩელე მოითხოვს იმ დანახარჯების ანაზღაურებას, რაც მან მემკვიდრეთა ვალის („სხვისი ვალის“) გასასტუმრებლად გაიღო. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე წარმოადგენს უშუალოდ მემკვიდრეთა კრედიტორს და, შესაბამისად, სათანადო მოსარჩელეს.

53. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მამკვიდრებელს ფიზიკური პირის ვალი არ ჰქონია. პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ხელნერილზე, რომელიც ადასტურებს მამკვიდრებლის ვალდებულებას ფიზიკური პირის წინაშე (იხ. წინამდებარე განჩინების მე-2 და 27-ე პუნქტები). ამ გარემოების გამაქარნებელი რაიმე მტკიცებულება, გარდა საკუთარი განმარტებისა, კასატორს არ წარმოუდგენია, შესაბამისად, მისი პრეტენზია დაუსაბუთებელია.

54. კასატორის მოსაზრებით, ვინაიდან, ფიზიკურ პირს (მამკვიდრებლის კრედიტორს) სამკვიდროს გასხნიდან ექვს თვეში არ წარუდგენია მოთხოვნა მეორე მოპასუხისათვის, მან დაკარგა მოთხოვნის უფლება ამ უკანასკნელის მიმართ, შესაბამისად, მოთხოვნის უფლება დაკარგა მოსარჩელემაც.

55. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის ზემოხსენებული პრეტენზიის უსაფუძვლობას სრულად ადასტურებს წინამდებარე განჩინების 47-ე და 48-ე პუნქტებში განვითარებუ-

ლი მსჯელობა. პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მოსარჩევე ფიზიკური პირის წინაშე ვალდებულება შეასრულა პირველი მოპასუხის (მოვალის) თხოვნით 2007 წლის 12 იანვარს (იხ. მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის განმარტებები), რაც იმას ნიშნავს, რომ ფიზიკური პირი პირველ მოპასუხეს (მემკვიდრეს) სთხოვდა მამკენიანებლის ვალის გადახდას იმ მომენტიდანვე, როცა ამ უკანასკნელმა სამკენიანო მიიღო, შესაბამისად, პირველი მოპასუხის მიმართ მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიანი ვადა მას არ დაურღვევია. რაც შეეხება მოთხოვნის წარდგენას მეორე მოპასუხის მიმართ, ჯერ ერთი, ფიზიკური პირისათვის ვერ იქნებოდა ცნობილი იმის შესახებ, რომ სამკენიანო მეორე მოპასუხემაც მიიღო (იხ. წინამდებარე განჩინების 47-ე, 48-ე პუნქტები) და, მეორეც, ფიზიკურ პირს აღარ სჭირდებოდა მეორე მოპასუხისათვის მოთხოვნის წარდგენა, ვინაიდან მოსარჩელემ, პირველი მოპასუხის თხოვნით, სრულად დაკმაყოფილი მისი მოთხოვნა.

56. დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია მოსარჩელის მეორე მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზეც, ვინაიდან, ეს მოთხოვნა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამომდინარეობს კოდიქციური ვალდებულებიდან და, შესაბამისად, მასზე ვრცელდება სსკ-ის 128.3 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადა (იხ. სუსგ, 05.12.2013 წელი, საქმე №ას-472-448-2013).

III. საკასაციო პალატის დასკვნები კასატორის პრეტენზიებზე მოსარჩელის მესამე მოთხოვნასთან მიმართებით:

57. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მესამე მოთხოვნაც კონდიქციური ვალდებულებიდან გამომდინარეობს, კერძოდ, ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველისას 980-ე მუხლის პირველი ნაწილი (თუ მიმღებმა გასწია ხარჯები ან მას წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი იმასთან დაკავშირებით, რომ საგანი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდა, მაშინ იგი მოვალეა, დააბრუნოს საგანი ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების პირობით. ეს წესი არ გამოიყენება, როცა გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად).

58. მითითებული ნორმა ითვალისწინებს კონდიქციური ვალდებულების განსაკუთრებულ შემთხვევას, როცა ქონების უსაფუძვლოდ მიმღებს, იგი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნია და ამის გამო განსაზღვრული ხარჯები გაიღო ამ ქონების გაუმჯობესებისათვის ან წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი. უფლებამოსილი პირის გამოჩენის შემთხვევაში, მიმღები მოვალეა, დააბრუ-

ნოს ქონება, მაგრამ მას უფლება აქვს, მოითხოვოს გაწეული ხარჯების ან მიღებული ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება.

59. მიმღების მიერ გაწეული ხარჯები ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალე (პირი, რომელსაც დაუბრუნდა ქონება) ამით გამდიდრდა. თუ გამდიდრების ფაქტი არ არსებობს, მაშინ მხოლოდ ხარჯების განევა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. გამდიდრების ფაქტის დასადგენად უნდა გაირკვეს, თუ რა სახით იყო ნივთი გადაცემული და რა სახით ბრუნდება იგი, ანუ უნდა დადგინდეს გამდიდრების ხარისხი. ამ ფაქტის დადგენა აუცილებელია, რადგან გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს გამდიდრების ოდენობის შესაბამისად, ამასთან, კონდიქციურმა მოთხოვნამ არ უნდა გამოიწვიოს გამდიდრებული პირის ქონების იმაზე მეტად შემცირება, რითაც იგი გამდიდრდა. ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად.

60. განსახილველ შემთხვევაში, გადაცემული საგანი წარმოადგენს უძრავ ქონებას. ასეთი ქონება კი, სამუდამოდ შეძენილად შეიძლება მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში, თუ მიმღები ამ ქონების მესაკუთრედ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში (იხ. სუსგ, 31.01.2012 წელი, საქმე №ას-1245-1265-2011).

61. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ, 22.12.2006 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ოზურგეთის რაიონის დაბა უ-ში მდებარე 920.20 კვ.მ მინის ნაკვეთის მესაკუთრედ მოსარჩელე საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო 2007 წლის 10 იანვრიდან 2012 წლის 25 აპრილამდე. ამდენად, საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მოსარჩელის სახელზე რეგისტრაცია, საკასაციო პალატის მოსაზრებით, იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მოსარჩელეს იგი სამუდამოდ შეძენილად მიეჩნია.

62. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, ასევე, რომ მოსარჩელემ სასტუმრო ააშენა და 600 000 ლარის ხარჯი გაიღო სწორედ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაციის პერიოდში. კასატორი სადაცოდ მიიჩნევს მითითებულ პერიოდში მოსარჩელის მიერ მშენებლობის განხორციელების ფაქტს და ამ ფაქტის დასადგენად ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭებას. საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისათვის საპელაციო სასამარ-

თლოს პრეიუდიციული ძალა არ უნდა მიენიჭებინა, ვინაიდან ამ საქმეში იგივე მხარეები არ მონაწილეობდნენ (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), მაგრამ პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ მშენებლობის განხორციელებისა და ხარჯების განევის ფაქტი დასტურდება საქმეში წარმოდგენილი და სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფისებული სხვა მტკიცებულებებით (იხ. წინამდებარე განჩინების 30.1-30.2-ე და 30.4-30.8-ე პუნქტები). საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ, მოსარჩელის საკუთრებაში გადასვლამდე დაბა უ-ში მდებარე მინის ნაკვეთზე 369 კვ.მ სამსართულიანი და 24-ნომრიანი სასტუმრო არ არსებობდა, პრეზუმირებულს ხდის იმ ფაქტს, რომ სასტუმრო სწორედ მინის ნაკვეთის მესაკუთრებ ააშენა. ეს ვარაუდი ეფუძნება სსკ-ის 150.2 მუხლის დანაწესს (მინის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მინასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს) და, ასევე, იმას, რომ შეუძლებელია მესამე პირთა მიერ სასტუმროს მშენებლობა მინის ნაკვეთზე, ამ ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. დაუსაბუთებელია კასატორის მტკიცება იმის შესახებ, რომ ზემოხსენებულ მინის ნაკვეთზე სასტუმრო მამკავიდრებელმა ააშენა თავის სიცოცხლეში. ამ გარემოების დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება კასატორს არ წარმოუდგენია, შესაბამისად, სადაც გარემოებაზე მხოლოდ მითითება ვერ გააქარნებულებს ზემოხსენებულ ვარაუდს.

63. განსახილველ შემთხვევაში, პრეზუმირებულია, ასევე, ის ფაქტიც, რომ სასტუმროს მშენებლობა მხოლოდ დანახარჯების განევითაა შესაძლებელი. ამ პრეზუმირებული ფაქტის გაქარნებულების მტკიცების ტვირთიც მოპასუხეს ეკისრებოდა, რაც მან ვერ შეძლო, ვინაიდან ვერ წარმოადგინა მისი გამაბათილებელი მტკიცებულებები.

64. ზემოთ აღინიშნა, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობის აუცილებელი წინაპირობაა მოვალის უსაფურქვლოდ გამდიდრება. თავად გამდიდრების ფაქტის დასადგენად კი, უნდა გაირკვეს, თუ რა სახით იყო ნივთი გადაცემული და რა სახით ბრუნდება იგი. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ უძრავი ქონება, მიმღების საკუთრებაში გადაცემამდე, ლირდა 28 000 ლარი, ხოლო დაბრუნების მომენტში – 670 000 აშშ დოლარი (იხ. წინამდებარე განჩინების 33-ე პუნქტი). საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს

კასატორის პრეტენზიას ქონების საბაზრო ღირებულების არასწორად დაფგენის თაობაზე, ვინაიდან მას არ წარმოუდგენია იმ ექსპერტიზისა და აუდიტის დასკვნების საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რომლებიც მითითებული დასკვნებით დადგენილ გარემოებებს გააძათილებდნენ.

65. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვალის (მეორე მოპასუხის) გამდიდრების ფაქტი აშკარაა, ვინაიდან ნივთის გადაცემისა და დაბრუნების დროს არსებულ ფასთა შორის სხვაობა ამას ადასტურებს ($670\ 000$ აშშ დოლარს – $16\ 470$ აშშ დოლარი ($28000/1.70$) = $653\ 530$ აშშ დოლარს), ასევე, აშკარაა ის ფაქტიც, რომ კონდიქციური მოთხოვნა ($286\ 000$ ლარი, რაც დაახლოებით 121000 აშშ დოლარია), მოცემულ შემთხვევაში, არ იწვევს გამდიდრებული პირის ქონების იმაზე მეტად შემცირებას, რითაც იგი გამდიდრდა ($653\ 031/2 = 326\ 515$ აშშ დოლარს).

66. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არსებობს სსკ-ის $980\text{--}9$ მუხლით გათვალისწინებული კონდიქციური ვალდებულების დაცისრების ყველა წინაპირობა: მოვალის გამდიდრება (გაუმჯობესებული ნივთის საკუთრებაში მიღება), კრედიტორის ქონებრივი დანაკლისი (დაბრუნებული ნივთის გაუმჯობესებაზე განეული ხარჯი) და მოვალის გამდიდრება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შესაბამისად, დასაბუთებულია მოსარჩელის მესამე მოთხოვნა მეორე მოპასუხისათვის $286\ 000$ ლარის დაკისრების თაობაზე.

67. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას მოსარჩელის მესამე მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან ეს მოთხოვნაც კონდიქციური ვალდებულებიდან გამომდინარეობს და, როგორც ზემოთ აღინიშნა, მასზე ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადა (იხ. წინამდებარე განჩინების 56-ე პუნქტი).

68. სსსკ-ის $410\text{--}9$ მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმის, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

69. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ, მოსარჩელის მეორე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასამარ-

თლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 986-ე მუხლი, ხოლო მესამე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად კი, სსკ-ის 980-ე მუხლი, ნაცვლად ამავე კოდექსის 991-ე მუხლისა, მაგრამ აღნიშნული დარღვევა ვერ გახდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან გადაწყვეტილება არსებითად სწორია (სსკ-ის 410(გ) მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

70. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3-ე, 408.3-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქითხელი

1. ზოგადი დებულებანი

უღირსი მემკვიდრე	
სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება	3
სამკვიდროს გახსნა კომლში	
სამკვიდროს მიღება	33
პირადი ხასიათის უფლება-მოვალეობათა მემკვიდრეობით	
გადაცემის დაუშვებლობა	
სახელმწიფოს უარის დაუშვებლობა სამკვიდროს მიღებაზე	43

2. სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე

სამკვიდროს მიღება სამკვიდრო ქონების	
ფაქტობრივი დაუფლებით	80
სამკვიდროს მიღება	91; 105
სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება	117
საკუთრების წარმოშობა სამკვიდროზე	
სამკვიდროს მიღებაზე შედავების ვადა	130
სამკვიდროს მიღებაზე შედავების ვადა	162

3. კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ

მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე	
კრედიტორის მოთხოვნის წარდგენის ვადა	172